

ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით
ფასი: 1 ლარი

# სარკე

№18
1-7.V 2013



გვ.10

## რის ფასად დაუჯდა გამარჯვება რუსკა მაყაშვილს

„მე და გიორგის ერთმანეთი აღარ გვიყვარდა და მორჩა!“



გვ.71

## გიორგი აფციაური მამა ხდება

სალიტა: „აღმოვაჩინე, რომ გიორგი იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე მეგონა“

# გია ხუხაშვილი: „თქვენი ჟურნალის გამოსვლის შემდეგ ალბათ ყველას ყბაში ერთად ჩავვარდებით“

გვ.20

## „ბერამ მიმაღებინა გადაწყვეტილება, ბიძინას გვერდით დავმდგარიყავი“



გვ.43

## რა გაუგებრობაში აღმოჩნდნენ ნიუ იორკში პირველად ჩასული მანანა კობახიძე და მისი ქმარი



გვ.30

## რას უმტკიცებს მამაკაც მძღოლებს მაკა ძაგანია



გვ.32

## ნინა წკრიალაშვილმა ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი ისევ გაიკეთა



გვ.38

## გიორგი გაგლოევს ნოდარ გურგენაშვილის წინააღმდეგ აქეზებენ



გვ.36

## ასმათ ტყაბლაძე: „ჩემმა შვილმა არ იცის, ვინ არის მისი მამა“

ISSN 1987-9369
9 771987 936002

მაჰტოხელა უარი მომგებიან არჩევანზე – „დაქალის მამას ცოლად ვერ გავყვებოდი...“ გვ.46

# კუჭ-ნაწლავის დისკომფორტი
## (შეკრულობა, ფაღარათი, შებერილობა)
# დისბაქტერიოზი

# მიიღეთ
# ლაქტო-ჯი

**www.laqto.ge**

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ნომერში


### სკანდალი

არის თუ არა ორ იუმორისტს შორის დაპირისპირების მიზეზი პოლიტიკა — 8

### სასაცილო გოგონა

რის ფასად დაუჯდა გამარჯვება რუსკა მაყაშვილს — 10

### გულახდილი საუბრები — 12-13

### ამბავი სიყვარულისა

თენგიზ ჩანტლაძის ცოლის თილისმის საიდუმლო — 14

### პოლიტიკა

- კახა კუკავა: „ფული რომ გვქონოდა, არჩევნებს უპირობოდ მოვიგებდით“ — 16
- ირაკლი სესიაშვილი: „გამოსაძიებელია, საქართველოში მართლა ამზადებდნენ თუ არა ტერორისტებს“ — 17

### ახალი ამპლუა

გია ხუხაშვილი: „ბერამ მიმაღებინა გადაწყვეტილება, ბიძინას გვერდით დავმდგარიყავი“ — 20

### შოუს მიღმა

მამულიჩა მამამთილობას ჯერ არ აპირებს — 21

### თამაშიდან პოლიტიკამდე

გედევან ფოფხაძეს ბერად აღკვეცა სურს — 24

### გზა ტაძრისაკენ

მამა კონსტანტინე: „იესო ქრისტეს მოწაფის როლი არ უნდა მეთამაშა...“ — 25

### დედები და ქალიშვილები

თამრიკო ჭოხონელიძე: „დედაჩემის ყველაზე დიდი სადარდებელი მე ვარ“ — 26

### მოზარდები — 28-29

### ავტომოყვარული

მაკა ძაგანია: „მანქანიდან გადმოვეყუდე და მამაკაც მძღოლს ბოლო ხმაზე ვაგინე!“ — 30

### დანაკარგი

ნინა წკრიალაშვილმა ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი ისევ გაიკეთა — 32

### ეტაპი

ირაკლი ჩოლოყაშვილის კარიერასა და პირად ცხოვრებაში ცვლილებებია — 34

### სამზარეულო

სალომე შარვაძემ დედამთილთან თავი შეირცხვინა — 35

### ცხოვრების გაკვეთილები

ასმათ ტყაბლაძე: „ჩემმა შვილმა არ იცის, ვინ არის მისი მამა“ — 36

### შინ

გიორგი გაგლოევს ნოდარ გურგენაშვილის წინააღმდეგ აქეზებენ — 38

### ცხოვრება ჩემოდნებზე

რა გაუგებრობაში აღმოჩნდნენ ნიუ იორკში პირველად ჩასული მანანა კობახიძე და მისი ქმარი — 43

### მეგზური

გენტი — ბელგიური შოკოლადის „საბადო“ — 45

### მარტოხელა

უარი მომგებიან არჩევანზე — „დაქალის მამას ცოლად ვერ გავყვებოდი...“ — 46



№18(783) 1 — 7 მაისი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 29.04.2013, 21.00 სთ-ზე.



იყიდება მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების მე-2 ტომი

ჩეხური ზღაპრები

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

მაგარი ყდა,
სუპერ გარეკანი
ფასი გაზეთთან ერთად

6 ლარი

გამოსულია ტომი I — ამერიკული ზღაპრები.
გამოსაცემად მზადდება:
ტომი 3. ბრაზილიური ზღაპრები
ტომი 4. ფრანგული ზღაპრები






### მხოლოდ ქალებისთვის

- ქაღარის შენიღბვა — 7 მეთოდი — 48
- ხაჭოს დიეტა — 48

### დედიკოების სკოლა

- მერი პოპინსი ჩვენი შვილების ცხოვრებაში — 49
- ფრთხილად, სინუსიტი! — 49
- კრიტიკულ დღეებში ანანასის წვენი დაგვეხმარება — 49

### ჩემი მშვენიერი ლედი

როგორ მოხიბლა ახალგაზრდა დრამატურგი დოდო აბაშიძის შვილიშვილმა — 50

### სპორტის მიღმა — 51

### ადამიანის ინსტიტუტი — 52

### ცოტ-ცოტა ყველაფერზე — 53

### შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო — 54-55

### სახალისო — 56-57

### იყავით ჯანმრთელი — 58-59

### ჭრელაჭრულა — 62

### ქალური მოთხრობები

- თინათინ ბონი — „ეიფორია“ (გაგრძელება, დასაწყისი №7-17) — 66
- ლელა ცუცქირიძე — „მსგავსება“ — 68

### მოლოდინი

გიორგი აფციაური მამა ხდება — 71

### წმინდანები

წრფელი სინანული არის ის იარაღი, რომელსაც შეუძლია, წმინდანებად გვაქციოს — 72

### კითხვები მოძღვარს

„პასქა არის იმ მთის სიმბოლო, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე“ — 74

### სიტუაცია

თეონა კონტრიძე ჩაშლილ კონცერტსა და საქართველოში გაცრუებულ იმედებზე — 75

### კულინარიული შედევრები — 77

# კობა დავითაშვილი და დავით სერგეენკო დაზავდნენ

კობა დავითაშვილს „ქართული ოცნების“ დატოვება არ მოუწევს. მის საკითხზე პოლიტსაბჭოს არ უმსჯელია — გადაწყვეტილება პრემიერის, ჯანდაცვის მინისტრის და დეპუტატის ერთობლივ შეხვედრაზე მიიღეს. საუბრები კოალიციიდან დავითაშვილის წასვლაზე მას შემდეგ დაიწყო, რაც დეპუტატმა ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო სადაზღვევო კომპანიებთან გარიგებაში და კორუფციაში დაადანაშაულა.



■ კობა დავითაშვილი

— ჩვენ ვიცოდით, რომ ჯანდაცვის მინიმალური კომპონენტი უნდა ყოფილიყო 2,5 ლარი და საბოლოოდ მივიღეთ 1,5 ლარი. ვიცოდით სხვა პაკეტი და ბოლოს დარჩა სისხლის და შარდის ანალიზი. არ არის გათვალისწინებული არც იჯარის თანხები, არც ტრანსპორტირების ხარჯები, გაწერილია სქემები, რომლებიც კერძო სადაზღვევო კომპანიებს აწყობთ. მინისტრთან შედგა თათბირი, სადაც საუბარი იყო, თუ რა გადაწყვეტილებები უნდა მიელო სამინისტროს. მე გაოცებული და შეურაცხყოფილი ვარ იმ გადაწყვეტილებით, რომელიც მან მიიღო, — აცხადებდა დავითაშვილი.



■ დავით სერგეენკო

მის ამ ბრალდებას ჯანდაცვის მინისტრი გამოეხმაურა და ბოდიშის მოხდა მოსთხოვა.

— ბატონი კობა ბრალს მდებს ძალიან მძიმე დანაშაულში — კორუფციაში. მან ან უნდა დაადასტუროს ეს ყველაფერი და დოკუმენტები წარმოადგინოს, ან საჯაროდ ბოდიში უნდა მოიხადოს, — არ დაუთმო ჯანდაცვის მინისტრმა დეპუტატს.

დაპირისპირებაში მოგვიანებით პრემიერიც ჩაერთო და თანაგუნდელს ხმამაღალი განცხადებისთვის ეჩხუბა კიდეც.

— დღეს დავითაშვილს დავურეკე და საკმაოდ ვეჩხუბე. მან უნდა მოახერხოს და ჯერ საკუთარ გუნდში უნდა გააკეთოს განმარტებები. მუდამ ახერხებს გარედან რაღაც ინფორმაციის შემოტანას და თანაც არაფერს ეფუძნება ის, რასაც აკეთებს. ძალიან საწყენი იყო, რაც მან გააკეთა. მე ავუხსენი, რომ თუ გუნდში დარჩენა სურს, გუნდს რაღაც ანგარიში უნდა გაუწიოს, ინფორმაცია ჯერ გუნდში გააჟღეროს და არა გარედან. ელემენტარული წესები არსებობს ყველაფერში. სერგეენკო უპატიოსნესი კაცია, ეს ყველაფერი ხელოვნურად არის მოგონილი და არავითარ კორუფციასთან არ აქვს კავშირი. ის ძალიან სერიოზული კაცია, — დაიცვა თავისი მინისტრი ივანიშვილმა და არც ის დაუმალავს, როგორ არწმუნებდნენ თანაგუნდელები, კობას გუნდური მუშაობა არ შეუძლია და რომც არ გავრიცხოთ, მაინც წავაო.

საბოლოოდ შეხვედრა ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრში შედგა და 2 საათი გაგრძელდა. შეხვედრას პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძეც ესწრებოდა. ბიზნესცენტრში გია ხუხაშვილიც გამოჩნდა, მაგრამ ხელები გაასავსავა, დავითაშვილის საკითხთან დაკავშირებით არ ვარ და არც არაფერი ვიციო.

შეხვედრიდან ყველა კმაყოფილი გამოვიდა. კობა დავითაშვილის თქმით, ის სერგეენკოსგან მიღებულმა პასუხებმა დააკმაყოფილა, თემას ამოწურულად თვლის და პრესასთან ამ საკითხზე საუბარი აღარ სურს.

— მე დავსვი შეკითხვები და ამ შეკითხვებზე დღეს მივიღე დამაკმაყოფილებელი პასუხები. დეტალების გამხელისგან თავს შევიკავებ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ მიღებული პასუხები ისეთი იყო, რომ მჯერა, ჯანდაცვის რეფორმა ისე განხორციელდება, როგორც ჩვენ დავპირდით საზოგადოებას. ჩემი მიზანიც სწორედ ეს იყო. აქედან გამომდინარე, ეს თემა ამოწურულია, — განაცხადა დავითაშვილმა.

დავით სერგეენკოც სიტყვაძუნწი აღმოჩნდა. მხოლოდ ის თქვა, რომ დავითაშვილის თემა განსახილველი 8 საკითხიდან ერთ-ერთი იყო და განმარტა, ცივილურად ჩამოვყალიბდით და შევთანხმდით, რომ კომუნიკაციის პრობლემა იყოო. ასე რომ, ამჯერად დავითაშვილი ბოდიშის მოხდას გადაურჩა.

„ხალხის პარტიის“ ლიდერის გარიცხვის საკითხი უკვე მეორედ დაისვა. პირველად მაშინ დადგა დღის წესრიგში, როცა „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში ნაციონალ სერგო რატიანს მკვლელი, ნაძირალა, არაკაცი უწოდა და მასთან ხელჩართულ ჩხუბშიც ჩაება. დავითაშვილმა მაშინ განაცხადა, თუ ჩემს გარიცხვას გადაწყვეტენ, გაგებით შევხვდებიო, მაგრამ მაშინაც დაინდეს. ვნახოთ, ამჯერად რამდენ ხანს შეძლებს დეპუტატი თავისი „პრინციპულობის“ მოთოკვას პრემიერის გაფრთხილების შემდეგ.

# ივანიშვილი ნაციონალებს საპრეზიდენტო არჩევნებში 10 პროცენტზე ნაკლებს უწინასწარმეტყველებს

საქართველოს პრემიერმინისტრი შუალედური არჩევნების ჩატარების ფორმებს იწონებს და აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატების გამარჯვება მოსალოდნელი იყო.

— რაც მთავარია, არჩევნები ჩატარდა წყნარად და კულტურულად, ყოველგვარი ანგაჟირების გარეშე. ეს ანარეკლია წინა არჩევნების, ანარეკლია იმის, რომ ახალი ხელისუფლება მოვიდა. ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებიც ასე წყნარად ჩატარდება, ოღონდ მონაწილეებს შორის სხვაობა ძალიან დიდი იქნება. ჩემი გადმოსახედიდან, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი 10 პროცენტსაც ვერ მიიღებს, — განაცხადა ივანიშვილმა.



■ ბიძინა ივანიშვილი

# ირაკლი ღარიბაშვილმა ხეები შვილებთან ერთად დარგო

27 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით ხეების დარგვის აქცია მოეწყო. შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შვილებთან და სამინისტროს თანამშრომლებთან ერთად ე.წ. ხუდადოვის ტყეში კიპარისის 400 ნერგი დარგო, რომლებიც მათ გარემოს დაცვის სამინისტრომ უსასყიდლოდ გადასცა.



■ ირაკლი ღარიბაშვილი

ღონისძიების მიზანია, შინაგან საქმეთა სამინისტრო შეუერთდეს უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის მოწოდებას — თბილისში ყოველწლიურად დაირგოს ხეები. სამინისტროს განცხადებით, უწყება აქტიურად ჩაერთვება დედაქალაქის ეკოსისტემის გაუმჯობესებისა და ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს აღდგენის საქმეში.


სარკე

ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გეგია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოდია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიმლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE


რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.



Cyan Magenta Yellow Black

## სალონიკში ქართველ ემიგრანტებს გია ბარამია კონსულად არ სურთ



■ გია ბარამია

აფხაზეთის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარის, გია ბარამიას კონსულად დანიშვნას სალონიკში მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ — ემიგრანტები. ბარამიას კანდიდატურის არსებობას საგარეო საქმეთა მინისტრი ადასტურებს, მაგრამ მას არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ, რა პრეტენზიები აქვთ ემიგრანტებს მის მიმართ.

— მართალია, ბატონი ბარამია განიხილება საქართველოს გენერალური კონსულის თანამდებობაზე სალონიკში, მაგრამ ის არაა ერთადერთი, არჩევანი რამდენიმე კანდიდატს შორის გაკეთდება. გია ბარამიას აქვს დიპლომატიური გამოცდილება და სწორედ სალონიკში მუშაობდა გენერალურ საკონსულოში. თუ არსებობს რაიმე ინფორმაცია მის შესახებ, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ უნდა იცოდეს, ჩვენი ემიგრანტების მადლობელი ვიქნები ამ ინფორმაციის მოწოდებისთვის. სალონიკში 300.000 ქართველი ცხოვრობს და გენერალური საკონსულო მათ ინტერესებს უნდა იცავდეს, კონსული კი მათი ნდობით უნდა სარგებლობდეს. არაფერი კონკრეტული ამ მიმართულებით ჩემთვის ცნობილი არაა. გია ბარამიას ადრე ძალიან მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა და ძალიან გამიკვირდება, თუ წინა ხელისუფლებას რაიმე სერიოზული გამოეპარა, — განაცხადა ფანჯიკიძემ.

## უსუფაშვილი „ნოკდაუნში მყოფ“ პრეზიდენტს ეხმაურება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ შარშანდელი შემოდგომიდან ერთიანი ნაციონალური მოძრაობა სერიოზულ ნოკდაუნში იმყოფებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, პარტია თანდათან ფეხზე წამოდგომას იწყებს. უსუფაშვილის თქმით, როცა პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღიარებს, რომ ნოკდაუნშია, მაშინ მისი სიტყვები იმის თაობაზე, თუ საით მიდის საქმე, ნაკლებად დამაჯერებელია.



■ დავით უსუფაშვილი

— ნოკდაუნში მყოფი ადამიანისთვის რთულია იმის გარკვევა, ნოკაუტისკენ მიდის თუ გამოჯანმრთელებისკენ. ასე რომ, თუ პრეზიდენტი აღიარებს, ნოკდაუნში ვართო, მისი დაკვირვება ნაკლებად დამაჯერებელია. რაც შეეხება ნაცმოძრაობის მომავალს, ძალიან ცუდი პრეცედენტი იყო, როცა ყოფილი მმართველი პარტიები აორთქლდებოდნენ და მათთან ერთად ქრებოდა პოლიტიკური პასუხისმგებლობაც. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ყოფილი მმართველი გუნდი ცოტა ხანს მაინც დარჩეს პოლიტიკურ სპექტრში, რათა არ დაგვავიწყდეს, თუ ვინ არის პასუხისმგებელი ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და არ მოხდეს ისე, რომ სხვა პიჯაკებში გამოწყობილი ადამიანები კიდევ არასწორ გზას დაადგნენ. ჩვენ ყველა პოლიტიკურ პარტიას ვიწვევთ პოლიტიკურ ბრძოლაში, რომელშიც აუცილებლად დავამარცხებთ, — განაცხადა უსუფაშვილმა.

## ძველი შსს ცოლ-ქმრის სექსუალურ ცხოვრებასაც კი ფარულად იღებდა

შსს გამოძიების დასრულებისთანავე წინა ხელისუფლების დროს უკანონო მოსმენების შედეგად შექმნილი არქივის განადგურებას გეგმავს. ამის შესახებ შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „საქართველოს ეროვნული პლატფორმისა“ და მედიის წარმომადგენლების ინიციატივით — „სამოქალაქო კონტროლი უკანონო მოსმენების აღსაკვეთად“ კონფერენცია გამართა. სამოქალაქო სექტორმა პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილსა და პარლამენტის თავმჯდომარეს, დავით უსუფაშვილს მოუსმინეს წინა ხელისუფლების პირობებში არსებულ მანკიერ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში ყველას და ყველაფერს უსმენდნენ.

— გიდასტურებთ, რომ დავასრულეთ უკანონო მოსმენები, თუმცა მხოლოდ ამის თქმა საკმარისი არ არის. მასობრივი მოსმენები ხორციელდებოდა ტელეფონითაც, კომპიუტერითაც. ამის მსხვერპლი მეც გავხდი, ასევე პრემიერის ოჯახიც. კუდში ვირუსები იქმნებოდა და ათასობით კომპიუტერი ვირუსდებოდა. ჩვენ ეს განყოფილება გავაუქმეთ და ყველაფერი წესრიგში მოვიყვანეთ. ჩვენ გვაქვს საშუალება, რომ კანონით მოსმენები ვახორციელოთ და ეს ხდება მხოლოდ კანონის დაცვით, — განაცხადა ღარიბაშვილმა.

იმავე კონფერენციაზე პრემიერმინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, თითოეულ ადამიანს ჰქონდა განცდა, რომ მას უთვალთვალებდნენ და უსმენდნენ, მაგრამ ასე არ იყო და წარმოუდგენელია, ათიათასობით ადამიანს მოუსმინო.

— წარმოუდგენელია, ათიათასობით ადამიანს მოუსმინო. ეს იყო აბსოლუტურად გამიზნული იდეოლოგია. არ უსმენდნენ საზოგადოების 1%-საც, მაგრამ ავრცელებდნენ შეგნებულად. მიზანი ტოტალური დაშინება იყო, რათა საზოგადოების დიდ ნაწილს შიშის ქვეშ ეცხოვრა... — აღნიშნა ივანიშვილმა.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, კანონიერი მოსმენის შემთხვევაში პირად ცხოვრებაზე მოპოვებული მასალები, თუ ის არის კომპრომატი, კანონის შესაბამისად, უნდა განადგურდეს დაუყოვნებლივ და ამის შესახებ ეცნობოს იუსტიციის მინისტრს და მთავარ პროკურორს.

— იმ არქივში, რომელიც შსს-ს ახალ ხელმძღვანელობას დახვდა, ერთ-ერთ ვიდეომასალაში აღბეჭდილი იყო ცოლ-ქმრის სექსუალური ურთიერთობა. ეს შეიძლება არ იყოს მაკომპრომატირებელი, მაგრამ ხომ უწნეობაა ამის შენახვა, — განაცხადა ხმალაძემ.

ხმალაძის განცხადებით, საქართველოში მობილური კომპანიები ინახავენ ინფორმაციას:

— ზოგიერთ ქვეყანაში იყო დაწესებული ვადები, თუ რა პერიოდის განმავლობაში შეეძლოთ ინფორმაციის შენახვა. გერმანიაში იყო 6 თვიანი ვადა და ისიც გაუქმდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით. როცა არსებობს შენახული, ყოველთვის არსებობს მისი გაჟონვის საფრთხე.

## ჯგუფი «ეგარი» საქართველოში შვედ ჯაზმენებს მასპინძლობს

ქართულ-შვედური ერთობლივი პროექტის ფარგლებში 8-11 მაისს საქართველოში ჯაზისა და ქართული ეთნოჯაზის მოყვარულთათვის კონცერტების ნამდვილი ფეიერვერკი მოეწყობა. სამი დღის განმავლობაში საქართველოს შვედური ჯაზტრიო „MUSICMUSICMUSIC“ და ევროპაში ცნობილი საქსაფონისტი ნილს ბერგი ეწვევიან. ქართულ მხარეს კი ფესტივალზე კარგად ნაცნობი ჯგუფი „ეგარი“ წარმოადგენს, რომელსაც ორი წელია თბილისში კონცერტები არ გაუმართავს.

კონცერტების სერიები საინტერესოდ და ორიგინალურად არის დაგეგმილი. 8 მაისს, 22 საათზე კლუბ „ურბანში“ შვედი ჯაზშემსრულებლები გამართავენ კონცერტს. ამ დღეს რამდენიმე კომპოზიციას „ეგარიც“ წარმოადგენს. კონცერტის ბოლოს კი კლუბურ სივრცეს შვედი დიჯეი და პოპმომღერალი ნინა ნატრი დაიკავებენ.

9 მაისს შვედი მუსიკოსები და საქსაფონისტი ნილს ბერგი ქართულ მუსიკოსებთან ერთად კონცერტს რაჭაში, ამბროლაურის კულტურის სახლში გამართავენ, 11 მაისს კი ევგენი მიქელაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში „ეგარის“ სოლო კონცერტია დაგეგმილი, სადაც ძველ მუსიკალურ კომპოზიციებთან ერთად ახალი ნომრებიც შესრულდება.

ქართულ-შვედური პროექტი სამთავრობო სააგენტო „შვედური ინსტიტუტის“, „შვედეთის მუსიკალური განვითარებისა და მემკვიდრეობის ორგანიზაციის“ ეგიდით და შვედეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება. კონცერტების ინფორმაციულ მხარდაჭერას კი ჟურნალი „სარკე“ ახორციელებს.

პროექტის პირველ ეტაპზე, გაზაფხულის დასაწყისში, „ეგარმა“ კონცერტები შვედეთში ჩაატარა. მეორე ეტაპი კი შვედი ჯაზშემსრულებლების საქართველოში ჩამოსვლას მოიცავს. ასეთი მუსიკალური თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება.



Cyan Magenta Yellow Black

Apifito PHARM

# ზეთი ჟივიცა

100% ნატურალური პროდუქტი!

## ზეთი „ჟივიცა“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!

გვსურს გაგაცნოთ ორგანიზმის გაწმენდა-გაჯანსაღების უნიკალური სრულყოფილი სისტემა, სახელწოდებით „ციმბირული განწმენდა“, რომელიც სათავეს იღებს ჯანსაღი სულის მქონე რუსული ტაიგიდან. სისტემა საუკუნეების მანძილზე შემოწმებულია ციმბირის ტაიგის მცხოვრებთა მიერ, რომლებიც ყოველთვის სახელგანთქმულნი იყვნენ თავიანთი დევგმირული ჯანღონით.დღეს ლეგენდარული **„ციმბირული ჯანმრთელობა“** ხელმისაწვდომია ნებისმიერისათვის, ვისაც სურს აღადგინოს და გაიკაჟოს ორგანიზმი, გაიხანგრძლივოს ახალგაზრდობა და ზრუნავს საკუთარ თავზე და თავის ახლობლებზე.„ციმბირული განწმენდა“ მეტად მარტივია, მისი ჩატარება არ ახდენს სტრესულ გავლენას ორგანიზმზე, თუმცა რბილად და ქმედითად რთავს წმენდა-გაჯანსაღების პროცესს უჯრედულ დონეზე. შედეგი არის ორგანიზმის თითოეული უჯრედის გენეტიკური ჯანმრთელობის აღდგენა. გამოყენების დასაწყისშივე აღინიშნება მწვავე სიმპტომებისა და ტკივილის გაქრობა. **„ჟივიცას“ შემადგენლობაში, კედარის ფისით გამდიდრებული კედარის ზეთის გარდა, შედის დინდგელი და ქაცვის ზეთი. „ჟივიცა პლუსის“** თითოეული მდგენელი თავისთავად მარგებლად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, და ამასთან ერთად ჰარმონიულად შერჩეულ სხვა კომპონენტთან ერთად აძლიერებს (ან, როგორც ექიმები იტყვიან, პოტენცირებს) მის მოქმედებას.ამ კომპონეტთა მარგებელი თვისებების მხოლოდ ჩამოთვლა დაიკავებდა მთელ საგაზეთო გვერდს. მათ საფუძველზე შექმნილ ზეთს შეიძლება უნივერსალური ეწოდოს ადამიანის ორგანიზმზე თერაპიული ზემოქმედების კუთხით.„ჟივიცა“ ღირებულ დახმარებას უწევს დასუსტებულ გულის კუნთს - მისი გამოყენება მიზანშეწონილია როგორც პროფილაქტიკის საშუალება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, ასევე კომპლექსური თერაპიისას არითმიის, იშემიის, ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის დროს. ზეთი ამცირებს სისხლში ქოლესტერინის დონეს, აღადგენს კაპილარების ელასტიკურობას, რომლებზეც დამოკიდებულია ორგანოებისა და ქსოვილების სიღრმისეული სისხლით მომარაგება. შედეგად უმჯობესდება სისხლის მიკროცირკულაცია მთელ ორგანიზმში, მცირდება ინფარქტებისადა ინსულტების რისკი, მსუბუქდება მდგომარეობა ვარიკოზებისა და თრომბოფლებიტების დროს.წარმატებით გამოიყენება აგრეთვე ანემიისას, ღვიძლის, თირკმლების, კუჭქვეშა ჯირკვლის დაავადებების დროს.ზეთის ერთჯერადი გამოყენება გვაშორებს გულძმარვის მსუბუქ ფორმას, მუდმივი - კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულს.




„ჟივიცას“ სამიზნეა დისბაქტერიოზი, ქრონიკული კოლიტი, პანკრეატიტი, ჰეპატიტი, შარდკენჭოვანი დაავადება, ცისტიტი, ბუასილი.„ჟივიცას“ გააჩნია ანთების საწინააღმდეგო, სიმსივნის საწინააღმდეგო, ანტიმიკრობული თვისებები და ნაჩვენებია მიკოზების (სოკოვანი დაავადებების), ჰერპესის, დერმატიტების, ფსორიაზის, ნეიროდერმიტის, ეგზემის, დამწვრობების, ჭრილობების, მოყინვის მკურნალობისას. საშუალების ადგილობრივი გამოყენება უზრუნველყოფს ტკივილგამაყუჩებელ ეფექტს, და ამიტომ ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს „ჟივიცა“ ასევე საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის აღმოფხვრისას, ქუსლის დეზით დაწყებული და ართროზებით, ართრიტებით, რადიკულიტითა და ხერხემლის თიაქარით დამთავრებული.„ჟივიცა“ ახდენს ზოგადგამაკაჟებელ მოქმედებას, აწესრიგებს წნევას, ამცირებს მეტეოდამოკიდებულებას, შესაძლებელია მხედველობის გაუმჯობესება, მათ შორის გლაუკომის დროს.მიღებულია კარგი შედეგები ბალზამის ჩართვისას ენდოკრინული დაავადებების, მათ შორის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიისა და შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ თერაპიაში.ზეთი აწესრიგებს რეპროდუქციული სისტემის მუშაობას. მამაკაცებმა უნდა გამოსცადონ მისი მარგებელი ძალა პროსტატიტის, ადენომის, პოტენციის დაქვეითების დროს.პრეპარატები უძველესი რეცეპტების საფუძველზე უმჯობესდებოდა, და არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს პოპულარობა ექიმებს, მკურნალებსა და ავადმყოფებს შორის. აი „ჟივიცაც“ ათწლეულზე ნაკლებ ხანში იქცა ლეგენდად, ათასობით ადამიანს დაეხმარა სნეულების დაძლევასა და ახალგაზრდობის გახანგრძლივებაში.

---

მაწუხებდა სახსრები და კუჭ-ნაწლავის სისტემა, კოლიტი, შებერილობა და დისბაქტერიოზი. ხშირად დიეტაზე ყოფნა მიწევდა. ჯივიცით მკურნალობით კარგი შედეგი მოვიღე.პირველ რიგში მადა მომემატა, კუჭის მოქმედება მომიწესრიგდა, მეორე ყურში შუილები მქონდა და მომეხსნა, სახსრებიც აღარ მაწუხებს. შესანიშნავად ვგრძნობ თავს! თამრიკო ინასარიძე. 70წ.

---

ინსულტი მქონდა გადატანილი. მარჯვენა მხარე პარალიზებული მქონდა,ლაპარაკიც მიჭირდა. უამრავ წამლებს ვღებულობდი. როცა დავიწყე ზეთი ჯივიცას მიღება 4 ფლაკონზე შევატყვე,რომ ხელ-ფეხს ნელ-ნელა ვამოძრავებდი და მეტყველებაც აღმიდგინდა! ანა ფაიჭაძე 63წ. თბილისი.

---

ზეთი ჯივიცა ჩემმე ახლობელმა მირჩია.მაქვს გლაუკომა,თვალის წნევა მაღალი მქონდა,ამის გარდა მაწუხებდა სახსრები და გულძმარვა.უკვე მივიღე 3 ფლაკონი,ზეთი კომპლექსურად მოქმედებს და ძალიან ეფექტურია.მკურნალობის შედეგად თვალის წნევამ დაიწია,მომეხსნა სახსრების ტკივილები,გულძმავა აღარ მაწუხებს (დიეტაზე ვიყავი)ეხლა კი ყველაფერს ცოტ-ცოტას ვჭამ და სიარულიც შემიმსუბუქდა, ვენები აღარ მაწუხებს.

ნონა ბაკურაძე .75წ.რუსთავი.

---

მქონდა შაქარი, 300მდე ადიოდა. შაქრის გამო ფეხებიც მტკიოდა და გამიჩნდა პრობლემა მხედველობაზე, შემაწუხა კუჭ-ნაწლავმაც. ჩემმა რძალმა გაზეთში ამოიკითხა ზეტი ჯივიცას შესახებ და მირჩია მიმეღო. შევიძინე ჟივიცა. ჩავიტარე 2 კურსი, შაქარი მომიწესრიგდა, კუჭ-ნაწლავიც, თავს მსუბუქად ვგრძნობ, შედეგით კმაყოფილი ვარ!

ქორიძე მერი, 53 წლის, ბათუმი,

---

კუჭის და 12-გოჯას წყლული მაქვს.ხშირად ტკივილები, სისუსტე და უსიამოვნო შეგრძნება საკვების მიღების შემდეგ მქონდა.გაზეთში წავიკითხე ბალზამის შესახებ ძალიან დავინტერესდი და მიღება გადავწყვიტე. 3 ფლაკონი მივიღე და ვგრძნობ,რომ ტკივილები და უსიამოვნო შეგრძნება საკვების მიღების შემდეგ გამიარა. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. ზეტი ჯივიცა უნიკალური საშუალებაა ადამიანის დაკარგული ძალებისა და ადაპტაციური მექანიზმების აღსადგენად!

გოდერძიშვილი გიორგი 74წ. ქ.თბილისი.

---

როცა წავიკითხე გაზეთში ზეტი ჯივიცას შესახებ,არ დავიჯერე,რომ ის იმდენად შედეგიანი შეიძლება ყოფილიყოს,მაინც შევიძინე და მიღება გადავწყვიტე.არტერიული წნევა და თავის ტკივილები მქონდა და ერთი თვის მკურნალობის შემდეგ თავის ტკივილებმა გამიარა და არტერიული წნევა დაიწია120/70 ,რამოდენიმე დღეა რაც წნევა არ გამიზომია,ადრე კი ყოველდღე ვიზომავდი.დიდი მადლობა ასეთი შედეგიანი პროდუქწციისათვის!

ელიკო თოფურია. 76წ.ქ.თბილისი.

---

მხედველობასთან დაკავშირებით გამიჩნდა პრობლემები, მიჭირდა კითხვა. მქონდა გულის არითმია, ქოშინი, პროსტატა, წანაზარდები თირკმელზე. დავიწყე ჟივიცას მიღება. უკვე 4 დღის შემდეგ მხედველობა გამიუმჯობესდა. შევძელი წვრილი ასოების წაკითხვა . უკვე მივიღე ერთი ქილა. გულის მდგომარეობა გამოსწორდა. თქვენი მადლიერი ვარ!

ბედოიძე ზურაი, 64 წლის, რუსთავი.

---

თქვენ პენსიონერი გწერთ მე 81 წლის ვარ.თქვენთან შევიძინე ზეთი ჯივიცას 3 ქილა და სამადლობელო წერილს გწერთ ასეთი ხარისხიანი პროდუქციის შემქმნელს.დამირეგულირდა არტერიული წნევა,ამის გარდა სამწვერვა ნერვის ანთებაც მქონდა,ძლიერი ტკივილები მქონდა,ბალზამს შინაგანად ვღებულობდი და მტკივნეულ ადგილასაც(სახეხე)ვისმევდი.ეხლა ტკივილები მომეხსნა,არ მჯერავს ,რომ ტკივილის გარეშე სიცოცხლე შესაძლებელი იყო,რადგან არაფერი მშველიდა! ეხლა კი თქვენ ხართ ჩემი იმედი,დიდი მადლობა თქვენ! ჟუჟუნა ლოსაბერიძე.81წ.ქ.თბილისი.

---

მაქვს ქრონიკული ბრონქიტი, ხშირი ხველა, მუდმივად ვარ წამლებზე. გაზეთში წავიკითხე თქვენი პროდუქციის შესახებ,მისი უნიკალური შემადგენლობა ძალიან მომეწონა, შევიძინე და დავიწყე მიღება. მალევე ვიგრძენი შვება, სუნთქვა შემიმსუბუქდა, ხველამ გამიარა. დიდი მადლობა ზეთი ჯივიცას,ყველას ვურჩევ, რადგან ის ძალიან შედეგიანი აღმოჩნდა! ქურდაძე ზ.70 წლის, ქ. ქუთაისი.




Cyan Magenta Yellow Black

პრობლემები მქონდა ნაღვლის ბუშტზე,კუჭ-ნაწლავზე,მაწუხებდა ტკივილები, პირის სიმწარე,მაღალი წნევები, არითმია, ტახიკარდია. ჭამის მერე ვიღებდი ფესტალს. მქონდა ასევე მარილგროვები სხეულის სხვადასხვა ადგილებში. ზეთი ჯივიცას შესახებ გაზეთში ჯანმრთელობის გვერდში წავიკითხე. მიღებიდან ორ-სამ დღეში ვიგრძენი წვა ზუსტად იმ ადგილებში, სადაც მარილები მქონდა. მივხვდი რომ ეს იყო მარილების დაძვრის და ნელნელა დაშლის დასაწყისი. მართალი აღმოვჩნდი. ტკივილები თანდათან დამიამდა.თავს მსუბუქად ვგრძნობ. არითმია მოწესრიგდა.პირში სიმწარე მცირდება და ეს ყველაპერი სამ თვიანი კურსის მკურნალობის შემდეგ!

მაღრაძე მარინა, 48 წლის, ბათუმი.

მქონდა შემდეგი პრობლემები: მტკიოდა მუხლები, მიჭირდა მოძრაობა, ადგომაც კი.მქონდა ფეხის დაჭიმულობა.ფეხის თითებზე მქონდა სოკო. გაზეთში ამოვიკითხე თქვენი პროდუქციის შესახებ. გადავწყვიტე ჟივიცას შეძენა. ერთი ბოთლის მიღების შემდეგ შედეგი მაქვს. მუხლების ტკივილმა საგრძნობლად მიკლო. ვმოძრაობ ბევრად თავისუფლად. გარეთაც გავდივარ.ზეთს გარედანაც ვისვამდი ფეხის თითებზე. სოკო უკვე აღარ მაქვს. დიდი მადლობა თქვენ!

მაძღარაშვილი ნელი, 70 წლის, თბილისი

ჩემი მდგომარეობა ვფიქრობ განსაკუთრებულია.თითქმის 40 წელია მაწუხებს ფსორიაზი სახეზე და ხელებზე. ამ დროის განმავლობაში შეიძლება ითქვას უამრავი რამ ვცადე, მაგრამ უშედეგოდ . ბოლოს სინტომიცინის მალამოს ვისვამდი, რომელმაც უფრო გამიღიზიანა კანი. ჟივიცას შესახებ გაზეთში ამივიკითხე და გადავწყვიტე ესეც მეცადა. არ დაიჯერებთ მაგრამ ასეთ შედეგს მეც არ ველოდი. სახე და ხელები მომისუფთავდა. ქავილებიც არ მაქვს. ახლა ვაგრძელებ ჟივიცას მიღებას. უზომოდ მადლობელი ვარ თქვენი პროდუქციის. !

ვაშაკიძე გივი, 72 წლის, თბილისი

გაზეთი ჯანმრთელობის გვერდი ზეთი ჯივიცას შესახებ შევიტყვე,მისი 100% ბუნებრივი შემადგენლობა ძალიან მომეწონა და მიღება დავიწყე,ბევრი რამ მაწუხებდა.ვენების ვარიკოზული დაავადება, სისხლ-ძარღვების შევიწროვება, არითმია (აჩქარებულიგულისცემა), უძილობა, ნევროზი. ზეთი ჯივიცა ნამდვილად შედეგიანო აღმოჩნდა 3 ქილის შემდეგ, შევატყვე, რომ აჩქარებული გულისცემა და ქვედაკიდურების შესუპება გამიარა, სისხლის მიმოქცევა დამირეგულირდა, ეხლა ღამე კარდაგ და მშვიდად მძინავს, აღზნებადობა მომეხსნა და ძილი დამირეგულირდა! ყველას ვურჩევ ზეთს ჯივიცას!

ოთარ ბერულავა.63წ.ქუთაისი.

18 წელია უკვე,როგორც მაქვს ბრონქიალური ასთმა,ტაქიკარდია და არტერიული წნევა.ხშირად ინგალატორს ვხმარობდი, დისკომფორტის შეგრძნება მქონდა გულმკერდის არეში. გაზეთიდან ჯენმრთელობის გვერდი გავიგე ზეთი ჯივიცას თაობაზე. მისი შემადგენლობა ძალიან მომეწონა, ის ხომ ბუნებრივია. მკურნალობის შემდეგ მდგომარეობა გამიუმჯობესდა,ასთმური შეტევები აღარ მაქვს, გულის რითმი და წნევა დამირეგულირდა. ულრმესი მადლობა!

მალხაზ ქეტოშვილი 67წ.თბილისი.

წლების მანძილზე ავად ვიყავი,მქონდა ქოლეცესტიტი და პანკრეატიტი,გული მაწუხებდა,სისხლ-ძარღვებიც მქონდა შევიწროვებული.მქონდა ტკივილები კუჭქვეშა ჯირკვლის თავის არეში,ტკივილს ჰქონდა შეტევითი ხასიათი.სახლში მომივიდა ჯანმრთელობის გვერდი საიდანაც შევიტყვე ზეთს ჯივიცას შესახებ.მიღება დავიწყე და შედეგიც მივიღე.მომეხსნა ტკივილები კუჭქვეშა ასეში,გულიც აღარ მაწუხებს,სისხლის მიმოქცევა გამიუმჯობესდა!

ნინელი მაღრაძე 71 წ. ბათუმი.



ბევრი რამ მაწუხებს,მათ შორის სახსრები, ოსტეოქონდროზი, უძილობა, თავის ტკივილები, მიჭირდა დგომა, თითქმის ვერ დავდიოდი. ჩავიტარე ზეთი ჯივიცას ორ თვიანი მკურნალობის კურსი და შემიძლია ვთქვა, რომ თავს შესანიშნავად ვგრძნობ, ხასიათი გამომიკეთდა, ენერგია მომემატა, ძილი მომიწესრიგდა, მადა მომემატა,სახსრებ ტკივილებიც მომეხსნა,დიდი მადლობა თქვენს

ნინო ბოლქვაძე.79წ.თბილისი.



აჩქარებული გულისცემა, წელის ტკივილები მაწუხებდა. მოძრაობა მიჭირდა. გამაშუქეს და დამიდგინდა ხერხემალზე თიაქარი. დამინიშნეს ოპერაცია, მაგრამ შემეშინდა და არ გავიკეთე. ამასთანავე მქონდა შარდის შეკავება, პროტრომბინმაც ამიწია. მოკლედ აღარ ვიცოდი რა მექნა. ამ დროს ჩემმა ახლობელმა მირჩია მიმეღო ზეთი ჯივიცა. 4 ფლაკონის მიღების შემდეგ თავს მშვენივრად ვგრძნობ,გულის რითმი დამირეგულირდა,თიაქარი შესამჩნევად დამიპატარავდა, პროტრომბინმა დამიწია, მოძრაობა შემიმსუბუქდა, ენერგიაც მომემატა. მადლობა თქვენს კომპანიას და ზეთ ჯივიცას!

ელისო გუგავა 77წ.


## „პრომიოდი“-ს გამოფენა-გაყიდვა, აგრეთვე დაწვრილებითი კონსულტაცია მისი გამოყენების შესახებ გაიმართება შემდეგ მისამართებზე:

ქ. თბილისი, ბახტრიონის 22
30,აპრილი,1,2,3,4,6, 14,15,16,17,18,19,20მაისი 15:00-დან 17:00-მდე

ქ. თბილისი, ვარკეთილი -3,2- მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოსსესილია თაყაიშვილის 1. (167 მარშუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიქის თავზე)
ყოველდღე 10.00-20.00 საათამდე

ქ. თელავი, 26 მაისის ქ. 5, ჭადრაკის სახლი, ვეტერანთა სასახლე
4,18 მაისი 11:00-დან 12:00-მდე

ქ. რუსთავი, ჟ. შარტავას 13, მი. ტერიტორია, სადღ. ცენტრი "ბაო"
19 მაისი 12:00-დან 13:00-მდე

ქ. მარნეული, შ. რუსთაველის 24, რესტორანი "თეთრი სახლი"
6,20 მაისი 12:00-დან 13:00-მდე

ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის 18,ძველი კალინინის ქ. სასტუმრო "თიკო"
7,21 მაისი 11:00-დან 12:00-მდე

ქ. ფოთი, 9 აპრილის ხეივანი 10 სადრესასწაულო ცანტრი "ბალუ"
7,21 მაისი 14:00-დან 15:00-მდე

ქ. ზუგდიდი, გამსახურდიას (კ/თ "ატრიუმი")
7,21 მაისი 17:00-დან 18:00-მდე

ქ. ქუთაისი, კოსტავას ქ. 25, სასტუმრო "ლია"
8,22 მაისი 11:00-დან 12:00-მდე

ქ. გორი, სტალინის გამზ. 26 სასტუმრო "გეორგია"(სტალინის სახ. ბუზ. წინ)
8,22 მაისი 16:00-დან 17:00-მდე

ქ. ახალციხე, კოსტავას 4/24 ბარი "სტუმრად ნუკისთან"(თ. მეფის ძეგლის უკან ეკლესიასთან)
9,23 მაისი 12:00-დან 13:00-მდე

ქ. ბორჯომი, შ. რუსტაველის 101ა სასტუმრო"ოლიმპი"(სტადიონთან)
9,23 მაისი 14:00-დან 15:00-მდე

ქ. ხაშური, კოსტავას 6, აფთიაქის ძველი კინოთეატრის წინ
9,23 მაისი 16:00-დან 17:00-მდე

ასევე გაყიდვაშია ბალზამი "პრომიოდი"
ბალზამი "პრომიოდი" ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა - 2 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

ზეთი "ჟივიცა" ერთი შეფუთვის ფასი: 31.60 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 28.60 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მიღების კურსი - 3 შეფუთვა.
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

საინფორმაციო: www. apifito.net
571 22 98 98





Cyan Magenta Yellow Black

# არის თუ არა ორ იუმორისტს შორის დაპირისპირების მიზეზი პოლიტიკა

## როდის დაიწყო, როგორ გაღრმავდა და რითი დამთავრდა გიორგი აფციაურისა და ვანო ჯავახიშვილს შორის კონფლიქტი



■ გიორგი აფციაური



■ ვანო ჯავახიშვილი

ორი პოპულარული იუმორისტი, რომლებსაც საქმესთან ერთად მეგობრობაც აკავშირებდათ — გიორგი აფციაური და ვანო ჯავახიშვილი, ერთმანეთს მძაფრად დაუპირისპირდა. გიორგიმ კოლეგას საჯაროდ პირდაპირ დასდო ბრალი, რომ მან პრეზიდენტის პაროდიის გაკეთება აუკრძალა, გადაცემა „თქვენი შოუ“ დაუხურა, მთელი შემოქმედებითი ჯგუფი გაათავისუფლა და ისიც სამსახურიდან დაითხოვა. აფციაურმა „სარკესთან“ განაცხადა, რომ ჯავახიშვილს თავისი კლანი აქვს შექმნილი და ის წყვეტს, „რუსთავი 2“-ის იუმორისტულ გადაცემებში ვინ იმუშავებს.

ვანო ჯავახიშვილი კოლეგის ბრალდებებს აბსურდულს უწოდებს და იმ მიზეზებზე ლაპარაკობს, რამაც მათ ურთიერთობაში ბზარი გააჩინა. როგორც ის ამბობს, მათ შორის უთანხმოება დიდი ხნის წინ, 2011 წლის დეკემბერში დაიწყო, როცა გიორგიმ „კომედი შოუს“ პროექტი „თქვენი შოუ“ მიითვისა.

**გიორგი: „თავის გახსენება ნებისმიერ არხზე შემიძლია ნებისმიერი პროექტით!".**

ერთი სიტყვით, საქართველოში ყველაზე პოპულარულ ტელეიუმორისტებს შორის სკანდალური დაპირისპირება სახეზეა და კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარე თავ-თავის პოზიციაზე „სარკესთან“ საუბრობს.

■

### გიორგი აფციაური: „არა მგონია, პრეზიდენტს იმის ასარჩევად ეცალოს, ჩემი პაროდია ჯობია თუ სხვისი"

— **გიორგი, უფრო ცხადი რომ გახდეს, რეალურად რა მოხდა, პირველ რიგში, გვითხარით, რატომ დაიხურა გადაცემა „თქვენი შოუ“?**

— გადაცემა „თქვენი შოუ“ მას შემდეგ დაიხურა, რაც ვანო ჯავახიშვილმა ჩემ მიერ გაკეთებულ პრეზიდენტის პაროდიას ტაბუ დაადო. ჩვენ შორის კონფლიქტი ასე დაიწყო: მაშინ მე მომცეს სარედაქციო თავისუფლება იმ პირობით, რომ ამაზე არაფერს ვიტყოდი. ვანო ჯავახიშვილმა ერთ-ერთი არხისთვის მიცემულ ინტერვიუშიც ახსენა, სკანდალი არ გვინდოდა და თავისუფლება ამიტომ მივეცითო. რა სკანდალი არ უნდოდა? ეს კითხვა დაუსვით ვანოს! თუ ყველაფერს ვიგონებ და ვცრუობ, რატომ უნდა ატეხილიყო სკანდალი?! რამდენიმე თვეში სარედაქციო თავისუფლება გაქრა და ავტომატურად — გადაცემაც.

**გიორგი: „არა მგონია, რომელიმე პოლიტიკოსს ჩემთვის ტაბუ დაედო. არც ის მგონია, პრეზიდენტს იმის ასარჩევად ეცალოს, ჩემი პაროდია ჯობია თუ სხვისი. ეს იყო ვანო ჯავახიშვილის თვითნებობა!".**

— **რატომ დაადო ტაბუ პრეზიდენტის პაროდიას?**

— ვანო რასაც იტყვის, იმას აკეთებს. გეკითხებით, 21-ე საუკუნის ტელესივრცეში ასეთი განუკითხაობა რატომ უნდა ხდებოდეს? ვანო ინტერვიუებში ამბობს, ვითომ დაბოლმილი ვარ იმის გამო, რომ არხზე ახალი პაროდისტი გამოჩნდა, რომელიც პრეზიდენტის პაროდიას აკეთებს. იმასაც ამბობს, ასეთი ამბის ატეხით ხალხს თავს ახსენებსო. თავის გახსენება ნებისმიერ არხზე შემიძლია ნებისმიერი პროექტით! რაც შეეხება პაროდისტს, ის ერთი თვის წინ გამოჩნდა, ჩვენი კონფლიქტი კი არჩევნებამდე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ივანე ჯავახიშვილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსიდან გამოაგდეს, ელემენტარული მათემატიკა, მიმატება-გამოკლება მაინც უნდა იცოდეს, რომ 1 თვესა და 6 თვეს შორის დიდი განსხვავებაა.

— **მთელი შემოქმედებითი გუნდი დარჩა სამსახურის გარეშე?**

— დიახ და, გარდა ამისა, სად არის ნიკა გრიგოლია? დიახ, ნიკა გრიგოლიაც ისე გაუშვეს სამსახურიდან, მიზეზი არ უთქვამთ. ჯავახიშვილს ეგონა, რომ ხელები დაიბანა, ყველაფერი დაწყნარდა, ამ თემის ამოტივტივებას არ ელოდა. ნიკას საქმე — არა, მაგრამ მას გიორგი აფციაურის საქმე ამოუტივტივდა. პირდაპირ გეუბნებით, რომ ამ დღეების შემდეგ მას ღიმილიანი სახე აღარ ექნება. შეიძლება ეკრანზე, კამერებისა და ჟურნალისტების წინაშე შეძლოს გაღიმება, მაგრამ მარტო რომ დარჩება იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც ეს ყველაფერი დაგეგმა, მერწმუნეთ, ველარ გაიღიმებს.

**ვანო: „თუ სააკაშვილის პაროდისტი არ გვინდოდა, მაშინ რატომ მივიღებდით ქართლოს ნატროშვილს?!".**

— **სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზი არ გითხრეს, არაფერი აგიხსნეს?**

— არა, სრულ გაურკვევლობაში დამტოვეს.

— **მაშინვე რატომ არ დაუსვით კითხვა და მიზეზები არ გაარკვიეთ?**

— „კომედი ჯგუფში“ ყველაზე დიდი ძალაუფლება ვანო ჯავახიშვილს აქვს, ეს ყველაფერი მისი მოწყობილია!..

— **რაში უნდა დასჭირვებოდა ვანოს ეკრანიდან თქვენი გაქრობა?**

— არ ვიცი, ჩემი ეკრანიდან გაქრობა რატომ დასჭირდა, არგუმენტების გარეშე ლაპარაკს არ ვაპირებ.

— **გადაცემა გავა თუ არა ეთერში, ამას არხის ხელმძღვანელობა წყვეტს ხოლმე. ჩნდება კითხვა, ვანო ჯავახიშვილმა როგორ შეძლო გადაცემის დახურვა?**

— იუმორისტული გადაცემის ყოფნა-არყოფნას ვანო ჯავახიშვილი და „კომედი ჯგუფი“ წყვეტენ. ფსიქოლოგებს ჰკითხეთ, მათ, ვისაც ადამიანების ამოცნობა შეუძლიათ. ინტერვიუს მიცემის დროს ვანო ჯავახიშვილი ძალიან აღელვებული იყო, ადამიანი მაშინ ნერვიულობს ასე, როცა რაღაც დააშავა.

— **თქვენი სიტყვებიდან ისე გამოდის, თითქოს ვანო ჯავახიშვილს „რუსთავი 2“-ზე იუმორის სფეროში თავისი კლანი ჰქონდეს.**

— დიახ, დიახ, სწორედ ასეა!

— **მაშინ ყველა, ვინც მის გვერდით მუშაობს, მისი კლანის წევრები ყოფილან.**

— ამას ყველა მათგანზე ვერ ვიტყვი. იქ არიან ადამიანები, ვისაც დღემდე პატივს ვცემ და რაც მოხდა, იმაში ბრალი არ



Cyan Magenta Yellow Black

მიუძღვით.

**— ამ ყველაფერს პოლიტიკური სარჩულიც ხომ არ ჰქონდა?**

— არა, ეს ყველაფერი სასაცილოდ მეჩვენება, არა მგონია, რომელიმე პოლიტიკოსს ჩემთვის ტაბუ დაედო. არც ის მგონია, პრეზიდენტს იმის ასარჩევად ეცალოს, ჩემი პაროდია ჯობია თუ სხვისი. ეს იყო ვანო ჯავახიშვილის თვითნებობა!

## ვანო ჯავახიშვილი: „გიორგის სურს, ამ სკანდალით ხალხს თავი შეახსენოს"

ყოფნა" ვანო ჯავახიშვილი ირწმუნება, რომ „თქვენი შოუს" დახურვის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მისი დაბალი რეიტინგი იყო. „სარკესთან" ის ამ უსიამოვნო ამბის დეტალებზე საუბრობს.

**ვანო: „2011 წლის დეკემბრის შემდეგ გიორგი აფციაურისთვის ხმა არ გამიცია, რადგან ძალიან ცუდად მოიქცა, პროექტი წაგვართვა, ცუდი ნაბიჯი გადადგა. დამოუკიდებლად დაიწყო კეთება. როგორ ფიქრობთ, მან ამით გუნდური მუშაობის პრინციპი არ დაარღვია?".**

**— ვანო, რას უპასუხებთ გიორგი აფციაურის ბრალდებებს, რომ ის სამსახურიდან უსამართლოდ დაითხოვეთ, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის პაროდიის გაკეთება აუკრძალეთ?**

— შეგიძლიათ გადაამოწმოთ, რომ გიორგი აფციაური ჩვენი გუნდიდან 2011 წლის დეკემბერში წავიდა, მაშინ, როცა სატელევიზიო სეზონი დამთავრდა. „თქვენი შოუ", რომელიც „კომედი ჯგუფმა" ერთობლივად გავაკეთეთ, გიორგიმ თავისი ხრიკებით, დირექტორთან სიარულით წაგვართვა, შეიცვალა ოფისი და თავისი გუნდი ცალკე გაიყვანა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ეს ხდებოდა 2011 წლის დეკემბერში! ახლა თქვენ მითხარით, რანაირად შემეძლო, გიორგი აფციაურისთვის მიხეილ სააკაშვილის პაროდიის გაკეთება ამეკრძალა?

**— ის ამბობს, რომ „რუსთავი 2"-ზე კლანი გაქვთ და იუმორისტულ გადაცემებში ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტთ.**

— ჩვენი გუნდი მეგობრებისგან შედგება. რა კლანი! მაფია გვაქვს თუ რა გვაქვს, გამაგებინეთ! არანაირი კლანი არ არსებობს. ჩვენ ვმუშაობთ გუნდური პრინციპით, გვაქვს ძალიან მაღალი დონის დისციპლინა და ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ. გიორგი აფციაურს სხვა ტელეკომპანიაში უნდა მუშაობის დაწყება. მას სჩვევია მსგავსი ტიპის სკანდალები. ამისთვის თავის გადაცემაშიც ხშირად მიუმართავს, პრომოებში ატრიალებდა, რომ ხალხს ეყურებინა მისთვის.

ეს არის ბოროტება, ტყუილი და აფერისტობა! ის ჩვენი გუნდიდან წავიდა, მაგრამ დარჩა არხზე. ჩვენ არანაირი უფლება არ გვქონდა, მის პროექტთან დაკავშირებით თუნდაც რაღაც შენიშვნა მიგვეცა.

2012 წელს მან ცალკე დაიწყო გადაცემის კეთება. მე შემიძლია ამოგიღოთ რეიტინგები და განახოთ, მაშინ, როდესაც სეზონი იხურებოდა, „თქვენი შოუს" რეიტინგი 8 პროცენტზე იყო დასული. ამიტომ დირექტორთა საბჭომ, რომელშიც ჩვენ არ შევდივართ, ამ პროექტის დახურვა გადაწყვიტა. მეტი არაფერი მომხდარა. ჩვენ ძალიან ბევრი პროექტი დაგვიხურავს — „ქლაბ შოუ", „სიცილის ზონა", „ალუბლების ქუჩა 12", რადგან რეიტინგი არ ჰქონდათ. ეს ტელებაზარზე ჩვეულებრივი მოვლენაა. ისე არ ხდება, რომ ვიღაცამ ვიღაცას უბრძანა, პროექტი დაეხურა.

**— გიორგი ამბობს, რომ მთელი შემოქმედებითი გუნდი დაითხოვეთ სამსახურიდან, ნიკა გრიგოლიაც გაიხსენა, რომელიც თითქოსდა თქვენ გაუშვით არხიდან და გათავისუფლების მიზეზიც კი არ უთხარით.**

— რა სისულელეა! ნიკა გრიგოლია ჩემი ყველაზე ახლო მეგობარია, წლებია, ერთად მოვდივართ. მე ვიყავი პირველი, ვისაც არ უნდოდა, ნიკას სამსახური დაეტოვებინა. ჩვენთან დისციპლინა მაღალ დონეზეა, ეს ყველას მკაცრად მოეთხოვება... ნიკას არხიდან წასვლა პოლიტიკურ ნაბიჯებს არანაირად უკავშირდება, ჩვენ არ ვერევით პოლიტიკაში, პოლიტიკურ თემებთან შეხებაც კი არ გვაქვს. თქვენ „სარკეში" ხომ მუშაობთ? თქვენთან ერთად ხომ ბევრი ადამიანი მუშაობს? ალბათ ბევრი მოდის, მიდის, ვიღაცას სხვა პირობები უფრო მოსწონს. ეს ჩვეულებრივი მომენტია. „თქვენი შოუს" დახურვა შეეძლო მხოლოდ და მხოლოდ არხის დირექტორს! მე შემიძლია, „საქართველოს ვარსკვლავი" დავხურო? რა თქმა უნდა, არა!

ჩვენ გვაქვს კომედიური გადაცემების რედაქცია, გვაქვს ჩვენი უფლებები არხზე და მეტი არაფერი.

**ვანო: „თქვენი შოუს" რეიტინგი 8 პროცენტზე იყო დასული. ამიტომ დირექტორთა საბჭომ, რომელშიც ჩვენ არ შევდივართ, ამ პროექტის დახურვა გადაწყვიტა. ეს ტელებაზარზე ჩვეულებრივი მოვლენაა".**

**— მაშინ რაში დასჭირდა გიორგი აფციაურს თქვენი დადანაშაულება?**

— გიორგი აფციაურის არსებობა ხალხმა მიივიწყა. როგორ ივიწყებს ბევრ ცნობილ სახეს მაყურებელი?! როდესაც ეკრანზე არ ჩანხარ, სამი თვის შემდეგ ადამიანები გივიწყებენ. მას უნდა, რომელიმე არხზე დაიწყოს მუშაობა და ასეთი სისულელით ცდილობს, ხალხს თავი შეახსენოს. დაჩაგრულის პოზიციაში სურს ყოფნა, რომ ხალხმა ისევ რაღაცნაირად შეიყვაროს.

**— ესე იგი თქვენ მისთვის პრეზიდენტის პაროდიის გაკეთება არ აგიკრძალავთ?**

— გიორგი აფციაური არხიდან რომ წავიდა, ჩვენ ახალი პაროდისტის ძებნა დავიწყეთ, ძალიან დიდი კასტინგი ჩავატარეთ. არავინ მოგვწონდა, რადგან კარგი პაროდისტი გვყავდა გიორგი აფციაურის სახით. ბოლოს კი ინტერნეტით ვიპოვეთ ქართლოს ნატროშვილი, მოგვეწონა, მოვიყვანეთ და პირდაპირ გავუშვით ეთერში. თუ სააკაშვილის პაროდისტი არ გვინდოდა, მაშინ რატომ მივიღებდით ქართლოს ნატროშვილს?!

გიორგი იმდენად უნამუსოა, რომ ტყუილის თქმის არ რცხვენია! ამბობს, თითქოს არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე მივედი და ვუთხარი, პრეზიდენტის პაროდიას ტაბუ დაადე-მეთქი. რა სისულელეა! რაც ჩვენი გუნდიდან წავიდა, მას შემდეგ გიორგი აფციაურს არ დაველაპარაკებივარ.

**— გასაგებია, რომ სამსახურში უთანხმოება გქონდათ, მაგრამ პიროვნულად ურთიერთობის შენარჩუნება არ შეიძლე-** →10

## გიორგი აფციაური და სალიტა ჩუბინიძე: „ჩვენი შვილი გვემალება, არ უნდა, სქესი გაგვიმხილოს“



გიორგი აფციაური და მისი ცოლი, სალიტა ჩუბინიძე, სასიხარულო მოლოდინში არიან — რამდენიმე თვეში მათ ახალგაზრდა ოჯახს მესამე წევრი შეემატება და მშობლები გახდებიან. გიორგი წინასწარ უკვე ადგენს ტექსტს, მომავალ შვილს როგორ მიმართავს, მაგალითად, სიყვარულით როგორ დაუძახებს: „მოდი აქ, შე მამაძაღლო!..". მომავალ დედას კი მაქსიმალურ ყურადღებას უთმობს და ანებივრებს. როგორი ორსულობა აქვს სალიტას, რას ითხოვს ქმრისგან და აცნობიერებს თუ არა ახალგაზრდა წყვილი, რა მნიშვნელოვანი მისია ეკისრებათ, ამის შესახებ „სარკეს" თავად უამბობენ.

გვ. 71



Cyan Magenta Yellow Black

**ბოდა?**

— 2011 წლის დეკემბრის შემდეგ გიორგი აფციაურისთვის ხმა არ გამიცია, რადგან ძალიან ცუდად მოიქცა, პროექტი წაგვართვა, ცუდი ნაბიჯი გადადგა. დამოუკიდებლად დაიწყო კეთება. როგორ ფიქრობთ, მან ამით გუნდური მუშაობის პრინციპი არ დაარღვია? მეგობრისგან ასეთი საქციელი საწყენი იყო, ამის გამო გული მქონდა ნატკენი. ჩემი და ალეკო მალხაზიშვილის დამსახურება იყო, რომ გიორგი აფციაური „რუსთავი 2“-ზე მუშაობდა. ხუთჯერ შევედი დირექტორთან, რომ გიორგი მიგველო სამსახურში. მეორე იყო ლევან კვარაცხელია, არხის ხელმძღვანელობას მისი სამსახურში აყვანაც ვთხოვეთ.

**— თვლით, რომ ისინი უმადურად მოგექცნენ?**

— ეს იმ შრომის და სიკეთის დაუფასებლობაა, რაც მათ გავუკეთეთ. ახლა ალბათ გიორგის „მაესტროზე“ ან სხვა რომელიმე არხზე უნდა პროექტის მიტანა და ასეთი აბსურდით აპირებს თავისი საქმის გაკეთებას.

**— კონკრეტულად თქვენი სახელის და გვარის დასახელება რაში დასჭირდა? სხვა კოლეგა რატომ არ დაასახელა?**

— ეს იმაში დასჭირდა, რომ სატელევიზიო იუმორისტულ ბაზარზე ერთ-ერთი სოლო ფიგურა მე ვარ. მან „კომედი შოუს“ მთლიან გუნდზე იმიტომ არ ილაპარაკა, რომ ძალიან გლობალური და დაუჯერებელი იქნებოდა. „კომედი ჯგუფს“ ჰყავს 11 კაციანი ბორდი და გადაწყვეტილებას ყველა ერთხმად ვიღებთ. ამ ბორდში არანაირი უპირატესობა არ მაქვს. ვინც კარგად იქცევა, რჩება სამსახურში, ვინც — არა, მიდის.

**— გიორგი აფციაური არ იქცეოდა კარგად?**

— გიორგი აფციაური ძალიან ცუდად მოიქცა! ჩვენ ყველანაირ სკანდალს მოვერიდეთ. გადაცემის ფორმატი ჩვენ გავაკეთეთ, შევფუთეთ, გრაფიკა, სახელი მოვიფიქრეთ, წამყვანები მივეცით, სტუდიაც დავუთმეთ, დირექტორიც დავითანხმეთ, რომ ეს პროექტი ეთერში გასულიყო. ეს მოხდა 2011 წლის სექტემბერში. ზუსტად სამ თვეში კი კაცმა თქვა, რომ ჩვენ შემოქმედებით თავისუფლებას არ ვაძლევდით და ცალკე უნდა გასულიყო. ის რომ ცალკე გავიდა, ამ გადაცემას ჩვენი სცენარისტთა გუნდი მოვაშორეთ. ამიტომაც „თქვენი შოუსთვის“ კარგი ხუმრობები აღარ იწერებოდა, მისმა რეიტინგმა ძალიან დაიწია და პროექტი დაიხურა. ეს არის სიმართლე და ამაში საინტრიგო არაფერია.

**✓ ლანა კიკნაძე**

# რის ფასად დაუჯდა გამარჯვება რუსკა მაყაშვილს

## „მე და გიორგის ერთმანეთი აღარ გვიყვარდა და მორჩა!“



მსახიობი რუსკა მაყაშვილი შეყვარებულთან დაშორების შემდეგ თავ-ფეხიანად საქმეში გადაეშვა. დაკავებულია სპექტაკლებში, მიჰყავს ორი ტელეშოუ, იღებენ ფილმებში, რეკლამებში. თვლის, რომ ამ ეტაპზე ეს ყველაფერი მისი ბედნიერებისთვის სრულიად საკმარისია. მათ, ვისაც ჰგონიათ, რუსკა სევდიანი გახდა, პასუხობს, რომ ისევ მხიარული, ოპტიმისტი და ენერგიით სავსეა. ვისაც მისი მარტოობა ადარდებს, მისთვისაც აქვს პასუხი — ძალიან ბედნიერია! ზაფხულის გეგმებიც უკვე დააწყო — ბათუმში წავა, სადაც ბინა ელოდება, რომელიც პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ პრიზად მიიღო.

**— რუსკა, სანამ პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ დაიწყებოდა, „სარკესთან“ განაცხადეთ, დაივიწყეთ, რომ კარგად ვცეკვავთ, სინამდვილეში კი ყველაზე უკეთესად ცეკვავდით. პროექტიც თქვენი გამარჯვებით დასრულდა. ესე იგი თავი წინასწარ დაიზღვიეთ?**

— ამ პროექტის პარალელურად რუსთაველის თეატრში რეპეტიციები მქონდა, თან ფილმ „ცელქი ბავშვების“ და რეკლამის გადაღებებიც დაემთხვა. პროექტისთვის ყოველდღიური ვარჯიში იყო საჭირო. მოკლედ, ძალიან რთული პერიოდი გავიარე. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, როდესაც ხუთი დღე საერთოდ არ მეძინა. ვხვდებოდი, რომ ფიზიკურად ვერ ვასწრებდი. ეს ყველაფერი ასე რომ არ დამთხვეოდა ერთმანეთს, ცეკვაში უკეთეს შედეგს ვაჩვენებდი. რეალურად ბოლო ხუთ შოუში ერთ დღეში ნასწავლი ცეკვებით გამოვედი.

**— ერთდროულად ამდენი საქმის საკეთებლად ენერგიას სად პოულობთ?**

— ბოლოს უკვე ყველაფრის ხალისი დავკარგე. დღე და ღამე გადაბმულად ვმუშაობდი, ღამე ფილმის გადაღებები იყო, დღისით — ვარჯიში, რეპეტიციები. ყავა არასდროს დამილევია და მაშინ უამრავი ყავა, ენერგეტიკული სასმელი მივიღე, რომ ენერგია მქონოდა. მეხუთე დღეს გადაღებაზე გავითიშე, ძლივს მომასულიერეს. როცა ადამიანს რაღაცის მოსწრება გინდა, აუცილებლად შეძლებ. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ყველაფერი მოვასწარი.

**— ანუ გამარჯვებისთვის ყოველმიზეზგარეშე უნდა მიგეღწიათ?**

— გამარჯვება იდეაფიქსად მექცა. მინდოდა, ჩემი თავისთვის დამემტკიცებინა, რომ ეს შემეძლო. ცხოვრებაში არაფერი მომიგია. გავიმარჯვე და ამით საკუთარ თავს დავუმტკიცე, რომ შრომა ფასდება. ჩემი თავი დავარწმუნე, რომ რაღაცეები შემიძლია. არც პრიზს და არც სხვა რამეს ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოგება მინდოდა და ძალიან მიხარია, რომ ეს სურვილი დავიკმაყოფილე.

**— მიზნის მისაღწევად ყოველთვის ასე შეუპოვრად იბრძვით?**

— როცა რაღაც მინდა, ვცდილობ, ის მქონდეს. როდესაც მართლა სულით და გულით გინდა რაღაც, ყოველთვის სრულდება. ამ ყველაფერში რაღაცნაირი მაგიაა, თუ ჩანაფიქრი არ გამოდის, ე.ი. საკმარისად არ გინდა. ისიც უნდა იცოდე, რომ მიზნამდე მეორე დღესვე ვერ მიხვალ. უნდა დაელოდო და აუცილებლად ყველაფერი გამოვა.

**— ამას ძლიერი ნებისყოფა და მოთმინება სჭირდება.**

— მე რაღაცეებში მაქვს ნებისყოფა, რაღაცეებში — არა. რაც ჩემს პროფესიას შეეხება, ძალიან დიდ ნებისყოფას ვიჩენ და ნელ-ნელა მივდივარ მიზნისკენ.

**— კონკურსში მონაწილეობის სურვილი კიდევ ხომ არ გაქვთ?**

— არა, რა საჭიროა კიდევ კონკურსში მონაწილეობა, ერთიც საკმარისი იყო. ისედაც უკვე ყველგან მე ვარ, დიდი დოზით ვჩანვარ. კონკურსის პირობებს მეტს ველარ გავუძლებ. ძალიან ვინერვიულე, ისტერიკაში ვიყავი. ბოლოს უკვე მეგონა, რომ მთელი ცხოვრება უნდა მეცეკვა. მეტი ნერვიულობა აღარ შემიძლია!

**„მე და ოთარს ყველაფერი იმპროვიზაციაზე გვაქვს აწყობილი, კარგად ვერთობით და ვმაიმუნობთ. ალბათ მაყურებელს სწორედ ჩემი და ამხელა კაცის მაიმუნობა მოსწონს“.**

**— რაც შეეხება პრიზს, დასრულებულია თქვენი ბინა ბათუმში თუ ჯერ ისევ შენების პროცესშია?**

— ჩემი ბინა დასრულებულია, მშვენიერი სახლია. მეშვიდე სართულზეა, ზღვის ხედით. ახლა ბათუმში ჩემს ჩასვლას ელოდებიან, ბინაში ტიხრები უნდა გააკეთონ. მერე მეგობრებთან ერთად ზაფხულობით დასასვენებლად ხშირად ჩავალ.

**— „ოთარ ტატიშვილის შოუში“ თანაწამყვანად თავს როგორ გრძნობთ?**

— საზღვარგარეთ ანალოგიურ შოუში ჩემნაირი ტიპი ჰყავთ თანაწამყვანად, ოღონდ ის ბიჭია. დათო გოგიჩაიშვილმა შემომთავაზა, ვცადოთ, თუ გამოვა და ხალხი აიატაცებს, თანაწამყვანი იყავიო. აიტაცა კი არა, მას შემდეგ, რაც ტატიშვილის შოუში შევედი, რეიტინგს სულ ვიგებთ. მე და ოთარს ყველაფერი იმპროვიზაციაზე გვაქვს აწყობილი, კარგად ვერთობით და ვმაიმუნობთ. ალბათ მაყურებელს სწორედ ჩემი და ამხელა კაცის მაიმუნობა მოსწონს.

**— პროექტის „ცეკვავენ ვარსკვლავები“ პირველი სეზონის დასრულების შემდეგ, სადაც თქვენ წამყვანი იყავით, თქვით, ეს საქმე არ გამომივიდაო. მეორედ რატომ გარისკეთ, როგორ დათანხმდით „ახალი ხმის“ წამყვანობას?**

— დიახ, გითხარით, არანაირ შოუს არ წავიყვან-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. მაშინ ისეთი დაღლილი ვიყავი, ვამბობდი, წამყვანად ვერასოდეს მიხილავთ-მეთქი. ახლა ძალიან მინდა, ჩემი თავი ისევ გამოვცადო და ვნახო, ასეთი დიდი შოუების წაყვანა რამდენად შემიძლია. უფრო მეტად იმიტომ დავთანხმდი, რომ მონაწილეები ბავშვები არიან. ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის. თითოეული,



Cyan Magenta Yellow Black

ვინც ბრმა კასტინგიდან შემდეგ ტურში გადავიდა, ჩემი გული და სულია, ახლობლებივით გახდნენ. ძალიან მიყვარს კარგ, ზრდილობიან ბავშვებთან კონტაქტი.

— **ახლა როგორ მოგწონთ წამყვანი რუსკა მაყაშვილი?**

— ახლა აღარ ვნერვიულობ, რაც მაშინ ძალიან მიშლიდა ხელს. კამერასთან მუშაობას მიჩვეული ვიყავი, მაგრამ წამყვანობა სხვა რაღაც არის. ახლა უკვე სცენაზე თავისუფლად ვდგავარ და იმაზე ფიქრი არ მჭირდება, რა ვთქვა, გადაცემა იმპროვიზაციით მიმყავს, თუმცა ჩემს თავს დადებითად არასოდეს ვაფასებ.

**„ჩემი ბინა დასრულებულია, მშვენიერი სახლია. მეშვიდე სართულზეა, ზღვის ხედით. ახლა ბათუმში ჩემს ჩასვლას ელოდებიან, ბინაში ტიხრები უნდა გააკეთონ".**

ვინც საკუთარ თავს სულ დადებითად აფასებს, ჩემი აზრით, მისი საქმე ცუდადაა. ამჯერად როგორ გამომდის წამყვანობა, ეს მაყურებელმა შეაფასოს.

— **მსახიობები ბეწვის ხიდზე გადიან, როცა ტელეეკრანზე ხშირად ჩნდებიან. თქვენ არ გეშინიათ, რომ შეიძლება მაყურებელს თქვენი ნახვა მობეზრდეს?**

— არ მინდა, ჩემზე თქვან, ყველგან ეს არისო. სწორედ ამიტომ ინტერვიუებზეც ხშირად ვამბობ უარს.

— **თეატრში ახალ სპექტაკლზე მუშაობთ?**

— თეატრში ძველი სპექტაკლები მიდის. სპექტაკლი „ფსიქოზი" რამდენიმე ფესტივალზეა მიწვეული და გასტროლები იგეგმება. თეატრის მხრივ, ყველაფერი სტაბილურადაა. ჯერჯერობით ალბათ ახალ პიესაზე არ დავიწყებთ მუშაობას, მალე შვებულება დაიწყება და ველარ მოესწრება.

— **საქმის მიღმა პირადი ცხოვრებისთვის დრო ისევ არ გრჩებათ?**

— იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც „ცეკვავენ ვარსკვლავები" გადიოდა, ძალიან ბევრი დრო მაქვს. შეიძლება ითქვას, რომ ჩიტივით თავისუფალი ვარ. ისეთი არაფერი ხდება — მეგობრები და გართობა, რაც ძალიან მონატრებული მქონდა.

— **რატომ ამბობენ, რუსკა დასერიოზულდა და ცოტა სევდიანი გახდაო?**

— მართლა ასე ამბობენ?! რას ლაპარაკობთ, რუსკა სევდიანი კი არა, ძალიან მაგარ ხასიათზეა. არ ვიცი, ამას ვინ ამბობს. ვერ გეტყვით, დავსერიოზულდი თუ არა, სევდა კი ნამდვილად არ დამყვება. იმასაც კი ვამბობ, რომ 2012 წელი ისე მაგრად დამთავრდა და 2013 ისე ბედნიერად დაიწყო, ძალიან მეშინია, რამე ცუდი არ მოხდეს. ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგადაა, მშვიდად ვარ და ალბათ ამას ეძახიან დასერიოზულებას. ასე სრულყოფილად კარგად ძალიან დიდი ხანია აღარ ვყოფილვარ.

— **რატომ, რამე ცვლილებებია?**

— კი, ძალიან ბევრი რამ. შეხედულებები შემეცვალა. ადრე ბევრ ისეთ რაღაცაზე მეშლებოდა ნერვები, რაც სინამდვილეში არ იყო გასაბრაზებელი. ხშირად კონფლიქტამდე მივდიოდი, თუნდაც ჩემს მეგობრებთან. ადამიანთან არც ისე მნიშვნელოვანი რამის გამო შეიძლებოდა სერიოზული უთანხმოება მომსვლოდა. ახლა ვხვდები, რომ მაშინ პატარა ვიყავი და ბევრ რამეს ვერ ვხვდებოდი. მერე რა, რომ ორი წლის წინ 24 წლის ვიყავი. თითქოს დიდი განსხვავება არაა, მაგრამ მაშინ სხვანაირად ვაზროვნებდი. ყოველ წელს ვხვდები, რომ ვიზრდები. რაზეც ნერვები მეშლებოდა, ახლა იმაზე მეცინება. როცა ადამიანი მშვიდად არის და საკუთარ თავში დარწმუნებულია, მაშინ ძალიან კარგადაა. ბევრი ისეთი რამ შევიძინე, რაც ადრე არ მქონდა, საკუთარი თავის რწმენა გამიჩნდა. ზუსტად ვიცი, რას შევძლებ და რას — ვერა. თავდაჯერებაში ის არ იგულისხმება, რომ ყველაფრის გაკეთება შემიძლია. უბრალოდ სწორად ვსაზღვრავ, რა შემიძლია და რა — არა, ვის ვუგებ და ვის — ვერა.

— **თქვენი გაგება იოლია?**

— ჩემი გაგება ძალიან რთულია. საკმაოდ რთული ხასიათი მაქვს.

— **ეს რითი გამოიხატება?**

— პირად ურთიერთობებში ყველაზე რთული ვარ, თუმცა ადამიანებისგან ადრე უფრო მეტს ვითხოვდი, ვიდრე დღეს. ჩემი აზრით, მარტივი ადამიანები უინტერესოები არიან... ბევრს ვფიქრობ, ზოგჯერ იმდენსაც კი, რომ ვილლები. ფიქრიდან ფიქრებში გადავდივარ. ეს არ ნიშნავს, რომ რთული ვარ? იმის მაგივრად, რომ პირდაპირ ვიმოქმედო, იმდენს ვფიქრობ, ტვინი მეხდება!



— **მაგრამ დაუფიქრებლადაც რომ მიიღოთ გადაწყვეტილებები, ხომ შეიძლება შეცდეთ?**

— რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ მიმიღია დაუფიქრებლად გადაწყვეტილება და რამდენჯერაც გინდათ, იმდენჯერ შევმცდარვარ. ემოციური ვარ და ეს ემოციები მაშინ მიტევს, როდესაც საჭირო არაა და რაღაც სისულელეებს ვამბობ. როცა საჭიროა, ემოციებს ავყვე, მაშინ იმდენს ვფიქრობ, ტვინს ვიბურღავ. არადა ამდენი ფიქრი საჭირო არ არის მაშინ, როცა ყველაფერი კარგადაა. ახლა თქვენ შეგიძლიათ თქვათ, რომ რთული არ ვარ? როგორ არ ვარ!

— **მართალია, პირად ცხოვრებაზე არ ლაპარაკობთ, მაგრამ მაინც გკითხავთ. თქვენი და გიორგი ყიფიანის ურთიერთობის დამთავრებას იმანაც ხომ არ შეუწყო ხელი, რომ ყველა თქვენს ამბავს განიხილავდა?**

**„არსებობენ ძალიან ბოროტი ადამიანები, რომლებიც ჩემ გვერდით არიან, ჩემს ახლობლებად მოაქვთ თავი, ვითომ ძალიან ვუყვარვარ, სინამდვილეში კი სწორედ ისინი მივრცელებენ ბოროტ ხმებს".**

— როდესაც შენ მიმართ ინტერესია, ყოველთვის რაღაცეებს იგონებენ. გიორგის რომ თავი დავანებოთ, მარტოც ვიყავი და მაშინაც დაიწყეს ლაპარაკი, საწყალი რუსკა მარტოა და, ვაიმე, რა ეშველებაო. ეს სისულელეები მესმოდა მაშინ, როდესაც მარტოც ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. ვიღაცა რაღაცას იტყვის და ჭორიც ვრცელდება... ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს ურთიერთობას რაღაცამ შეუშალა ხელი, პირდაპირ გეტყვით, ერთმანეთი აღარ გვიყვარდა და მორჩა! როდესაც ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, იქ არაფერია ხელისშემშლელი და ყველაფერს ეგუებიან, მაგრამ, როცა აღარ გიყვარს, ყველაფერი დამთავრებულია.

— **საკუთარ თავზე ჭორების მოსმენას შეეგუეთ?**

— ისეთი ადამიანი ვარ, რომ ყველანაირ ხუმრობაზე შემიძლია გამეცინოს, ჩემი მეგობრებიც ყველაფერზე მეხუმრებიან, მაგრამ საკუთარ თავზე სისულელეების მოსმენას ვერაფრით ვეგუები. ამიტომ სულ ვცდილობ, ჩემი სიმართლე ვამტკიცო. დედაჩემმა მითხრა, რა საჭიროა შენი სიმართლის მტკიცებაო და მართლაც ასეა.

არსებობენ ძალიან ბოროტი ადამიანები, რომლებიც ჩემ გვერდით არიან, ჩემს ახლობლებად მოაქვთ თავი, ვითომ ძალიან ვუყვარვარ, სინამდვილეში კი სწორედ ისინი მივრცელებენ ბოროტ ხმებს.

— **საკუთარ თავზე რა ისტორიების მოსმენა გიწევთ?**

— თუნდაც ის, რომ 68-ჯერ მომტეხეს ფეხი და ერთხელაც შეიძლება მართლა მომტყდეს. მერე ხელი მომტეხეს, მერე ცხვირის ოპერაცია გამიკეთეს, ტუჩი დამიბერეს, გამათხოვეს, დამაშორეს... თავადაც ვერ ვხვდები, საიდან მოდის ამდენი ფანტაზია. ამ ყველაფერმა მთელი ჩემი ნერვები წაიღო და ახლა უკვე აღარ მაინტერესებს. სხვათა შორის, უკვე დიდი ხანია, ჩემს თავზე ახალი ჭორი აღარ გამიგია. ალბათ მიხვდნენ, რომ აზრი არ აქვს.

— **იმედგაცრუებულად ან დამარცხებულად გიგრძვნიათ თავი?**

— არა, რა მიზანიც დამისახავს, ყოველთვის ბოლომდე მივსულვარ. იმედი არც მეგობრებში გამცრუებია და არც პირადში.

— **არც თეატრში?**

— იცით, რატომ რჩებიან მსახიობები იმედგაცრუებული? იმიტომ, რომ იდეაფიქსად აქვთ რაღაც როლები და ამბობენ, ეს ჩემი უნდა გახდესო. სპექტაკლში თუ არ გამანაწილეს, ჩემთვის ეს ტრაგედია არ არის. ნერვიც კი არ მიტოკდება, თუ ჩემს სახელს და გვარს არ ვკითხულობ. ძალიან უცნაურია, ბევრ მსახიობს არ სჯერა, რომ ასეა, მაგრამ რა ვქნა, ამის გამო ნერვები არ მეშლება. მეც გამაჩნია ჯანსაღი ამბიციები, მაგრამ ყველგან საკუთარ თავს არ ვხედავ, სულაც არ ვთვლი, რომ ყველგან მე უნდა ვიყო.

— **პირად ცხოვრებაში არის სიახლე?**

— პირად ცხოვრებაზე არ ვსაუბრობ.

— **ანუ არ გვეტყვით, მარტო ხართ თუ თქვენ გვერდით ვინმეა?**

— არა.

— **ამ თემას ტაბუ რატომ დაადეთ?**

— იმიტომ, რომ ეს ჩემი პირადი ცხოვრებაა. ყველგან და ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვარ და აღარ მინდა, კიდევ ჩემს პირადზე ილაპარაკონ. თუ ვინმეს მართლა აინტერესებს, დაე, დარჩეს ინტერესის თემად ეს საკითხი. ასე უბრალოდ გავილიმებ.

— **ღიმილი თქვენი ბედნიერების ნიშანია?**

— ძალიან ბედნიერი ვარ.

✓ **ქეთი დინოშვილი**


**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია.

**ექიმი ქალბატონი მზია**

☎ 514-246-446, 218-48-99

## „ჩემი ბიძაშვილის საქმროსთან წარსულში სარეცელი მაკავშირებდა"

ხმამაღლა ვერავის ვეუბნები, გული როგორ მტკივა. ყველას წინაშე ვთამაშობ, რომ თითქოს მნიშვნელოვანი არაფერი ხდება. ვიცინი, სხვაზე მეტად ვმხიარულობ, არადა ჩემს გულში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებს.

მიყვარდა კაცი, რომლის იქითაც აღარ მეგონა, სამყარო თუ არსებობდა. მთელი არსებით მისი ვიყავი. მეგონა, რომ მთელი ცხოვრება ერთად ვიქნებოდით. ჩვენ სარეცელიც გვაერთიანებდა. ყველაფერს მოვიფიქრებდი, გარდა იმისა, რომ ერთმანეთს დავშორდებოდით, მაგრამ...

ჩვენ შორის ერთი ქალი ჩადგა და ეს დედამისი იყო. მან რატომღაც ამითვალწუნა. ჩემს მეგობრებს ურეკავდა და ჩვენს ურთიერთობაზე ათას სისაძაგლეს ეუბნებოდა. მერე ისიც მოახერხა, რომ თავისი შვილი ჩემ წინააღმდეგ განაწყო. მომიგონა, რომ მე ვიღაც ბიჭთან ერთად მნახა, რომელსაც თურმე ვეხუტებოდი და ვკოცნიდი. ჩემმა შეყვარებულმა დედას უფრო დაუჯერა, ვიდრე მე და ერთმანეთს დავშორდით. რასაკვირველია, ეს არ ყოფილა ერთადერთი მიზეზი, ამას წინ ბევრი სხვა რამ უძღოდა, რაზეც ყურადღებას არ გავამახვილებ.



მასთან დაშორება — ძნელად, მაგრამ მაინც გადავიტანე. ეკლესია დამეხმარა და ასევე ჩემი მოძღვარიც, რომ ცუდ რამეზე არ მეფიქრა. მას შემდეგ ზუსტად ხუთი წელი გავიდა და ყოფილი შეყვარებული სიურპრიზივით გამომეცხადა. ახლაც არ ვიცი, როგორ გაბედა, რომ ჩემს ბიძაშვილთან სასიყვარულო ურთიერთობა გააბა. მე რომ გავიგე, მათ შორის უკვე სერიოზული ურთიერთობა იყო და ქორწილზეც ფიქრობდნენ. მათ საქმეში ვერ ჩავერეოდი და ამიტომ გავჩუმდი. ბუნებრივია, არავის გავუმხილე, რომ მასთან ერთ დროს სარეცელიც მაკავშირებდა.

ყოფილ შეყვარებულს ყველაფრის ახსნა მოვთხოვე. ვუთხარი, ასეთი რამ როგორ გამიბედე-მეთქი. თავი იმით იმართლა, რომ თურმე მაშინ ბავშვები ვყოფილვართ და ის ყველაფერი ასევე ბავშვურად მოგვდიოდა. დედამისსაც დავურეკე, ვუთხარი, ჩემი ბიძაშვილი როგორ მოგწონს, ჩემს ოჯახს რომ იწუნებდი, მისი ოჯახი თუ გაკმაყოფილებს-მეთქი. ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ ეს მითხრა, შენ წინაშე დამნაშავე ვარო.

ნათესავებმაც იციან, რომ სიძედ ჩემი ყოფილი შეყვარებული გვეყოლება, მაგრამ ამას არაფრად აგდებენ. ისინიც თვლიან, რომ ჩვენ შორის მხოლოდ ბავშვური გატაცება იყო და სხვა არაფერი. მე კი, იმის გამო, რომ სიმართლეს ვერ ვამბობ, საშინლად ვნერვიულობ. მინდა, ბიძაშვილმა ქორწილი ჩაშალოს, მაგრამ ეს არ მოხდება. შეიძლებოდა სიმართლის გამხელას ყველაფერი შეეცვალა, მაგრამ ამისთვის ძალა არ მყოფნის. წინასწარ ვეგუები, რომ ბიძაშვილის ოჯახს დავკარგავ, მაგრამ რაც არის, არის, სამწუხაროდ, ველარაფერს შევცვლი.

**თქვენი ერთგული მკითხველი**

## „ჩემი ქმარი სხვა ქალის კლანჭებისგან ვიხსენი"

დაუჯერებელი ამბავი უნდა მოგიყვეთ. ზოგჯერ ვცდილობ, იმას, რაც ჩემს თავს ხდება, იუმორით შევხედო. აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოვიქცე ან რა უნდა ვიფიქრო ქალზე, რომელიც მეუბნება, რომ ჩემს ქმარს ჯადო გავუკეთე?

ოჯახი 14 წლის წინ შევქმენი. გულახდილად გეტყვით, რომ ჩვენ შორის დიდი სიყვარული არ ყოფილა. მამიდაჩემმა გამაცნო, ერთმანეთს გავუგეთ და ვიქორწინეთ. ყველაფერი კარგად აეწყო, ერთმანეთი ძალიან შეგვიყვარდა. შესანიშნავი შვილები გვეყოლა. თავს ბედნიერად ვგრძნობდით, სანამ ჩვენს ცხოვრებაში ის ქალბატონი არ გამოჩნდებოდა. არ ვიცი, ჩემი ქმრის ჭკუიდან გადაყვანა როგორ მოახერხა, მაგრამ ოჯახი ლამის დამინგრია. ქმარი, რა თქმა უნდა, მიმალავდა, რომ საყვარელი ჰყავდა. როგორც ხდება ხოლმე, ეს ამბავი ყველაზე გვიან გავიგე. თურმე მთელი ჩემი სანათესაო ამაზე ლაპარაკობდა, მე კი ქმარს თავზე დავფოფინებდი, მის წინაშე ფეხის წვერებზე დავდიოდი. ის კი თურმე სხვა ქალის მკლავებში ნებივრობდა.



ერთ დღეს ვიღაც ქალმა დამირეკა და შემატყობინა, რომ ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავდა. მერე გავიგე, რომ თავად ჩემი მეუღლის საყვარელმა დამირეკა. წარმოიდგინეთ, ერთი სული ჰქონდა, ეს ამბავი გამეგო, რომ ქმარი სახლიდან გამეგდო და თვითონ ჩაეგდო ხელში. ხალხმა რომ არაფერი მითხრა, თვითონ გადაწყვიტა, ამ საქმისთვის წერტილი დაესვა. ქმარს თუ სახლიდან გავაგდებდი, ვისთან წავიდოდა? რა თქმა უნდა, მასთან. სიმართლის გაგება ნამდვილი ტრაგედია იყო ჩემთვის. არც კი ვიცი, ამის გადატანა როგორ შევძელი. ქმარმა ამიხსნა, რომ ეს წუთიერი გატაცება იყო და მისთვის ცოლ-შვილი ყველაზე ძვირფასი გახლდათ. დავუჯერე, რადგან ვიცოდი, რომ არ მატყუებდა. ყველა ქალი ხვდება, როდის მთავრდება სიყვარული. მეც ზუსტად ვიცოდი, რომ ჩვენი სიყვარულის გადარჩენას შევძლებდი. ქმარს ვუთხარი, სუფთა ფურცლიდან დაგვეწყო ცხოვრება. ორივემ შევძელით ოჯახის გადარჩენა და ახლა ამით ერთნაირად ვამაყობთ.

ის ქალი რას არ აკეთებდა, რომ ჩემი ქმარი მასთან წასულიყო. გავეშებული ლამის სახლში გვივარდებოდა. ჩემს ქმარს ისტერიკებს უწყობდა. ეუბნებოდა, თავს არ მოგატყუებინებ, ცოლად უნდა მომიყვანოო. ერთხელ თურმე უბანში დახვდა და მეზობლების წინაშე ეჩხუბა. ბოლოს ჩემი ქმარიც შეწუხებული იყო, ვატყობდი, რომ გარეთ სულ დაძაბული დადიოდა, აქეთ-იქით იხედებოდა, ტელეფონსაც არ პასუხობდა, ორჯერ ნომერიც შეიცვალა. მოკლედ, თვითონვე მიხვდა, როგორ ქალთანაც ჰქონდა ურთიერთობა. ბოდიშს მიხდიდა, როგორ შევცდი, ეს როგორ გაგიკეთეო.

მე ყველაფერი ვაპატიე, გვერდით დავუდექი, რომ იმ ქალის კლანჭებში არ ჩავარდნილიყო. ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ სწორად მოვიქეცი. მოთმინებისთვის ჯილდოდ ის მივიღე, რომ ახლა ოჯახი მაქვს და თანაც ძალიან კარგი. ის ქალი კი ვერაფრით მოვიშორე. როგორც გითხარით, მირეკავს და მეუბნება, რომ ქმარი მოვაჯადოვე. თურმე ჯადო იმიტომ გავუკეთე, რომ იმ ქალს ჩამოშორებოდა. მარჩიელებთან ცხოვრებაში არ ვყოფილვარ. ალბათ თვითონ დაძვრებოდა მათთან და ვინ იცის, ჩემს ქმარს მართლა უკეთებდა რაღაცას, ამიტომაც დადიოდა ტვინარეული. სხვანაირად რითი უნდა ავხსნა, რომ კაცი გაკვირვებულია, ასეთი ქალი რამ მომაწონაო.

შეიძლება დიდი სიბრძნით არ გამოვირჩევი, მაგრამ საკუთარი გამოცდილებით გეტყვით, რომ მაქსიმალურად ეცადეთ, ოჯახი შეინარჩუნოთ. თქვენს ქმრებს სვავებივით დაგეშილ ქალებს ნუ ჩაუგდებთ ხელში!

**„სარკის" ერთგული მკითხველი**

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**

**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**

1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ" და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე:irmchedlidze@mail.ru**

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

## „სიყვარულის ახსნა მეც დამიგვიანდა"

ჟურნალ „სარკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „საყვარელი ქალისთვის დამაგვიანდა თქმა, როგორ მიყვარდა“. ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ ჩემი ამბის მოყოლა გადავწყვიტე.

მეც მიყვარდა ქალი, რომელსაც სიყვარულის ახსნას ვერ ვუბედავდი. ჩემი თანამშრომლის შვილი იყო, დედასთან ხშირად მოდიოდა. ულამაზესი გახლდათ, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეჩვენებოდა. კარს რომ გააღებდა, თითქოს მზე შემოანათებდა. მასთან მიახლოებას ვერ ვბედავდი. ჯერ ერთი, ასაკი მაბრკოლებდა, ათი წლით უფროსი ვიყავი, მეორეც, ვფიქრობდი, რომ ჩემნაირ კაცს ზედაც არ შეხედავდა.

ერთ დღესაც გავიგე, რომ დაინიშნა. მივხვდი, რომ სამუდამოდ დავკარგე და ბედს შევეგუე. ერთი წლის შემდეგ ცოლი მეც მოვიყვანე, მაგრამ დრო და დრო გონებაში მისი სახე ამომიტივტივდებოდა ხოლმე. რამდენიმე თვის წინ მის ფოტოს „ფეისბუქში“ წავაწყდი. ასაკში კიდევ უფრო მშვენიერი ჩანდა, დაქალებული, გაცილებით საინტერესო, მაგრამ ძველებური, ბავშვური ღიმილით. მაშინვე წერილი გავუგზავნე და თავი შევახსენე. მომწერა, რომ კარგად ვახსოვდი. მას შემდეგ აქტიურად ვწერდით ერთმანეთს. მასაც ჰყავს ოჯახი, ქმარი, შვილები. მალე, როგორც ახლობლები, ისე ვლაპარაკობდით. დედამისი ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა და პანაშვიდზეც ვიყავი. იქ რომ ვნახე, სიყვარული განმიახლდა.

ახლახან სახლში ნასვამი მივედი. კომპიუტერი ჩავრთე და წერილი გავუგზავნე. მანაც მიპასუხა. გავთამამდი და გამოვუტყდი, რომ თავის დროზე ძალიან მიყვარდა, მაგრამ თქმა ვერ გავუბედე. დიდი პაუზის შემდეგ მომწერა, რომ ჩემ მიმართაც იმავეს გრძნობდა. თურმე მასაც ვყვარებივარ და სიყვარულში რომ გამოვტყდომოდი, ცოლადაც გამომყვებოდა.

ასე რომ, მეც დამაგვიანდა. კი, ჩემი ცოლი ძალიან კარგი ადამიანია, მიყვარს კიდეც, მაგრამ მგონია, რომ მასთან უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. ახლა ამაზე ლაპარაკი ძალიან გვიანია, მაგრამ გული მაინც მოვიოხე.

**მკითხველი**

გამოხმაურება

## „ჩემმა სიძემ დედამისის შეძენილი ქონება ვენებში გაუშვა"

ჟურნალ „სარკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მძახალი მაყვედრის, რომ უცხოეთიდან ჩემს ოჯახს არჩენს“. ჩემი მძახალიც უცხოეთშია წასული. იქ ძალიან ბევრს წვალობს, რომ საქართველოში ოჯახი არჩინოს. ჩვენი შვილები რომ შეუღლდნენ, ქორწილშიც კი ვერ ჩამოვიდა. „სკაიპი“ გვქონდა ჩართული და ისე უყურებდა, ხან ტიროდა, ხან იცინოდა. გული მეწვებოდა მისი საცოდაობით. შევპირდი, დღეიდან შენი შვილი იგივე ჩემი შვილი იქნება, მე მოვუვლი, დედობას გავუწევ-მეთქი.

პირობას ნამდვილად ვასრულებდი. სიძისთვის არაფერს ვიშურებდი, შვილივით ვეფერებოდი, მაგრამ რად გინდა? თავისი მავნე ჩვევები ძალიან მალე გამოამჟღავნა. მივხვდით, რომ ნარკომანი იყო. რა აღარ გავაკეთეთ, რომ ამ საშინელებისგან განკურნებულიყო, მაგრამ არაფერმა გაჭრა, რადგან თავად არ მოინდომა. მეტიც, სიმართლე რომ გავიგეთ, უფრო წავიდა ხელიდან. მანამდე თუ მალავდა და ჩუმად აკეთებდა, ახლა არავისი ერიდება. დედამისმა ფულის გამოგზავნა შეუწყვიტა. ეს მე ვთხოვე, ფულს ნუღარ უგზავნი, „ვენებში უშვებს“ და შვილები გვეღუპება-მეთქი. არც ამან უშველა. ფული რომ არ გამოუგზავნა, სახლიდან თანდათან ყველაფერი გაყიდა. ცოლთან საშინელი კონფლიქტი მოსდიოდა და ჩემი გოგო სახლში წამოვიყვანე. ვუთხარი, შენი მოსაკლავი შვილი და შვილიშვილი არ მყავს-მეთქი. თავის დასაც შეურაცხყოფას აყენებს. ამბობს, ნარკოტიკს არ ვეკარები, მხოლოდ ვსვამო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? სულ არაფხიზელ მდგომარეობაშია, სულ გაბრუებული დადის.

სახლში მარტოა. ამას წინათ დედამისმა დამირეკა, მგონი, ჩემი წვალებით შეძენილ ბინას ყიდის და გეხვეწებით, უფლება არ მისცეთო. მე როგორ უნდა დავუშალო? რამე რომ ვუთხრა, შეიძლება მომკლას.

ჩემი მძახალი მართლა ძალიან მეცოდება, ამის ღირსი არ იყო. ჩემს შვილს და შვილიშვილს არაფერს აკლებს, და ამისთვის მისი მადლიერი ვარ. ხშირად ვფიქრობ, იქნებ ჯობდა, შვილისთვის ცარიელი პური ეჭმია და ყურადღება მიექცია, ვიდრე უცხოეთში წასულიყო. გასაგებია, რომ შვილებისთვის მიდიან იქ და ყველაფერს მათთვის აკეთებენ, მაგრამ საბოლოო შედეგზეც ხომ უნდა იფიქრო. უდედოდ დარჩენილი შვილი, ვინ იცის, რას გააკეთებს. თვითონაც ნანობს, რისთვის ვიწვალე ამდენი, თუ ბიჭი დამეღუპებოდაო. ასეთ მდგომარეობაში ყოფნას არც ერთ დედას ვუსურვებ.

**„სარკის“ მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


აფთიაქი TITANI

# მინდათ გრიპის ვირუსი თავიდან აიცილოთ?

მიიღეთ დოქტორ სმიტის ნივრის ზეთის კაფსულები – 0.25%...

ჟელატინირებული კაფსულა შეიცავს: ნივრის ზეთი 0.25%. გოგირდის შემცველი ალიცინი, კალიუმი, ფოსფორი, B და C ვიტამინები, კალციუმი, პროტეინი, რკინა.

* სასარგებლოა ხველისა და გაციების დროს;
* ეფექტურია ბრონქული და ასთმური ჩივილებისას;
* სასარგებლოა ცხელების დროს, შემცივნების თავიდან ასაცილებლად არარეგულარული ცხელების დროს;
* არეგულირებს საჭმლის მონელებას, ამცირებს აირწარმოქმნას და კოლიკებს;
* ეფექტურად და ხანგრძლივად მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მოშლისას და ამცირებს ქოლესტერინის ჭარბ წარმოქმნას;
* ნაჩვენებია ინფარქტისა და ათეროსკლეროზის რისკის შესამცირებლად;
* ასევე არეგულირებს წნევას პერიფერიული სისხლძარღვების გაფართოების ხარჯზე;
* ანტიფუნგინალური და ანტიბაქტერიული მოქმედება.




მწარმოებელი: ციპლა ინდოეთი

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14. ☎ 238-28-40. 238-88-71. 231-11-32




Cyan Magenta Yellow Black

# თენგიზ ჩანტლაძის ცოლის თილისმის საიდუმლო

გასულ საუკუნეში ფილარმონიასთან არსებულ მინიატურების თეატრში ერთხელ ასეთი სპექტაკლი დაიდგა — „სტუმრად წასვლა“. მასში მთავარ როლებს ამავე თეატრის დირექტორი, სამხატვრო ხელმძღვანელი და მსახიობი თენგიზ ჩანტლაძე და მისი ცოლი, მსახიობი ზაირა ჩანტლაძე ასრულებდნენ. სცენარი ასეთი იყო: ცოლ-ქმარი მთელი ცხოვრება ემზადებოდნენ სტუმრად წასასვლელად, მაგრამ ეს მხოლოდ სიბერეში მოახერხეს. ეს სცენაზე იყო... რეალურ ცხოვრებაში კი, სამწუხაროდ, ცოლ-ქმარს ერთად დაბერება არ დასცალდათ. თენგიზი მხოლოდ 55 წლის იყო, როდესაც მოულოდნელად წავიდა ამქვეყნიდან.

ჩანტლაძეების წყვილი ერთ-ერთი გამორჩეული იყო. სცენაზეც ხშირად იყვნენ პარტნიორები. 25 წელი გაატარეს ერთად და ამდენივე წელია ქალბატონი ზაირა საყვარელი ადამიანის გარეშე ცხოვრობს.


■ თენგიზი და ზაირა

## აკრძალული პომადა

— თენგიზმა 5 წელი მალოდინა და ცოლად მხოლოდ შემდეგ მომიყვანა. მას ტელეეკრანიდან ვიცნობდი და მისი შემოქმედებაც ჩემთვის ცნობილი იყო. თენგიზი ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მისი მშობლების ოცნება ყოფილა, რომ მათი შვილი ექიმი გამოსულიყო, მაგრამ ეს თავად არ ისურვა. იმ დროს გეოლოგიის ფაკულტეტი იყო მოდური და მანაც ტექნიკურ ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ, როგორც გეოლოგს, ერთი დღეც არ უმუშავია. თენგიზის სამსახიობო ცხოვრება ინსტიტუტის ახალგაზრდული კლუბიდან დაიწყო. თავიდან კონფერანსიე იყო, ანუ წამყვანი, მერე დუეტში გამოდიოდა და კონცერტი მიჰყავდა.

თენგიზი 1962 წლის 5 მარტს გავიცანი. ერთი წლით ადრე თეატრალური ინსტიტუტი დავამთავრე, სადაც მსახიობის პროფესიას დავეუფლე. რეჟისორმა ვასილ ყუშიტაშვილმა ჯგუფიდან რამდენიმე ახალგაზრდა აგვარჩია და სოხუმის თეატრში გაგვანაწილა. ჩემმა ოჯახმა ჩათვალა, რომ ამისთვის ძალიან პატარა ვიყავი და სოხუმში დედასთან ერთად გავემგზავრე. ზაფხული იყო, თეატრალური ცხოვრება — ჩამკვდარი. მე და დედამ მთელი დრო პლაჟზე გავატარეთ. მერე ფულიც დაგვეხარჯა და უკან დავბრუნდით. დედა ფიქრობდა, მარტო როგორ უნდა დავეტოვებინე, ჩემთან ერთად კი სოხუმში ვერ იცხოვრებდა, რადგან ოჯახს, ქმარს, ჩემს და-ძმას მიხედვა უნდოდათ. ბატონი ვასილი რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან და მთხოვდა, სოხუმის თეატრში წავსულიყავი, მაგრამ უარს ვეუბნებოდი. იმ დროს თეატრალურ ინსტიტუტში ასეთი წესი იყო, რომ თუ თეატრში არ მუშაობდი, დამთავრების შემდეგ დიპლომს არ მოგცემდნენ.

ერთხელ ჩემი ჯგუფელი ფატიმა კაზმაჩოვა მოვიდა. მან იცოდა, თენგიზი ჯგუფის ჩამოყალიბებას რომ აპირებდა. მისთვის უთქვამს, ახალკურსდამთავრებულები, ვინც არ მუშაობენ, ჩემთან მოიყვანეო. ეს იყო ფილარმონიასთან არსებული მინიატურების ჯგუფი. შეთავაზებით დავინტერესდი. თანაც საქართველოს ბევრ კუთხეში არ ვიყავი ნამყოფი და ვიფიქრე, სხვა თუ არაფერი, ქვეყანას მაინც შემოვივლი-მეთქი.

პირველ დღეს, ანუ 5 მარტს, პროგრამის წაკითხვა იყო და თენგიზს ჩვენთვის თავისი იდეა უნდა გაეზიარებინა. მაინტერესებდა, როგორი ადამიანი იყო ეკრანის მიღმა, რა იდეები ჰქონდა. მანამდე ნიჭიერ ადამიანად

**„გამომშვიდობებამდე ასეთი სიტყვები მითხრა: „დღეიდან პომადას აღარ წაისვამ და აღარც სიგარეტს მოსწევ“... იმ დღის მერე პომადა მართლა აღარ წამისვამს. წლების შემდეგ მეუღლე აქეთ მეხვეწებოდა, პომადა წაისვიო. მას შემდეგ აღარც სიგარეტი მომიწევია“.**

მივიჩნევდი, თუმცა მის მიმართ რაღაც განსაკუთრებული სიმპათიები არ მქონია. აი, შეკრებაზე რომ მივედი, სიმპათიებიც მაშინ გამიჩნდა.

მოკლედ, პროგრამა წავიკითხეთ, რაც ძალიან მომეწონა, მაგრამ თენგიზი უფრო მეტად მომეწონა. მან ყველა როლი თავად ითამაშა და პროგრამა ასე გაგვაცნო. ჩემი ჯგუფელის, ნანა ჯაფარიძის სახლში, ჭავჭავაძის გამზირზე ვიყავით შეკრებილი. პროგრამის დასრულების შემდეგ სუფრას მივუსხედით. მაშინ ბლუზი ძალიან მოდაში იყო და იმ დღეს ამ მუსიკის ფონზე თენგიზმა საცეკვაოდ გამიწვია. სხვათა შორის, სიცოცხლის ბოლომდე ხუმრობით სულ იმას მაყვედრიდა, შენი ბრალია, ერთად რომ ვართ, პირველ შეხვედრაზე შენ იაქტიურეო. მე აღარც მახსოვს, თუმცა, როგორც თენგიზი მიყვებოდა, ცეკვის დროს თურმე საკმაოდ ახლოს მივდიოდი მასთან.

ღამე ყველა ერთად გამოვედით, რეპეტიციების დაწყების დროზე და სხვა საკითხებზე შევთანხმდით. ისე მოხდა, რომ უცებ ყველა შემოგვეცალა და ბოლოს ქუჩაში მარტო მე და თენგო დავრჩით. ნელ-ნელა წამოვედით და ამ ლაპარაკ-ლაპარაკში პლეხანოვამდე ფეხით გავედით. ჩემს ეზოსთან რომ მივედით, გამომშვიდობებამდე ასეთი სიტყვები მითხრა: „დღეიდან პომადას აღარ წაისვამ და აღარც სიგარეტს მოსწევ“. პომადა და პრანჭიაობა პატარაობიდან მიყვარდა და იმ დღესაც, რა თქმა უნდა, მკვეთრად მესვა. იმ დღის მერე პომადა მართლა აღარ წამისვამს. წლების შემდეგ მეუღლე აქეთ მეხვეწებოდა, პომადა წაისვიო. მას შემდეგ აღარც სიგარეტი მომიწევია.

## ქორწილი 5 წლის შემდეგ

— ჩვენი შემდგომი შეხვედრა იმ ღამეს დაიგეგმა, როდესაც მე და თენგიზმა ფეხით ცირკთან ჩავიარეთ. მითხრა, ხვალ ცირკში გეპატიჟებიო. ყველაფერი ნელ-ნელა აეწყო. ყოველდღე რეპეტიციები გვქონდა, ერთად ვიყავით. საღამოს კი ხან სად მივდიოდით, ხან — სად. ჩვენი შეყვარებულობის პერიოდი 5 წელი გაგრძელდა. ერთი ეგ იყო, რომ ოფიციალურად არ ვიყავით ცოლ-ქმარი, თორემ დღეებს სულ ერთად ვატარებდით. რომ გათენდებოდა, შევხვდებოდით, თეატრში ერთად ვიყავით, საღამოს თავის ოჯახში მივყავდი, ღამე კი სახლში მიმაცილებდა. ერთად იმდენად დიდ დროს ვატარებდით, გასტროლებიდან ჩამოსვლის შემდეგ დედაჩემს თენგოს ვეძახდი, გასტროლზე კი თენგოს — დედას.

5 წლის შემდეგ ვიქორწინეთ, 200 კაციანი ქორწილი გადავიხადეთ. სამი დღე მასთან იყო ქორწილი, ერთი დღე კი — ჩემს სახლში.

## რთული პარტნიორი

— ჩემი მეუღლე უნიჭიერესი ადამიანი გახლდათ. როცა თენგიზზე რამეს ვამბობ, ცოლის პოზიციიდან არასდროს ვლაპარაკობ, რადგან, პირველ რიგში, მე მისი კარგი მეგობარი ვიყავი, შემდეგ — მისი პარტნიორი და ბოლოს ვიყავი ცოლი.

სცენაზე თენგიზის გვერდით დგომა ძალიან რთული იყო. მას იმპროვიზაციის დიდი ნიჭი გააჩნდა. როდესაც შენი პარტნიორი ასეთია, შენც მის დონეზე უნდა იყო, რომ კარგად ითამაშო. უცებ ისეთ რამეს იტყოდა, რაც საერთოდ არ ეწერა სცენარში. ამ დროს მზად უნდა ყოფილიყავი, რომ შესაბამისი პასუხი გაგეცა, ყველაფერი ხომ დიალოგზეა აწყობილი. თენგო თავისი დადგმების ავტორიც იყო, რეჟისორიც და მთავარი როლის შემსრულებელიც. ასეთი თვისება ჰქონდა, რომ რეპეტიციების განმავლობაში სცენაზე არ ამოდიოდა, როგორც რეჟისორი, დარბაზში იჯდა. როდესაც მისი პარტნიორი ვიყავი, მთელი მიზანსცენის გავლა მარტოს მიწევდა. სცენაზე პრემიერის დღეს ამოდიოდა და წარმოიდგინეთ, ჩემთვის რა რთული იქნებოდა მასთან ერთად თამაში. რომ მეგონა, მარჯვენა კულისიდან გამოვიდოდა, მარცხენა მხრიდან შემოდიოდა.

თენგიზი ძალიან მომთხოვნი იყო და რეჟიმში ყოფნა უყვარდა. როგორც რეჟისორი, ყველა მსახიობისგან ამას ითხოვდა.

## ბეჭდები საყვარელი ქალისთვის

— თენგიზი საოცარი მეუღლე იყო. ჩემთვის სიტყვა „არა“ არ არსებობდა. ძალიან მომთხოვნი არ ვყოფილვარ და იმითაც კმაყოფილი ვიყავი, რაც მქონდა, თუმცა თუ ოდესმე რამე მომინდებოდა, აუცილებლად მისრულებდა. ფუფუნებაში არ ვცხოვრობდით, მაგრამ რაც გვჭირდებოდა,

**„ადრე ვიცოდი, რატომ თენდებოდა, რისთვის ღამდებოდა... ახლა აღარც მეუღლე მყავს და აღარც ჩემი საყვარელი საქმე მაქვს“.**

ის გვქონდა. ჩემი მეუღლისთვის მთავარი სამეგობრო იყო. ჩვენს სახლში სუფრები ძალიან ხშირად იშლებოდა. ყველაფერს მე ვამზადებდი. თავისი დაბადების დღე ძალიან უყვარდა და ყოველთვის დიდი ზეიმები ეწყობოდა.

ჩემს დაბადების დღეზე ან რაიმე მნიშვნელოვან თარიღზე ფულს მჩუქნიდა და თან მეკითხებოდა, რას იყიდიო. კითხვა საჭირო არ იყო, ისედაც იცოდა, რომ ბეჭედს ვიყიდდი.

ერთხელ ოდესაში ვიყავით, სადაც რაიკინის (ცნობილი რუსი კომიკოსი. ავტ.) თეატრს გასტროლი ჰქონდა. თენგიზი მასთან მეგობრობდა და ჩვენ სპეციალურად წავედით ოდესაში. სპექტაკლებს დავესწარით, რაიკინს რამდენჯერმე შევხვდით. ოდესაში ყოფნის დროს ასეთი რამ მოხდა: ძალიან ლამაზი ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი ვნახე, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა. თენგიზმა მითხრა, სიამოვნებით გიყიდდი,





Cyan Magenta Yellow Black

მაგრამ ეს რომ გავაკეთო, თეატრის ვერც ერთ თანამშრომელს საჩუქარს ვერ ჩავუტანო. ოდესიდან საჩუქარი თეატრის 55 თანამშრომელს ჩამოუტანა. ობოლ ბიჭს, საშკა კოლცოვს, რომელიც ბავშვთა სახლში იყო

**„ძალიან ლამაზი ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი ვნახე, რომელიც საკმაოდ ძვირი ღირდა. თენგიზმა მითხრა, სიამოვნებით გიყიდდი, მაგრამ ეს რომ გავაკეთო, თეატრის ვერც ერთ თანამშრომელს საჩუქარს ვერ ჩავუტანო. ოდესიდან საჩუქარი თეატრის 55 თანამშრომელს ჩამოუტანა".**

გაზრდილი, ბაილონის პერანგი ჩამოუტანა, რომელიც მაშინ ძალიან მოდური იყო.

მე და თენგიზს ძალიან საინტერესო ცხოვრება გვქონდა. მოსკოვში ნებისმიერ პრემიერაზე ჩავდიოდით. თვითონ თუ ვერ ახერხებდა წამოსვლას, მაშინ ბილეთს ამილებდადა მარტოს მიშვებდა.

## თილისმა

— მართალია, თენგო სულ მხიარული იყო სცენაზეც, სცენის მიღმაც, მაგრამ ამავდროულად იყო მგრძნობიარე. მის ცხოვრებაში ხშირად იყო ისეთი მომენტები, რომ თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე. მას არაჩვეულებრივი ფერის თვალები ჰქონდა, ფერი ყოველ წუთს ეცვლებოდა. სათამაშო კალეიდოსკოპში რომ იცვლება ფერები, თენგოს თვალებიც ასე იცვლებოდა...

თენგოს გარდაცვალების შემდეგ ოქროს კულონი შევიძინე, რომლის ერთ მხარეს თენგოს ბავშვობის ფოტო ჩავდე, მეორე მხარეს — მისი ახალგაზრდობის. ამ კულონს ყოველთვის თან ვატარებდი. 10 წლის წინ კი ქურდებმა ჩამომგლიჯეს ყელიდან. მივაძახე, სურათი დამიბრუნეთ-მეთქი, მაგრამ ვინ რას დამიბრუნებდა...

ერთ დაუჯერებელ ამბავს მოგიყვებით. მეუღლე რომ დავკარგე, ეს კულონი ჩემი თილისმა გახდა, ღამეც კი არ ვიხსნიდი. ერთ-ერთ ვოდევილში ვმონაწილეობდი და საოცრება ხდებოდა. დადგმა რომ სრულდებოდა და მაყურებელთან თავის დასაკვრელად გავდიოდი, უცებ წკაპუნს გავიგებდი და ჩემი კულონი იხსნებოდა. როცა ეს ამბავი სხვა მსახიობებს ვუთხარი, ზოგმა ალბათ იფიქრა, ამ ქალს რაღაცეები ეჩვენებაო. ერთხელ სცენაზე გასვლის წინ ერთ-ერთ მსახიობს ვუთხარი, შემომხედე, კულონი დახურულია-მეთქი და დასრულების მერე თავისი თვალით დაინახა, როგორ გაიხსნა. ეს ამბავი ჩემთვის დღემდე აუხსნელია.

## დიდი ბავშვი

— ჩემს ქმარს ცოტა რთული ხასიათიც ჰქონდა და ამავდროულად პატარა ბავშვიც იყო. ბილწსიტყვაობა უყვარდა. თუ რამე არ მოეწონებოდა, უცებ აყვირდებოდა, მაგრამ მეორე წუთში ავიწყდებოდა. მე, ამ მხრივ, უფრო „ცუდი" ვიყავი, რადგან ასეთი რაღაცეები არასოდეს მავიწყდებოდა.

თენგიზს ბავშვივით ვუვლიდი და ზოგჯერ ჩემი ხელითაც ვაჭმევდი. თვითონ ჭამისთვის ხანდახან დროს ვერ პოულობდა. ვაშლს გავუთლიდი, დავჭრიდი და კულისებში, სცენაზე გასვლამდე ვაჭმევდი. ბავშვებს რომ დასდევენ დედები თეფშებით ხელში, მეც ასე დავდევდი თენგოს. პუტკუნა კი იყო, მაგრამ ჭამა დიდად არ უყვარდა.

შვილი არ გვყოლია. თავის დროზე ჩვენ არ მოვინდომეთ, მერე კი უკვე გვიანი იყო, მაგრამ ეს არასდროს მინანია. ყველა დედასთან ბოდიშს მოვიხდი და არ მინდა, ეს ვინმემ ცუდად გამიგოს, უბრალოდ მოხდა ასე, რომ შვილი არ გავაჩინეთ. როცა ამ თემაზე ვნერვიულობდი, თენგიზი მეტყოდა ხოლმე, მე არ მინდა შვილი და შენ რაზე ნერვიულობო. სულ იმას ამბობდა, ბავშვი რომ გვყოლოდა, ჩემზე მეტად გეყვარებოდა და ეს არ მინდოდაო. ყველაფერი ღვთის ნებაა. უფალმა ინება ასე, რომ შვილი არ გვყოლოდა...



**„თენგო სულ მხიარული იყო სცენაზეც, სცენის მიღმაც, მაგრამ ამავდროულად იყო მგრძნობიარე. ხშირად თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე".**

## მარტოობა

— მეუღლის გახსენება ცრემლების გარეშე ძალიან მიჭირს. უკვე 25 წელი გავიდა, რაც გვერდით აღარ მყავს. მე ფაქტობრივად აღარაფერს წარმოვადგენ. ადრე ვიცოდი, რატომ თენდებოდა, რისთვის ღამდებოდა და მეორე დღის გეგმები წინასწარ მქონდა დაწყობილი. ახლა კი აღარც ქმარი მყავს გვერდით და აღარც ჩემი საყვარელი საქმე მაქვს. თენგოს გარდაცვალების შემდეგ ცოტა ხანი ვიყავი თეატრში, სამხატვრო ხელმძღვანელიც მერქვა, მაგრამ ბოლოს მაინც უარი ვთქვი. მხოლოდ ხუთ-ექვს სპექტაკლში ვითამაშე და ძალიან გამიჭირდა. სცენაზე მარტო რომ ვიდექი და ჩემ გვერდით ან ახლომახლო თენგო არ იყო, საშინელი განცდა მეუფლებოდა, თავს უსუსურად ვგრძნობდი.

**„სულ იმას ამბობდა, ბავშვი რომ გვყოლოდა, ჩემზე მეტად გეყვარებოდა და ეს არ მინდოდაო".**

თენგიზის გარდაცვალების გამომწვევ მიზეზებზე საუბარი აღარ მინდა. ყველამ ისედაც ყველაფერი იცის და ზედმეტად გახსენება აღარ მსურს. ფაქტია, რომ ის იყო ძალიან ახალგაზრდა, არ ავადმყოფობდა და მისი უეცარი გარდაცვალება ნერვიულობის ბრალი იყო. თენგო თავისი თეატრის ბედზე ნერვიულობას შეეწირა. ის ძალიან თავმოყვარე იყო და ვერ აიტანა ის, რაც გაუკეთეს.

მის ოჯახში კიდევ 5 წელი ვიცხოვრე. შემდეგ წამოვედი და მას მერე მარტო ვცხოვრობ. 10 წელია, რაც მყავს ძაღლი — ბუბუ. საერთოდ მარტოობა ძალიან ძნელია. განსაკუთრებით ზაფხულში მიჭირს, როდესაც მეტი სინათლე და მეტი სიცოცხლეა. მე კი ზამთარშიც და ზაფხულშიც მარტო ვარ ჩაკეტილი და ეს უკვე 25 წელია გრძელდება. ზაფხულში, როცა ძალიან მაწუხებს სიცხე, მარტოობა, სულ მინდა, რაღაცეები დავანგრიო, გადავაკეთო. ახლობლები მეხუმრებიან, საყრდენი კედლებიც არ დაანგრიოო. სულ მიკვირს, ზოგი ქალი რა ყოჩაღია, მე კი ოთახში შპალერი ვერ გავაკარი. აი, ასე ვცხოვრობ, აქა-იქ შპალერახეულ და იატაკაყრილ ბინაში. ასე ყოფნა ძალიან მომწონს, რადგან კარგი გარემონტებული სახლი ბევრს აქვს, ასეთი — არა. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, სად და როგორ ვცხოვრობ მაშინ, როდესაც ჩემი მეუღლე არის იქ, სადაც, წესით, არ უნდა იყოს. მისი პატარაობის ფოტო მაქვს პატარა ჩარჩოში ჩასმული, კედელზე მიკიდია და ეგ არის ჩემი სიმდიდრე.

თენგიზი 55 წლის ასაკში გამომეცალა ხელიდან, მე 50 წლისა დავქვრივდი. იმ დღის შემდეგ ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა — პირადი ცხოვრებაც და კარიერაც. სამწუხაროდ, ყველაფერი ასე ადრე დავასრულე.

5 ივნისს თენგიზის დაბადების დღეა, 80 წლის უნდა გამხდარიყო. მრგვალი თარიღია და ძალიან მინდა, აღვნიშნო. მაქვს იმედი, რომ ქვეყნის მთავრობა გვერდით დამიდგება და საღამოს გავაკეთებთ. მინდა, ისეთი გამოვიდეს, როგორიც თენგიზს შეეფერება. პომპეზურად აღნიშვნა არ მინდა. მთავარია, თენგო გავიხსენოთ და საღამო მის ხსოვნას მივუძღვნათ.

✓ თეონა კენჭიაშვილი


**თუ თქვენ ჯანმრთელობაში ეჭვი გეპარებათ ან სასწრაფოდ გჭირდებათ საიმედო მკურნალის ხელი, შეგიძლიათ დაუყოვნებლივ მიმართოთ**



**თინათინ მაჩაიძეს**

**მუშაობს განუმეორებელი და შეუდარებელი კომპლექსური სამკურნალო მეთოდებით**

უპრობლემოდ კურნავს მასთან მისულ ჯანმრთელობაშერყეულ ადამიანებს. მკურნალობს ნევროზებსა და ნერვული სისტემის მოშლასთან დაკავშირებულ ყოველგვარ პრობლემას. შიშებს, დეპრესიას, აკვიატებულ აზრებს, ენერგიის ნაკლებობას, თავის ტკივილებს, უძილობას, ოსტეოქონდროზს, მარილებს, რადიკულიტს, ნერვისა და სახსრების ანთებას, კუჭ-ნაწლავისა და ნაღვლის ბუშტის ანთებებს, ენურეზს, ალერგიებს, ჰაიმორიტს, გინეკოლოგიურ პრობლემებს, სხვადასხვა ქრონიკულ დაავადებას და ასე შემდეგ.

**დამატებითი ინფორმაცია მიიღეთ ტელეფონით.**

**მის.: წერეთლის გამზირი, №71-ის მოპირდაპირედ, გზის მეორე მხარეს, „ბანკი რესპუბლიკის" კორპუსი, მე-2 სად., 1-ლი სართ.**

**ტელ.: 599-58-69-47, 555-12-78-30, 593-38-26-13, 235-18-68 (ოფისი).**

**პაციენტების მიღება ხდება წინასწარი ჩაწერით.**

# კახა კუკავა: „ფული რომ გვქონოდა, არჩევნებს უპირობოდ მოვიგებდით“

## „ქართულ ოცნებას" ხმა მისცეს საკუთარი შტაბის წევრების ოჯახებმა"



„ქართულ ოცნებას“ სამით მეტი ხმა ექნება პარლამენტში. ადგილები, რომლებიც აღმასრულებელ ხელისუფლებაში კოალიციის წევრი დეპუტატების გადასვლის გამო გამოთავისუფლდა, „ქართულ ოცნებასვე“ დაუბრუნდა. ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით, ნაძალადევში თამარ კორძაიამ გაიმარჯვა, ბაღდათში — პაატა კიკნაველიძემ, სამტრედიაში — გიორგი კახიანმა.

დიდი მოლოდინები, რომ პოლიტიკურად პოლარიზებულ პარლამენტში ძალთა დასაბალანსებლად მესამე ძალა შევიდოდა, შეიძლება იქამდეც არ იყო, მაგრამ 27 აპრილის არჩევნების შედეგად მცირეოდენი იმედიც, თუკი ასეთი ვინმეს ჰქონდა, რომ საქართველოს საკანომდებლო ორგანოში რომელიმე არანაციონალი და არამეოცნებე დეპუტატი სიმბოლურად მაინც დაიკავებდა ადგილს, საბოლოოდ გაქრა.

საერთო ჯამში, ხმები ასე გადანაწილდა: ნაძალადევში თამარ კორძაიას მხარი ამომრჩეველთა 39,5%-მა დაუჭირა, კახა კუკავას — 17,3%-მა, პაპუნა დავითაიას — 15,1%-მა, იოსებ მანჯავიძეს — 12,9%-მა, ზვიად ჩიტიშვილს — 11,5%-მა, გიორგი გუგავას — 3,15-მა.

ბაღდათში პაატა კიკნაველიძეს ხმათა 61,9% აქვს, ვლადიმერ წიქორიძეს — 21,1% . სამტრედიაში გიორგი კახიანს 80,9%-მა დაუჭირა მხარი, ემზარ შუბლაძეს — 18,7%-მა.

27 აპრილს არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში, ამომრჩევლის დაბალი აქტივობის ფონზე ჩაიარა. პასიურობა განსაკუთრებით თბილისში ჩანდა — 28%, 36%-მდე — ბაღდათში და 43% — სამტრედიაში, ანუ საშუალოდ საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლის 32-33% დაფიქსირდა. იყო მცირე ტექნიკური ხარვეზებიც. არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიული და სამართლებრივი საზოგადოება“ მიუთითებს, რომ ბაღდათის ოლქში პოლიციის უფროსის მანქანა იქნა შემჩნეული და ამას განიხილავენ, როგორც ზეწოლას არჩევნებზე. სამტრედიის საარჩევნო უბანში კი ნაციონალი დეპუტატის, აკაკი ბობოხიძის ძმა ამოიცნეს, რომელმაც მითითებისთანავე დატოვა უბანი.

**„დეპრესიის — არა, მაგრამ ინდიფერენტულობის ნიშანი ნამდვილად არის, ანუ ადამიანებმა მოქმედი ხელისუფლების მიმართ ნდობა დაკარგეს, მაგრამ ჯერჯერობით ძლიერ ალტერნატივას ვერ ხედავენ და არ აქვთ ის მოტივაცია, რაც ჰქონდათ თუნდაც პირველ ოქტომბერს".**

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ირინა იმერლიშვილის შეფასებით, ახალმა ხელისუფლებამ ამ საარჩევნო ადმინისტრაციის პირობებშიც კი, ხელისუფლებაში მოსვლის 6 თვის თავზე, მოახერხა ისეთი არჩევნების ჩატარება, რომ საარჩევნო დარღვევაზე ნაციონალური მოძრაობაც ვერ იღებს ხმას.

მისგან განსხვავებით, არჩევნების მიმდინარეობა და პირველადი შედეგები ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა შეაფასა, როგორც შეთქმულება, რომელიც მმართველმა გუნდმა და მოსყიდულმა ოპოზიციამ მისი პარტიის წინააღმდეგ დაგეგმა. „პრემიერმა ივანიშვილმა მასობრივი ფალსიფიცირებისა და გაყალბების ყველა რეკორდი მოხსნა პირველსავე შუალედურ არჩევნებში“, — აცხადებს პირველი ლეიბორისტი.

იმერლიშვილის შეხედულებას არჩევნების ობიექტურობისა და გამჭვირვალობის შესახებ არც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა იზიარებს. 27 აპრილმა მას 1999 წლის არჩევნები გაახსენა. საკუთარ წაგებას ის მხოლოდ და მხოლოდ უფინანსობას აბრალებს.

**„ჩვენი შტაბი ყველაზე ნაკლებად იყო დაფინანსებული და ამას ყველა შეამჩნევდა, ვინც მას ჩაუვლიდა გვერდს. ჩვენი ამომრჩეველი სხვებისგან ხარისხობრივად განსხვავდებოდა. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოდიოდნენ თავიანთი რწმენით ყოველგვარი ტრანსპორტის და ხელჩაკიდების გარეშე".**

პარალელების, არჩევნებზე აღმოჩენილი დარღვევებისა და იმ შანსების შესახებ, რაც საარჩევნო სუბიექტებს ჰქონდათ, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი„სარკეს“ ესაუბრა.

**კახა კუკავა,** „თავისუფალი საქართველო“:

— პირველ რიგში, საზოგადოებას შევახსენებ, რომ ირინე იმერლიშვილმა ანალოგიური შეფასება გააკეთა 1999 წლის არჩევნების შემდეგ, რომელსაც ის და ხათუნა გოგორიშვილი ერთად ხელმძღვანელობდნენ. რაც შეეხება იმას, თუ რა კანონდარღვევები აღმოვაჩინეთ, გვაქვს მტკიცებულება, რომ ამ არჩევნებზე ყალბი პირადობის მოწმობების დიდი რაოდენობა გამოიყენეს. მოვითხოვთ, რომ გამოქვეყნდეს სამაგიდო სიები, სადაც შესაძლებელი იქნება ამ ყველაფრის იდენტიფიცირება.

**— სხვა სახის დარღვევები არ ყოფილა?**

— არა, თუმცა ეს საკმარისია იმ სხვაობისთვის, რაც კანდიდატებს შორის დაფიქსირდა.

**— საკმაოდ დაბალი აქტივობა იყო ამომრჩევლის მხრიდან, ამას რას უკავშირებთ?**

— დაბალი აქტივობა დამახასიათებელია, ერთი მხრივ, შუალედური არჩევნებისათვის და, მეორე მხრივ, იმ სიტუაციისთვის, რომელიც საქართველოშია შექმნილი. ეს დეპრესიის — არა, მაგრამ ინდიფერენტულობის ნიშანი ნამდვილად არის, ანუ ადამიანებმა მოქმედი ხელისუფლების მიმართ ნდობა დაკარგეს, მაგრამ ჯერჯერობით ძლიერ ალტერნატივას ვერ ხედავენ და არ აქვთ ის მოტივაცია, რაც ჰქონდათ თუნდაც პირველ ოქტომბერს.

**— ფიქრობთ, რომ მიღებული 17 პროცენტი თქვენთვის ცოტაა?**

— მე არ ვარ შალვა ნათელაშვილი, რომ მტკიცებულებების გარეშე კატეგორიულად ვამტკიცო რაღაცეები. ამიტომაც ვითხოვ სამაგიდო სიების გახსნას. თუ ამაზე დაგვთანხმდებიან, შესაძლებელი იქნება ყველაფრის დეტალურად დაზუსტება. იმ შემთხვევაში, თუ ამაზე უარი გვეტყვიან, გასაგები გახდება ის განსხვავება, რაც ჩემსა და კორძაიას შორის არის, ანუც დამტკიცდება, რომ ყალბი პირადობის მოწმობები გამოიყენეს.

**„ირინე იმერლიშვილმა ანალოგიური შეფასება გააკეთა 1999 წლის არჩევნების შემდეგ, რომელსაც ის და ხათუნა გოგორიშვილი ხელმძღვანელობდნენ... გვაქვს მტკიცებულება, რომ ამ არჩევნებზე ყალბი პირადობის მოწმობების დიდი რაოდენობა გამოიყენეს".**

**— თქვენ რამდენ პროცენტს ვარაუდობდით, როგორი იყო თქვენი გათვლა?**

— სოციოლოგიური გამოკითხვებით, პირველი ადგილზე ვიყავით, თუმცა არჩევნების მცოდნე ნებისმიერი სპეციალისტი დაგიდასტურებთ, რომ, თუ დაბალი აქტივობაა, ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა ტრანსპორტით ამომრჩევლის მიყვანას აქვს. ეს კი „ქართულ ოცნებას“ უკეთესად ჰქონდა ორგანიზებული, რადგან ამას სჭირდება ფინანსური უზრუნველყოფა.

ჩვენი შტაბი ყველაზე ნაკლებად იყო დაფინანსებული და ამას ყველა შეამჩნევდა, ვინც მას ჩაუვლიდა გვერდს. ასევე ჩვენი ხალხი საარჩევნო უბნებზე საერთოდ არ იყო. ჩვენი ამომრჩეველი სხვებისგან ხარისხობრივად განსხვავდებოდა. ისინი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მოდიოდნენ თავიანთი რწმენით ყოველგვარი ტრანსპორტის და ხელჩაკიდების გარეშე. ამიტომაც გვქონდა სოციოლოგიურ გამოკითხვებში ბევრად მეტი შედეგი, ვიდრე ჩვენს კონკურენტებს, თუმცა საბოლოოდ არჩევნებს იგებს არამარტო რეიტინგები, არამედ საარჩევნო მანქანა.

**— სოციოლოგიური გამოკითხვები ხშირად არ ემთხვევა რეალობას და ყოველთვის იმის სასარგებლოდაა, ვინც შეუკვეთა.**

— არა, თავად არც ერთი გამოკითხვა ჩაგვიტარებია, მხოლოდ იმაზე ვსაუბრობ, რაც ქვეყნდებოდა. გარდა ამისა, ზუსტად იმ არგუმენტის გამო, რაც თქვენ ბრძანეთ, ჩვენ შევთავაზეთ „ოცნებას“, პრაიმერი ჩატარებუ-



Cyan Magenta Yellow Black

ლიყო ერთობლივი კონტროლის ქვეშ, მაგრამ უარი მივიღეთ. ეს კი პირდაპირ მოწმობს იმას, რომ ისინი გრძნობდნენ ჩვენს უპირატესობას. რეიტინგის იმედი რომ ჰქონოდათ, პრაიმერზე უარს არ გვეტყოდნენ.

**— ლოგიკურია, რომ კორძაიამ გაიმარჯვა, სხვა შედეგს პირადად მე არც ველოდი.**

— როგორ არ არის ლოგიკა, მას მმართველი ძალა უჭერს მხარს და მას აქვს ძალიან დიდი

**„ლეიბორისტების შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია, მათ თავიანთი პინგვინიზმით თვითონ გაუთხარეს საკუთარ თავს სამარე და მგონია, რომ ეს 4 პროცენტი არის მაქსიმუმი. თუ ასე გააგრძელებენ, მალე ესეც სანატრელი გაუხდებათ".**

ფინანსური რესურსი. შედარებისთვის გეტყვით — ჩვენ გვყავდა ერთი წარმომადგენელი საარჩევნო უბანში, რომელიც საერთოდ არ იღებდა ანაზღაურებას, „ოცნებას“ კი თითო საარჩევნო უბანზე 10 მიკროკოორდინატორი ჰყავდა, რომლებიც 200 ლარზე მეტ ხელფასს იღებდნენ, პლუს კომისიის 6 წევრი, რომლებსაც ასეთივე ანაზღაურება ჰქონდათ. ამიტომ ჩათვალეთ, რომ „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცეს საკუთარი შტაბის წევრების ოჯახებმა.

**— თქვენი მომდევნო ნაბიჯი რა იქნება, მხოლოდ სიების გახსნა?**

— არამარტო, დავსხდებით და ყველაფერს გავაანალიზებთ.

**— თუ უარს გეტყვიან, სარჩელის შეტანას ხომ არ გეგმავთ?**

— ჩვენ ჩივილს არ ვაპირებთ იმ მიზნით, რომ არჩევნების შედეგები გადაიხედოს. ეს არ არის ჩვენი ამოცანა, თუმცა ვფიქრობ, რომ არჩევნების გაყალბება ქვეყანაში უნდა დასრულდეს.

**— რამდენად ლოგიკურია თქვენთვის სხვა კონკურენტების მონაცემები, თუნდაც ლეიბორისტების?**

— ლეიბორისტების შედეგი აბსოლუტურად ლოგიკურია, მათ თავიანთი პინგვინიზმით თვითონ გაუთხარეს საკუთარ თავს სამარე და მგონია, რომ ეს 4 პროცენტი არის მაქსიმუმი. თუ ასე გააგრძელებენ, მალე ესეც სანატრელი გაუხდებათ.

**— მაინც გგონიათ, რომ თქვენი წაგების მიზეზი მხოლოდ ფული იყო?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ გვქონდა არჩევნების მოგების რეალური შესაძლებლობა, თითო უბანზე 2 წარმომადგენელი რომ გვყოლოდა, რომლებსაც 100 ლარზე მეტი ხელფასი ექნებოდათ. თითო უბანზე თითო მიკროავტობუსიც რომ მიგვემატებინა, ამ არჩევნებს უპირობოდ მოვიგებდით.

# ირაკლი სესიაშვილი: „გამოსაძიებელია, საქართველოში მართლა ამზადებდნენ თუ არა ტერორისტებს“



ლაფანყურის თემა შესაძლოა საერთაშორისო საზოგადოების ინტერესის ქვეშ მოექცეს. სისხლიანი ოპერაცია, რომლის შესახებ დღემდე კითხვები ღიად რჩება, საქართველოს პრემიერის ტელეინტერვიუს შემდეგ უფრო აქტუალური გახდა. ბიძინა ივანიშვილმა არ გამორიცხა, რომ ტერორისტები საქართველოს ტერიტორიაზე მომზადებას მართლაც გადიოდნენ წინა ხელისუფლების ხელშეწყობით.

„ძალიან დიდი ეჭვი მაქვს, რომ ეს ხდებოდა რეალობაში, მაგრამ თავს შევიკავებ. უახლოეს დროში გამოძიება დასრულდება და ჩვენ ძალიან ბევრ სიახლეს გავიგებთ, ძალიან ბევრ შოკისმომგვრელს ამბავსაც კი. ეჭვებია, რომ ხელისუფლება თანამშრომლობდა „ბოევიკებთან“ და ტერორისტებთან, — განაცხადა მან.

ბიძინა ივანიშვილს მიხეილ სააკაშვილი ამერიკიდან გამოეხმაურა:

„ივანიშვილის ეს განცხადება ზუსტად ჯდება იმ პროპაგანდაში, რომელსაც რუსები მთელი ეს წლები ეწეოდნენ ჩვენ წინააღმდეგ, ჩვენი დასუსტების და საქართველოს ხელში ჩაგდების მიზნით. ბოსტონის ტერაქტის შემდეგ, რომელშიც, სამწუხაროდ, ორი ჩეჩენი იყო გახვეული, ამერიკაში ეს თემა ძალიან მნიშვნელოვანი გახდა. არ ვიცი, ამ პირობებში საქართველოს პრემიერმინისტრი აცნობიერებს თუ არა, რა შარში ხვევს ქვეყანას“.

უმცირესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ასევე პრემიერის პასუხიც კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციიდან ამოიღონ ჩანაწერი რუსეთზე, როგორც ჩვენი ქვეყნის მთავარ საფრთხეზე. ივანიშვილმა განაცხადა, რომ თავდაცვის სამინისტროს ახალ კონცეფციაში ასეთი მკვეთრი ჩანაწერი აღარ არსებობს.

„უშიშროების საბჭო რატომღაც არ იკრიბება დღემდე. თავდაცვის სამინისტროს ჩანაწერი შეგიძლია ნახოთ, რომ იქ ეს შერბილებულია. პარლამენტის მიერ საგარეო პოლიტიკის შესახებ დამტკიცებულ დოკუმენტშიც ტონალობა არის ნორმალური და საერთოდ მარტო გამონათქვამებზე არაა... ჩვენი თამაში უნდა იყოს გამჭვირვალე, სწორი, გასაგები და მისაღები ყველასთვის. სიცრუეში არ უნდა ჩავრჩეთ“, — ამბობს ივანიშვილი.

**„მთელი მსოფლიო ცდილობს რუსული ბაზრის დაპყრობას და ჩვენ რატომ უნდა დავკარგოთ?! ეს იქნება დამატებითი ბიძგი იმისათვის, რომ ქვეყანა ისე გაძლიერდეს, დეოკუპაცია მოვახერხოთ".**

ნაციონალური მოძრაობა ირწმუნება, რომ პრემიერმინისტრს და მის გუნდს მოუწევთ, პასუხი აგონ თავდაცვის დოქტრინიდან რუსეთის, როგორც საფრთხის, ამოღების გამო. უმრავლესობა კი ირწმუნება, რომ დოკუმენტში არანაირი ფუნდამენტური ცვლილება არ შესულა, უბრალოდ დაემატა ახალი რეალობა, ის პრაგმატიზმი, რომელიც რუსეთთან მიმართებაში გაჩნდა.

„სარკე“ ამ საკითხებზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ირაკლი სესიაშვილს ესაუბრა.

**— ბატონო ირაკლი, რას ნიშნავს „შერბილებული ტონი“ რუსეთის მიმართ? შეგიძლიათ მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ ხელისუფლების პოზიცია ოკუპაციის თემაზე, რაზეც გამუდმებით გიკიჟინებთ ნაციონალური მოძრაობა?**

— მინდა, მკითხველს მკაფიოდ განვუმარტო, რომ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება რუსეთთან მიმართებაში, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში არ შეცვლილა და არც შეიცვლება. ახალი მთავრობა გმობს ოკუპაციას და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღდგეს. წინა ხელისუფლების სტრატეგია გარკვეულწილად შენარჩუნებულია, თუმცა ჩვენი სტრატეგიის ახალი ნაწილი მდგომარეობს იმაში, რომ ვცვლით რიტორიკას, რომელსაც წინა ხელისუფლება იყენებდა და ხელს უშლიდა დიალოგის წარმოებას და ჩვენივე პრობლემების მოგვარებას. გვინდა თუ არა, ვხვდებით, რომ რუსეთის გარეშე ამ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ.

შეერთებული შტატებიდან დაწყებული ევროპის წამყვანი ქვეყნებით დამთავრებული, ყველა მოგვიწოდებდა, რომ →18






Cyan Magenta Yellow Black

რუსეთთან დაგვეწყო დიალოგი, აღგვედგინა ურთიერთობები. თუ ურთიერთობის აღდგენა გვინდა, საჭიროა მუშაობა და არა — ლაპარაკი. ისეთი სტრატეგია უნდა შევარჩიოთ, რომელიც ამის განხორციელების შესაძლებლობას მოგვცემს. ამიტომაც შეიცვალა რიტორიკა და დამოკიდებულება პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიებისადმი. სწორედ ამას გულისხმობდა ბატონი ბიძინა, როცა ამბობდა, ჩვენი სტრატეგია შევცვალეთო.

— **მან ჩანაწერი ახსენა. რა ჩანაწერია გაკეთებული თავდაცვის სამინისტროს მიერ?**

— დოკუმენტებში არანაირი ცვლილება არ განხორციელებულა, საუბარი იყო მიდგომის შეცვლაზე. დოკუმენტები, როგორც წესი, შეცვლის დროს თანხმდება როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან, ისე უშიშროების საბჭოსთან, პარლამენტთან, სხვადასხვა უწყებასთან. თანაც ასეთი დოკუმენტის მიღება ხდება პოლიტიკური დებატების, საზოგადოების გამჭვირვალე ჩართულობის პირობებში. სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, რომელიც წარედგინა უშიშროების საბჭოს, ფართო განსჯის საგანი მართლა იყო. მისი განხილვა მოხდა როგორც უმცირესობასთან, ისე უმრავლესობასთან, ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან. ასე რომ, ამ მხრივ, არანაირი ცვლილება არ მომხდარა. ცვლილება მოხდა მხოლოდ სტრატეგიაში და, აქედან გამომდინარე, ტაქტიკაში.

— **ანუ ჩანაწერი — რუსეთი, როგორც საფრთხე — არ არის ამოღებული ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინიდან?**

— რა თქმა უნდა, არა და, ეტყობა, ვანო მერაბიშვილმა ან არ იცის, ან ვერ ერკვევა, როცა საუბრობს, სამხედრო დოქტრინა უჩვენოდ მიუღიათო. მას ამტკიცებს პარლამენტი და როგორ მივიღებდით, ფარული პარლამენტი ხომ არ ვართ? საფრთხეების განმსაზღვრელ დოკუმენტებში ნახსენები რუსეთის ოკუპაცია რჩება და სტრატეგია იცვლება. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, არ ვაპირებთ, რუსეთს ერთი ხელით ვაგინოთ და მეორე ხელით დიალოგი შევთავაზოთ. მიუხედავად იმისა, რომ გვესმის, იმ ქვეყნის ოკუპაციის პირობებში ვიმყოფებით, ვცდილობთ, საერთო ენა გამოვნახოთ, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას, ეს კი, პირველ რიგში, ჩვენს ინტერესებში შედის. მთელი მსოფლიო ცდილობს რუსული ბაზრის დაპყრობას და ჩვენ რატომ უნდა დავკარგოთ?! ეს იქნება დამატებითი ბიძგი იმისათვის, რომ ქვეყანა ისე გაძლიერდეს, დეოკუპაცია მოვახერხოთ. ჩვენ საკითხს პრაგმატულად ვუდგებით და ისე ვმოქმედებთ.

— **ანუ გინდათ თქვათ, რომ სულ ტყუილად ატეხეს ნაციონალებმა ასეთი ამბავი?**

— სამწუხაროდ, უმცირესობა, ნაციონალური მოძრაობის სახით, ცდილობს, თავისი შეცდომები სხვას გადააბრალოს და დეზინფორმაციის გზით ახალი ხელისუფლება წარმოაჩინოს, როგორც ქვეყნის ინტერესების მოწინააღმდეგე ძალა. რეალურად კი 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ქვეყნის დეოკუპაციისთვის ფაქტობრივად ვერაფერი გააკეთა. დიალოგის დაწყებაც კი ვერ შეძლო, მიუხედავად იმისა, რომ თავის პრინციპებზეც უარი თქვა — იცით, რომ საზღვარი ცალმხრივად გახსნა. შემდეგ დათმობის პოლიტიკით მიუდგა ბევრ საკითხს, მაგრამ რეალური შედეგი მაინც ვერ მიიღო. რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებას ხმა მისცა, მაგრამ ამითაც ვერაფერს მიაღწია. ამიტომ წინა ხელისუფლების წარმომადგენლები დღეს შეშინებულები არიან, რომ ახალმა ხელისუფლებამ ამ მოკლე ვადაში შეძლო ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა. ის, რომ რუსულ ბაზარზე ქართული ღვინო და აგრარული ნაწარმი გაიყიდება, ნიშნავს, ძველმა ხელისუფლებამ რაც წლების განმავლობაში ვერ შეძლო, ახალმა ხელისუფლებამ 6 თვეში გააკეთა.

პრეზიდენტი და უმცირესობა ამ დეზინფორმაციით ცდილობენ, ახალი ხელისუფლების მიერ გაკეთებული საქმეების დისკრედიტაცია მოახდინონ და ამით თავიანთი ხუთწლიანი უმოქმედობა გაამართლონ, რომ თითქოს რუსეთთან არაფერი გამოდის. როგორ არ გამოდის — ღვინო მიდის, აგრარული პროდუქტი მიდის, რაც დამატებით რამდენიმე ათეულ მილიონს შემოუტანს ქვეყანას, ხალხს დაასაქმებს, დოვლათი შეიქმნება, შიდა ბაზრი ამოქმედდება და მოსახლეობას მეტი ინტერესი გაუჩნდება, დაკავდეს სხვადასხვა ბიზნესით. ეს ყველაფერი გააძლიერებს ქვეყნის ეკონომიკას და უსაფრთხოებას. ამასთანვე, იქნება მოტივაცია აფხაზი და ოსი ძმები, ჩვენი თანამოქალაქეები, დაინტერესდნენ საქართველოსთან ინტეგრაციით. ეკონომიკა, დემოკრატია პირდაპირ კავშირშია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან.

— **უმცირესობა ხშირად გახსენებთ აფხაზეთის მონაკვეთზე საზღვრის ლიბერალიზაციას. ეს საკითხი მოსახლეობისთვისაც ბუნდოვანია.**

— ნაცმოძრაობა ამ თემით მართლაც ხშირად აპელირებს, მაგრამ ეს საკითხი არანაირ კავშირში არ არის ოკუპაცია-დეოკუპაციასთან. ნაცმოძრაობა ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ცდილობს, მოსახლეობას ტვინი აურიოს.

— **და რა გახდა ამ ცვლილების საფუძველი?**

— პირველ რიგში, ჰუმანური დამოკიდებულება უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ. წარმოიდგინეთ სურათი: უცხოეთის, ვთქვათ, გერმანიის მოქალაქემ გადმოკვეთა საზღვარი ფსოუს გამშვები პუნქტიდან, წამოვიდა ზუგდიდის მიმართულებით, მივიდა ქართულ ადმინისტრაციულ საზღვართან და მიაწოდა პასპორტი. ამ მომენტში მან გადადგა ნაბიჯი, რომლის მიხედვითაც, ის შეიძლება გახდეს მსხვერპლი და 2-დან 4 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიესაჯოს. აქ ლაპარაკია ყველა იმ ადამიანზე, რომელიც თავისი ფეხით მივიდა ქართველ სამართალდამცავებთან და წარუდგინა პასპორტი, ანუ მათ არ იცოდნენ ამ კანონის შესახებ.

> **„რუსეთს უნდა, რომ ტერორისტები ჩვენკენ გადმოდენოს. უნდა, მისადმი მტრულად განწყობილი ძალები მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე იყოს და ეს მერე საერთაშორისო ზეწოლისთვის გამოიყენოს. თუ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა, უნდა ვიცოდეთ, რომ მსგავსი იდიოტობა მეორედ აღარ გავიმეოროთ".**

სხვა შემთხვევაში, ჩვენ თუ გვინდა, აღვკვეთოთ რაიმე მიმოსვლა აფხაზეთში, არსებობს ოკუპაციის შესახებ კანონი, სადაც წერია, რომ სამეწარმეო საქმიანობა აკრძალულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ, თუ ვინმე იქ დასაქმებულია ან ბიზნესს ეწევა, ექცევა შესაბამის ბაზაში და მის წინააღმდეგ ამოქმედდება სხვადასხვა საერთაშორისო სანქცია. სხვათა შორის, საერთაშორისო ორგანიზაციები ამ მუხლის გამო ჩვენ მიმართ საკმაოდ კრიტიკულები იყვნენ. ამიტომ ჩვენი წინადადება გახდა, თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე გადაკვეთს და შემოვა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, მას ადმინისტრაციული ჯარიმის დაკისრებასთან ერთად მიეცეს გაფრთხილება, რომ მეორედ გადაკვეთის შემთხვევაში პატიმრობა შეეფარდება. ისიც მინდა იცოდეთ, რომ ნაციონალების მიერ მიღებული მუხლი გულისხმობს არამხოლოდ პატიმრობას, არამედ პატიმრობას ან ადმინისტრაციულ სასჯელს და ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ დაკონკრეტებას ვახდენთ. ანუ, თუ არსებული კანონით ან იჭერენ, ან ადმინისტრაციულ სასჯელს ახდევინებენ, ახალი ფორმულირებით, პირველ შემთხვევაში ჯარიმა იქნება და მერე — პატიმრობა.

— **ივანიშვილი ტელეინტერვიუში ლაფანყურის ოპერაციას და საქართველოში ტერორისტების მომზადების საკითხებსაც შეეხო, რაც უპასუხისმგებლო განცხადებად შეფასდა უმცირესობისგან.**

— ბატონი ბიძინა სახალხო დამცველის ანგარიშს დაეყრდნო. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ჩვენ ომბუდსმენის ანგარიშს ყურადღებით ვეცნობით. სახალხო დამცველმა წარმოადგინა საკმაოდ ვრცელი მასალა და სამართალდამცავი ორგანოები ვალდებული არიან, რეაგირება მოახდინონ. ბატონმა ბიძინამ თქვა, არსებობს სხვადასხვა ეჭვი, მათ შორის სახალხო დამცველის მხრიდან გამოთქმული, ამაზე ვმუშაობთ და გამოძიება დაადგენს, არსებული ეჭვების და ფაქტების სიზუსტესო.

— **სააკაშვილმა განაცხადა, როცა ბოსტონის ტერაქტში ბრალდებული ძმები ცარნაევების გვარი საქართველოს დაუკავშირეს, ამ ფონზე ასეთი განცხადება ქვეყნისთვის საზიანოა და პრემიერი ამას უნდა ხვდებოდესო.**

— თუ რაიმე კავშირი არსებობს, რაც მე ნაკლებად მგონია, ამერიკელები ამ საკითხს მაინც გამოიძიებენ და ის უფრო ცუდი არ იქნება, ჩვენ სირაქლემას პოზიციაში ვიყოთ და მერე ვიღაცამ პანჩური ამოგვარტყას?! თუ ჩვენ გვინდა, დემოკრატია ავაშენოთ, პირველ რიგში, კანონი უნდა კანონობდეს. თუ ვიღაცამ დანაშაული ჩაიდინა, ამაზე პასუხიც უნდა აგოს. იმაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, ვაიმე, ეს ჩვენს ქვეყანას იმიჯს შეულახავსო. იმაზე უნდა გვეფიქრა, თუ ამას ვინმე აკეთებდა, ადრე თუ გვიან ამოტივტივდებოდა და ქვეყნის იმიჯს და სახელს დააზიანებდა. ასე რომ, სააკაშვილი იმაზე კი არ უნდა საუბრობდეს, ხელი დაგვაფარეთო, არამედ თავის დროზე არ უნდა გაკეთებინა ისეთი რამ, რაც შეიძლებოდა ქვეყანას ბუმერანგივით შემოტრიალებოდა.

— **ის, რომ საქართველოს ხელისუფლება ტერორისტებს ხელს უწყობდა, რუსეთის მხრიდან არაერთხელ გაჟღერებულა. პრემიერის ინტერვიუს შემდეგაც რუსულმა მედიამ ამას დიდი დრო დაუთმო. ნაციონალების აზრით, მსგავსი განცხადებებით ახალი ხელისუფლება მოსკოვს თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას აძლევს.**

— რუსეთს თუ აქვს ბოროტი ზრახვები საქართველოს მიმართ და ეს არაერთხელ გამოვლენილა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ, ახალი იქნება თუ ძველი, ხელი უნდა შეუწყოს მას ამის განხორციელებაში. იგივე პოზიცია მაქვს ომთან დაკავშირებით. ცხადია, რუსეთს რომ უნდოდა ჩვენი ტერიტორიების ოკუპირება, მაგრამ ჩვენ როგორ დავიცავით ჩვენი ტერიტორიები? ჩვენ ხომ არ შევუწყვეთ ხელი ამ ოკუპაციას ჩვენი არასწორი პოლიტიკით და ქმედებით? იგივე პასუხი მექნება ამ კონკრეტულ ფაქტებთან დაკავშირებითაც. რუსეთს უნდა, რომ ტერორისტები ჩვენკენ გადმოდენოს. ლოგიკურიცაა, უნდა, მისადმი მტრულად განწყობილი ძალები მოწინააღმდეგე ქვეყნის ტერიტორიაზე იყოს და ეს მერე საერთაშორისო ზეწოლისთვის გამოიყენოს. ამ სიტუაციაში ჩვენმა ხელისუფლებამ რა უნდა გააკეთოს, მარტივი გასაგებია. თუ ასეთი რამ მართლაც ხდებოდა, უნდა ვიცოდეთ, რომ მსგავსი იდიოტობა მეორედ აღარ გავიმეოროთ.

— **ომბუდსმენი აცხადებს, რომ, თუ ლაფანყურის საქმეზე კონკრეტული შედეგი არ დაიდება, მის ხელთ არსებულ მასალებს გამოაქვეყნებს და იქვე აკონკრეტებს, რომ არის ფაქტები, რომლებიც ანგარიშში არ შესულა.**

— სახალხო დამცველი პარლამენტმა აირჩია და მისი არჩევისას კრიტერიუმი იყო სწორედ ის, რომ ყოფილიყო დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სახელმწიფო არ უნდა ჩარეულიყო მის გადაწყვეტილებებში. მისი უფლებაა, რასაც გადაწყვეტს.

✓ პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ



Cyan Magenta Yellow Black


GOOD TRAVEL
Tourism Company
ეგარი
EGARI
ევროპის დღისადმი მიძღვნილი სოლო კონცერტი
ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკალურ ცენტრში
11.05.2013
20:00 საათი
მონაწილეობენ:
შვედური ჯაზ-ტრიო
MUSICMUSICMUSIC
ცნობილი საქსაფონისტი
NILS BERG
GEORGIAN HOUSE
TBILISI CENTRE OF CULTURAL EVENTS
GOOD TRAVEL
Tourism Company
PRIME Time
STAR FM 93,9
PRCO
INNOVATION STRATEGY
COMPANY
URBAN
SI.
Swedish Institute.
HOOB
Records
FOLK
რადიო • RADIO FM 99.3
STATENS
MUSIKVERK
ყოველკვირეული ჟურნალი
სარკე
ინფორმაციისათვის დარეკეთ: +(995 79) 777 733

# „ბერამ მიმაღლებინა გადაწყვეტილება, ბიძინას გვერდით დავმდგარიყავი“

## რას ფიქრობს გია ხუხაშვილი ქართულ იუმორისტულ შოუებზე — „თქვენი ეკრანის გამოსვლის შემდეგ ალბათ ყველას ყბაში ერთად ჩავვარდები"



რუხ კარდინალად წოდებული, განუსაზღვრელი გავლენის მქონე პიროვნებად მონათლული, პრემიერმინისტრის მრჩეველი, ექსპერტი გია ხუხაშვილი ტელეგადაცემის ავტორად და წამყვანადაც მოევლინა საზოგადოებას. „იმედის“ ეთერში მასთან ერთად ზის კიდევ ხუთი მეტნაკლებად ცნობილი საზოგადო სახე — ამავე ტელეკომპანიის ხელმძღვანელი რეზო საყევარიშვილი, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი ნინა ხატისკაცი და ადვოკატი ლია მუხაშავრია. ექვსკაციანი ჯგუფის წევრები აპირებენ, რა გადაწყვეტილებასაც პირდაპირ ეთერში მიიღებენ, მას სახელისუფლებო წრეებშიც ლობირება გაუწიონ.

**გია ხუხაშვილი:**

— გადაცემის იდეა მე მეკუთვნის. 20 წელზე მეტია მუდმივად ორი რადიკალური მონოლოგი გვაქვს და ამ მონოლოგების დიალოგში გადაყვანას ვერ ვახერხებთ. თუ გვინდა, საზოგადოება

> **„როგორ შეიძლება ვანო ჯავახიშვილზე გაბრაზებული ვიყო?! უფრო პოზიტიურად მოქმედებს ხოლმე მისი ნათქვამები ჩემზე, ვიდრე უარყოფითად. არის იქ ბოროტი გამოხდომებიც, მაგრამ ჩემთვის ეს პრობლემა არაა. „ვანოს შოუს" არ ვუყურებ, რადგან ეს იუმორის პროვინციული სტანდარტია".**

ჩამოყალიბდეს, ერთმანეთის მოსმენა და ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღება უნდა ვისწავლოთ. ეს არის გადაცემა, რომლის მაგიდაზეც იდება რომელიმე აქტუალური საკითხი. შემდეგ კი რვა ადამიანი — ექვსს პლუს ორის პრინციპით, ამ თემაზე მსჯელობს და ცდილობენ, მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რაც ორი დაპირისპირებული მხარისთვის მისაღები იქნება; იპოვონ ისეთი ფორმულა, რომელიც ყველას გაამთლიანებს. ამ გადაცემით ჩვენ რა რეკომენდაციასაც დავდებთ, იმის ღია ლობირებას დავიწყებთ.

**— ისედაც ამბობენ, რომ სამთავრობო დონეზე ყველა გადაწყვეტილება თქვენთან შეთანხმებით მიიღება და ახლა პირდაპირ ეკრანიდან თუ დაიწყეთ თქვენი შეხედულებების ლობირება, წარმოგიდგენიათ, რა ამბავი ატყდება, თქვენზე რას იტყვიან?**

— ჩემზე რა ლეგენდაც არის, მინდა, ეს ყველაფერი ეკრანზე გამოვიტანო და საზოგადოებამ შეაფასოს, ეს ცუდია თუ კარგი. ზურგს უკან არასოდეს არაფერს ვაკეთებ. სასაცილოა, როცა ჩემზე ლაპარაკობენ, როგორც კულისებში მოთამაშეზე. საჯარო ფიგურა ვარ და დღეში უამრავ ინტერვიუს ვაძლევ. კულისებში მოთამაშე კი მხოლოდ ჩრდილში მუშაობს. რასაც ვფიქრობ, მხოლოდ იმას ვლაპარაკობ.

**— საუბარია „იმედზე“ თქვენი დიდი ზეგავლენის შესახებაც.**

— გავლენა მინდა და ამიტომ გადაცემას ვაკეთებ?! ჩემი გავლენების თემა უკვე ძალიან სასაცილოა. ჩემი სურვილი იყო, „იმედი“ თავის მეპატრონეს დაბრუნებოდა. ბადრი პატარკაციშვილის ხსოვნას და მის ოჯახს საკმარის პატივს ვცემ. არც მათ ვაკადრებ და არც საკუთარ თავს, რომ „იმედზე“ გავლენა მოვიპოვო. მათ ეს პროექტი შევთავაზე. „იმედის“ ხელმძღვანელ რეზო საყევარიშვილთან მქონდა ურთიერთობა, მას გავუფორმეთ ხელშეკრულება. ჩვენ აქიდან ფინანსური სარგებელი არ გვაქვს. ამ გადაცემიდან მთელი შემოსავალი „იმედს“ მიაქვს. თავიდან ვფიქრობდი, რომ შეგვეძინა საეთერო დრო და ეს ყოფილიყო ჩვენი, საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის პროექტი, მაგრამ კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ერთობლივი გამხდარიყო.

**— ტელეწამყვანობის გამოცდილება თუ გაქვთ?**

— არანაირი და არც ამის ნიჭი მაქვს. მეც და ყველა ჩემი მეგობარიც, ვინც ამ გადაცემაში ზის, უფრო კითხვებზე ვპასუხობთ, ვიდრე კითხვას ვსვამთ. აქ იქნება კამათი, ჩხუბი, მაგრამ ჩვენი მიზანი დაპირისპირება არ არის. ეს იქნება ერთ-ერთი მცირე აგური იმ გზაზე, რომელზეც საზოგადოების ფორმირება უნდა მოხდეს. ჩვენც შეგვეძლო, რომელიმე სამინისტროსთან შიმშილობა დაგვეწყო, მაგრამ ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის სატელევიზიო პროექტი ვარჩიეთ. საზოგადოების როლიც ეს არის — ჩვენი აქტიურობა. მხოლოდ ასე შეიძლება ხელისუფლების დაბალანსება. თუ მივიძინეთ, როგორი კარგი პიროვნებაც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, ხვალ ისევ ავტორიტარიზმს მივიღებთ.

> **„ბიძინა ივანიშვილი ჩემი გადაცემის მეორე ნაწილს ვერ უყურებს, რადგან 10 საათზე იძინებს. ასეთი რეჟიმით ცხოვრობს".**

**— თქვენი და პრემიერმინისტრის მეგობრობაზეც დადის ლეგენდები და არავინ დაიჯერებს, რომ თქვენი გადაცემა მასზე ზეწოლისკენაა გამიზნული.**

— მასთან ადამიანური, მეგობრული ურთიერთობა მაქვს და, მგონი, ამ ქვეყანაში ჯერ ეს არ იკრძალება. ვერც იმას ვიტყვი, როცა ვხვდებით, სახელმწიფოებრივ საკითხებზე არ ვლაპარაკობთ, თუმცა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ვმონაწილეობ. ჩემს თავს ამის უფლებას არ ვაძლევ. ისიც მისვამს კითხვას და მეც ვუსვამ.

> **„ბოროტებაა, როცა აღდგომის წინ ადამიანს კვერცხის ბიზნესში, საბოტაჟში ბრალს დასდებ. მართლმადიდებელი ვარ, მაგრამ — ებრაული წარმოშობის და ეს კონტექსტი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ყველაფერს".**

**— მაგალითად, როცა კობა დავითაშვილთან დაკავშირებული საკითხის განხილვა ხდებოდა, შეხვედრაზე თქვენც მიხვედით...**

— იმ დღეს იქ სრულიად შემთხვევით მოვხვდი და დავითაშვილი საერთოდ არ მინახავს. ისე მოვიდა და წავიდა, არ შევხვედრივარ. მათ ისაუბრეს და მე პრემიერმინისტრს ველოდებოდი. სერგეენკოც იქ ყოფილა, მაგრამ სანამ იქ ვიყავი, არც ის მინახავს. შემიძლია მომხდარი ამბის შეფასება გავაკეთო, მაგრამ ასეთი ვითარების გარკვევაში არასოდეს ვმონაწილეობ.

**— ბიძინა ივანიშვილმა იცოდა, გადაცემის გაკეთებას რომ აპირებდით?**

— რა თქმა უნდა, მასთანაც ამაზე ვისაუბრე. დეტალების გასარკვევად, რა თქმა უნდა, არ სცალია. მინდა ვთხოვო, რომ ჩემს გადაცემას უყუროს, მაგრამ ვიცი, მეორე ნაწილს ვერ უყურებს, რადგან 10 საათზე იძინებს. ასეთი რეჟიმით ცხოვრობს.

**— ქვეყნის მმართველი რომ 10 საათზე იძინებს, ეს ცოტა ადრე ხომ არ არის?**

— თუ დილის 6-ის ნახევარზე იღვიძებს, სულაც არ არის ადრე 10 საათზე დაძინება. ამ დროში ბევრად მეტის მოსწრება შეიძლება, ვიდრე მაშინ, როცა 11-ზე გაიღვიძებ. გაბრაზდებიან ალბათ, მაგრამ ახლაც არიან ისეთი მინისტრები, რომლებიც ამ დროს იღვიძებენ.

**— იცით, რომელ მინისტრზეა გაბრაზებული ბატონი ბიძინა?**

— რომც ვიცოდე, ამაზე არ ვილაპარაკებ. ჩემს ცოლსაც ხშირად ვეკითხები აზრს, მაგრამ ჩვენი ოჯახის რუხი კარდინალი ნამდვილად არ არის. ლეგენდა ჩემზე გასაგებია და არც ვღიზიანდები ამაზე. უბრალოდ მწყინს, როცა ეს ყველაფერი ბოროტებაში გადადის.

**— კვერცხის ბიზნესზე გავლენასაც მოგაწერენ.**

— რამდენიმე ადამიანია, ვინც ჩემზე ასეთ ინფორმაციებს ავრცელებს და მათ დაავადებას ხუხაფობია ვუწოდე. გარდა იმისა, რომ აბსოლუტურ სისულელეებს ლაპარაკობენ, ბოროტებაა, როცა აღდგომის წინ ადამიანს კვერცხის ბიზნესში, საბოტაჟში ბრალს დასდებ. მართლმადიდებელი ვარ, მაგრამ — ებრაული წარმოშობის და ეს კონტექსტი კიდევ უფრო ამძაფრებს ამ ყველაფერს. კვერცხს არც კი ვჭამ და წარმოდგენაც არ მაქვს, რა ხდება ამ ბიზნესში. 10 წელია ვწერ, რომ ადგილობრივი წარმოების ლობისტი ვარ და ახლა იმპორტის ლობირებას მაბრალებენ. ადრეც ხელფასზე ვცხოვრობდი და ახლაც ასე ვარ.

> **„ვასიკო ოდიშვილი ძალიან მიყვარს, მაგრამ მეჩვენება, რომ ცოტა უფრო ბოროტი გახდა. უფრო სუბიექტურია, ვიდრე ადრე იყო".**

**— ვანო ჯავახიშვილი თავის შოუში ხშირად გახსენებთ ამ სიტყვებით — „ოოო, დიდო ხუხაშვილო“. ხომ არ ბრაზდებით მის ამ ხუმრობაზე?**

— როგორ შეიძლება ვანო ჯავახიშვილზე გაბრაზებული ვიყო?! რომ მეტყვიან, შენზე რაღაც თქვაო, გადავახვევ ხოლმე და ვუყურებ. ჩემთვის ის ესთეტიკა,



Cyan Magenta Yellow Black

რომლითაც ის გადაცემას აკეთებს, პროვინციულია და მისაღები არ არის. უფრო პოზიტიურად მოქმედებს ხოლმე მისი ნათქვამები ჩემზე, ვიდრე უარყოფითად. არის იქ ბოროტი გამოხდომებიც, მაგრამ ჩემთვის ეს პრობლემა არაა. „ვანოს შოუს“ არ ვუყურებ, რადგან ეს იუმორის პროვინციული სტანდარტია. მე ცოტა სხვა ტიპის იუმორზე ვარ გაზრდილი.

**— რომელი იუმორისტული შოუ მოგწონთ?**

— არც ერთი! „ყოველდღიური აბები“ ცოტა ხნის წინ ბევრად უფრო ცოცხალი იყო. ახლა ცოტა სიცოცხლე დაკარგა. ვასიკო ოდიშვილი ძალიან მიყვარს, მაგრამ მეჩვენება, რომ ცოტა უფრო ბოროტი გახდა. უფრო სუბიექტურია, ვიდრე ადრე იყო.

**— იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილის და ახალი მთავრობის კრიტიკა-გაშარჟება დაიწყო?**

— შეიძლება სუბიექტურიც გახლავართ. გეუბნებით იმას, რასაც ვფიქრობ. მომეჩვენა, რომ ერთი-ორი ბოროტი ხუმრობა ჰქონდა ივანიშვილზე, რაც ნამდვილად საწყენი იყო. ხელისუფალზე უნდა ილაპარაკოს, მაგრამ ერთია კრიტიკა და მეორე — არსებობს წითელი ხაზი, რომელსაც არ უნდა გადააბიჯო. მომეჩვენა, რომ ერთი-ორჯერ ეს წითელი ხაზი გადაკვეთა.

გადაცემა „კაცების შოუს“ იუმორის ესთეტიკა ჩემთვის ყველაზე მისაღები იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს იქაც გაჩნდა ყალბი ნოტები, რაც ძალიან მაწუხებს. არ ვიცი, ამ ხალხს რა ემართება. მეჩვენება, რომ დაძაბულები არიან. თქვენი ჟურნალის გამოსვლის შემდეგ ალბათ ყველას ყბაში ერთად ჩავვარდები. მათ მიმართ არ მაქვს უარყოფითი გრძნობა. უბრალოდ ვისურვებდი, უფრო ცოცხლები და ნატურალურები იყვნენ.

**„ნანუკა ჟორჟოლიანი „იმედში“ ცინიზმის მწვერვალი იყო. ეს ადამიანი თავს უფლებას აძლევდა, „იმედის“ პავილიონში რაღაც ეკეთებინა მას შემდეგ, რაც მის ოჯახს ინციდენტი ჰქონდა ამ ტელეკომპანიის რეალურ მფლობელთან“.**

**— ოთარ ტატიშვილის შოუზე რას ფიქრობთ?**

— ოთარ ტატიშვილი ძალიან კარგი იყო სერიალში, მაგრამ, როგორც შოუმენი, სრული კატასტროფაა! მიყვარდა „შუა ქალაქში“, მაგრამ ახლა ამ სერიალს აღარ ვუყურებ. ალბათ ახლაც კარგია, მაგრამ ის აღარ არის, რაც მაშინ იყო.

**— ახლა „ჩემი ცოლის დაქალები“ ყველაზე პოპულარული სერიალია.**

— არ ვიცი, არ მიყურებია.

**— თურმე არც ნანუკა ჟორჟოლიანის შოუს უყურებთ. მხოლოდ ის გადაცემა გინახავთ, ბერა რომ ჰყავდა მიწვეული. ახლახან ნანუკამ „ფეისბუქზე“ თქვენზე დაწერა — „ოოო, დიდო ხუხაშვილო, დიდი მადლობა, რომ ჩემი გადაცემა ნახეეე!“. ეს მას შემდეგ, რაც თქვენ გითქვამთ, „ნანუკას შოუს“ საერთოდ არ ვუყურებ და ახლა ვნახე ის გადაცემა, სადაც ბერა ჰყავდა სტუმრადო.**

— „ნანუკას შოუს“ არასოდეს ვუყურებდი, რადგან ნანუკა ჟორჟოლიანი „იმედში“ ცინიზმის მწვერვალი იყო. ეს ადამიანი თავს უფლებას აძლევდა, „იმედის“ პავილიონში რაღაც ეკეთებინა მას შემდეგ, რაც მის ოჯახს ინციდენტი ჰქონდა ამ ტელეკომპანიის რეალურ მფლობელთან. არ მგონია, ნანუკა იმდენად მიუხვედრელი იყოს, რომ ეს ვერ გაეცნობიერებინა. რაც შეეხება ბერას სტუმრობას მის შოუში, ეს მაშინ ვნახე, როცა ბიძინა ივანიშვილმა პირველად მოინდომა ჩემთან შეხვედრა და მინდოდა, მის ოჯახს გავცნობოდი. ვიღაცამ მითხრა, კარგი ბიჭი ჰყავსო და მირჩიეს, ეს გადაცემა მენახა. ბერას მონაყოლი იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც მიმაღებინა გადაწყვეტილება, ბიძინა ივანიშვილის გვერდით დავმდგარიყავი. იგი დავინახე შვილის პრიზმაში და ეს ჩემთვის სერიოზული სტიმული იყო. ასეთი შვილის გამზრდელი მამა არ შეიძლებოდა ისეთი არ ყოფილიყო, როგორი ლეგენდაც მასზე დადიოდა.

ის კომენტარი გადაცემის ნახვისთანავე გავაკეთე, მაგრამ ახლა ნაციონალურმა მოძრაობამ მიიღო გადაწყვეტილება, ხუხაშვილი ყველამ ახსენოს. ნანუკამ კი არქივიდან ამოიღო ეს ჩემი ერთი წლის წინ ნათქვამი და ვანო ჯავახიშვილის სიტყვები დაუმონტაჟა. ნაციონალები ხომ მონტაჟის დიდოსტატები არიან და...

**— თქვენს გადაცემაში ნაციონალებიც მოვლენ?**

— სურვილი მექნება, ჩვენს გადაცემაში ვნახო, მაგალითად, დავით ბაქრაძე და ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მსჯელობა, თუმცა მათ ჩემთან პრობლემა აქვთ.

**— სულ რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად დაინიშნეთ პრემიერმინისტრის ერთ-ერთ მრჩევლად.**

— დიახ და ამ მოვალეობას ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე შევასრულებ.

**— ტელევიზიაში უხელფასოდ იმუშავებთ, პრემიერმინისტრის მრჩეველი უხელფასოდ იქნებით. გაწეული სამუშაოსთვის ანაზღაურებაზე უარის თქმა რას ნიშნავს?**

— გიკვირთ? ინსტიტუტში მაღალი ხელფასი მაქვს. თავისუფლება მჭირდება და ამას ვერ დავკარგავ. მე მაქვს დაახლოებით ორჯერ მეტი ხელფასი, ვიდრე ნებისმიერ სხვა მინისტრს.

**— თქვენს ინსტიტუტსაც ბიძინა ივანიშვილი აფინანსებს.**

— არა, მის მიერ გადახდილი მხოლოდ ერთჯერადი გრანტი იყო და ისიც — „წინა ცხოვრებაში“.

✓ **რუსუდან ადვაძე**



# მამულიჩა მამამთილობას ჯერ არ აპირებს

## „მე პროდიუსერის თანაშემწე ვარ, პროდიუსერი, რა თქმა უნდა, ლელაა“



„ლელა წურწუმია ჩემი საკუთრება, ჩემი პროდუქტია, ვერსად გამექცევა, ჩვენ ერთნი ვართ და საქმის გაკეთებას ეს მიადვილებს“, — მამულიჩამ თავისი, როგორც პროდიუსერის, წარმატება მოკლედ ასე ახსნა. და მაინც, თვლის, რომ შეცდომებიც დაუშვა. დღევანდელ ქართულ შოუბიზნესში პროგრესს ვერ ხედავს, მაგრამ ის და მისი ცოლი მუშაობას არ წყვეტენ, გეგმავენ კონცერტებს, ფიქრობენ ახალი სიმღერების ჩაწერაზე.

კახა მამულაშვილს ანუ მამულიჩას პირველი ქორწინებიდან ვაჟი, ნიკოლოზი, ჰყავს, რომელიც 19 წლის არის და ნიუ იორკში ცხოვრობს, ამჟამად კი ცოტა ხნით საქართველოშია ჩამოსული. ბიჭი კრივით არის დაინტერესებული, რაც მამის გულს ძალიან უხარია, თუმცა იმის კი ეშინია, ერთ მშვენიერ დღეს ნიკოლოზმა მისი შეცდომა არ გაიმეოროს და ნაადრევად არ შეირთოს ცოლი.

**— შოუბიზნესში მუშაობამ რა გასწავლათ, რა გამოცდილება შეგძინათ?**

— ადამიანებთან ურთიერთობა მასწავლა, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან კავშირმა კი დიდი გამოცდილება მომცა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ეს ქვეყანა განვითარების საშუალებას არ იძლევა.

**— ამის გამო საქართველოდან წასვლაზე ხომ არ ფიქრობთ? როგორც ვიცი, ერთი პერიოდი თქვენს მეუღლეს ურჩევდით, რომ კარიერა სხვა ქვეყანაში აეწყო.**

— ლელას თავის დროზე მართლაც ვეუბნებოდი, წავიდეთ-მეთქი, მაგრამ მას საქართველოს დატოვება არ უნდა. ურჩევნია, ნაკლები შემოსავალი ჰქონდეს, მაგრამ თავის ქვეყანაში იყოს და ვართ ასე, ჩვენთვის. საზღვარგარეთ მხოლოდ პრივატსაღამოებზე მივდივართ.

**— მხოლოდ ლელას პროდიუსერობით და მისი კონცერტებით ირჩენთ თავს თუ სხვა ბიზნესიც გაქვთ?**

— რასაკვირველია, მხოლოდ შოუბიზნესით არ ვარ დაკავებული. ასე რომ იყოს, მერწმუნეთ, არსებობა გაგვიჭირდებოდა. სხვადასხვა საქმიანობას ვეწევი.

**— არ დააკონკრეტებთ?**

— კერძო საქმეები მაქვს... ისე არ არის, რომ ოფიციალურად სადმე ვიყო გაფორმებული და ხელფასი მქონდეს.

**— ბიზნესის მართვა როგორ გამოგდით?**

— თავის დროზე ავიაკომპანიაშიც ვმუშაობდი, ერთ-ერთი რესტორნის დირექტორიც ვიყავი. დიდი სამეგობრო მყავს, ბევრ ადამიანთან მაქვს ურთიერთობა, მათ შორის — ბიზნესსექტორთანაც.

**„წელიწადში ორი კონცერტი გვქონდა — თბილისობას და ახალ წელს და ლელა თითოთითო სიმღერას მღეროდა. საქართველოს კულტურის დღეებზე არასოდეს გამოვსულვართ, რისი მიზეზიც არ ვიცი“.**

**— ფინანსური კრიზისი გამოგიცდიათ?**

— 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოში სულ კრიზისია. შოუბიზნესში ყველაზე კარგი პერიოდი 2000-დან 2004 წლამდე იყო, მაშინ ესტრადა ყვაოდა. თუმცა არ მუშაობდა თეატრი, კინო, არ იყო ინტერნეტი. გართობის ერთ-ერთი საშუალება კონცერტი იყო და დარბაზები ამიტომაც ივსებოდა. დღეს ძალიან დიდი გაქანებაა, ინტერნეტმა ყველაფერი ჩაყლაპა. კონ-

→22

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს
კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს
და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58

ცერტს თუ სანახაობრივი შოუ არ ახლავს თან, არავის დააინტერესებს.

**— ამ სფეროს განვითარებას შეიძლება იმანაც შეუშალა ხელი, რომ სცენაზე არაჯანსაღი კონკურენცია იყო.**

— ჩვენ პოლიტიკურად ანგაჟირებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. აქ სულ არეულობებია, რაც შოუბიზნესსაც აზიანებს. ადამიანები პოლიტიკური ინფორმაციებით იმდენად არიან დაავადებული, რომ საინფორმაციო გამოშვებებს მიეჯაჭვნენ. უმუშევრობა კიდევ უფრო უწყობს ხელს, რომ ადამიანი ტელევიზორზე დამოკიდებული გახდეს. იქიდან კი ძირითადად უარყოფით ინფორმაციებს იღებს. ამ ტიპის ხალხს უჭირს გართობაზე გადმორთვა.

**— ლელას კონცერტებში მონაწილეობის პრობლემა არ ჰქონია...**

— ვიღაცას ჰგონია, რომ ყოველდღე კონცერტები გვქონდა და მსოფლიოს გარშემო დავდიოდით, რაც ასე არ იყო. 2004 წლიდან 2011 წლამდე წელიწადში ორი კონცერტი გვქონდა — თბილისობას და ახალ წელს და ლელა თითო-თითო სიმღერას მღეროდა. დანარჩენი სულ პრივატულ საღამოებში ვმონაწილეობდით. საქართველოს კულტურის დღეებზე არასოდეს გამოვსულვართ, რისი მიზეზიც არ ვიცი.

**— პოპულარული მომღერლის ქმარი — ამ სტატუსით კმაყოფილდებით?**

— ასეთ რაღაცეებს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ, უფრო მეტიც, საერთოდ არ მაქვს პრობლემა. ჩვენ ვართ ერთი მთლიანობა. სუფრასთან რომ ამბობენ, ლელას გაუმარჯოსო და მის მიმართ სიყვარულს გამოხატავენ, ძალიან მიხარია. ამაზე როგორ შეიძლება გავბრაზდე ან ვინერვიულო?! მე და ლელა მეგობრები ვართ და ეს არის ყველაზე მთავარი. ჩვენი ურთიერთობა წლებმა უფრო გაამყარა და გაამრავალფეროვნა. ჩვენი ოჯახის დანგრევა ბევრს სურდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. როცა წყვილი ნორმალურად ცხოვრობს, მის ირგვლივ იკრიბებიან ადამიანთა ჯგუფები, რომლებსაც სურთ, რომ ისინი ერთმანეთს დააშორონ. აი, ეს არის ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ცუდი — ბევრს ჭორაობენ.

**— თუმცა, მგონი, არავის უჭორავია, რომ თქვენ შორის მესამე ადამიანი იდგა.**

— მსგავსი მართლაც არაფერი ყოფილა. ლელა არის ჩემი ცხოვრების გატაცება და ვინ რას იტყოდა?!

**— ამ შემთხვევაშიც ვრცელდება ხოლმე ხმები.**

— თუ იჭორავებენ, იჭორაონ, რა ვქნა! ჩემზეც და ლელაზეც ბევრ სიბინძურეს ამბობენ ხოლმე. ასეთ რაღაცეებს რომ ავყვე, შეიძლება გავგიჟდე და თავი მოვიკლა. ჩვენ ერთმანეთში ურთიერთობები გარკვეული გვაქვს.

**— ოჯახში ვის რა ფუნქცია გაკისრიათ?**

— მე პრეზიდენტის თანაშემწე ვარ, პრეზიდენტი, რა თქმა უნდა, ლელაა... (იცინის). ფუნქციები არ



■ მამა-შვილი

გაგვინაწილებია. ხომ გითხარით, ჩვენ ერთი მთლიანობა ვართ. მე ვაკეთებ ყველაფერს, ლელა რომ დილით ადგება, იცოდეს, იმ დღეს რა აქვს შესასრულებელი.

**„ლელა ამბობს, რომ მარიკო დედას ჰგავს, მასავით ჯიუტი და შეუვალია. ნიკოლოზი კი მე მგავს, უბრალოდ ქერათმიანია. ჩემი ორივე შვილი კეთილია“.**

**— მის განრიგს წინასწარ წერთ?**

— არ ვწერ, ვიმახსოვრებ. საოცარი მეხსიერება მაქვს, არასოდეს არაფერი მავიწყდება.

**— როგორი იყო თქვენი ცხოვრება, სანამ ლელას ცოლად მოიყვანდით?**

— ადრე მარტო ვმუშაობდი, ჩემი საქმე მქონდა. ლელას გამოჩენის შემდეგ კი ჩემი ცხოვრება გამრავალფეროვნდა. ერთადერთი, რაც ახლა ჩვენ გვაკლია, ეს არის აქტიურობა. ამ ეტაპზე პროგრესი არ არის, კონკურენცია არ არსებობს. ახალი სიმღერა ბოლოს როდის მოისმინეთ?

**— ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ისედაც ფაქტია, რომ მომღერლები ახალ სიმღერებს ნაკლებად წერენ.**

— საქმეც ეს არის! თუ ახალი სიმღერები არ ჩაწერეს, არასოდეს არაფერი შეიცვლება. ახლა უკვე დადარდიანებული ვლაპარაკობ შოუბიზნესზე, ადრე უფრო ემოციური ვიყავი. არავინ არაფერს აკეთებს, პროდიუსერის ინსტიტუტი ნულზეა დასული. ადრე ნატო დუმბაძე აკეთებდა საქმეს საქართველოში, ახლა ის პოლიტიკურ ჩრდილშია, ისიც დაიღალა ენთუზიაზმზე მუშაობით.

**— თქვენ როგორ შეძელით, რომ ყველა დროში გეკეთებინათ საქმე?**

— ლელა ჩემი საკუთრებაა, ჩემი პროდუქტი, ჩემი ოჯახის წევრია, ვერსად გამექცევა. ჩვენ ერთნი ვართ და საქმის კეთებას ეს მიადვილებს. ლელა წურწუმია არის ბრენდი, თავისი სახელი აქვს, რასაც ძალიან ვუფრთხილდები.

**— თუმცა ალბათ შეცდომებიც გაქვთ დაშვებული, რამაც თქვენს საქმეში უკან დაგხიათ. ასე არ არის?**

— გეთანხმებით, შეიძლება შეცდომები ჩვენც გვაქვს დაშვებული. მაგალითად, იმასაც შეცდომად მივიჩნევ, რომ აქედან არ წავედით. ლელას რუსეთიდან მიწვევები ჰქონდა, მაგრამ უარი თქვა. იქ ახლაც ეპატიჟებიან... ისრაელიდანაც აქვს შემოთავაზებები, მაგრამ იქ წასვლაზეც უარს ამბობს.

**— ლელაზე ამბობენ, რომ ის საქართველოში ყველაზე დიდ ჰონორარს იღებს.**

— სხვების ჰონორარებს არ ვითვლი, მაგრამ დევანდელი გადმოსახედიდან, ლელა ძალიან ძვირადღირებული ბრენდია.

**— და როგორია ის სახლში, როგორიც ვერ წარმოუდგენია საზოგადოებას?**

— ყოველივე წარმოუდგენელი საიდუმლოდ დავტოვოთ.

**— ყოველთვის აღნიშნავთ, რომ კარგი კულინარია. რას გიმზადებთ?**

— სხვა დეტალები უფრო საინტერესოა, რომლებსაც საიდუმლოდ დავტოვებ. ის „რაღაც“ რომ ვთქვა, მერე უინტერესო გახდება. როდესაც ადამიანი პოპულარულია, მის შესახებ ყველას ყველაფერი აინტერესებს.

**— თქვენი მამაკაცური გართობები რა არის — ნადირობა, თევზაობა...**

— თევზაობა და ნადირობა არ მხიბლავს. წლების წინ ვცადე, მაგრამ ამ პროცესმა არ დამაინტერესა. მე მიყვარს ტეხასური პოკერის თამაში, ტურნირებზე ხშირად ვაქტიურობ. გართობა, დისკოტეკებზე სიარული ძალიან მიყვარს. ვუსმენ ჰაუსს, ჯაზს. როკს პატივს ვცემ, მაგრამ ეს ჩემი მუსიკა არ არის. ლელას ჰაუსი არ მოსწონს, ჯაზი უყვარს. ლელას დისკოტეკებზე ხან შეუძლია გაერთოს, ხან — არა. ზოგადად ხმაური არ სიამოვნებს. მაშინ, როცა კლუბში კარგი დიჯეი ჩამოდის, მეგობრებთან ერთად ხშირად ვერთობი.

**— გართობაში ალკოჰოლიც იგულისხმება?**

— არანაირ სასმელს არ ვსვამ და არც ვეწევი.

**— კაზინოშიც თამაშობთ?**

— „რულეტკასთან“ ძალიან იშვიათად ვმჯდარვარ, ასეთი რაღაცეები არ მხიბლავს.

**— როგორი მამა ხართ?**

— ცუდი... (იცინის). მყავს უფროსი ვაჟი, 19 წლის ნიკოლოზი. ამერიკაში ცხოვრობს და ახლა ირჩევს პროფესიას. მარიამი კი 11 წლისაა, რომელიც უფრო ჩემი მშობლების შვილია, ვიდრე ჩემი და ლელასი, მათთან იზრდება. ჩემი შვილებით ძალიან ვამაყობ, ვფიქრობ, მათთვის მისაღები მამა ვარ. ნიკოლოზი ამჟამად აქ არის. საქართველოში წელიწადში ორჯერ ჩამოდის. გადაწყვიტა, კრივზე იაროს. მიხარია, რომ სპორტით დაკავდა. როცა ნიუ იორკშია, ერთმანეთს სოციალური ქსელით ვეკონტაქტებით.

**— ნიკოლოზის ცხოვრებას აკონტროლებთ?**

— ადამიანს რაც მეტ აკრძალვას დაუწესებ და გააკონტროლებ, ურთიერთობა მით უფრო ჩაიკეტება. მამა-შვილს შორის კი მთავარი ნდობაა. არაფერს ვუკრძალავ, უბრალოდ ჯერ ძალიან არ მინდა, რომ ცოლი მოიყვანოს.

**— შეყვარებული ჰყავს?**

— არა. მას არ აქვს ის ასაკი, რომ ოჯახი შექმნას. მეც მის ასაკში ვიქორწინე და არ მინდა, ჩემი მაგალითი გაიმეოროს.

**— თვლით, რომ თქვენი პირველი ოჯახის დანგრევის მიზეზი ასაკი იყო?**

— წლების მატებასთან ერთად ბევრი რამის გადაფასება ხდება, რაღაცეებს სხვანაირად უყურებ... ჩემს პირველ მეუღლეს პატივს ვცემ, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა გვაქვს.

**— მარიკოს რა ინტერესები აქვს?**

— ინტერნეტით სიმღერებს უსმენს, ანსამბლ „თელაში“, სამეჯლისო ცეკვებზე დაიწყო სიარული. მიზანდასახული ბავშვია, იცის, რა უნდა.

**— შვილებთან რა მსგავსებებს იჭერთ?**

— ლელა ამბობს, რომ მარიკო დედას ჰგავს, მასავით ჯიუტი და შეუვალია. ნიკოლოზი კი მე მგავს, უბრალოდ ქერათმიანია. ჩემი ორივე შვილი კეთილია. მარო თუ სადმე მიდის, უნდა, რომ ბავშვებს კანფეტები წაუღოს. თუ მის მეგობარს რაიმე არ აქვს, უჭირს, მოვა და გვეტყვის, იქნებ დავეხმაროთო.

**— ლელას და ნიკოლოზს როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან?**

— ძალიან კარგი, ახლო ურთიერთობა აქვთ. ხანდახან ისეთ თემებზე ლაპარაკობენ, რომ მე არც კი მეუბნებიან. ლელას ნიკოლოზი ძალიან უყვარს.

**— შვილებს ათამამებთ?**

— არა, მათთვის რამეზე უარის თქმა ჩვეულებრივი ამბავია.

✓ **ლანა კიკნაძე**



Cyan Magenta Yellow Black

სუბლინგვალური წვეთები

ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება

სიმპტომური გაუმჯობესება

ტკივილების შემცირება

სიცოცხლის გახანგრძლივება

# ნეოპლაზიური მკურნალობის დამხმარე საშუალება

# ვიდატოქსი

CH VIDATOX R 30

წარმოადგენს ჰომეოპათიურ პროდუქტს. მისი აქტიური მოქმედი ნივთიერებაა Rhopalurus junceus მორიელის შხამი პროპორციით 30/100 ერთეული. პროდუქტი პოტენციურად არატოქსიურია ხსნარის ფორმაში.




გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს

**ჯი პი სი -ს აფთიაქების ქსელი:**

ხიზანიშვილის ქ. 37
ჭავჭავაძის გამზ. 50
ყაზბეგის გამზ. 10
წერეთლის გამზ. 55
გამსახურდიას გამზ. 2
ვაჟა ფშაველას გამზ. 17
ვაჟა ფშაველას გამზ. 48
გამსახურდიას გამზ. 23/25

**ფარმადეპოს აფთიაქების ქსელი:**

წინანდლის №9 (არამიანცის ტერიტორია, №64 ცენტრალური აფთიაქი);
ირაკლი აბაშიძის ქ. №41;
სანაპიროს ქ. №10ა;
ც. დადიანის ქ. №2 (გადას. ხიდთან);
ჭიაურელის ქ. №11. (დიღმის მასივი)

**ჯი პი სი-ს საინფორმაციო სამსახური**
2 71 07 07

**ფარმადეპოს საინფორმაციო სამსახური**
2 400 004




Cyan Magenta Yellow Black

# გედევან ფოფხაძეს ბერად აღკვეცა სურს

## „პარლამენტის გამო წვერი მოვუშვი, რადგან ჩემთვის ცოტა დამძაბველი ატმოსფეროა"



გედევან ფოფხაძე ინტელექტუალური ტელეთამაშების მოყვარულთათვის ცნობილია, როგორც კლუბის „რა? სად? როდის?“ ერთ-ერთი ვარსკვლავური გუნდის კაპიტანი. მისი პოლიტიკური წარსულის შესახებ კი ფართო საზოგადოებისთვის ან არაფერი, ან ძალიან ცოტაა ცნობილი. არადა დღეს ის ხელისუფალია — მმართველი კოალიციის დეპუტატი საქართველოს პარლამენტში, მოპირისპირე „ბანაკში“ კი მისი მეგობრები მოხვდნენ. მოაზროვნე-დეპუტატს მათდამი დამოკიდებულება პოლიტიკამ ვერ შეაცვლევინა. ნიკა გვარამია და პალიკო კუბლაშვილი მისთვის ისეთივე ძვირფასები არიან, როგორიც სტუდენტობის პერიოდში იყვნენ, რასაც ვერ ვიტყვით გოგა ხაჩიძესა და სხვა ოპოზიციონერებზე, რომელთა საქციელი ისე აღიზიანებს, საქმის „სხვანაირ გარჩევებსაც“ არ გამორიცხავს.

— **ბატონო გედევან, დასაწყისისთვის იქნებ ცოტაოდენი ინფორმაცია მოგვაწოდოთ თქვენს ოჯახზე.**

— მყავს უფროსი ძმა, ბესიკ ფოფხაძე და დედა, ქეთევან შენგელია. მამა, გედევან ფოფხაძე, გარდამეცვალა. ის ინჟინერი იყო, ბორჯომში ერთ-ერთი გამორჩეული ადამიანი გახლდათ, ცნობილი იყო თავის სტუმართმასპინძლობით. მისგან ვისწავლე, რომ მეგობრობა მთავარი ღირებულებაა. წარმოშობით ბორჯომიდან ვართ.

მე და ჩემი ძმა საკმაოდ აქტიურები ვიყავით. 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში მე ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარედ ამირჩიეს, ჩემი ძმა კი — მერად. მე და ჩემი ძმა მთელი ცხოვრება ერთად ვართ, ერთად ვიბრძვით.

— **პოლიტიკით როდის და რატომ დაინტერესდით?**

— სკოლაში რომ ვსწავლობდი, ეროვნული მოძრაობა მაშინ დაიწყო. მეცხრე კლასში ვიყავი, არაფორმალური ორგანიზაცია რომ შევქმენი. ვიფიქრე, რომ ეროვნული მოძრაობით ქვეყანაში ბევრ რამ უნდა შეცვლილიყო. ყოველთვის აქტიური ვიყავი, არასდროს მინდოდა პროცესების მიღმა ყოფნა.

— **მოაზროვნეთა გუნდში ალბათ სტუდენტობის პერიოდში მოხვდით.**

— 1995 წელს გავხდი მოაზროვნეთა გუნდის კაპიტანი. მაშინ ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში არსებობდა „ლითა“ — ლიტერატურულ-ინტელექტუალური თამაში. მაშინ „რა? სად? როდის?“

**„რამდენიმე დეპუტატია, ვისი გამოსვლებიც მაღიზიანებს. ვფიქრობ, რომ ისინი ზღვარს გადადიან და ადამიანურ მხარეს ეხებიან. უნდა გაითვალისწინონ, რომ ჩვენ შეიძლება ყოველთვის არ მოვითმინოთ, პოლიტიკური კონიუნქტურა გვერდით გადავდოთ და საქმის სხვანაირი გარჩევები დაიწყოს".**

არ იყო. იმ დროს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გახლდით. ჩემმა კურსელებმა, კერძოდ, გიგა კვერენჩხილაძემ და პალიკო კუბლაშვილმა, გადაწყვიტეს, გუნდის „ვენი, ვიდი, ვიცი“ დაარსება. კაპიტნად მე ჩამწერეს, ისე, რომ არაფერი უკითხავთ. გუნდში იყვნენ ნიკა გვარამია და კახა კუკავა. ასე დაიწყო მოაზროვნეთა გუნდში ჩემი ყოფნა.

— **რა ხიბლი და რა სირთულეები აქვს, როცა მოაზროვნედ „ოფიციალურად“ იწოდები?**

— თავიდან ვფიქრობდი, რომ რთულია, როცა ამგვარ თამაშში შეცდომას უშვებ. მაგრამ ან არ უნდა გეშინოდეს შენი შეცდომების, ან საერთოდ არ უნდა გამოხვიდე სახლიდან.

— **მეგობრობთ მოაზროვნეთა კლუბის პრეზიდენტთან და ტელეთამაშის წამყვან გიორგი მოსიძესთან?**

— გიორგი ჩემი ძალიან კარგი მეგობარია, კარგი ადამიანია.

— **ხანდახან ზედმეტად მკაცრი არ არის?**

— ყველას აქვს ეს შეგრძნება, რომ გიორგი მის მიმართ უფრო მკაცრია, ვიდრე სხვების მიმართ, მაგრამ რეალურად მას საერთო საზომი აქვს. რაც უფრო ძლიერია გუნდი, მის მიმართ მით უფრო მკაცრია.

— **როგორ აფასებს მაყურებელი თქვენს გუნდს, რას გრძნობთ გულშემატკივრებისგან?**

— ძალიან კარგი შეფასებები აქვს. ამ გუნდში თამაშობს გიორგი ბაქრაძე, რომელიც ყველაზე ძლიერი მოთამაშეა. ჩვენი გუნდიდან ყოველთვის კარგ თამაშს ელიან, თუმცა, რა თქმა უნდა, მუდამ წარმატებულად არ გამოვდივართ.

— **როცა გიორგი ბაქრაძე თამაშობს გუნდში, კაპიტნობა რთული არ არის?**

— ძალიან რთულია, რადგან გიორგი ბაქრაძე თავისი ავტორიტეტით, როგორც წესი, ყველა კაპიტანს პრობლემას უქმნის. ძველ გუნდშიც,

**„ჩემთვის პალიკო კუბლაშვილის და გოგა ხაჩიძის ნათქვამი ერთი და იგივე არ არის, ერთნაირ ემოციას არ იწვევს. პალიკოსთან წარსული მაკავშირებს, გოგას მიმართ კი არანაირი სიმპათია არ მაქვს".**

სადაც ნიკა გვარამია თამაშობდა, კაპიტნობა მიჭირდა. ძლიერ მოთამაშეებთან კაპიტნობა ყოველთვის რთულია. ძნელია, ავტორიტეტული მოთამაშის აზრი არ გაითვალისწინო, არადა შეიძლება ნაკლებად ავტორიტეტულ მოთამაშეს სწორი პასუხი ჰქონდეს.

— **ახლა პოლიტიკაში ხართ, მმართველ გუნდში, თქვენს ოპოზიციაში კი თქვენი მეგობრები არიან — ნიკა გვარამია და პალიკო კუბლაშვილი. როგორ ხერხდება ან საერთოდ ხერხდება თუ არა ძველი მეგობრობის შენარჩუნება?**

— მე და პალიკოს ბევრ რამეზე გვაქვს განსხვავებული აზრი და ამას ვამბობთ პარლამენტში. მაქვს ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ, მაგრამ არის პირადი ურთიერთობებიც. მაგალითად, ერთხელ, სტუდენტობისას, მაღალი ტემპერატურის გამო უნივერსიტეტში მისვლა ვერ მოვახერხე. ლექტორმა კი თქვა, რომ ჩათვლას ყველას დაუწერდა, ვინც ლექციას ესწრებოდა. ერთ-ერთი გამორჩეული სტუდენტი ვიყავი, მაგრამ ავადმყოფობის გამო, რადგან ვერ ვესწრებოდი ლექციას, შეიძლებოდა პრობლემები შემქმნოდა. პალიკო ლექციიდან წამოვიდა, ჩემთან სახლში მოვიდა, ჩათვლის წიგნაკი გამომართვა, ლექციაზე დაბრუნდა და ნიშანი ჩააწერინა. ეს ადამიანურად მახსოვს, ასეთ რაღაცეებს ვერ დაივიწყებ.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ნინო ბურჯანაძემ რომ ბორჯომის რაიონის გამგებლობიდან გადამაყენა, მეუფე სერაფიმეს კურთხევით, ბეთანიის მონასტერში წავედი. ისეთი განწყობა მქონდა, რომ საერთოდ არ მინდოდა იქიდან დაბრუნება. პალიკო ამოვიდა და მითხრა, ამ გადაწყვეტილებაზე კარგად მეფიქრა. მახსოვს, როგორ დამიდგა ნიკა გვარამია ადამიანურად გვერდში მაშინ, როცა ნაციონალურ ხელისუფლებას ჩემ მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება ჰქონდა. ის ყოველთვის მიცავდა. არასდროს უთქვამს ჩემზე, რომ მისი მეგობარი არ ვიყავი. ასეთი რაღაცეები არ მავიწყდება. არ არსებობს ადამიანი, ვინც შეცდომას არ უშვებს. ეს არ არის ჩემთვის განმსაზღვრელი.

— **მაგრამ ახლანდელი თქვენი მდგომარეობის გამო მეგობრებთან დაპირისპირება თუ არა, კამათი ალბათ მაინც გიწევთ, ისე როგორც მათ — თქვენი კრიტიკა. რას გრძნობთ ასეთ მომენტებში, მორალურად გიჭირთ?**

— ჩემთვის პალიკო კუბლაშვილის და გოგა ხაჩიძის ნათქვამი ერთი და იგივე არ არის, ერთნაირ ემოციას არ იწვევს. პალიკოსთან

**„გიორგი ბაქრაძე თავისი ავტორიტეტით, როგორც წესი, ყველა კაპიტანს პრობლემას უქმნის. ძველ გუნდშიც, სადაც ნიკა გვარამია თამაშობდა, კაპიტნობა მიჭირდა".**

წარსული მაკავშირებს, გოგას მიმართ კი არანაირი სიმპათია არ მაქვს. იმ ადამიანის მიმართ, ვისთანაც ვმეგობრობ, სუბიექტური ვარ. მეგობარი პარლამენტშიც მეგობარია. პოლიტიკური გუნდის წევრობა და განსხვავებული აზრის ქონა ერთია, მეგობრობა კი — მეორე. ჩვენს კლუბშიც „რა? სად? როდის?“ ასეა. ოთარ საბაშვილი და დათო რაფავა ჩემი მეგობრები არიან, რომლებიც რეალურად ჩემი კონკურენტები არიან — სხვა გუნდებს კაპიტნობენ. მათი მოგება ჩემს წაგებას ნიშნავს, მაგრამ მათი მოგება არ მწყინს.

— **გოგა ხაჩიძის საწინააღმდეგო რა გაქვთ?**

— გოგა თავისი გამოსვლებით მაღიზიანებს, მასთან არანაირი შეხება არ მაქვს. კიდევ რამდენიმე დეპუტატია, ვისი გამოსვლებიც მაღიზიანებს. ვფიქრობ, რომ ისინი ზღვარს გადადიან და ადამიანურ მხარეს ეხებიან. უნდა გაითვალისწინონ, რომ ჩვენ შეიძლება ყოველთვის არ მოვითმინოთ, პოლიტიკური კონიუნქტურა გვერდით გადავდოთ და საქმის სხვანაირი გარჩევები დაიწყოს.

— **რა შეცვალა თქვენს ცხოვრებასა და პირადად თქვენში პარლამენტის დეპუტატობამ?**

— პარლამენტის გამო წვერი მოვუშვი, რადგან ჩემთვის ცოტა დამძაბველი ატმოსფეროა. რთულია ხელისუფლებაში ყოფნა, რადგან, როცა ადამიანს ვერ ეხმარები, უსუსურობის განცდა ჩნდება. ამიტომ გარკვეული დეპრესიული განწყობა შემექმნა.

— **შეიძლება უარი თქვათ დეპუტატობაზე?**

— რატომაც არა, თუ რაიმე გარემო განაპირობებს ამას...

— **არსებობს ასეთი გარემოება?**

— მიმაჩნია, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა.

— **მორჩილი ყოფილხართ მონასტერში. ბერობაზე გიფიქრიათ?**

— სერიოზულად ვფიქრობდი იმაზე, რომ მონასტერში დავრჩენილიყავი. მომავალში არც გამოვრიცხავ, რომ, თუ ღვთის ნება იქნება და მეუფე სერაფიმეს კურთხევასაც მივიღებ, მივიღო გადაწყვეტილება, ბერი გავხდე.

— **ოჯახი არ შექმენით თუ ვერ შექმენით?**

— პირადზე საუბარი არ მინდა. ალბათ არ იყო იმის ობიექტური წინაპირობები, რომ ოჯახი შემექმნა.

✓ მანანა ნოდია

# „იესო ქრისტეს მოწაფის როლი არ უნდა მეთამაშა...“

## მსახიობის სულიერი ფერისცვალება



თბილისში, კუკიის სასაფლაოზე მდებარე წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინამძღვარს, **მამა კონსტანტინეს** (ლეკიშვილი) საერო ცხოვრებაში საინტერესო გზა აქვს გავლილი. მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გახლდათ და როლებითაც განებივრებული იყო. შემდეგ კი მასში სულიერი გარდატეხა მოხდა. არჩევანის წინაშე დადგა — სასულიერო გზით წასულიყო თუ სამსახიობო კარიერა გაეგრძელებინა. ადვილი არ იყო იმ საქმესთან ჩამოშორება, რომელზეც ბავშვობიდან ოცნებობდა, მაგრამ მაინც გადადგა ნაბიჯი ტაძრისკენ. ჯერ სასულიერო აკადემიის სტუდენტი გახდა, მერე — დიაკვანი, შემდეგ — მღვდელი.

**— მამა კონსტანტინე, გვიამბეთ, რა ხდებოდა იმ წლებში,ვიდრე თქვენს ცხოვრებას ეკლესიას დაუკავშირებდით.**

— ღვთის ნებით, ადამიანის ცხოვრება მრავალფეროვანია, მაგრამ მგონია, რომ ჩემი კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან ბავშვობიდან მოყოლებული ქართულ ხელოვნებას ვემსახურებოდი. თეატრალურ სტუდიაში ვიყავი, ვცეკვავდი, მუსიკალური შვიდწლედიც დავამთავრე, შემდეგ კი თეატრალურში სამსახიობო ფაკულტეტზე ჩავაბარე.

1992 წელს თეატრალური დავამთავრე და მოზარდ მაყურებელთა თეატრში აღმოვჩნდი, შალვა გაწერელიას ჯგუფში. იქ 2 წელი გავატარე, შემდეგ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გადამიყვანეს. მაშინ ბატონი მიშა ცოცხალი იყო და მასთან ურთიერთობის ბედნიერებაც მქონდა. როლები მქონდა და საკმაოდ დატვირთული გახლდით.

**— ბავშვობაში დადიოდით ტაძარში თუ ეს ყველაფერი უფრო გვიან დაიწყეთ?**

— 10-11 წლის ასაკში დედაჩემს სიონის საკათედრო ტაძარში დავყავდი. იქ ყოველ ორშაბათ საღამოს ბავშვებისთვის სპეციალური პარაკლისი ტარდებოდა. ამ პარაკლისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ატარებდა და ყველა ბავშვს ზეთს გვცხებდა. სულ 15-20 ბავშვი ვიყავით ხოლმე. ამან განაპირობა ის წყალობა და მადლი, რაც შემდეგ უფალმა მომცა.

ბავშვობის მერე რაღაც პერიოდი ეკლესიისგან შორს ვიდექი. პირველ კურსზე რომ ვიყავი, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამიწვიეს. 2 წელი საბჭოთა ჯარში ვიმსახურე, მაგრამ შორს არ წავსულვარ. სასწავლო პერიოდი გომბორში გავიარე, მერე კი ქუთაისში ვიყავი. ჯარში ჩემთან ერთად მსახურობდა ზვიად ჟვანია, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ლეონიდეს (ჟვანია) შვილიშვილი. შემდგომში ის მამა ზინობი გახდა. სამხედრო ნაწილიდან ვიპარებოდით და ბაგრატის ტაძარში მივდიოდით, სანთლებს ვანთებდით. სახარება პირველად ჯარში ყოფნის დროს წავიკითხე, რომელიც ზვიად ჟვანიამ მაჩუქა.

ჯარიდან რომ დავბრუნდი, გადავწყვიტე, ოჯახი შემექმნა. ჩემს მომავალ მეუღლეს გაზაფხულზე შევხვდი და ზამთარში ვიქორწინეთ. მინდოდა, დაქორწინებამდე გავწმენდილიყავი და ამ სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად მზად ვყოფილიყავი. მამა ზინობთან ურთიერთობამ, სახარების წაკითხვამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ეკლესიაში სიარული დავიწყე. პირველი აღსარება ანჩისხატის ეკლესიაში მამა გიორგის (ცნობილაძე) ჩავაბარე. პირველად რომ ვეზიარე, ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადიოდა. მეგონა, ყველაფერი ამით დამთავრდა და ტაძარში სიარული აღარ გამიგრძელებია. მე და ჩემმა მეუღლემ ჯვარი დავიწერეთ. ამის შემდეგ კი ეკლესიასთან ერთგვარი წყვეტა მქონდა. ღვთის მადლით, რაღაც დროის მერე ეს ყველაფერი განახლდა.

**— მაშინ განახლდა, როდესაც უკვე სამსახიობო კარიერაში წარმატებული იყავით?**

— დიახ. მამა მიქაელს (ქადაგიშვილი) შევხვდი, რომელიც დღესაც ჩემი მოძღვარია. 1999 წელს გამიჩნდა სურვილი, სასულიერო პირი გავმხდარიყავი, ყველაფრისთვის თავი დამენებებინა და ეკლესიის გზას დავდგომოდი. რა წუთსაც ეს სურვილი დამებადა, მაშინვე თავიდან მოვიშორე, რადგან მკრეხელობად ჩავთვალე. ჩემი მოძღვარი 3 წლის განმავლობაში მოსკოვში მსახურობდა. როდესაც ჩამოვიდა, ჩემი სურვილი გავანდე. მამა მიქაელმა მითხრა, ეგ ფიქრი არაფრით მოიშორო, პირიქით, შენამდე მოუშვიო.

ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს თეატრში სასულიერო პირები მოვიდნენ, რომლებმაც დაგვლოცეს, გვაკურთხეს. ამ დღის მერე ჩემში გარკვეული ცვლილება მოხდა. მეუფე ნიკოლოზმა და მეუფე დანიელმა წმინდა ნინოს და წმინდა ანდრია პირველწოდებულის გზის გავლა წამოიწყეს, რომელშიც მსახიობებმაც მივიღეთ მონაწილეობა. მეუფეებთან ერთად ამ კეთილ საქმეს სათავეში ედგნენ გელა კანდელაკი და ვახტანგ როდონაია. ბატონმა ვახტანგმა შეადგინა ტექსტი „ქართლის ცხოვრებიდან“, რომელიც წმინდა ნინოსა და წმინდა ანდრია პირველწოდებულის ცხოვრებას

> **„ჩემი და მრევლის ბრძოლები ერთიანდება და ერთი დიდი ბრძოლა გამოდის. შემოტევები არც მე მაკლია და არც ჩემს მრევლს“.**

ეხებოდა. მსახიობები ამ ტექსტებს სხვადასხვა რაიონების მოსახლეობას ვუკითხავდით.

ამ საქმიდან ძალიან დიდი მადლი და წყალობა მივიღეთ. რაიონებში ჩვენ ვხვდებოდით ადამიანებს, რომლებიც ეკლესიურ ცხოვრებას იყვნენ მოწყურებული... 2001 წელს თეატრიდან წამოსვლის განცხადება ოფიციალურად დავწერე.

**— თუმანიშვილის თეატრში თქვენ ითამაშეთ სპექტაკლში „საიდუმლო სერობა“, სადაც იესო ქრისტეს მოწაფის როლი გქონდათ. გარკვეული დროის შემდეგ სასულიერო გზას დაადექით. ხომ არ არის რაიმე საერთო ამ სპექტაკლსა და სასულიერო ცხოვრების დაწყებას შორის?**

— ჩემში გარკვეული სულიერი ცვლილებები ალბათ ამ სპექტაკლმაც განაპირობა, მაგრამ ჩემს სასულიერო ცხოვრების დაწყებასთან ამის დაკავშირება არ მიყვარს. ვთვლი, რომ ჩემ მიერ იესო ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფის განსახიერება არ იყო მართებული. ამას უკვე მერე მივხვდი, როდესაც გარკვეული დრო გავიდა, მაშინ კი ეს არ მესმოდა. ჩემთვის ჩვეულებრივი როლი იყო. სწორედ მისი დადგმის პროცესში მოვიდნენ ჩვენთან სასულიერო პირები. წმინდა ნინოს დღესასწაულზე ბოდბის მონასტერში წასვლა და წირვა-ლოცვაზე დასწრება მოგვიწია. ადამიანმა ხომ ყველაფერი უნდა გამოსცადოს, შეცდომაც დაუშვას, რომ შემდეგ ამ შეცდომაზე ისწავლოს. ყველაფერი უფლის ნებით ხდება. შეცდომები, რაც მე დავუშვი, იყო იმისთვის, რომ მეტად დავფიქრებულიყავი ჩემს ცხოვრებაზე, რაღაცეები შემეცვალა და ამ გზას დავდგომოდი.

2002 წელს სასულიერო აკადემიის სტუდენტი გავხდი. უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ დიაკვნად რომ მაკურთხა, მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი. ეს ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იყო, რადგან 6 თვის განმავლობაში იმ ტაძარში ვიმსახურე, სადაც ჩვენი პატრიარქი წირავდა. რაც შეეხება წმინდა ნინოს ეკლესიას, აქ 2009 წელს გადმომიყვანეს, როდესაც ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გაბრიელი (ჩოჩოშვილი) გარდაიცვალა.

**— როგორი აღმოჩნდა სულიერი გარდაქმნის პროცესი?**

— წმინდა იოანე ოქროპირი ამბობს, რომ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერება ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც კანდელის შუქი და მზის შუქი. თეატრში ჩემი ცხოვრება ეკლესიაში ყოფნისგან ისევე განსხვავდება, როგორც კანდელის შუქი მზის შუქისგან. ის ბედნიერება, რაც სცენაზე ყოფნის დროს მქონდა, არაფერი ყოფილა იმასთან შედარებით, რასაც საკურთხეველში ყოფნის დროს განვიცდი. ეს არის უდიდესი მადლი და წყალობა.

**— მრევლთან ურთიერთობის გზაზე რა ეტაპები გაიარეთ?**

— არ იქნება მართალი, რომ გითხრათ, მრევლთან ურთიერთობა ადვილია-მეთქი. მგონი, ამას არც არავინ დაიჯერებს. ერთი შეხედვით, თითქოს ისეთი არაფერია, ვიღაც იტყვის, მოძღვარმა მრევლს თავზე ოლარი გადააფარა, შენდობის ლოცვა წაუკითხა და მორჩაო. სინამდვილეში კი მოძღვრისა და მრევლის ურთიერთობა ამით არ მთავრდება. ჩემი და მრევლის ბრძოლები, რაც ცალ-ცალკე გვაქვს, ერთიანდება და ერთი დიდი ბრძოლა გამოდის. მუდმივად მიმდინარეობს თავის დაღწევა ერთგვარი შემოტევებისგან, რომელიც არც მე მაკლია და არც ჩემს მრევლს.

**— თქვენი მეუღლე როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას, სასულიერო გზაზე შემდგარიყავით?**

— ჩემი მეუღლე არის მარიცა ყურაშვილი. სკოლაში პარალელურ კლასებში ვსწავლობდით, მაგრამ არანაირი ურთიერთობა არ გვქონია. ჯარიდან რომ დავბრუნდი, ერთმანეთს შემთხვევით შევხვდით და გრძნობებიც მაშინ გაჩნდა. მარიცა საკმაოდ წარმატებული მეცნიერია — ბიოქიმიკოსი გახლავთ. მისი ლაბორატორია ქვეყნისთვის საჭირო დიდ საქმეებს აკეთებს, დაბინძურებული ნიადაგების გასუფთავებაზე მუშაობენ.

**— რამდენი შვილი გყავთ?**

— 3 შვილი მყავს და მეოთხეც შევიძინე — სიძე, ირაკლი მკერვალიშვილი. უფროსი შვილი, ნინო, 22 წლის არის, ფრანგული ენის სპეციალისტი გახლავთ. შუათანა, გიორგი, 17 წლის არის, სკოლას ამთავრებს. უმცროსი ნატალია კი 8 წლისაა და წმინდა ილია მართლის სახელობის სკოლაში სწავლობს.

**— გაიუშვილი თქვენს კვალზე დადგომას ხომ არ აპირებს?**

— არა მგონია. ყველას თავისი გზა და არჩევანი აქვს. ოჯახის წევრებისთვის ჩემი აზრის თავზე მოხვევა არ მიყვარს. თუ გაუჩნდებათ ინტერესი სასულიერო ცხოვრების მიმართ, ამას თავად უნდა მიხვდნენ. მშობლების ვალი დაძალება არ არის, მაგალითის მიცემაა. ყოველთვის ვცდილობ, რომ მათ მაგალითი ჩემი ცხოვრების წესით მივცე და არა სიტყვიერად. რამდენად კარგი მაგალითის მიმცემი ვარ შვილებისთვის, ეს უკვე მათ უნდა შეაფასონ.

**— რას ეტყვით ჩვენი ჟურნალის მკითხველს და სრულიად საქართველოს?**

— პირველ რიგში, სულის ცხონებას ვუსურვებ. ღმერთმა ქნას, რომ ეს ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარე ყოფილიყოს და დამსახურებულად მივიღოთ ის დიდი საჩუქარი, რასაც სულის გადარჩენა ჰქვია. ღმერთმა დალოცოს ყველა ის ადამიანი, ვინც ცდილობს, ეკლესიურად იცხოვროს და აგრეთვე ისინიც, რომლებიც ჯერ ეკლესიისგან შორს არიან და ფიქრობენ, ეს ნაბიჯი გადადგან თუ არა. ღმერთმა დალოცოს თქვენი მკითხველი!

✓ **თეონა კენჭიაშვილი**



Cyan Magenta Yellow Black

# თამრიკო ჭოხონელიძე: „დედაჩემის ყველაზე დიდი სადარდებელი მე ვარ“

## ლიზიკო კანდელაკი: „მე ყოფილ ქმარს გულიდან მოვიწყვეტდი, მაგრამ თამრიკო ძალიან მიმტევებელია“



■ დედა-შვილი

„დედაჩემი დიდი სიყვარულია“ — ამ სიტყვებით გაგვაცნო ქალბატონი ლიზიკო მომღერალმა თამრიკო ჭოხონელიძემ და ამაში ჩვენც დავრწმუნდით, როგორც კი ამ სანდომიან ქალთან საუბარი დავიწყეთ. ცხოვრებამ არაერთხელ მიაყენა დარტყმა, დედის სითბოს გარეშე გაიზარდა, თავად კი შვილებისთვის შეწირული დედაა.

ფოლკლორისტმა კუკური ჭოხონელიძემ და მუსიკათმცოდნე ლიზიკო კანდელაკმა ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და მათი სიყვარულის ამბავიც იმ დღიდან დაიწყო. სამი ქალიშვილისა და შემდეგ მათი შვილებისათვის მათი ურთიერთობა ნამდვილი გრძნობისა და ერთგულების სიმბოლო იყო. ქალბატონი ლიზიკო ბედნიერი დედაა, მაგრამ დარდი მაინც არ აკლია, განსაკუთრებით უფროსი შვილის, თამრიკოს ბედთან დაკავშირებით. ისინი ბუნებით ერთმანეთს ჰგავანან, ამიტომ დედას ქალიშვილის ყოველთვის კარგად ესმოდა, მაშინაც გაუგო, როცა თამრიკო მშობლების სურვილის წინააღმდეგ წავიდა და მსახიობს დაუკავშირა ბედი...

ქალბატონ ლიზიკოს ინტერვიუს დაწყება იმ ემოციისა და განცდის გახსენებით ვთხოვეთ, როდესაც პირველი შვილი პირველად დაიჭირა ხელში.

**ლიზიკო**: რომ გითხრათ, დედობისთვის მზად ვიყავი-მეთქი, მოგატყუებთ. თუმცა, როგორც კი თამრიკო ხელში ავიყვანე და ჩემი როლი გავაცნობიერე, საოცარი გრძნობა დამეუფლა. ოთხი წლის შემდეგ სოფიკო გვეყოლა, შემდეგ — თინიკო.

**— თამრიკო როგორ შეხვდა უმცროსი დების დაბადებას, იეჭვიანა?**

**ლიზიკო**: სოფიკოს დაბადებას კარგად შეხვდა, აღარ იცოდა, რა გაეკეთებინა. აი, სოფიკოს ემოცია სხვანაირი იყო, როცა თინიკო სამშობიაროდან სახლში მოვიყვანე. მან ჩვილს უყურა, უყურა და ბოლოს თქვა, ამას ავიღებ და გადავაგდებო... დები ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავდებიან.

**— სამი გოგონას გაზრდა რთული აღმოჩნდა თუ ადვილი?**

**ლიზიკო**: შვილების გაზრდა ნამდვილად არ იყო იოლი, მით უმეტეს, ისეთ პირობებში, როგორშიც ჩვენ ვცხოვრობდით. რთული პერიოდები ცოლქმრულმა სიყვარულმა გადაგვატანინა.

**თამრიკო**: მიუხედავად იმისა, რომ დედა ამბობს, შვილები რთულ პირობებში გავზარდეო, ჩვენ ეს არ გვიგრძვნია. ეს სირთულეები ყოფით პრობლემებს უკავშირდებოდა, მაგალითად, სახლში არ იყო იმდენი ოთახი, რამდენიც გვჭირდებოდა, მაგრამ ეს იმ სიყვარულთან შედარებით არაფერი იყო, რაც ჩვენს მშობლებს შორის არსებობდა. ერთმანეთის მიმართ მათი ასეთი დამოკიდებულება ყოფით პრობლემებს აფერმკრთალებდა. პლეხანოვი, სადაც ვცხოვრობდით, ცუდად არ მახსენდება. ეს ქუჩა, ჩემი მშობლების წყალობით, ლეგენდა გახდა ჩემთვის. ჩვენს ძველ სახლთან მამაჩემის მემორიალური დაფა კიდია, სადარბაზოსთან ვდგები ხოლმე, რომ იქაურობის სურნელი შევიგრძნო. მერე კი ეს ემოციები მთელი დღე მყოფნის.

ძალიან სტუმრიანი ოჯახი გვქონდა. დედაჩემის ეშხით, ყველას უხაროდა ჩვენს სახლში მოსვლა.

**ლიზიკო**: სტუმრის გარეშე ერთი დღე არ მახსოვს. ადგილიც ისეთი იყო, რომ ყველა გამვლელ-გამომვლელი ჩვენთან იყრიდა თავს. შვილების გამო სამსახურსაც დავანებე თავი. სკოლაში ამ სიტყვებით მხვდებოდნენ — კარგი შვილების კარგი დედა მოვიდაო. სამივე შვილი მე გავზარდე, ერთი საათიც კი არავისთან ყოფილან.



■ პატარა თამრიკო დედასთან ერთად

**— თქვენ რომელი ქალიშვილი უფრო გგავთ?**

**ლიზიკო**: თამრიკო მგავს, ჩემსავით გულჩვილია. სანთელივით იყო, საითაც მოლუნავდი, იქით გადაიწეოდა. ძალიან დამჯერი და მოწესრიგებული გახლდათ. ანსამბლი „მზიური“ გასტროლებზე რომ წავიდოდა, თამრიკოს გაკვეთილები უცდებოდა, მაგრამ ყველაფრის აღდგენას ახერხებდა და თანაკლასელებს სწავლაში ეწეოდა. თამრიკო არაჩვეულებრივი დიასახლისია. იგივე შემიძლია ვთქვა თინიკოზე, სოფიკოს კი საჭმელების კეთება არ უყვარს, მაგრამ სუფრას ულამაზესად გაგიწყობს, ესთეტია.

**ლიზიკო: „თამრიკო სანთელივით იყო, საითაც მოლუნავდი, იქით გადაიწეოდა“.**

**— ქალბატონო თამრიკო, დედა ყველა ადამიანის ცხოვრებაში უმთავრეს როლს ასრულებს და ყველას თავისი დედა ჰგონია სხვებისაზე კარგი. პირადად თქვენთვის რა არის დედის პიროვნებაში ყველაზე ძვირფასი?**

**თამრიკო**: დედა ჩემს ცხოვრებაში დღემდე მთავარია. ის ჩემთვის ხანდახან ამოუცნობი ობიექტია. ძალიან ხშირად მინდა, მის ბუნებას ჩავწვდე. ლიზიკო უდედოდ გაიზარდა. ჩემთვის გამოცანად რჩება, რა ძალა, ნიჭი ერგო ღვთისგან, რომ ასეთი სულისა მოევლინა ქვეყანას. ძალიან თბილი და მოსიყვარულე დედაა. მას თავისი დედისგან არასოდეს გაუგონია სიტყვები — „შენ შემოგევლოს დედა!“. ჩვენ კი ამ სიტყვებით გაგვზარდა. ეს ფრაზები დღემდე მაძლიერებს. დედა გარეგნობით ძალიან ლამაზია და ათჯერ ლამაზი სულის პატრონია. ის სიყვარულის აკადემია, რაც დედამ და მამა შექმნეს, ჩვენთვის, შვილებისთვის, სამაგალითოა.

ლიზიკო შვილებისთვის თავდადებული დედაა და ამის თუნდაც ერთ მაგალითს გეტყვით. დედა ძალიან ახალგაზრდა იყო, როდესაც თინიკო დაიბადა. მძიმე მშობიარობა ჰქონდა, კლინიკური სიკვდილი ორჯერ გადაიტანა...

**— რაიმე გაურთულდა?**

**თამრიკო**: მისთვის მესამე შვილის გაჩენა არ შეიძლებოდა. ექიმებმა კატეგორიულად გააფრთხილეს, რომ არ უნდა გაერისკა, მაგრამ, როცა გაიგო, მესამედ იყო შვილის მოლოდინში, უარი არ თქვა. ყველა ეუბნებოდა, რომ ნაყოფი მოეშორებინა, მაგრამ მან თავისი სიცოცხლე სასწორზე დადო. გმირობა ჩაიდინა და თინიკოც დაიბადა. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი, რადგან არაჩვეულებრივი და გვყავს. იმ პერიოდში ჩვენს ოჯახში მოვიდა ერთი ადამიანი, რომელთანაც მე და სოფიკო დაგვტოვეს, დების კინკლაობამ ეს ადამიანი წეაწუხა და მითხრა, დიდი გოგო ხარ და უნდა მიეჩვიო, რომ შეიძლება დედიკო სახლში არ მოვიდესო. მას დღემდე ვერ ვივიწყებ!.. მაშინ ჩვენს სახლში უამრავი ადამიანი მიდიოდა და მოდიოდა. ორი თვის შემდეგ დედა დამიბრუნდა. მას შემდეგ ვერ ვიტანდი გასტროლებს, რადგან დედასთან განშორება ჩემთვის შოკი იყო, მის გარეშე ნაბიჯს არ ვდგამდი.

**— ოჯახის უფროსს ალბათ სურდა, გვარის გამგრძელებელი ჰყოლოდა. მამას გული არ სწყდებოდა, ბიჭი რომ არ გაჩნდა?**

**თამრიკო**: არა, რას ამბობთ! მამა ამბობდა, ნამდვილ ვაჟკაცებს გოგოები ჰყავთ, მიუხედავად იმისა, რომ სამი ქალიშვილი მყავს, სამივე ვაჟკაციაო. გოგოებს მამასთან მართლაც საოცარი ურთიერთობა გვქონდა.

**— ქალბატონო ლიზიკო, როგორ გახსენდებათ თქვენი უფროსი შვილის პირველი ნაბიჯები მუსიკაში?**

**თამრიკო**: ჯერ მე გიპასუხებთ, რომ ესეც გმირობის ტოლფასი იყო. სიცოცხლეს სასწაულად გადარჩენილი ქალი მაინც მედგრად იდგა. სამი შვილი დაჰყავდა რეპეტიციებზე, მიუხედავად იმისა, რომ ამას მამაც ეწინააღმდეგებოდა და ბებიაც. მე თუ დღეს რაღაცას წარმოვადგენ, ეს ლიზიკოს დამსახურებაა.

**ლიზიკო**: თამრიკო წლინახევრის იყო, როდესაც ჩვენთან ერთად სამ ხმაში პირველად შეასრულა სიმღერა „დავალ მუდამ მოხიბლული“. ამის ჩანაწერიც მაქვს, რომ არავინ თქვას, მეტიჩარა დედა ჰყავს და რაღაცას იგონებსო. 4 წლის იყო, როდესაც ვოკალის პედაგოგი ციცინო ციცქიშვილი შემხვდა და მკითხა, სიმღერა თუ იცისო. რატომღაც მან ერთადერ-



■ ქალბატონი ლიზიკო და ბატონი კუკური

**თამრიკო: „ქუჩაში ერთად რომ მიდიოდნენ, ყველას უკვირდა, რადგან დედა ძალიან ლამაზი იყო, მამა — ჯმუხი, შავგვრემანი. ამიტომაც მათ ოტელოს და დეზდემონას ეძახდნენ“.**





Cyan Magenta Yellow Black

თი სიმღერა იცოდა და ისიც რუსული — „კოლია, კოლია, ნიკალაშა“. გამოსაშვებ საღამოზე პიონერთა სასახლეში წავიყვანე და ეს სიმღერა იქ იმღერა. ჩემმა მამამთილმა ამ კონცერტზე ისე ინერვიულა, თქვა, პირველად ვიგრძენი, გული სად მაქვსო. თამრიკო სამჯერ გამოიძახეს ბისზე. კულისებში რომ შემოვიდა, ჩამეხუტა და ტირილით მითხრა, ამდენჯერ იმიტომ გამამეორებინეს, რომ ყველაზე ცუდად მე ვიმღერეო.

იმ კონცერტის შემდეგ აღმოჩნდა „მზიურში“. კუკურის არ უნდოდა, ანსამბლში მეტარებინა, მაგრამ ჩუმად მაინც მიმყავდა. ვცდილობდი, ყველანაირად ხელი შემეწყო მისთვის.

**— თამრიკო, თქვენს გათხოვებას როგორ შეხვდნენ დედ-მამა, ქმეტებოდით სახლიდან გასაშვებად?**

**თამრიკო**: მიუხედავად იმისა, რომ ჩემს გათხოვებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობები მქონდა, დედა ისე დამიდგა გვერდით, როგორც კარგი მეგობარი. მითხრა, შენ დიდი არგუმენტი მოგყავს, ამბობ, რომ გიყვარს და ამ გრძნობის წინააღმდეგ წასვლა არ შემიძლიაო. მამასთან დედამ გამიწია შუამდგომლობა... დედაჩემის ყველაზე დიდი სადარდებელი მე ვარ.

**ლიზიკო**: კუკურის მსახიობი სიძე არ უნდოდა, მაგრამ ჩვენმა ქალიშვილებმა მსახიობ მამაკაცებს დაუკავშირეს ცხოვრება.

**— თამრიკოს ოჯახის დანგრევა რთულად გადაიტანეთ?**

**ლიზიკო**: რას ვიზამთ, თამრიკოს პირადი ცხოვრება არ აეწყო. გული მტკივა, ჩემი შვილი ძალიან დაიჩაგრა. ასე მგონია, რომ მე ყოფილ ქმარს გულიდან მოვიწყვეტდი, მაგრამ თამრიკო ძალიან მიმტევებელია. მიუხედავად ყველაფრისა, მის მიმართ მაინც ყურადღებიანია. მის ადგილას მე ასე არ მოვიქცეოდი. ქმარი ძალიან მიყვარდა, მაგრამ სიცილით ვეტყოდი ხოლმე, რამე თუ შეგამჩნიე, ან მე წავალ სახლიდან, ან შენ-მეთქი.

**თამრიკო**: ჩემი ოჯახის დანგრევა დედაჩემისთვის დღემდე ტკივილია, რადგან ხედავს, რომ სულიერად ბევრი რამ მეტკინა და ფიზიკურადაც ძალიან დავიტვირთე. ფაქტობრივად ორი ოჯახი მაქვს ზურგზე მოკიდებული, ორივეს მხოლოდ მე ვარჩენ და ეს ჩემი შრომის და ჯანმრთელობის ხარჯზე ხდება. დედა ამის გამო ძალიან დარდობს.

**— ქალბატონო ლიზიკო, სოფიკოს და თინიკოს ქმრები როგორ მიიღეთ მშობლებმა?**

**ლიზიკო**: მათ არაჩვეულებრივი ქმრები ჰყავთ, სიძეებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს.

**თამრიკო**: ჩემი სიძეები უგამოცდოდ ჩაეწერნენ ჩვენი ოჯახის სიყვარულის აკადემიაში. არსად მინახავს, სიძეებს ისე უყვარდეთ სიდედრი, როგორც სოფიკოს და თინიკოს ქმრებს უყვართ ლიზიკო. სოფიკოს მეუღლე ძალიან ხშირად მეუბნება, ჩემი სიდედრი ცოტა ხანი დამითმე, ჩვენთან გამოუშვიო.

ჩვენს ოჯახში კიდევ ერთი სიყვარულის დიდი მაგალითი გვქონდა — რძალ-დედამთილის, ანუ ლიზიკოს და ბებიაჩემის ურთიერთობა. როდესაც ლიზიკო ჰყავდა გვერდით, კარგად იყო. ადამიანი დედას ვერ დაიტირებს ისე, როგორც დედაჩემმა თავისი დედამთილი დაიტირა.

**— ქალბატონო თამრიკო, მშობლების სიყვარულის ისტორია თქვენთვის ალბათ კარგად ცნობილია. ჩვენც გვიამბეთ.**

**თამრიკო**: დედამ და მამამ ერთმანეთი სკოლაში გაიცნეს და, რომ იტყვიან, სკოლის მერხიდან მოყოლებული ერთად იყვნენ. ქუჩაში ერთად რომ მიდიოდნენ, ყველას უკვირდა, რადგან დედა ძალიან ლამაზი იყო, მამა, ერთი შეხედვით,ჯმუხი, შავგვრემანი. ამიტომაც მათ ოტელოს და დეზდემონას ეძახდნენ. დედას ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და მამას ბევრი მათგანი მიუტყეპია. მას ხშირად უთქვამს, დედათქვენს ვერც ერთი შვილი შეედრებითო. მამა რომ გარდაიცვალა, არ ვიცოდი, დედა ამას როგორ გადაიტანდა. უსუსურობის შეგრძნება ჰქონდა, მაგრამ სამი ქალიშვილი შემოვეხვიეთ და და ეს ტკივილი დავაძლევინეთ.

**ლიზიკო**: კუკური 63 წლის ასაკში, გულის შეტევით მოულოდნელად გარდაიცვალა. ეს იმხელა ტრავმა იყო ჩემთვის, არ მეგონა, სიცოცხლის გაგრძელებას თუ შევძლებდი. ჩვენ მეცხრე კლასიდან გვიყვარდა ერთმანეთი.

მიზეზთა გამო უდედოდ გავიზარდე, მამა მზრდიდა. მიუხედავად იმისა, რომ თავს ბევრი ქალი მეხვია, დედის სითბო, არ ვიცი, რას ნიშნავს. წლების შემდეგ ისე მოხდა, რომ მე და დედა ერთმანეთს უნდა შევხვედროდით. ამის გაცნობიერება ძალიან გამიჭირდა. უდიდესი გვერდში დგომა მაგრძნობინა კუკურიმ, რომელმაც მთხოვა, დედას შევხვედროდი და მასთან ურთიერთობა გამეგრძელებინა. მიმტევებლობა ალბათ ყველას კუკურისგან უნდა ესწავლა. რა თქმა უნდა, მივენდე მას. დედაშვილობის ბედნიერმა ურთიერთობამ მხოლოდ ერთ წელს გასტანა. დედა გარდამეცვალა და იმავე წელს, ოთხი თვის თავზე, მამაც გამომეცალა ხელიდან. ასეთი ცხოვრების გზა გავიარე.... კუკურის გარდაცვალებიდან უკვე 9 წელი გავიდა და ჯერჯერობით ცოცხალი ვარ.

**— გყავთ დიდი მონაგარი — შვილიშვილები, შვილთაშვილი, რომლებიც ცხოვრებას გილამაზებენ.**

**ლიზიკო**: ჩემმა შვილებმა გადამატანინეს ეს ყველაფერი. ბებიისგან ცოტა უხერხულია შვილიშვილების ქება, მაგრამ ისინი მართლაც ძალიან კარგები არიან.

✓ **ლანა კიკნაძე**








Cyan Magenta Yellow Black

# „მშობლებმა გაღიმების უფლებაც წამართვეს!“



ჩემი მოძღვარი ამბობს, რომ მშობელი უნდა გვიყვარდეს, მას პატივს ვცემდეთ. როცა ჩემს ამბავს ვუყვები, მეუბნება, რომ დედ-მამაზე უნდა ვილოცოთ, რათა მათი სულებიდან ბოროტი განიდევნოს. იმასაც ამბობს, რომ ისეთი უნდა მივიღოთ მშობელი, როგორიც არის. ეს პასუხები არ მაკმაყოფილებს! როგორ უნდა მიყვარდეს მშობელი, რომელიც ყოველ წამს მიშხამავს?!

16 წლის გოგო ვარ და სულ მამაჩემის გინება და დედაჩემის ტირილი მესმის. არავის უნდა, გაიგოს, რომ ამის მოთმენა არ შემიძლია! ვერ ვხვდები, რატომ არიან ერთად. დედაჩემს რომ ჰკითხო, არ უყვარს და მხოლოდ შვილების გამო იტანს მოძალადეს. ვეუბნები, ჩემ გამო ნუ აიტან-მეთქი, მაგრამ არ ესმის. ზოგჯერ არც ის მეცოდება. დიახ, არ მეცოდება! რატომ უნდა აიტანო ქმრის ასეთი საქციელი?! გამოდის, რომ უთავმოყვარეო ხარ.

ახლა იმაზე მოგიყვებით, რაც ძალიან მაწუხებს. ამას წინათ მეგობარი მესტუმრა. სწორედ ამ დროს მამაჩემი მოვიდა სახლში. საერთოდ არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ მეგობართან ერთად ვიყავი და დედაჩემს საჭმლის გამო აუშარდა. უთხრა, შენ არაფრის ღირსი ხარ, გემრიელად ვერ აკეთებო. დედაჩემიც აჰყვა და მუშტი-კრივი გამართეს. დედამ წივილ-კივილი მორთო. ჩემმა მეგობარმა ფერი დაკარგა. მე კი აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. იმ წამს დიდი შვება იქნებოდა ჩემთვის, რომ მოვმკვდარიყავი და იქიდან გავმქრალიყავი.

მეგობარი მაშინვე წავიდა. მერე მესიჯი მომწერა, არ ინერვიულო, ყველაფერი კარგად იქნებაო. მე მივწერე, არ ვიცი, დღეს რა დაემართათ, ასეთი რამ არასოდეს გაუკეთებიათ-მეთქი, მაგრამ ვიცი, არ დამიჯერებდა. მაინც მომწერა, ზოგჯერ ჩემებიც ეგრე ჩხუბობენ, რას ვიზამთ, ყველა მშობელი ეგეთიაო. ვიცი, რომ ეს დასამშვიდებლად მომწერა. მის დედ-მამას ვიცნობ, ისეთი კარგი ადამიანები არიან, ამას არ იზამენ. მე ყოველთვის თბილად, სიყვარულით მხვდებიან. ჩემი მშობლები კი ჩემი და ჩემი დის მეგობრებს ვერ იტანენ, უფრო სწორად, მათი არსებობა არ აინტერესებთ.

ჩემს მშობლებს, სხვების მშობლებს და საერთოდ ყველას მივმართავ, იქნებ თვალი გაახილოთ და დაინახოთ, რომ, თქვენ გარდა, სხვებიც არსებობენ ქვეყანაზე; იქნებ მიხვდეთ, რომ სხვებსაც სურთ ცხოვრება, სიცოცხლე, იქნებ ჩვენც გვაქვს ბედნიერების უფლება. თქვენ კი, ჩემო მშობლებო, გაღიმების უფლებაც წამართვით, უფრო სწორად, დამავიწყეთ!

„სარკის“ მკითხველი

გამოხმაურება

## „თავისი სიამოვნებისთვის გამომიყენა და მიმატოვა“

ჟურნალ „სარკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „შეყვარებული ცდილობს, სექსუალურ ურთიერთობაზე დამითანხმოს“. ამ გოგონას აუცილებლად უნდა მივაწვდინო ხმა. ჩემს ტელეფონსაც დაგიტოვებთ და, თუ სურვილი ექნება, გამომეხმაუროს. ჩემს ამბავს მოვუყვები და თვითონ მიხვდება, როგორ არ უნდა მოიქცეს.

18 წლის ვარ. ორი წლის წინ ბიჭი შემიყვარდა. სულ ერთად ვიყავით. ჩვენი მშობლები მეგობრობენ. მას ბავშვობიდან ვიცნობ, მაგრამ ჩვენ შორის სერიოზული გრძნობა მხოლოდ ორი წლის წინ გაჩნდა. მეგონა, ბევრი საერთო გვქონდა და ამის გამო მუდამ ერთად ვიქნებოდით. ამიტომ, როცა ჩემთან სექსუალური ურთიერთობა მოინდომა, წინააღმდეგობა არ გამიწევია. ჩავთვალე, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავი იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში ბედნიერი ვიყავი. მეგონა, რომ ჩემ მიმართ მუდამ ასეთი იქნებოდა — თბილი, ყურადღებიანი, მოსიყვარულე.

ერთ დღესაც ყველაფერი შეიცვალა. მან სხვა გოგონებთან დაიწყო გართობა. მე საშინლად ვეჭვიანობდი. ვაღიარებ, რომ ზოგჯერ უსამართლოდაც ვექცეოდი. ეჭვიანობის საბაბი არ მქონდა, მაგრამ მისი საქციელი იმდენად მაღიზიანებდა, რომ ნერვებს ვეღარ ვთოკავდი. ერთ დღესაც გამომიცხადა, მოსაწყენი გახდი, სხვა გოგონებთან რომ არ გავერთო, ჩემი ცხოვრება აუტანელი იქნებაო.

მე ძალიან ბევრი რამ გადავიტანე, მაგრამ საბოლოოდ თავს მოვერიე და დავშორდი. როცა ვუთხარი, რომ მას ყველაფერი მივეცი, რაც კი ძვირფასი გამაჩნდა — ჩემი გული, სული, რომ ყველანაირად მივენდე, იცით, რა მიპასუხა? შენც ხომ ისიამოვნე, მეტი რა გინდაო. თურმე მისთვის სიამოვნების ობიექტი ვყოფილვარ და სხვა არაფერი.

დიდი ტრავმა მივიღე და არც კი ვიცი, ამ ტკივილს ოდესმე დავივიწყებ თუ არა. შეიძლება ჩემს მდგომარეობას შევეგუო, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ ეს იარა სამუდამოდ დამრჩება. ბიჭების დანახვა აღარ მინდა. მათში ჩემს შეყვარებულს ვხედავ, რომელმაც თავისი სიამოვნებისთვის გამომიყენა, მერე კი მიმატოვა.

ნუ გახდები მსხვერპლი! თავს მოერიე და ასეთ ურთიერთობაზე უარი უთხარი. მერე სინანული ძალიან გვიანი იქნება, ამიტომ, ჯობია, ამ ყველაფერზე ახლა დაფიქრდე.

კეთილი სურვილებით, „სარკის“ მკითხველი

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru ანონიმურობა დაცულია

## „თავს მოერიე და იმ ბიჭს ნუ დანებდები!“

ჟურნალ „სარკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნდა სტატია — „შეყვარებული ცდილობს, სექსუალურ ურთიერთობაზე დამითანხმოს“. მე ალბათ დედაშენის ტოლი ვარ და ამიტომ უფროს მეგობრად ჩამთვალე. ზუსტად ვიცი, ახლა რასაც გრძნობ. ძალიან ლამაზ ემოციას ხარ აყოლილი, სიამოვნებას განიჭებს მისი სიტყვები, ხელის შეხება და მზად ხარ, მის გამო ყველა და ყველაფერი დაივიწყო, მაგრამ გირჩევ, ასე არ მოიქცე. უფრო მეტიც, შეყვარებულს აუცილებლად უნდა დაშორდე.

ამ ცხოვრებაში ბევრი რამ მაქვს გადატანილი და, როგორც გამოცდილი ქალი, გეტყვი, რომ არა მგონია, იმ ბიჭს შენ მიმართ სერიოზული გრძნობა ჰქონდეს. მას მხოლოდ ვნება ამოძრავებს. გოგონასთან უნდა გართობა, მძაფრ შეგრძნებებს ეძებს და ამისთვის შენ აგირჩია. სიყვარული მხოლოდ საბაბია, რომ შენთან რამდენიმე სასიამოვნო დღე გაატაროს. სწორედ ასეთები არიან, მერე რომ გოგონებს ტოვებენ და ან მარტოხელა დედობისთვის წირავენ, ან ცუდი ცხოვრებისთვის.

ვიცი, ძნელია, მაგრამ თავს მოერიე და იმ ბიჭს დაშორდი. დამიჯერე, ამ რჩევისთვის 2-3 წლის შემდეგ მადლობას გადამიხდი.

„სარკის“ ერთგული მკითხველი

## „დაფიქრდი, იქნებ შენ არ შეგიძლია მეგობრობა“

ჟურნალ „სარკის“ მე-17 ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „დაქალები იმიტომ არ მყავს, რომ გოგონებს არ ვენდობი“. ეს წერილი რომ წავიკითხე, მეგონა, ჩემი დაქალი, უფრო სწორად, ყოფილი დაქალი წერდა. მან ზუსტად ასეთი სიტყვა მითხრა, მივხვდი, გოგოებს არ უნდა ენდო, ამიტომ შენთან მეგობრობა აღარ მინდაო. მიზეზი რომ ვკითხე, ვერ ამიხსნა. ვუთხარი, იქნებ რამე შემეშალა, უნდა ამიხსნა, რომ გამოვასწორო-მეთქი. მან კი გამიმეორა, რომ გოგოებს მეგობრობა არ შეუძლიათ. ამ დროს გაირკვა, რომ მეგობრობა მას არ შეეძლო. დაფიქრდი, იქნებ შენც ასეთი ხარ და შენ არ გაქვს უნარი, მეგობარი იყო.

ჩემი ყოფილი დაქალი ბიჭებს დაუმეგობრდა. შედეგად კი ის მიიღო, რომ ყველამ აიგდო. ისეთ რაღაცეებს უკეთებენ, რომ... აი, მოგიყვებით, ერთ დღეს რა მოხდა და მერე თავად განსაჯეთ.

ჩემი ერთი კლასელი ბიჭი მივიდა და ფული სთხოვა, ხაჭაპური უნდა ვიყიდოო. მან ამოიღო და მისცა. ზუსტად ვიცი, თავისთვის ერთი თეთრიც არ დაიტოვა. რამდენიმე წუთის შემდეგ მეორე კლასელიც მივიდა და სთხოვა, რვეული არ მაქვს და მომეციო. მან უთხრა, ზედმეტი რვეული არც მე მაქვსო. იმ ბიჭმა კი, იცით, რა გაუკეთა? მივიდა, ჩანთიდან რვეული ამოაცალა, მისი ნაწერები ამოხია, თქვა, აი, რვეულიც მაქვსო და წავიდა.

ეს თუ ჰგონია მეგობრობა, მისი საქმეა, მაგრამ მე ამას ცოტა სხვანაირად ვუყურებ. ჩემი აზრით, ბიჭები მას იყენებენ, ზურგს უკან კი დასცინიან. არ ჯობდა, გოგონებთან ემეგობრა?! ჩვენ ასე ნამდვილად არ მოვექცეოდით.

„სარკის“ მკითხველი



Cyan Magenta Yellow Black

# „ცეკვის მასწავლებელი შეყვარებულის წინაშე მამცირებს“

ჩემი შეყვარებული ძალიან კარგი ადამიანია, რასაც მამამისზე ვერ ვიტყვი, რომელიც ცეკვას მასწავლის. ის ძალიან უხეშია. ისეთ შეურაცხყოფას მოგაყენებს, რომ თავბედს გაწყევლინებს. ცეკვის სიყვარულით ყველაფერს მოვითმენდი, ჩემი შეყვარებული რომ არ მიყურებდეს. მისი ძალიან მრცხვენია.



რაიმე ილეთს რომ ვერ გავაკეთებ, მასწავლებელი პირდაპირ ასეთ სიტყვებს მეუბნება, ცეკვის აზრზე არ ხარ, აქ რა გინდაო. ამ დროს ჩემი შეყვარებული სიცილისგან იატაკზე ხოხავს, მე კი ვწითლდები და იმ წუთას დარბაზიდან გაპარვა მინდა. ჩემი შეყვარებული პუტკუნა ბიჭია და ცეკვა არ გამოსდის, მაგრამ ყველა ილეთი კარგად იცის. ჩემი აზრით, კარგადაც ცეკვავს.

ვეხვეწები, რომ არ დამცინოს, მაგრამ მას სხვანაირად არ შეუძლია. მერე სხვა ბავშვებიც აჰყვებიან ხოლმე და მაბრაზებენ, ფეხებს როგორ ცუდად ვადგამ. იუმორი არც მე მაკლია, მაგრამ მგონია, რომ შეყვარებულის მამას არ მოვწონვარ. მან იცის, რომ ერთმანეთი გვიყვარს, ამიტომ ვერ ვხვდები, ასე რატომ მლანძღავს და მამცირებს. ალბათ არ უნდა, მის შვილთან რაიმე ურთიერთობა მქონდეს. მის ასეთ უხეშობას სწორედ ამას მივაწერ.

**მკითხველი, 15 წლის**

# „მინდა, ისე ვიცხოვრო, როგორც მე მომწონს“



რა მინდა? რისთვის ვცხოვრობ? ეს არის კითხვები, რაც ამ ბოლო დროს ძალიან მაწუხებს. ჩემი მშობლები ამბობენ, იმისთვის ცხოვრობ, რომ ექიმი გახდე, მერე კარგ ბიჭს გაჰყვე და სამი შვილი გააჩინოო. მე არც ექიმობა მინდა, არც მათი მოწონებული ბიჭები და ვერც იმას ვხვდები, სამ და ოთხ შვილს რატომ აჩენენ.

მომავალ წელს აბიტურიენტი ვიქნები. მშობლებმა უკვე განსაზღვრეს, რომ სამედიცინოზე უნდა ჩავაბარო. მე კი არ მინდა ექიმობა! დიპლომატობა მსურს, მაგრამ ჩემები ამას ვერ ხვდებიან. ერთი ბიჭი მიყვარს, რომელიც საერთაშორისო სამართალზე სწავლობს და მეც იმავე ფაკულტეტზე მინდა ჩაბარება, მაგრამ თურმე ბაბუას გზას უნდა გავყვე. ბაბუას, ჩემ გარდა, ხუთი შვილიშვილი კიდევ ჰყავს და მის გზას ისინი გაჰყვნენ, მე რა შუაში ვარ?!

მინდა, ისე ვიცხოვრო, როგორც მე მომწონს! ჩემები კი ამის საშუალებას არ მაძლევენ. მათთან კონფლიქტს ვერიდები, მაგრამ არ ვიცი, როდემდე მოვითმენ. არც ჩემი შეყვარებული მოსწონთ. მოკლედ, ყველაფერზე სხვადასხვანაირი აზრი გვაქვს. ზოგჯერ მგონია, რომ მათი შვილი არ ვარ.

**მკითხველი**

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ


# გრიპ ქოლდი




შემადგენლობა:

| | |
|---|---|
| პარაცეტამოლი | 400 მგ |
| ფენილეფრინის მალეატა | 5 მგ |
| ქლორფენირამინის მალეატი | 4 მგ |
| კოფეინი | 15 მგ |

**„გრიპ ქოლდი“ უზრუნველყოფს ზედა რესპირატორული ტრაქტის ალერგიის, ცხელების და სინუსიტის შემდეგი სიმპტომების დროებით შემსუბუქებას: ცემინება, ქავილი, ცრემლდენა, ცხვირიდან გამონადენი, თავის ტკივილი, ნაზალური და სინუსური ზეწოლა და ცხვირის დაცობა.**

- გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

მწარმოებელი: OM BIOTEC

ფარმაცევტული კომპანია «ტიტანი»

თბილისი. ალ.ყაზბეგის ქუჩა №14 ☎ 238-28-40; 238-88-71; 231-11-32.

# მაკა ძაგანია: „მანქანიდან გადმოვეყუდე და მამაკაც მძღოლს ბოლო ხმაზე ვაგინე!“



**„ჩემი ავტომობილი ისე მიყვარს, სულ მგონია, თუ გავყიდი, ეწყინება“.**

მსახიობმა მაკა ძაგანიამ 5 წლის წინ მარჯვენასაჭიანი „ტოიოტას“ ჯიპი შეიძინა, რომელიც მის ერთგულ მეგობრად და თან „სამგზავრო გარდერობადაც“ იქცა. მანქანით უამრავ ტანსაცმელს დაატარებს, რომ, საჭიროებისამებრ, გზაშივე გამოიცვალოს. სანამ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ თინა გახდებოდა, პატრული თითქმის ყოველ ნაბიჯზე აჩერებდა და ალკოჰოლზე ამოწმებდა, რადგან ძირითადად ღამით უხდებოდა სიარული. თინას როლმა კი პატრულებთან ეს პრობლემა მოუხსნა.

მაკა საკმაოდ ფრთხილი მძღოლია და კარგი რეაქცია აქვს. ამიტომ მამაკაცებისგან ქალი მძღოლების კრიტიკას ვერ ეგუება და ჩვენი ჟურნალით მათ საკადრის პასუხს სცემს.

— **მაკა, თავს გამოცდილ მძღოლად მიიჩნევთ?**

— უკვე 5 წელია, რაც საჭესთან ვზივარ. მარჯვენასაჭიანი „ტოიოტა რავ 4“ 2008 წელს საზღვარგარეთიდან ჩამომივიდა და მართვაც ამ ავტომობილზე ვისწავლე. თვითონ „ტოიოტა“ მიყვარს, როგორც ბრენდი. ვთვლი, რომ მარტივი და ძალიან მუშა მანქანაა.

— **მარჯვენასაჭიანი ავტომობილის მართვას ალღო ადვილად აუღეთ?**

— კი, რადგან, როგორც გითხარით, თავიდანვე ამ მანქანაზე დავჯექი. მარჯვენასაჭიანი ავტომობილის ერთადერთი პრობლემა ტრასაზე გადასწრებაა. როცა მარცხნივ ზიხარ, შემხვედრ მანქანას უფრო კარგად ხედავ და აკონტროლებ, გასწრება რა დროს შეიძლება.

— **როცა საჭესთან პირველად დაჯექით, ყველაზე მეტად რა გაგიჭირდათ?**

— მანქანა რომ ჩამომივიდა, მართვის მოწმობა 2 კვირის შემდეგ ავიღე და, სხვათა შორის, ძალიან მარტივადაც. მეორე დღეს ვაკეში მივდიოდი და 5 ავარია შემხვდა, თანაც ხუთივე შემთხვევაში მძღოლი ქალი იყო. სრული პანიკა დამეწყო, ვიფიქრე, შეიძლება მეც იგივე დამემართოს-მეთქი, თუმცა ეს შიში იოლად გადავლახე. მთავარია, საჭესთან ყურადღებით იყო. მანქანის მართვის დროს მხოლოდ იმაზე კი არ უნდა იფიქრო,

**„ჩემს მანქანაში რას აღარ წააწყდებით. იმდენი ტანსაცმელი დამაქვს თან, უცებ სადმე წასვლა რომ დავაპირო, მშვენივრად გამოვიპრანჭები“.**

შენ როგორ ატარებ, გარშემო ვინ რას აკეთებს, უნდა უყურო და ბევრი რაღაცის კონტროლი უნდა შეგეძლოს ერთად. მე ძალიან ფრთხილი მძღოლი ვარ. თუ ვინმე მიზის მანქანაში, სულ მეუბნება, ახლა იმ მანქანისთვის გზა არ უნდა დაგეთმოო. როგორ არ უნდა დავუთმო გზა?! მაშინ უნდა დამარტყას და თავი საფრთხეში რატომ ჩავიგდო?! ირგვლივ ხომ ენით აუწერელი საოცრებები ხდება!

— **მართვის მანერა მეტყველებს მძღოლის კულტურაზე, შინაგან ბუნებაზე. თქვენ თუ შეგიძლიათ გამოცნობა, როგორი ადამიანი ზის საჭესთან?**

— კი, შემიძლია. მანქანის მართვა შინაგან კულტურასა და ინტელექტზე მართლაც მეტყველებს. უტაქტო მძღოლებზე ნერვები მეშლება. მანქანის კარგი მართვა თურმე იმას ჰქვია, თუ საკუთარ თავსაც საფრთხეს შეუქმნიან და სხვასაც — გაძვრებიან, გამოძვრებიან, გაასწრებენ, დაამუხრუჭებენ... ამ დროს შეიძლება სხვა მძღოლი დაიბნეს, შეგასკდეს და ან შენ შეასკდე. რატომ უნდა მოიქცე ასე?

— **ავარია მოგსვლიათ?**

— არა და არც სხვებისთვის შემიქმნია ავარიული სიტუაცია. ერთადერთხელ მახსენდება, საცობში ვიდექი და „ნივამ“ გამისვა გვერდიდან. სულ ვცდილობ, მოძრაობის წესი არ დავარღვიო. მხოლოდ ერთხელ დავარღვიე და მაშინაც დამაჯარიმეს. ვაკეში ერთ ადგილას შეხვევა არ შეიძლება, დიდი წრე უნდა დაარტყა და იმ შესახვევში ისე უნდა შეხვიდე. საცობში მოვყევი, თან ძალიან მეჩქარებოდა, ამიტომ ქუჩაზე პირდაპირ შევაჭერი და პატრულიც მომყვა. არც არაფერი მითქვამს, საბუთები მივაწოდე და 50 ლარიანი ჯარიმა მივიღე. მაშინ ასე ცნობილი არ ვიყავი და შესაბამისად ვერც მიცნეს პატრულებმა.

**„მანქანის კარგი მართვა თურმე იმას ჰქვია, თუ საკუთარ თავსაც საფრთხეს შეუქმნიან და სხვასაც — გაძვრებიან, გამოძვრებიან, გაასწრებენ, დაამუხრუჭებენ“.**

ერთი პერიოდი ხშირად მაჩერებდნენ და აპარატში მასუნთქებდნენ, ნასვამი ვიყავი თუ არა. რეპეტიციები გვიან გვიმთავრდებოდა და ღამით გაჩერება ხომ ხშირი შემთხვევაა.

— **რა რეაქცია გქონდათ, როცა პატრული ნასვამობაზე გამოწმებდათ?**

— ერთხელ ვკითხე, რატომ გამაჩერეთ, რამე დავარღვიე-მეთქი. არა, უბრალოდ, კანონის თანახმად, ღამის საათებში მძღოლები უნდა გაკონტროლდნენ, მით უმეტეს, ქალები, რადგან მამაკაცებზე ხშირად ისინი სხდებიან საჭესთან ნასვამიო.

— **ახლა რა დამოკიდებულება აქვს პატრულს თქვენ მიმართ?**

— რაც თინა გავხდი, პატრულს საერთოდ არ გავუჩერებივარ. ალბათ ჩემი მანქანა მოძრაობის წესების დარღვევაში არც არის დაფიქსირებული.

— **არასწორი პარკირებისთვის მიგიღიათ ჯარიმა?**

— ერთხელ გადავწყვიტე, „სითი პარკისთვის“ მეჩივლა. ამ კომპანიაზე ძალიან ვიყავი გაბრაზებული. მანქანა ვაგზალზე გავაჩერე და იქ „მომპარეს“. მიმაჩნია, რომ აბსოლუტურად უდანაშაულო ვიყავი. თუ აკრძალვის დიდ თეთრ ხაზს აუქმებ, მაგრამ არც შლი და ერთი ბეწოთი ყვითელ საღებავს აწუწებ, რომელზეც მანქანა დგას და სხვა მძღოლები ვერც კი შენიშნავენ, ამ დროს როგორ უნდა მოვიქცე? წამოვწვე და მანქანის ქვეშ შევიხედო, იქ დგომა შეიძლება თუ არა? პრემიერისთვის ვემზადებოდით და ამისთვის არ მეცალა, თორემ „სითი პარკს“ მართლა ვუჩივლებდი. ზუსტად ვიცი, რომ პროცესსაც მოვიგებდი. იგივე რომ გაიმეორონ, ახლა აუცილებლად ვუჩივლებ!

— **კაცი მძღოლებისგან აგრესია გიგრძვნიათ?**

— იცით, რას ვეტყვი კაც მძღოლებს, შტერი მძღოლი ქალიც შეიძლება იყო და კაციც, ამიტომ ყველას ერთ ქვაბში ნუ მოხარშავენ. ძალიან კარგი ქალი მძღოლიც მინახავს და ცუდ ქალ მძღოლსაც გამოვუყვანივარ მდგომარეობიდან, მაგრამ მამაკაცმა მძღოლმა ერთხელ ისეთი რაღაც ჩამიტარა, გავჩერდი, მანქანიდან გადმოვეყუდე და შუა გმირთა მოედანზე ბოლო ხმაზე ვიგინებოდი!

— **ავარიული სიტუაცია შეგიქმნათ?**

— ამას ავარიული სიტუაციაც აღარ ერქვა, ტიპმა გამწირა! ჩემს ხაზში ვმოძრაობდი და უკვე რომ უნდა ამომეხვია, გზა მომიჭრა. მანქანა მკვეთრად დავამუხრუჭე და მომისრიალდა. კიდევ კარგი, სწრაფი რეაქცია მქონდა, მაგრამ ისე შემეშინდა, ნახევარი საათი ვკანკალებდი. მადლობა ღმერთს, მეც სწრაფი რეაქცია მქონდა და ამან გადამარჩინა, თორემ არც ვიცი, რა დამემართებოდა.

— **მანქანის ნაწილებში ერკვევით?**

— რაღაცეებში ვერკვევი, მაგრამ შიგნით რომ ჩავძვრე და რაღაც შევაკეთო, ამდენი მართლა არ ვიცი. სიმართლე გითხრათ, პროფილაქტიკაში არც მიწევს სიარული. მანქანა იმდენად იდეალურ მდგომარეობაში ჩამომივიდა, იქ მხოლოდ ზეთის გამოსაცვლელად თუ შევივლი და კიდევ მაშინ, როცა სადმე დიდ გზაზე ვდგავარ.

— **შორ მანძილზე ხშირად დადიხართ?**

— ჩემი მანქანით ისეთ ადგილებში მივლია, სიტყვით ვერ გადმოგცემთ. რაჭაში გაუვალ ადგილებში იარა, მაგრამ საჭესთან დაჯდომა მე ვერ გავბედე. რაჭამდე მანქანა ნაღრძობი ფეხით ვმართე, მერე კი ისეთ ადგილებში ვიარეთ, თვალები დახუჭული მქონდა. მანქანა ორ ბორბალზე დადგა, მაგრამ მაინც გაიარა. მივქარეთ, რომ მოკლეზე გადასვლა მოვინდომეთ და ნამეწყრალზე მოგვიხდა სიარული.

— **ქუსლიანი ფეხსაცმლით ზიხართ საჭესთან?**

— არა. ავტომობილში დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი ყოველთვის მიდევს, რომელსაც ჩაჯდომისთანავე ვიცვამ. ქუსლიანი ფეხსაცმლით მართვა რთული არა, მაგრამ სახიფათოა. შეიძლება ფეხი ჩამისრიალდეს, ქუსლი სადღაც ჩამეჭედოს და თავი საფრთხეში რატომ უნდა ჩავიგდო?

— **რამდენად ეტყობა თქვენს ავტომობილს, რომ ქალისაა?**

— ჩემს მანქანაში რას აღარ წააწყდებით. იმდენი ტანსაცმელი დამაქვს თან, უცებ სადმე წასვლა რომ დავაპირო, მშვენივრად გამოვიპრანჭები.

— **როგორც მძღოლს, მეგობრები როგორ გაფასებენ?**

— ჩემ გვერდით მშვიდად არიან. ძალიან იშვიათად, რომ მე ვინმეს მანქანაში მშვიდად ვიჯდე. ვინც მართვა იცის, ჩემთვის ხშირად უთქვამს, შენ გვერდით მშვიდად ვზივარო. ეს ბაიკო დვალიშვილმაც მითხრა. ის მრავალი წელია, რაც საჭეს მართავს. მის მანქანაში არ ვმჯდარვარ, მაგრამ მგონია, რომ კარგი მძღოლი უნდა იყოს.

— **მანქანის გამოცვლას აპირებთ?**

— თუ გამოვცვლი, ისევ „ტოიოტას“ ჯიპს შევიძენ, ოღონდ უფრო ახალს. საერთოდ კი ამ თემაზე ფიქრიც არ მინდა, რადგან ჩემი ავტომობილი ისე მიყვარს, სულ მგონია, თუ გავყიდი, ეწყინება. ერთგული ადამიანივით მიდგას გვერდში.

✓ სოფიო ბოჭორიძე



Cyan Magenta Yellow Black

# თქვენი ხარჯების მარტივად მართვისთვის

ორი განცალკევებული ანგარიში პირადი და ბიზნეს საქმიანობისთვის | შიდა გადარიცხვები უფასოდ | საუკეთესო პირობები




## უნიკალური პროდუქტი
## თქვენი ხარჯების მარტივად მართვისთვის

თუ თქვენ მეწარმე ფიზიკური პირი ბრძანდებით და გესაჭიროებათ პირადი და საქმიანი ხარჯების გამიჯვნა, გთავაზობთ ინოვაციურ პროდუქტს – ანგარიშთა პაკეტს, რომელიც მოიცავს ორ მულტისავალუტო საბანკო ანგარიშს პირადი და ბიზნესსაქმიანობისათვის და აერთიანებს ყოველდღიურ საბანკო პროდუქტებს.

პაკეტი დაგეხმარებათ პირადი და ბიზნესბიუჯეტის დაგეგმარებაში. ასევე შეძლებთ ისარგებლოთ საბანკო გადარიცხვების საუკეთესო ტარიფით ბაზარზე.

- "აბაკუსი": მეწარმე ფიზიკური პირის ხარჯების მარტივად მართვისთვის;
- ორი ტიპის პაკეტი.

ყოველი ჩვენგანი მნიშვნელოვანია

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეტე ჟენერალი

290 90 90 | * 90 90 | BR.GE

# „ჩვენს დაშორებას თენგო ვერაფრით ეგუებოდა“

## ნინა წკრიალაშვილმა ქმრის ნაჩუქარი ბეჭედი ისევ გაიკეთა



■ თენგო და ნინა

„თუ არ შემირიგდები, მარტამდე ვერ ვიცოცხლებ“, „ჩემი სიკვდილის შემდეგ მიხვდები, რომ მთელი ცხოვრება მარტო შენ მიყვარდი“... — სწერდა მომღერალ ნინა წკრიალაშვილს ყოფილი ქმარი თენგო წივწივაძე სულ რამდენიმე თვის წინ, სანამ გარდაიცვლებოდა. ახლა, ტრაგედიის შემდეგ, მისმა თითოეულმა სიტყვამ განსაკუთრებული აზრი შეიძინა მისი საყვარელი ქალისთვის, რომელსაც დანაკარგის შეგრძნება დროსთან ერთად უმძაფრდება.

თენგო წივწივაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა ავტოკატასტროფაში. ის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი იყო.. ნინას სულიერად ძალიან უჭირს. მისთვის ერთადერთი შვება საფლავზე სიარულია. იმ დროისთვის, როცა ტრაგედია მოხდა, ისინი ერთად უკვე აღარ ცხოვრობდნენ. გაშორებულები იყვნენ, მაგრამ კავშირი ბოლომდე არ გაწყვეტილა, ერთმანეთს ვერ თმობდნენ.

„ეს ადამიანი ჩემს ცხოვრებაში როგორ გიჟივითაც მოვიდა, ისე არანორმალურად წავიდა. ახლა რომ ვფიქრობ, თენგო ჩემს ცხოვრებაში თავისი მოსვლით და წასვლით სტიქია იყო“, — გვითხრა მომღერალმა. ის თავის ხანმოკლე ცოლქმრულ ცხოვრებას კინოდრამას ამსგავსებს — სიყვარული, შეუღლება, განქორწინება და სამუდამო განშორება.

### ნინა წკრიალაშვილი:

— ეს ტრაგედია ჩემთვის დიდი შოკი იყო. არ ვიცი, რამდენი დრო უნდა გავიდეს, რომ მდგომარეობიდან გამოვიდე. მის სიკვდილს ვერასოდეს ვიფიქრებდი. თენგოს უყვარდა სიცოცხლე, სიყვარული, კარგი ცხოვრება. ყველაზე ენერგიული და ყოჩაღი იყო. ამ ადამიანისგან სიტყვა „დავიღალე“ არ გამიგია მაშინაც კი, როცა ძალიან დაღლილი იყო. არ ვიცი, ეს რატომ მოხდა... წელიწადი და ორი თვე ერთად ვიცხოვრეთ, მაგრამ ჩვენი ერთად ყოფნის პერიოდი ათ წელს ან უფრო მეტსაც უდრიდა. ყოველთვის ერთად ვიყავით. ეს ამბავი რომ მოხდა, ოთხი თვის გაშორებულები ვიყავით.

**„თენგო ძალიან ბედნიერი იყო. მერე კი შეეშინდა, რომ ეს ყველაფერი არ დაეკარგა და ამოიჩემა, ვაიმე, ხომ სულ ასე ვიქნებითო. მეუბნებოდა, გეხვეწები, ერთად მოვკვდეთ, შენ თუ ჩემამდე მოკვდი, თავს მოვიკლავ, მე თუ მოვკვდი, შენ წაგიყვანო“.**

— **როგორ გაიგეთ მისი გარდაცვალების შესახებ?**

— დილაადრიან დედაჩემი და ჩემი ძმა მოვიდნენ და მათ მითხრეს. ეს ავარია გამთენიისას მოხდა და ჩემი ოჯახის წევრებს მაშინვე გააგებინეს. როცა მძინავს, ტელეფონის ზარს ვერ ვიგებ, ამიტომ ამ ამბის სათქმელად ჩემები მოვიდნენ.

სიმართლე გითხრათ, დღემდე ვერ ვიჯერებ, ვერ ვხვდები, ასეთი ადამიანი როგორ შეიძლება აღარ იყოს, არ მოვიდეს, არ დარეკოს. მიცვალებულს ვუყურებდი და ვერ ვიჯერებდი, რომ ის მკვდარი იყო. ეს ადამიანი ჩემს ცხოვრებაში როგორ გიჟივითაც მოვიდა, ისე არანორმალურად წავიდა. ახლა რომ ვფიქრობ, თენგო ჩემს ცხოვრებაში თავისი მოსვლით და წასვლით სტიქია იყო... ის არავის ჰგავდა. ახლა ვხვდები, რომ ყველაფრის მოსწრება უნდოდა. რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა და რაც არ შეეძლო, იმასაც. თავის სამსახურზე გადარეული იყო, გიჟივით უყვარდა, რასაც შეაკვდა კიდეც. ღამის 4 საათი იყო და ვიღაცის დასახმარებლად გარბოდა.

— **დაშორების შემდეგ ერთმანეთთან კონტაქტი გქონდათ?**

— იშვიათად. ოქტომბრის დასაწყისში დავშორდით და ბოლოს დეკემბრის დასაწყისში ვნახე. უნდა ვაღიარო, რომ ბოლოს ტელეფონზე რამდენჯერმე პასუხიც არ გავეცი. ისეთ ესემესებს მწერდა, საჭიროდ არ ჩავთვალე, პასუხი გამეცა. ახლა ვგრძნობ, რომ წინათგრძნობა ჰქონდა, სულ სიკვდილზე მწერდა. „ვგრძნობ, მალე მოვკვდები“, „ძალიან ავირიე, შემირიგდი, ისევ ერთად ვიცხოვროთ“, „თუ არ შემირიგდები, მარტამდე ვერ ვიცოცხლებ“, „ჩემი სიკვდილის შემდეგ მიხვდები, რომ მთელი ცხოვრება მარტო შენ მიყვარდი“ და ასეთ რაღაცეებს მწერდა. მაშინ ვიფიქრე, რომ გაგიჟდა. მისგან ასეთი სიტყვები უცნაური იყო, რადგან ის ყველაზე ხალისიანი, ძლიერი ადამიანი იყო, რომელიც, სიკვდილის გარდა, ყველაფერზე ფიქრობდა. მთელი მარტის თვე მეც უმიზეზოდ ძალიან ცუდ ხასიათზე ვიყავი.

— **ერთმანეთი ასე გიყვარდათ და რა მოხდა ისეთი, რომ დაშორდით?**

— თენგოს პირადი ცხოვრება სულ არეული ჰქონდა, ვერ დალაგდა. შემდეგ მე შემხვდა. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ ვინმეზე უკეთესი ან უარესი ვარ, უბრალოდ თენგო უკვე 40 წლის იყო, ოჯახი უნდოდა. ყველანაირად ვუწყობდი ხელს, მის გამო ბევრი რამ დავთმე. თენგო ძალიან ბედნიერი იყო. მერე კი შეეშინდა, რომ ეს ყველაფერი არ დაეკარგა და ამოიჩემა, ვაიმე, ხომ სულ ასე ვიქნებითო. მეუბნებოდა, გეხვეწები, ერთად მოვკვდეთ, შენ თუ ჩემამდე მოკვდი, თავს მოვიკლავ, მე თუ მოვკვდი, შენ წაგიყვანო.

**„როცა ერთად ვიყავით, ორი სკამი არ გვჭირდებოდა, ყველგან კალთაში ვეჯექი, ხელჩაკიდებული დავდიოდით. ეს ალბათ სხვებისთვის გამაღიზიანებელიც იყო“.**

ამის შემდეგ პათოლოგიური ეჭვიანი გახდა და სულ მეკითხებოდა, მე რატომ არ ვეჭვიანობდი. საერთოდ არ ვარ ეჭვიანი, ბოლომდე ვენდობოდი. ან რა დროს უნდა მეეჭვიანა? სულ ერთად ვიყავით ან ტელეფონზე ვსაუბრობდით. ისეთი პათოლოგიური ეჭვიანობა დაიწყო, მართლა ველარ გავძელი. ურთიერთობის დასრულება ძალიან გაგვიჭირდა, თენგო ძალიან განიცდიდა. ყოველ დილას სახლის კართან უზარმაზარი თაიგული მხვდებოდა, ყველაფერზე გულებს მიხატავდა, ესემესებს კი არა, წერილებს მწერდა. ეჭვიანობა არის თვისება, რომელიც არ გამოსწორდება, ასეთი ან ხარ, ან — არა. რომ მენახა, შევურიგდებოდი, ამიტომ არ ვნახულობდი, რომ ყველაფერი თავიდან არ დაწყებულიყო.

— **იქნებ შეიძლებოდა თქვენი სიყვარულის გადარჩენა.**

— თენგოს ვთხოვდი, რომ ფსიქოლოგთან გვევლო. რამდენჯერაც იყო მცდელობა, რომ ისევ ერთად გვეცხოვრა, ვიღაც დარეკავდა, ხუთშაბათს ან პარასკევს გადაცემაში მობრძანდითო და ტელეფონში კაცის ხმას რომ გაიგონებდა, წყობიდან გამოდიოდა. მივხვდი, რომ ერთად ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა. თავიდან ასეთი არ იყო, მერე კი ბენზინის ჩამსხმელზეც, მაღაზიის გამყიდველ მამაკაცზეც კი ეჭვიანობდა და დავიღალე. როცა ამას არ იმსახურებ, ასეთი საქციელი ორმაგად გწყინს...

ალბათ ყველაფერი ღვთის ნება იყო. ღმერთმა ეს ადამიანი რაღაცნაირად ყველასგან გასწია, სამსახურიც ხაშურში გადაუტანეს, დედამისთანაც, ჩემთანაც, ბავშვებთანაც ყოველდღე აღარ იყო. ალბათ უფალმა არ გაგვწირა. ბოლო წამამდე ერთად რომ ვყოფილიყავით და ეს ტრაგედია მერე მომხდარიყო, მართლა ვერ გადავიტანდი.

— **როგორი იყო ის ერთწლიანი თანაცხოვრება, როგორ გახსენდებათ ის პერიოდი?**

— თენგო ძალიან კეთილი და რომანტიკული იყო. ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. უამრავ სიურპრიზს მიკეთებდა, ყოველთვის იმაზე მეტის გაკეთება უნდოდა, ვიდრე ამის მატერიალური შესაძლებლობა ჰქონდა. ისეთ სამსახურში მუშაობდა, კაცმა არ იცოდა, როდის დაურეკავდნენ, სულ გზაში იყო. ალბათ ჩვენი დაშორება იმის ბრალიც იყო, რომ ერთ ქალაქში არ ვიყავით, ორივეს სამსახური გვქონდა. იმის გულისთვის, რომ ერთად ვყოფილიყავით, სამსახურში ვაგვიანებდი, ამიტომ პრობლემა შემექმნა, დამაქვეითეს.

თენგოს კვირაში ერთი დღე ჰქონდა დასვენება. დილით რომ ვდგებოდი, საჭმელი გაკეთებული ჰქონდა, უნდოდა, ლოგინში მოერთმია.



Cyan Magenta Yellow Black

ერთად ყოფნის ყოველი წამი კარგად გამოვიყენეთ და ეს ოდნავ მაინც მამშვიდებს. მოგზაურობაც მოვასწარით, საზღვარგარეთ ორჯერ ვიყავით, მთელი საქართველო მოვიარეთ. სოლარიუმშიც კი ერთად დავდიოდით. ძალიან მოვლილი, გემოვნებიანი მამაკაცი იყო.

„მისი ნაჩუქარი ეს ბეჭედი ბოლოს აღარ მეკეთა, ახლა ისევ გავიკეთე. მისი მაისურები მაქვს, რომლებსაც თენგოს სუნი ასდის".

კონცერტებზეც სულ დამყვებოდა. ყველაფერი ბავშვივით უხაროდა, სულ მეუბნებოდა, შენ ადგილას რომ ვიყო, ბევრ რამეს გავაკეთებდიო. მე ძალიან ზარმაცი ვარ. სულ მეჩხუბებოდა, სიმღერა ჩაწერე, კლიპი გადაიღეო. ჩემით ამაყობდა და უნდოდა, მეც მეამაყა მისით. თენგოთი ახლა უფრო ვამაყობ, ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ, თურმე რაღაცეებს როგორ გულით აკეთებდა... სანამ ცოცხლები ვართ, რაღაცეებს სათანადოდ ვერ ვაფასებთ და ამას როცა ვხვდებით, ძალიან გვიანია.

**— მეჩვენება, რომ თქვენს ურთიერთობაში იყო რაღაც, რასაც ძალიან ნანობთ. ყველაზე მეტად რაზე გწყდებათ გული?**

— ხალხმა ჩვენი ერთად ყოფნის ამბავი რომ გაიგო, ქალაქში ერთი ამბავი ატყდა. ზოგი „კეთილისმსურველი" ინტერნეტით მწერდა, ზოგი მირეკავდა და თენგოზე ათას სიბინძურეს მეუბნებოდნენ. დღეს ვხვდები, რომ ჩემთვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს ტყუილი... ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ერთად ცხოვრება შეგვეძლო, მაგრამ მაინც არ გაჩერდნენ. ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაცეები გონებაში მაინც ილექება. ცხოვრებაში პირველად თითქოს სხვის ნათქვამს ანგარიში გავუწიე. ყველაზე მეტად ამას ვნანობ. კიდევ ერთხელ მივხვდი, რომ არასდროს არავის აზრს ანგარიში არ უნდა გაუწიო, ყურადღება არ უნდა მიაქციო და საერთოდ არც უნდა გააბედვინო, რომ ვინმემ საკუთარი აზრი თავს მოგახვიოს.



რომ მცოდნოდა, თენგოს ეს ეწერა, ქუჩაში ვიცხოვრებდი, არაფერი მენდომებოდა, ხაშურში კი არა, ყველგან წავყვებოდი, ბოლო წამამდე მასთან ერთად ვიქნებოდი, ავარიის დროსაც კი... სიკვდილი მინდოდა, როცა მის ბოლო ესემესებს ვკითხულობდი და ვხვდებოდი, როგორი გულით ჰქონდა მოწერილი. მწერდა, უშენოდ მოვკვდებიო. სადაც უნდა ვყოფილიყავით — სახლში, ქუჩაში თუ მილიონ კაცში, მეუბნებოდა, მთელი ცხოვრება მეყვარებიო. ამას დღეში ათასჯერ მეუბნებოდა. მე კიდევ ვბრაზდებოდი, ათასჯერ ნუ მეუბნები-მეთქი. შეიძლება ვიღაცამ იფიქროს, რომ გავგიჟდი, მაგრამ ზედმეტი ყურადღებაც მაღიზიანებდა... ის განსაკუთრებული ადამიანი იყო თავისი უამრავი კარგი თვისებით და დიდი სიკეთით.

„თენგოზე ათას სიბინძურეს მეუბნებოდნენ... ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ერთად ცხოვრება შეგვეძლო, მაგრამ მაინც არ გაჩერდნენ. ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ, როგორც ჩანს, რაღაცეები გონებაში მაინც ილექება. ცხოვრებაში პირველად თითქოს სხვის ნათქვამს ანგარიში გავუწიე. ყველაზე მეტად ამას ვნანობ".

**— ამ ტკივილის გადატანაში უფლის რწმენა გეხმარებათ?**

— მისი გარდაცვალებიდან 40 დღე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე სრულდება და ამით ყველაფერია ნათქვამი. თუ შეიძლება, თავი რამით დავიმშვიდო, ერთადერთი ის არის, რომ ის სამოთხეში მოხვდა. თენგო მიყვარდა და მთელი ცხოვრება მეყვარება. ბოლოს ჩემი ქმარი არ იყო და არც ვთვლი, რომ ქმარი მომიკვდა, მე მომიკვდა ადამიანი, რომელმაც იმხელა სიყვარული მაჩუქა, დარწმუნებული ვარ, მთელ სამყაროში ძალიან ბევრ ქალს არ განუცდია. არაფერს ვამეტებ, პირიქით, ვაკლებ, კარგად ვერ გიხსნით. ბედნიერი ვარ, რომ ეს ყველაფერი გამოცდილი მაქვს. ჩემი ცხოვრების ეს პერიოდი ჩვეულებრივი კინოა. სცენარისტს რომ დავუჯდე და მოვუყვე, საოცარი დრამა გამოვა.

**— „დღეს ჩემი ბიჭი გავაცილე" — ასეთი სტატუსი გქონდათ „ფეისბუქზე". ძალიან მძიმე იქნებოდა თქვენთვის ის დღეები...**

— სიმართლე გითხრათ, ნახევარი არც მახსოვს. მაცივარში იწვა და ეს უფრო მაგიჟებდა, ვერ ვეხებოდი. როცა ერთად ვიყავით, ორი სკამი არ გვჭირდებოდა, ყველგან კალთაში ვეჯექი, ხელჩაკიდებული დავდიოდით. ეს ალბათ სხვებისთვის გამაღიზიანებელიც იყო. სულ ჩემი ხელი ეჭირა, ყველაფერს ერთი ხელით აკეთებდა. სახლში ყავასაც ერთ ჭიქაში ვაკეთებდით.

**— ამ რთულ პერიოდში ყველაზე მეტად ვინ დაგიდგათ გვერდით, ვინ გეხმარებოდათ, ვისთან ყოფნა გამშვიდებდათ?**

— თენგოს შვილებთან, დედასთან ურთიერთობა ძალიან მსიამოვნებდა. თენგოს ხუთი შვილი, დედა, ძმა ჰყავს. ისინი ჩემიანებად ახლა უფრო იქცნენ. თურმე ჭირმა დაახლოება იცის. თენგოს შვილიშვილიც ჰყავს, ყველაფერი მოასწრო. ოცნებობდა, რომ გოგო ჰყოლოდა, მე მეზარებოდა, არ მინდოდა. ვეუბნებოდი, რა მნიშვნელობა აქვს, ჩემი შვილია თუ შენი, ისედაც ბევრი ბავშვი გყავს მისახედი-მეთქი. ვფიქრობდი, რომ კიდევ ერთი შვილის დამატება საჭირო არ იყო...

ალბათ დრო გავა და მივეჩვევი, ამ ტკივილთან ერთად როგორ უნდა ვიცხოვრო. ზუსტად ვიცი, არ მოეწონება, ახლა როგორც გამოვიყურები, ღამეებს რომ ვათენებ და არ მძინავს. ასეთი ყველამ პირველად მნახა. ამ ამბავმა სრულიად გამანადგურა. ვიცხოვრებ ისე, როგორიც მას ენდომებოდა, რომ მეცხოვრა. სულ მეუბნებოდა, დრო არ დამეკარგა და ყველაფერი გამეკეთებინა, რომ მას ეამაყა. რითიც ამაყობდა, იმას გავაკეთებ.

**— მთელი სახლი მასთან ერთად გადაღებული ფოტოებით გაქვთ მოფენილი, მისი კუთხეც მოგიწყვიათ. ასე უფრო გაგიჭირდებათ ამ ტკივილის დაძლევა.**

— ფოტოების გარეშეც ვგრძნობ, რომ აქ არის. თვალს რომ ვხუჭავ, მიყურებს და მიღიმის. მისი ნაჩუქარი ეს ბეჭედი ბოლოს აღარ მეკეთა, ახლა ისევ გავიკეთე. მისი მაისურები მაქვს, რომლებსაც თენგოს სუნი ასდის. ახალ წელს თავისი ნივთები გავატანე, სჭირდებოდა, მაგრამ რაღაცეები დამრჩა. თუმცა ამას მნიშვნელობა არც აქვს, თენგო ჩემს გონებაში, გულში სულ იქნება.

როცა დიდი სტრესი მაქვს, მინდა, მარტომ გადავლახო, ვერავის ვიკარებ. ეს დღეები თენგოს დედასთან ვარ, ორმოცის მერე ასე სისტემატურად ალბათ ველარ ვიქნები. სახლში არც ერთი მეგობარი გამიკარებია, მარტო მინდოდა ყოფნა. ადამიანმა ყველაფერი შენ თვითონ უნდა გადაიტანო. მე თვითონ შევძლებ ამის გადატანას და ისვე ფეხზე დადგომას...

ეს ადამიანი ჩემს ცხოვრებაში მართლა სტიქია იყო. იმის ფიქრის საშუალებაც არ მომცა, მასთან მინდოდა თუ არა, ჩემს ცხოვრებაში მოვიდა და აღარ წავიდა. ამ ადამიანმა თავიდან ბოლომდე შემიტრიალა ტვინი...

ერთმანეთის მიმართ ყურადღებიანები უნდა ვიყოთ. სანამ ცოცხლები ვართ, ერთმანეთი სიტყვით არ უნდა მოვკლათ, მაქსიმალურად უნდა ვაპატიოთ მათ, ვინც ჩვენთვის ძვირფასია. სრულიად საკმარისია ელემენტარული საარსებო გქონდეს და ბევრი სიყვარული. დანარჩენი ყველაფერი აბსურდია.

**— როგორც ვიცი, თენგოს საფლავს თქვენ პატრონობთ.**

— ყოველ დილით, როგორც სამსახურში უნდა წახვიდე, ისე მივდივარ საფლავზე. რატომღაც იქ ვმშვიდდები. ვისაც ახლობელი გარდაცვლილი ჰყავს, ამას ის მიხვდება. ძალიან მინდა, რომ საფლავის გაკეთება მის ორმოცამდე მოვასწრო. ყველაფერს ისე გავუკეთებ, როგორც თვითონ მოეწონებოდა. რაზეც დარდობდა, თუ რამე შემიძლია, ყოველგვარი მეტიჩრობის გარეშე გავუკეთებ. ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა, მას რამე აწუხებდა თუ არა, რადგან გარეთ მხიარული ჩანდა, ისე კი გულჩათხრობილი იყო. ორმაგად შეწუხებული ვარ, მისი დარდი რომ ვიცი, რა მოასწრო და რა — ვერა. რასაც შევძლებ, ვეცდები, ყველაფერი დავულაგო. ამ ეტაპზე ეს მაძლებინებს, მგონია, რომ მას ვეხმარები.

✓ ეკა ლემონჯავა

„ლიგა" სამკურნალო გაერთიანება
ლიგა
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

თბილისი, თაბუკაშვილის ქ. 19ა. ☎ 232 21 21, 8 790 32 21 21. www.league.ge

# ირაკლი ჩოლოყაშვილის კარიერასა და პირად ცხოვრებაში ცვლილებებია

მსახიობ ირაკლი ჩოლოყაშვილს რამდენიმე ხნის წინ მძიმე პერიოდი ჰქონდა — მამა გახდა მაშინ, როცა მსახიობ ნინო იოსელიანთან უკვე გაშორებული იყო. პროფესიული კუთხით კი ერთგვარი პაუზა ჰქონდა, როგორც მსახიობი, წინ ვერ მიდიოდა. თუმცა ეს პაუზა თავისთავად შეავსო მისმა მეორე პროფესიამ. კარგი სიახლეები თანდათან დაიწყო და ირაკლის იმედი აქვს, სასიკეთო ცვლილებების დროც დადგება. ცოტა ხნის წინ გამოჩნდა სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“, სადაც მუსიკის მასწავლებლის როლს თამაშობს. წამიერმა კადრმა, სადაც ირაკლის გმირმა ინტერესით და თითქოს მრავლისმეტყველად შეხედა ანი ტყებუჩავას გმირს, ნინას, მაყურებელში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. სოციალური ქსელის მომხმარებლები სცენარისტებს მოუწოდებდნენ, ნინა „არ გაეფუჭებინათ“.

ამ ორი გმირის შესაძლო რომანზე თავად ირაკლი ჩოლოყაშვილი ბევრს არაფერს ამბობს, მაგრამ რეიტინგულ სერიალში გამოჩენა ძალიან სიამოვნებს. ამავდროულად მარჯანიშვილის თეატრში ახალი სპექტაკლის პრემიერაზე მუშაობს.

**— ირაკლი, პირველ რიგში, სერიალზე გკითხავთ. ამბობენ, რომ შეიძლება ნინას და თქვენს გმირს შორის რომანი დაიწყოს. მართალია?**

— ვერაფერს გეტყვით. სცენარი თანდათან იწერება.

**— ძალიან მცირე დროში და მხოლოდ მზერით მოახერხეთ, იმხელა ინტრიგა ჩაგედოთ, რომ მაყურებელმა ეს დასკვნა გააკეთა.**

— სიმართლე გითხრათ, ყველა ამას მეუბნება. ძალიან მაინტერესებს, ასეთი რა გამოჩნდა.

**— სერიალის გუნდს ადვილად შეეწყვეთ?**

— შორიდან ყველას ვიცნობ. ზოგთან ადრეც მიმუშავია. ძალიან ყოჩაღი ჯგუფია. იციან, რისი გადაღება უნდათ, რამდენ ხანში და ა.შ.

**— კიდევ რითი ხართ ამჟამად დაკავებული?**

— მარჯანიშვილის თეატრში მალე მაკდონაჰის პიესის „ლინეინი — სილამაზის დედოფალი“ პრემიერა გვექნება. ამავდროულად ოპერის თეატრში მიწვეული დირიჟორის სტატუსით ვარ. ახლახან გვქონდა ზაქარია ფალიაშვილის „ლატავრას“ პრემიერა , რომელიც 50 წელზე მეტია არ შესრულებულა. მომინდა, რომ ეს ოპერა გაგვეცოცხლებინა და ამაში თეატრის ხელმძღვანელობა დაგვეხმარა. მარჯანიშვილის თეატრში გიმართა პრემიერა.

**— რომელი პროფესია უფრო რთულია — მსახიობობა თუ დირიჟორობა?**

— ალბათ ყველა პროფესია რთულია. თუ გამოგდის, მერე იოლდება. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი გამომდის ამ ორ პროფესიაში, მაგრამ ბევრი რამ გამოცდილებასა და პრაქტიკაზეა დამოკიდებული.

**— თქვენ საით უფრო იხრებით — დირიჟორობისკენ თუ მსახიობობისკენ?**

— ნუ ეწყინებათ რეჟისორებს და ამ ეტაპზე უფრო მუსიკის მხარეს ვარ. მსახიობობა რთული პროფესიაა, რადგან შეიძლება გაცვდე ან ნიჭი არ გეყოს, თუნდაც მოგწყინდეს და ა.შ. ამიტომ არსებობს მსახიობების ცხოვრებაში პაუზა, რომ გადახედონ, რა გააკეთეს, რა გამოუვიდათ და ა.შ.

**— ეს პაუზა იდგა თქვენს ცხოვრებაში?**

— იყო ცოტა ხანი და მსახიობობის ადგილი შეგნებულად დაიჭირა მეორე პროფესიამ, დირიჟორობამ, რომელიც ძალიან მიყვარს და რომელშიც ჯერ არ ვარ გამოცდილი.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენს მსახიობურ ცხოვრებაში პაუზა სწორედ მეორე პროფესიასთან შეჭიდებამ ხომ არ გამოიწვია?**

— შეიძლება... ალბათ რეჟისორებმა იფიქრეს, რომ ეს პროფესია უფრო მომწონდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სპექტაკლები არ მქონდა. უბრალოდ ორი წელია ახალ წარმოდგენაზე არ მიმუშავია. ახლა უკვე ვმუშაობთ. რაც უნდა გასაკვირი იყოს, მსახიობობა ძალიან მეხმარება დირიჟორობაში. ეს არის დიდ სცენაზე დგომის გამოცდილება. არ ვარ დამფრთხალი, როცა დიდ გუნდს ვხელმძღვანელობ. გამოუცდელი ადამიანი შეიძლება დაიბნეს. თუნდაც ამიტომ ვარ მსახიობობის მადლობელი. ვიცი, როგორი არის მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი და რა შესაძლებლობები აქვს. რაც შეეხება დირიჟორ ირაკლი ჩოლოყაშვილს, ეს ჯერ კიდევ გასარკვევი და დასამტკიცებელი მაქვს.

**„ვიცი, როგორი არის მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი და რა შესაძლებლობები აქვს. რაც შეეხება დირიჟორ ირაკლი ჩოლოყაშვილს, ეს ჯერ კიდევ გასარკვევი და დასამტკიცებელი მაქვს".**

**— და როგორია მსახიობი ირაკლი ჩოლოყაშვილი?**

— ვიცი, რა შემიძლია და რა არ შემიძლია. თუ სპექტაკლებში გაკავებენ, ესე იგი კარგი ხარ და თეატრს სჭირდები.

**— რადგან ორი წელი პაუზა გქონდათ, იფიქრეთ, რომ კარგი მსახიობი არ ხართ?**

— არა, მაგრამ... შეიძლება დიდი დოზით ვიყავი ადრე სპექტაკლებში. მაყურებელიც იღლება ერთი და იმავე სახით. თან, როცა კვირაში ათი სპექტაკლი გაქვს, ძნელია, განსხვავებული იყო. ახლა პრემიერა მარჯანიშვილში, ვფიქრობ, ჩემთვის საეტაპო აღმოჩნდება.

**— არის როლი, რომელიც წინასწარ იცით, რომ ვერ ითამაშებთ?**

— ალბათ არის ამგვარი როლი. არ მჯერა იმის, რომ მსახიობი უკომპლექსო უნდა იყოს და ყველა როლის თამაში შეძლოს.

**— ამის გამო გითქვამთ რომელიმე როლზე უარი?**

— ასე კონკრეტულად არ მახსენდება. ვერც იმას ვიტყვი, რას ვერ ვითამაშებ, მაგრამ ყველა როლს ვერ დავთანხმდები. გაუმარჯოს მსახიობს, ვისაც ეს შეუძლია!

**— ვინ არის თქვენი შემფასებელი, საკუთარი თავის გარდა, სცენაზე და ეკრანზე?**

— ალბათ ოჯახის წევრები.

**— მეუღლე?**

— მეუღლე — ნაკლებად, რადგან განქორწინებულები ვართ.

**— რამდენი ხანია, რაც ერთად აღარ ხართ?**

— თითქმის ერთი წელიწადია.

**— არადა, 6 თვის წინ გახდით ბიჭის, დემეტრეს მამა.**

— რა თქმა უნდა, ჯობია, ოჯახები არ ინგრეოდეს, მაგრამ რას იზამ...

**— ხშირად ამბობენ, რომ მსახიობებს უჭირთ სტაბილური პირადი ცხოვრების აწყობა...**

— მიზეზებზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანს. ორი ადამიანის ურთიერთობაში ხან ისე ხდება, ხან — ასე. სამწუხაროდ, ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა არ იქნება. ამგვარი ამბები ხშირია და არ აქვს მნიშვნელობა, მსახიობი ხარ თუ ვინმე სხვა. სხვა პროფესიის ადამიანსაც შეიძლება იგივე დაემართოს.

**— მამობა გაითავისეთ?**

— შორეული მამა ვარ. იმედი მაქვს, დემეტრე ცოტა რომ წამოიზრდება, ყველაფერი უკეთესად იქნება.

**— ახალი სიყვარული ხომ არ გამოჩნდა თქვენს ცხოვრებაში?**

— ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. იმედი მაქვს, რომ გამოჩნდება.

✓ მანანა ნოდია



## „დემეტრესთვის შორეული მამა ვარ“



Cyan Magenta Yellow Black

# სალომე შარვაძემ დედამთილთან თავი შეირცხვინა



„ახალი გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემს მეუღლეს მჭადი გამოვუცხვე. ტაფაზე მთლიანი დავდე, მაგრამ როგორ გინდა, ხაჭაპურისხელა მჭადი ამობრუნო? ამიტომ მაგიდაზე გადმოვიღე, ამასობაში გამიტყდა. მერე მჭადის ფქვილით შევაწებე...".

მსახიობ სალომე შარვაძეს დედამ მზითევში კულინარიული წიგნები გაატანა, მაგრამ ჯერ არც გამოუყენებია. ურჩევნია, დედამთილს ან დედას დაურეკოს და რეცეპტები ტელეფონით ჩაიწეროს. მართალია, სამზარეულოში დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა, მაგრამ, თუკი რაიმეს ამზადებს, გემრიელი გამოსდის. შეიძლება უკეთესი დიასახლისიც დამდგარიყო, რომ არა ერთი პრობლემა — მუდმივად დიეტაზეა. მისი რაციონი ხშირ შემთხვევაში ძალიან მწირია. ამჟამად წიწიბურას დიეტაზეა და შედეგს მოუთმენლად ელის. საუბარი სწორედ ამ თემით დავიწყეთ.

— **სალომე, როგორია თქვენი დიეტური მენიუ?**

— ორ კვირაზე მეტია, წიწიბურას გეახლებით. სალათის ფურცლებით, მწვანე ხახვით, კიტრით, პომიდვრით და ცოტა სამარხვო მაიონეზით ვაგემრიელებ. სხვას არაფერს ვჭამ. რაციონიდან ცომეული საერთოდ ამოვიღე. ჯერჯერობით შედეგი არ მაქვს, მაგრამ მეუბნებიან, ერთბაშად დაიკლებო. საერთოდ, ეკრანი ძალიან მსუქანს გაჩენს. ქუჩაში რომ მხედავენ, მეუბნებიან, რა გამხდარი ყოფილხარო. მე კი ეკრანზე საოცრად დიდი ვჩანვარ, რაც ძალიან მაღიზიანებს.

ერთხელ ისეთი დიეტა მასწავლეს, რომ მესამე დღეს წნევა დამივარდა და საავადმყოფოში აღმოვჩნდი. მაშინ მივხვდი, რომ ყველას არ უნდა დაუჯერო. ღირსი ვარ, უნდა დავისაჯო! როცა ვიკლებ, მერე წონას ვერ ვინარჩუნებ. შარშან ამ დროს ძალიან კარგ ფორმაში ვიყავი, მაგრამ შემდეგ, როგორც ყოველთვის, ჩემი წამება დავივიწყე და ჩვეულებრივ რეჟიმში დავიწყე კვება. ამიტომ ახლა საკუთარი თავი აღარ მეცოდება.

— **როცა დიეტაზე ხართ, ოჯახის წევრებისთვის ცალკე ამზადებთ კერძებს?**

— ჩემს შვილს, 5 წლის მართას, საღამოობით რძის დალევა უყვარს. ხშირად ვუწვავ კატლეტებს, კარტოფილს, ვუკეთებ ყველიან მაკარონს, გუფთას, ბულიონს. ეს კერძები მეც ძალიან მიყვარს, ამიტომ დიეტის დროს მათი კეთების პროცესი ჩემთვის საშინელებაა. დედამთილი და დედაჩემი დამადგებიან ხოლმე თავზე, ამას გაგიკეთებთ, იმას გაგიკეთებთო. ვეუბნები, დამანებეთ თავი, ყველაფერი მასუქებს და სპეციალურად არ ვაკეთებ, თორემ მეც მოვახერხებდი-მეთქი.

„მართას კვერცხებს ნაირფერად — ყვითლად, წითლად ვაღებინებ, ნახატებსაც ვუკეთებთ".

— **როცა დიეტას მორჩებით, თქვენი მენიუ როგორი იქნება?**

— გაზაფხულიდან ჩვენი მენიუ კიტრი, პომიდორი, ყველი, მჭადი, შემწვარი კარტოფილი და მოხარშული ან შემწვარი ქათამია. რაც შეეხება ხორცს, ყოველთვის გრილზე ვწვავ, რადგან ზეთში შემწვარი საშინელებაა.

— **განსაკუთრებულად რომელი კერძი გიყვართ?**

— განსაკუთრებით ჩაქაფული და ხინკალი მიყვარს. სოკოს ძალიან ხშირად ვამზადებ. თუ კეცის საშუალება არ არის, ხის სოკოს დიდ ტაფაზე ვყრი და ხახვსა და ქინძში ვშუშავ. მჭადთან ერთად უგემრიელესია! ამ ეტაპზე არ ვაკეთებ, რადგან ვიცი, რომ მთლიანად შემომეჭმება.

— **თქვენს მუდმივ დიეტებს ქმარი როგორ ეგუება?**

— გამიმართლა, მამუკაც ჩემნაირი ტიპია, კაფე-ბარებში ჭამა უყვარს. როცა შია, შემიძლია კიტრი, პომიდორი დავუჭრა და ამით კმაყოფილდება. განსაკუთრებულ სადილებს არ მთხოვს. აღნიშნავს, რომ, თუ მოვინდომე, გემრიელი საჭმელები გამომდის. ჩემს მეუღლეს ლობიო ძალიან უყვარს. ერთხელაც გავაკეთე, რომ სამსახურიდან დაბრუნებულისთვის დამეხვედრებინა. მამუკას მოსვლამდე ბიძაშვილები მესტუმრნენ და ჩემი გაკეთებული ლობიო ისე მოეწონათ, სულ შეჭამეს. გარჩეულ ლობიოს საღამოს წყალში ვალბობ და მოსახარშად დილით ვადგამ. ძალიან უხდება ბევრი მწვანილი და წიწაკა.

— **ბევრი რეცეპტი იცით?**

— არა, დედას ან დედამთილს ვურეკავ და ისინი მასწავლიან, რა როგორ გავაკეთო. მეგობრებს ყოველთვის გემრიელი კერძებით ვუმასპინძლდები, თუმცა გოგოები, ვისაც სჭირდება თუ არ სჭირდება, რატომღაც ყველა დიეტაზეა. ამიტომ მათ ვეუბნები, მობრძანდით, თქვენთვის წიწიბურა მაქვს-მეთქი. ლამაზად ვუფორმებ და გემრიელად მიირთმევენ. ახლა მარწყვი შემოდის და მიხარია. მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ მარწყვს და ხაჭოს შევჭამ. მაგარი დიეტაა. მერე საზამთრო წამოგვეწევა და საზამთროს დიეტაზე გადავალ. ეს ხილი ისედაც კარგია, ორგანიზმს წმენდს და კარგი ეფექტიც აქვს. ჩემი რაციონიდან გამომდინარე, ძალიან გამხდარი უნდა ვიყო, მაგრამ გათხოვების შემდეგ ზედმეტი 5 კილო ვერ მოვიშორე, სულ მასთან ბრძოლაში ვარ და ხან მე ვამარცხებ, ხან ის მჯობნის.

— **სანამ გათხოვდებოდით, დედისგან სწავლობდით კერძების მომზადებას?**

— დედა სულ მეუბნებოდა, მოდი, მიყურე, რას როგორ ვაკეთებო, მე კი ვეწუწუნებოდი. ჩემი ბიძაშვილი 4 წელი ჩვენთან ცხოვრობდა და იმაზე ვეუბნებოდი, მაკა ისწავლის, მე რად მინდა-მეთქი. მაკა რომ გათხოვდა, შესანიშნავი კერძების კეთება იცოდა და, ჩემგან განსხვავებით, ტელეფონით კარნახი აღარ სჭირდებოდა. არასოდეს მქონდა კულინარიის ინტერესი, ამით თავს არ ვიწუხებდი. როცა გავთხოვდი, დედამ ბევრი კულინარიული წიგნი მაჩუქა, მაგრამ არც იმას ვიყენებ.

— **ქმრის ოჯახში შესულმა პირველი კერძი რა გააკეთეთ?**

— ახალი გათხოვილი ვიყავი, როცა ჩემს მეუღლეს მჭადი გამოვუცხვე. მამუკამ მითხრა, პატარები არ მიყვარს და ცოტა დიდი გააკეთეო. ტაფაზე მთლიანი დავდე, მაგრამ როგორ გინდა, ხაჭაპურისხელა მჭადი ამოაბრუნო? ამიტომ მაგიდაზე გადმოვიღე, ამასობაში გამიტყდა. მერე მჭადის ფქვილით შევაწებე. საბოლოოდ საშინელება გამოვიდა, მამუკამ ძლივს შეჭამა. მერე ჩემი დედამთილი მოვიდა, ალბათ შვილი შეეცოდა და ბევრი მჭადი გამოუცხო. აუცილებლად იფიქრებდა, ამ საოცრებას რა აჭმევსო. ძალიან კი შემრცხვა, მაგრამ რაღას ვიზამდი.

— **კულინარიაში ახლა უკვე გაქვთ გამოცდილება და ალბათ შეგიძლიათ, რომელიმე გემრიელი კერძის მომზადება გვასწავლოთ.**

— „ვარენიკებს“ გასწავლით, რომელიც მე დედამ მასწავლა. თან გამაფრთხილა, პურის ფქვილი მჭადის ფქვილში არ აგერიოსო. პურის ფქვილს ცოტა მარილს ვუზამთ და მოვზელთ. საფუარი არ უნდა. ყველს გავხეხავთ, ცოტა ხაჭოს და ერთი კვერცხის ცილას ვუზამთ, რომ კარგად შეიკრას. ცომს ჭიქით პატარ-პატარა ნაჭრებად დავჭრით, გავაბრტყელებთ და შიგ თითო კოვზ გულს ჩავდებთ. შემდეგ ადუღებულ მარილიან წყალში ჩავყრით და მოვხარშავთ. კარაქთან ერთად მიირთვით, ძალიან გემრიელია. დედაჩემი კურდღლის ფორმის „ვარენიკებსაც“ კი აკეთებს, მე ჯერ ამდენი ვერ ვისწავლე. ამ კერძს ბავშვს ხშირად ვუკეთებ, მე ამ დროს ოთახიდან გავდივარ, ყურება არ შემიძლია. ცოტა ხნის წინ ისე მინდოდა ყველიანი მაკარონი, რომ ხელი მიკანკალებდა, მაგრამ ოჯახის წევრებს ვუთხარი, თქვენ მიირთვით-მეთქი და ოთახიდან გავედი.

ქათმის სალათსაც ვაკეთებ. ქათმის ფილეს მოვხარშავ და ვძენძავ. ვუშვრები მაიონეზს, მარილს, პილპილს და ცოტა წყალსაც ვასხამ, რადგან ქათამი ძალიან მშრალია და უცებ იწოვს. ამ ყველაფერს ავურევ, შემდეგ ვამატებ პატარა კუბიკებად დაჭრილ კიტრს. სუფრასთან მიტანამდე კი ორცხობილას ვაყრი.

— **აღდგომისთვის როგორ ემზადებით ოჯახში?**

— აღდგომის ღამეს ტაძარში ვიქნები, ვეზიარები. პასქებს სახლში არ ვაცხობ, ვყიდულობ. მართას კვერცხებს ნაირფერად — ყვითლად, წითლად ვაღებინებ, ნახატებსაც ვუკეთებთ და ასე ვხვდებით აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ხორცი ძალიან მომენატრა და აღდგომის შემდეგ ალბათ ცილოვან დიეტაზე გადავალ. ცოტა ხნის წინ ჩემმა დედამთილმა გააკეთა ჩაქაფული და ისე მომინდა... მითხრა, მარხვა რომ მორჩება პირობას გაძლევ, აუცილებლად გაგიკეთებო.

— **თქვენი გაკეთებული კერძებიდან დედამთილს რომელი მოსწონს?**

— დედამთილს შეძლებისდაგვარად მეც ვანებივრებ. ქაშაყს ვდებ ხახვში, ზეთში, ძმარში და მოხარშულ კარტოფილთან ერთად ძალიან გემრიელია. დედამთილს და დედას ამ კერძზე ვეპატიჟები. ისე მოსწონთ, გიჟდებიან. ლუდსაც ამოვიტან ხოლმე და მშვენივრად გეახლებით.

— **მზა საჭმელებს და ნახევარფაბრიკატებს სწყალობთ?**

— არ მიყვარს, ადამიანი გამზადებულ ფხალს რომ ყიდულობს. მზა პროდუქტების ყიდვა ფინანსურადაც საკმაოდ გაზარალებს. არც ის მესმის, ბავშვი მარტო პურსა და შოკოლადიან კარაქზე ან ხაჭოსა და არაჟანზე როგორ უნდა გაზარდო. როგორ შეიძლება ბავშვმა წვნიანი კერძი არ მიიღოს?! ჩემმა შვილმა წვნიანი კერძი ერთი დღეც რომ არ ჭამოს, ვნერვიულობ. ზოგი მეტიჩრობს, რომ არაფრის მომზადება ეხერხება. საცივს ნუ მოამზადებ, მაგრამ ელემენტარული რაღაცის გაკეთება უნდა შეგეძლოს!

✓ ქეთი დინოშვილი



Cyan Magenta Yellow Black

# ასმათ ტყაბლაძე: „ჩემმა შვილმა არ იცის, ვინ არის მისი მამა“



მსახიობი ასმათ ტყაბლაძე 26 წელი მარჯანიშვილის თეატრის დასის წევრი იყო. თეატრის გარეშე ცხოვრება მისი უდიდესი ტკივილია. დღემდე ესიზმრება, როგორ მიიჩქარის იქ თავისი როლის სათამაშოდ, მაგრამ შიგნით არ უშვებენ.

მსახიობი ქალი ამბობს, რომ კაცივით ძლიერია, მეტიც, „კაცის ტვინი“ აქვს. ფარხმალს არასოდეს ყრის. როცა თეატრიდან გაათავისუფლეს, ასე ადვილად არ დაუთმია, რკინის ქალამნები ჩაიცვა და ქვეყანას გააგებინა, რომ ის და მისი კოლეგები უმუშევრები დარჩნენ. მერე კი ჯერ ქსოვითა და კერვით ირჩენდა თავს, შემდეგ თბილისში ცნობილი კაფე-ბარის მეპატრონე გახდა.

წარმოშობით მთიულია, დუშეთში დაბადებულ-გაზრდილი, გაყრილი მშობლების შვილი. თავადაც ერთადერთი ქალიშვილი მარტომ გაზარდა, მაგრამ არასოდეს ჩაუთვლია, რომ ეს მძიმე ტვირთი იყო, დედობამ ყველაფერი შეაძლებინა.

**— ქალბატონო ასმათ, თქვენი მშობლები რომ გაშორდნენ, რამხელა იყავით?**

— 2-3 წლის. მამაჩემი ცუდი კაცი არ იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ ერთმანეთს გაშორდნენ. და მყავს, ჩემზე ორი წლით უფროსია. მამა 1938 წელს დააპატიმრეს და იქიდან რომ გამოვიდა, დუშეთში ველარ დაბრუნდებოდა. მანამდე იქ სატყეოში და ბანკში მთავარ კონტროლიორად მუშაობდა. ბანკში მუშაობისას დააპატიმრეს, რაღაც პოლიტიკური მიზეზი მოუდეს. ჩვენი ოჯახი შემორჩენილი ნივთების გაყიდვით ირჩენდა თავს. მერე დედას უფლება მისცეს, სამსახური დაეწყო.

დედაჩემის ძმა არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ. სამხედრო იყო, ორი ომი გაიარა — ფინეთის და მეორე მსოფლიო. „კაგებე“-მ თანამშრომლობა შესთავაზა, უნდა აერჩია — ან დამსმენობა და ან ომში წასვლა. ბებიაჩემმა, რომელიც საოცრად ბრძენი ქალი იყო, უთხრა, ომში დაღუპული შვილი მირჩევნია, ვიდრე დამსმენი, ამაღამ წინდებს მოგიქსოვ და ხვალ დილით ომში წადიო. ამ ბიძას დიდი ამაგი აქვს ჩვენზე. დედა ბანკში მუშაობდა და ფულის კეთებაც შეეძლო, მაგრამ არ მახსოვს, ჩვენს ოჯახში ზედმეტად ერთი კაპიკი შემოსულიყო.

**— მამასთან ურთიერთობა არ გქონიათ?**

— მამა დუშეთში რომ დარჩენილიყო, შეიძლებოდა დაეჭირათ. დედას ქუთაისში წაყოლას სთხოვდა, მაგრამ არ გაჰყვა. დედა მას ძალიან არ ადანაშაულებდა. ქუთაისში მამას სხვა ცოლ-შვილი ჰყავდა. მის შვილებთან არაჩვეულებრივი დაძმობა მაქვს. დედაჩემს წელს, 6 აპრილს, 100 წელი შეუსრულდა და ჩემი და-ძმები მის იუბილეზეც იყვნენ.

დედას გვიან, 35 წლის ასაკში გავუჩნდი, მე კი შვილი 40 წლისამ გავაჩინე.

**— დედათქვენს დღეგრძელობა ჯიშად მოსდგამს?**

— ყოველთვის ცოტას და მუდამ ჯანსაღ საკვებს ჭამდა. ჩაი ყოველთვის უყვარდა. ბოლო 5 წელი რომ კარგად არის, ეს უკვე ჩემი დამსახურებაა. ჭინჭარაულია, პირიქითა ხევსურეთიდან და უამრავი ლექსი იცის. დედაჩემი კარგი ქალია და იმიტომ იცოცხლა ამდენ ხანს. ეს ისეთი მნიშვნელოვანი რიცხვია კეთილი თუ არ ხარ, ვერ იცხოვრებ. ჯიში კარგი მაქვს და გამორიცხული არ არის, მასავით დიდხანს ჩამოვჯდე ამქვეყნად.

**— დუშეთელი გოგონა თეატრალური ინსტიტუტის გზას როდის და როგორ დაადექით?**

— ამის სურვილი მუდამ მქონდა. მეოთხე კლასში ვიყავი, როცა ბავშვები საახალწლო ზეიმისთვის აარჩიეს — „ტარანტელა“ უნდა ეცეკვათ. მე ამ სიაში არ მოვხვდი. სახლში ტირილი დავიწყე, ცეკვა მინდა-მეთქი. დედაჩემი მივიდა სკოლაში და სთხოვა, სადმე უკან დააყენეთო. როცა მეცადინეობა დაიწყეს, სხვები ვერ ინძრეოდნენ, მაგრამ მე გადასარევად ვცეკვავდი. წინ დამაყენეს და სოლო მომცეს. მერე სკოლის სპექტაკლში გერმანელი ოფიცრის როლი მომცეს. ყოველთვის ასეთი გულიდან ამოსული ხმა მქონდა და არა — ნაზი.

დუშეთში პატარა კლუბი იყო, სადაც ხშირად ჩამოდიოდნენ მარჯანიშვილის, რუსთაველის თეატრები. როცა ბევრი მაყურებელი იყო, სპექტაკლები სტადიონზე იმართებოდა. იქ მყავს ნანახი აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე. ახლაც თვალწინ მიდგას ვერიკო ანჯაფარიძის და ედიშერ მაღალაშვილის ესპანურის ცეკვა სპექტაკლში „ხეები ზეზეურად კვდებიან“. მაშინ დედას ვუთხარი, ასეთი მოცეკვავე უნდა გამოვიდე-მეთქი. ვერიკო ანჯაფარიძეობა მომინდა, მაგრამ ისეთი არავინ არის!

**„ჩემი შვილი რომ გაჩნდა, მას მერე მამაკაცი საერთოდ აღარ მაინტერესებდა და ჩემ გვერდით ვერც ვერავინ წარმომედგინა“.**



■ ქალიშვილთან ერთად

დედას თითქმის ყველა ახალ სპექტაკლზე დავყავდით თბილისში. სკოლა რომ დავამთავრე, ვუთხარი, ვიცი, გინდა, ექიმი გამოვიდე, მაგრამ მე მსახიობობა მსურს-მეთქი. მიპასუხა, ჩუმად ჩააბარე, რომ ვერ ჩაირიცხო, სირცხვილიაო. უმაღლესი ქულები მივიღე. კომისიის თავმჯდომარე აკაკი ხორავა იყო, რომელმაც ჩემზე თქვა: „შიკარნი ტეატრალნი გოლოს!“ (დიდებული თეატრალური ხმა აქვსო). გარეგნობითაც მოვეწონე. ინსტიტუტი წითელ დიპლომზე დავამთავრე, ლენინის სტიპენდიანტი გახლდით.



■ მსახიობი ახალგაზრდობაში

**„მუდმივად ცოლიან კაცებს მოვწონდი. არასოდეს მქონია სურვილი, ვინმეს ოჯახი დამენგრია. ვიცი, რომ ამით ჩემი თავი დავიჩაგრე, მაგრამ სხვის უბედურებაზე ჩემს ბედნიერებას არ ავაწყობდი“.**

ეთერ გუგუშვილის რეკომენდაციით, პირდაპირ მარჯანიშვილის თეატრში მივედი. 1970 წლიდან 1996 წლის ჩათვლით ამ თეატრის მსახიობი გახლდით. უამრავი როლი მაქვს ნათამაშევი. ზოგჯერ ჩემს როლზე ერთი სიტყვაც არ ეწერა პიესაში, მაგრამ მე ისე ვაკეთებდი, რომ ყველა იმახსოვრებდა. ვერიკო ანჯაფარიძემ „ურიელ აკოსტაში“ დამაკავა. მე და სოფიკო ჭიაურელი მაშინ დავმეგობრდით. გარდაცვალებამდე, როცა ცუდად იყო, სოფიკო თავისთან მხოლოდ რამდენიმე მეგობარს უშვებდა და ერთ-ერთი მეც ვიყავი. არაჩვეულებრივი მეგობარი გახლდათ. დარიგება, საოცარი თანადგომა იცოდა. სადაც კი მიიწვევდნენ, ყველგან თან დავყავდი. ჩემთვის დიდი ტკივილია მისი არყოფნა. ალბათ ოდესმე იმქვეყნადაც შევხვდებით ერთმანეთს.

**— თქვენი გაშვება თეატრიდან საკმაოდ ხმაურიანი იყო. მახსოვს, მაშინ ბევრს იბრძოდით.**

— დიახ, მე გავახმაურე. ჩემთან ერთად ისეთი მსახიობები გაათავისუფლეს... მეღვინეთუხუცესი მაშინ ამბობდა, თემურ ჩხეიძემ მითხრა, გამეთავისუფლებინეთო. ჩხეიძე თვითონ პეტერბურგში წავიდა და მეღვინეთუხუცესს გასათავისუფლებელ მსახიობთა სია დაუტოვა. მაშინ სოფიკომ ოთარს უთხრა, იცოდე, ცუდ საქმეს გაკეთებინებენ და დაფიქრდიო.

7 ლარს ვიღებდით ხელფასს. მეღვინეთუხუცესს ვუთხარი, ისედაც ვშიმშილობთ და ამას ნუ იზამ-მეთქი. ეს ამბავი მთელ ქვეყანას მოვდე და მარჯანიშვილის ქუჩა იმ დღესვე გადავკეტე. ჩემი ძალა ვაჩვენე, ეს ამბავი ქართულმა და უცხოურმა ტელევიზიებმა გააშუქეს. 9 სასამართლო პროცესი მოვიგე. ვინ არ ჩაერია ამ ამბავში — მიშა მაჭავარიანიდან დაწყებული ედუარდ შევარდნაძით



Cyan Magenta Yellow Black

დამთავრებული. ყველა მათ უჭერდა მხარს. ბოლოს ელენე თევდორაძემ თქვა, ამ საქმეს არაკანონიერად აწარმოებთო. სასამართლომ აღმადგინა, მაგრამ თეატრში აღარ დავბრუნდი. შემომითვალეს, ოღონდ გაჩერდი და რა როლიც და როგორი ხელფასიც გინდა, მოგცემთო. შევუთვალე, ან ყველას აღადგენთ, ან მეც არ მინდა-მეთქი. მხოლოდ ჩემთვის არ მიბრძოლია.

**— და ჩამოშორდით თქვენს საყვარელ საქმეს.**

— დიახ და ეს ჩემთვის დიდი ტკივილია, რომელიც ვერაფერმა გამიყუჩა. ამ ბოლო დროს ფილმებში ვარ დაკავებული და ეს მშველის. ფარაჯანოვის ძმისშვილმა და ზაზა ურუშაძემ გადამიღეს ფილმებში. სერიალებში, რეკლამებში ვარ დაკავებული და ცოტა მომაკლდა ეს ტკივილი, მაგრამ სიზმარში მაინც ხშირად ვხედავ, რომ თეატრში მაგვიანდება და არ მიშვებენ. ვყვირი, შემიშვით, სათამაშო მაქვს-მეთქი... ტაში არასოდეს დამკლებია, ბოლოს კი შურის მსხვერპლი გავხდი.

ძალიან მინდა თეატრში თამაში, მაგრამ ამაყი ვარ და თუ თვითონ არ დამიძახებენ, ჩემს თავს არავის შევთავაზებ. ახლახან რუსმა რეჟისორმა კლიპში გადამიღო. ისე მოვეწონე, მითხრა, ვერ წარმომიდგენია, თქვენნაირი მსახიობი დაკავებული არ იყოსო.

**— როგორც ქალს, გაგიმართლათ პირად ცხოვრებაში, სიყვარულის ბედნიერება გამოცდილი გაქვთ?**

— ჩემი პირველი სიყვარული გარდაიცვალა, შეყვარებულები რომ ვიყავით, მაშინ. მერე კარგა ხანს არაფერი ყოფილა. როცა ხედავ, რომ ვიღაცას უყვარხარ, შენი თავი წარმატებული გგონია. ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ მეც რომ მომწონდა, ეგეთი ბევრი არ იყო. მუდმივად ცოლიან კაცებს მოვწონდი. არასოდეს მქონია სურვილი, ვინმეს ოჯახი დამენგრია. ვიცი, რომ ამითსაკუთარი თავი დავიჩაგრე, მაგრამ სხვის უბედურებაზე ჩემს ბედნიერებას არ ავაწყობდი. ბევრი მათგანი გაშორდა ცოლს და სხვა ქალი შეირთო. ამაზე გული არ დამწყვეტია.

**— თქვენი შვილის მამა ვინ გახდა?**

— მაგ თემაზე არც მე ვლაპარაკობ და არც ჩემი შვილი. ჩემი გოგონა ჩემს გვარზეა და ეს თემა დახურულია! ჩემი შვილი მამამისს არ იცნობს. მე კარგი დედა ვარ. თამუნა არქიტექტორია, ოთხი უცხო ენა იცის და დედა ძალიან უყვარს.

**— მარტოხელა დედობა მძიმე ტვირთი არ იყო?**

— არა, მე ისეთი ძლიერი ქალი ვარ, სულ არავინ მჭირდება! იმდენად ძლიერი და ნიჭიერი ვარ, ყველაფერი შემიძლია გავაკეთო, მაგალითად, ტანკი დავშალო და ავაწყო. ხომ არის ანომალიები, როცა, მაგალითად, ქალს კაცივით მხრები აქვს ან სხვა რომელიმე ორგანო უგავს საპირისპირო სქესისას, მე მამაკაცის ტვინი მაქვს. ისეთი მძლოლი ვარ, ვერც ერთი კაცი შემედრება.

**— თეატრიდან წამოსვლის შემდეგ რითი ირჩენდით თავს?**

— კარგად ვქსოვდი, ვკერავდი და მაღაზიებში ვაბარებდი. ამ ხელობით თეატრიდან წამოსვლამდეც ვირჩენდი თავს. ახლა აღარც ვქსოვ და აღარც ვკერავ, მეზარება. ადრე კაბას ჩემს ზომაზე შევკერავდი, მაღაზიაში ჩავაბარებდი და ორ წუთში იყიდებოდა. ერთი პოლონური ქურქი მქონდა, რომელიც მომწყინდა. რაღაც ადგილები გაცვეთილი ჰქონდა. მთელი ღამე გავათენე, გავაკეთე, მეორე დილით საკომისიო მაღაზიაში ჩავაბარე და იმ დღესვე გაიყიდა. იმ ფულით ახალი „დუბლიონკა“ ვიყიდე.

ერთხელ ერთ ბარში ვიჯექი და უცბათ დამებადა სურვილი, ჩემი, საკუთარი მქონოდა. მე და ჩემმა დეიდაშვილმა ადგილი ვიყიდეთ და ბარი გავაკეთეთ. მერე დეიდაშვილისგან გამოვისყიდე და ყველაფერი მე და ჩემმა შვილმა გავაკეთეთ. აქ სხვადასხვა ქვეყნების ელჩებიც შემოდიან. ახლა ასაკში ვარ, თორემ ბევრი იდეა მაქვს, რომლითაც შეიძლება ახალი საქმე წამოვიწყო. სიამოვნებით გავაკეთებდი ახალ თეატრს, მაგრამ თანხა და დიდი ტერიტორია უნდა.



■ ასმათ ტყაბლაძე და სოფიკო ჭიაურელი

„უამრავი როლი მაქვს ნათამაშევი. ზოგჯერ ჩემს როლზე ერთი სიტყვაც არ ეწერა პიესაში, მაგრამ მე ისე ვაკეთებდი, რომ ყველა იმახსოვრებდა“.



■ სესილია თაყაიშვილთან ერთად

არასოდეს მიმათხოვრია. ვთვლი, რომ არავისზე ნაკლები ტვინი, უნარი და შესაძლებლობა არ მაქვს. ძლიერი ქალების ბედია მარტო დარჩენა. ვისაც მოვწონდი, ყველა იმ მამაკაცზე ძლიერი მე ვიყავი. სულიერად ძალიან ძლიერი ვარ!

**— წლების წინ მაჟორიტარ დეპუტატად იყრიდით კენჭს. რატომ გინდოდათ პოლიტიკაში ყოფნა?**

— რაღაცით ხომ უნდა ვყოფილიყავი დაკავებული?! მაშინ სააკაშვილი იყო ვაკის რაიონის დეპუტატი. იუსტიციის მინისტრი გახდა და მისი ადგილი ცარიელი დარჩა. იმ დროს ბევრი კარგი საქმეც გავაკეთე, მაგრამ მე ვინ გამიშვებდა? ხომ იცით, რა ხდება არჩევნების დროს და მაჯობეს. ისე კი, ბევრი მიჭერდა მხარს. სამართლიანი ადამიანი ვარ. სიმართლის გულისთვის ყველაფერზე წავალ და ყველას დავიცავ!

**— ისეთი მკაცრი ქალის იმიჯი გაქვთ, ამ ბოლო დროს მაინც, რომ ალბათ ყველა გასათხოვარ გოგოს ეშინია, თქვენნაირი დედამთილი არ შეხვდეს.**

— ეგ სერიალში, თორემ ქუჩაში სიყვარულით მხვდებიან. სხვათა შორის, ყველა ჩემს სადედამთილოს უნდოდა, მისი რძალი გავმხდარიყავი, მაგრამ არ გამოვიდა. როგორც გითხარით, ჩემი პირველი სიყვარული გარდაიცვალა. მერე, რომ მეგონა, ყველაფერი კარგად იყო, რაღაც გატყდა. განახლება კი აღარ შეიძლებოდა. მე არ ვარ მოღალატე და ღალატისმაგვარიც კი იმის მიზეზი ხდება, რომ დავშორდე. მეგობრებისთვის კი მიპატიებია ღალატი, მაგრამ ახლა ვთვლი, რომ არ უნდა აპატიო. თუ მეგობარი არასწორად მოიქცევა, იმავეს აუცილებლად გაიმეორებს და უფრო გეტკინება.

„მარჯანიშვილის ქუჩა იმ დღესვე გადავკეტე. ჩემი ძალა ვაჩვენე, ეს ამბავი ქართულმა და უცხოურმა ტელევიზიებმა გააშუქეს. 9 სასამართლო პროცესი მოვიგე“.

ჩემი შვილი რომ გაჩნდა, მას მერე მამაკაცი საერთოდ აღარ მაინტერესებდა და ჩემ გვერდით ვერც ვერავინ წარმომედგინა. ახლა შვილიშვილზე ვარ იგივენაირად გადარეული. ზღაპარი ბავშვი გვყავს. ჩემს შვილს არასოდეს არაფერი დაჰკლებია და უმამობა არც უგრძვნია.



■ მარცხნიდან: თენგიზ არჩვაძე, ჯემალ მონიავა და ასმათ ტყაბლაძე

**— როგორი სიდედრი ხართ?**

— ჩემი სიძე კარგი ბიჭია, მიყვარს, მაგრამ შენიშვნებსაც ვაძლევ.

**— სიძეებს რომ სიდედრების შენიშვნები არ უყვართ?**

— სათავისოდ ვეუბნები, თორემ ჩემი შვილისა და მის ურთიერთობაში არ ვერევი. თუ მაინც ჩავერევი, ჩემს შვილს გავამტყუნებ.

**— თქვენი პერსონაჟი სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“ კიდევ დიდხანს დარჩება?**

— არ ვიცი. ისეთი ნიჭიერი სცენარისტი ჰყავთ, თუ საჭიროა, გამომაჩენს, თუ არა, მაყურებელს ჩემს თავს არ მოაბეზრებს. მე კი სულ მინდა, გადამიღონ და იქ ვიყო. მათ ზარს მუდამ ველოდები. ჯერ ალბათ ვიქნები, რადგან კატოს და დიტოს ან ეყოლებათ შვილი, ან — არა და ან იმაზე გავბრაზდები, ან — ამაზე.

✓ რუსუდან ადვაძე



Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი გაგლოევს ნოდარ გურგენაშვილის წინააღმდეგ აქეზებენ

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია ჯერ სერიალში „შუა ქალაქში“ გამოჩნდა, მერე კი მსახიობები ნოდარ გურგენაშვილი და გიორგი გაგლოევი თავის სამინისტროში სტუმრად მიიწვია. მკითხველმა, რომელიც ამ სერიალს უყურებს, ალბათ იცის, რომ ნოდარის გმირი პეტო ამ სამინისტროში მუშაობს, გიორგის პერსონაჟის, ანუ კახას დაქვემდებარებაშია და უფროსს სიმაღლესთან დაკავშირებით ხშირად ბოროტად ეხუმრება. ზოგი მაყურებელი ამ ორი კომიკური პერსონაჟის კონფლიქტს სერიოზულად აღიქვამს, მსახიობებს და მათ გმირებს ერთმანეთთან აიგივებს, ამიტომ ნოდარს და გიორგის ხშირად უწევთ მტკიცება, რომ სერიალის მიღმა მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

გარეგნობით ორი რადიკალურად განსხვავებული მსახიობი ერთმანეთისგან ხასიათითაც საკმაოდ შორს არის. გიორგი ლაღია, კარგი იუმორის გრძნობა აქვს და ხუმრობა უყვარს. ნოდარი ჩაკეტილობით, სიტყვაძვირობით და ზედმეტი სერიოზულობით გამოირჩევა, ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებთან საუბრისას ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს. თავისი ახალდაბადებული გოგონას სახელიც კი არ გაგვიმხილა (?!). ერთი სიტყვით, პეტოს სრული ანტიპოდია. გიორგი ამბობს, რომ ნოდარს იუმორის გრძნობა ნამდვილად აქვს, მაგრამ არა იმ დოზით, რა დოზითაც სერიალში.

**— ერთმანეთისთვის როგორი პარტნიორები ხართ, ერთად თამაში ხომ არ გაგიჭირდათ?**

**ნოდარი**: არ გაგვჭირვებია. გამიხარდა, რომ ნაცნობი ადამიანი შემოვიდა სერიალში. ახალ პარტნიორთან თამაში მიყვარს. ვიცოდით, რომ ერთად ბევრი სცენა გვექნებოდა გადასაღები. არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია.

**გიორგი**: ახალ გუნდთან შეჩვევა საერთოდ არ გამიჭირდა. სიტუაციას, ასე თუ ისე,

**გიორგი: „ნოდარის სიმაღლეს ვერ შევეჩვიე. თვალებში არასდროს მიყურებს და საერთოდ ზემოდან დამყურებს“.**

ვიცნობდი. მხოლოდ ესაა, ნოდარის სიმაღლეს ვერ შევეჩვიე. თვალებში არასდროს მიყურებს და საერთოდ ზემოდან დამყურებს.

**— გიორგი, შეგხვედრიათ პეტოს პერსონაჟივით მაღალი ადამიანი, რომელიც ბოროტად გეხუმრათ?**

**გიორგი**: ჩემთან ასე არასოდეს უხუმრიათ, პეტოს პერსონაჟია ამგვარი.

**ნოდარი**: ცხოვრებაში ჩემს სიმაღლეზე აქცენტს არ ვაკეთებ. არც ვთვლი, რომ მაღალი ვარ. სულ რაღაც მეტრი და ოთხმოცდაათი სანტიმეტრი გახლავართ სიმაღლეში.

**— სერიალის მიღმა მეგობრობთ?**

**ნოდარი**: რა თქმა უნდა! გადაღებებზე იმდენად ბევრ დროს ვატარებთ ერთად, რომ არ შეიძლება, ადამიანს არ მიეჩვიო. მით უმეტეს, რომ კარგი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან. ასე რომ არ იყოს, ეკრანზე აუცილებლად გამოჩნდებოდა, ის სითბო, რაც ამ სერიალს აქვს, აღარ იქნებოდა.



ნოდარი და გიორგი

**გიორგი: „თურმე ჩემი პერსონაჟის მსგავსი ადამიანი ნამდვილად მუშაობს ინფრასტრუქტურის სამინისტროში. დავით ნარმანიას უთქვამს, ამ სერიალს როცა ვუყურებ, სულ ის მახსენდებაო“.**

**გიორგი**: პრობლემა არასოდეს მქონია, რომ სადმე გარიყულად მეგრძნო თავი. ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. დიდი ხანი არაა, რაც აქ მოვედი, მაგრამ, მგონი, ყველაზე მეტს მე ვხუმრობ.

**— ქუჩაში ერთად თუ გაგივლიათ ფეხით და რა რეაქცია აქვს თქვენი წყვილის დანახვაზე ხალხს?**

**ნოდარი**: ხშირად არ დავდივართ, მაგრამ ცოტა ხნის წინ მარკეტში ვიყავით ერთად შესული და, რა თქმა უნდა, ყველას ეღიმებოდა.

**— მაყურებლებისგან რჩევებს ან კრიტიკას თუ იღებთ?**

**ნოდარი**: ადამიანების ბევრნაირი კატეგორია გვხვდება. ზოგადად, ფეხით სიარული ძალიან მიყვარს. ჩემ დანახვაზე კარგი რეაქცია აქვთ. მოდიან, კომპლიმენტებს მეუბნებიან. კრიტიკული შენიშვნები არ მახსოვს.

**გიორგი**: ვინც ქუჩაში მაჩერებს, ძირითადად სამოცი წლის ზემოთ ასაკის მანდილოსნები არიან ან თხუთმეტი წლის ქვემოთ ბავშვები. ხშირად მეკითხებიან, პეტოს ამდენს როგორ უთმენო. იძულებული ვარ, ავუხსნა, რომ ეს სცენარია და ცხოვრებაში ასეთი ურთიერთობა არ გვაქვს. ბოლოს ისევ მიმეორებენ, მაინც არ გააბედინოო.

ხშირად მეკითხებიან, ნოდარი ნუთუ მართლა ისეთია ცხოვრებაში, როგორ გმირსაც თამაშობსო. არადა აბსოლუტურად განსხვავებულია. საერთოდ არ არის ისეთი ხუმარა, როგორიც ეკრანზე ჩანს. იუმორის გრძნობა აქვს, მაგრამ არა იმ დოზით, რა დოზითაც სერიალში.

**ნოდარი**: გიორგი კი მხიარული და კეთილია. ადამიანთან ურთიერთობისას ეს თვისებები ჩემთვის მთავარია.

**— ცოტა ხნის წინ სერიალში მინისტრი დავით ნარმანია გყავდათ. ვისი იდეა იყო მისი მოწვევა?**

**გიორგი**: არ ვიცით, ეს როგორ მოხდა. ალბათ პროდიუსერებმა დაურეკეს და მონაწილეობის მიღება შესთავაზეს.

**— რეპეტიციები ერთად გაიარეთ?**

**ნოდარი**: კი, რა თქმა უნდა.

**— როგორ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა?**

**ნოდარი**: რა დავალებაც ჰქონდა, თავი კარგად გაართვა. მეგობრულად, თავისუფლად მოვიდა და ითამაშა.

**— რა ინფორმაცია გაქვთ, უყურებს დავით ნარმანია თქვენს სერიალს?**

**გიორგი**: მეც ეს ვკითხე და მიპასუხა, რომ, როცა სცალია და დრო აქვს, გვიყურებს. ასევე მითხრა, შენ და ნოდარი სამინისტროში უნდა დაგპატიჟოთ, თანამშრომლებთან შეხვედრა მოვაწყოთო. გავიგე, რომ თურმე ჩემი პერსონაჟის მსგავსი ადამიანი ნამდვილად მუშაობს სამინისტროში. მინისტრს უთქვამს, ამ სერიალს როცა ვუყურებ, სულ ის თანამშრომელი მახსენდებაო.

**— მინისტრი კმაყოფილი დარჩა თავისი როლით?**

**ნოდარი**: არ ვიცით, მას მერე მინისტრი არ გვინახავს.

**გიორგი**: სამაგიეროდ ვიცით, მაყურებელს როგორი რეაქცია ჰქონდა. სერიის გამოსვლისთანავე ასობით ადამიანმა დამირეკა, ათასნაირი კითხვა დამისვეს. ბევრს არ სჯეროდა, რომ ნამდვილად დავით ნარმანიამ მიიღო მონაწილეობა.

**— ეკრანზე საკუთარ თავს როგორ აფასებთ?**

**ნოდარი**: თუ იმ დროს ტელევიზორთან მოვხვდი, სერიალს ვუყურებ და თვითკრიტიკულიც ვარ. სიმართლე რომ გითხრათ, როცა ჩემს გმირს ეკრანზე ვხედავ, მეცინება.

**გიორგი**: გამოვტყდები და მარტო ჩემს სცენებს ვუყურებ. მაინტერესებს, როგორი გამოვიდა და რა შემიძლია შევცვალო.

**— ნოდარ, სერიოზული როლი გითამაშიათ სცენაზე?**

**ნოდარი**: კი. სპექტაკლში „ჟანა დ,არკი“ ინკვიზიტორის როლი შევასრულე. რადიკალურად განსხვავებული პერსონაჟების თამაში ჩემთვის საინტერესოა. თუ მსახიობი ხარ, ნებისმიერი როლის მორგება უნდა შეგეძლოს.

**— როგორ ფიქრობთ, პეტო ხელს არ შეგიშლით მომავალში სხვა სახის შექმნაში?**

**ნოდარი**: კი, ხელს ნამდვილად შემიშლის,

**ნოდარი: „ცხოვრებაში ჩემს სიმაღლეზე აქცენტს არ ვაკეთებ. არც ვთვლი, რომ მაღალი ვარ“.**

მაგრამ ყველანაირად ვეცდები, დავამტკიცო, რომ მსახიობი ნოდარ გურგენაშვილი ვარ და არა — პეტო.

**— ნოდარ, გოგონას მამა გახდით, გილოცავთ! რა დაარქვით შვილს?**

**ნოდარი**: ვერ გეტყვით, რა დავარქვით. არ მსურს პირადზე საუბარი.

**— რატომ არასოდეს ლაპარაკობთ ოჯახზე?**

**ნოდარი**: არ მიყვარს, ეს ჩემს ხასიათში არ ჯდება.

✓ **მანანა ნოდია**



Cyan Magenta Yellow Black

## მისონი – ქალი 3D-ში

მისონის მოდის სახლმა თავისი ერთგული მომხმარებლები 2013 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციით ნამდვილად გაახარა. მან მოდის მოყვარულებს წარუდგინა სრულიად თანამედროვე და ულტრამოდერნისტული კოლექცია. მისონის მოდის სახლის მთავარი დიზაინერი 3D ფილმების მოყვარულია, ამიტომ მან ეს ეფექტი ქსოვილებზე გადაიტანა.

კოლექცია თეთრი კოსტიუმების ჩვენებით დაიწყო, შემდეგ პოდიუმზე თითქმის ყველა ფერი აკიაფდა, ბოლოს კი შავი გამა გაბატონდა. მისონის ქალი კრეატიული, ჰაეროვანი, მრავალფეროვანი და თანამედროვეა, კომპიუტერული ეპოქისათვის შესაფერისი.

— კოლექციებს ერთ განზომილებაში აღარ უნდა უყუროთ. ესაა ჩემი კოლექციის მთავარი მესიჯი, — განაცხადა დიზაინერმა.











მოწევა კლავს

მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას

# ირინა შეიკმა პირადი ცხოვრების დეტალები გაამჟღავნა

ტოპმოდელი ირინა შეიკი ყოველთვის თავს არიდებდა პირად ცხოვრებასა და სიყვარულზე ლაპარაკს. ის და კრიშტიანუ რონალდუ ბოლო პერიოდში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუდმივად ერთად ჩნდებოდნენ, მაგრამ ინტერვიუებში ერთმანეთზე მწირი კომენტარებით შემოიფარგლებოდნენ. ამ დღეებში ირინა შეიკმა ამ ურთიერთობას ფარდა ახადა.



■ კრიშტიანუ რონალდუ და ირინა შეიკი

— რთულია ერთდროულად წარმატებული იყო საქმეშიც და პირად ცხოვრებაშიც, მაგრამ მჯერა, რომ, როცა რაღაც ძალიან გინდა, აუცილებლად გამოგივა. როცა შენ გვერდით ისეთი მამაკაცია, რომელიც სიგიჟემდე გიყვარს, გიქმნის აბსოლუტურ კომფორტს, ზრუნავს შენზე, შესაძლებელია, რომ კარიერაშიც უზარმაზარი მიღწევები გქონდეს. არ მიმაჩნია სწორად მოსაზრება, რომ, როცა ქალის ცხოვრებაში მამაკაცი გამოჩნდება, ქალმა საყვარელი საქმე უნდა მიატოვოს. იმის დამალვა, რომ მე და კრიშტიანუს ერთმანეთი გვიყვარს, უკვე უაზრობაა. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, 5 წლის შემდეგ ცოლისა და დედის ამპლუაში ვიყო, მაგრამ დღეს ამაზე არ ვფიქრობ. ვნახოთ, ეს ურთიერთობა სადამდე მიგვიყვანს, — განაცხადა შეიკმა.

სუპერმოდელს ყველაზე ხშირად კვების რეჟიმის შესახებ უსვამენ ჟურნალისტები კითხვებს. აღმოჩნდა, რომ ირინა ჰამბურგერების მოყვარულია.

— ხშირად მეკითხებიან: „როგორ, ჰამბურგერს ჭამ?! შენ ხომ მოდელი ხარ და მხოლოდ ვაშლს უნდა ჭამდე“. მადლობელი ვარ გენეტიკის, რომ სიმსუქნისკენ მიდრეკილება არ მაქვს, ამიტომ შემიძლია თავს უფლება მივცე, ხანდახან „მავნე“ საჭმელიც მივიღო. დილიდან პარკში დავრბივარ, შემდეგ — კრივი, პილატესი... დიახ, მე მიყვარს ფასტ ფუდი, მაგრამ ზომიერება არ მავიწყდება. თუ ერთ დღეს ჰამბურგერს შევჭამ, კვირის დანარჩენ დღეებში სხეულის ფორმებზე ვზრუნავ, — აღიარა ირინა შეიკმა.

# შაკირა: „რატომ არავინ გამაფრთხილა, რომ დედობა რთული ყოფილა?“

36 წლის კოლუმბიელი პოპვარსკვლავის, შაკირას პირმშო 3 თვისაა და მომღერალი უკვე მიხვდა, რომ დედობა რთული საქმე ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მისი 26 წლის შეყვარებული ხერარდ პიკე აქტიურადაა ჩართული შვილის აღზრდაში, შაკირამ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა:

— ყოველთვის ვიცოდი, რომ დედობა რთული იყო, მაგრამ ასეთი რთული თუ იქნებოდა, არ მოველოდი. არ ვიცოდი, თუ ჩვილს დღეში ამდენჯერ სჭირდება საფენის გამოცვლა. ოჯახის წევრებსა და მეზობლებს ვსაყვედურობ, რატომ არ გამაფრთხილეთ, რომ დედობა ასეთი რთული იყო-მეთქი. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ვგიჟდები ჩემს შვილზე, მილანზე. მასთან გატარებული თითოეული წუთით ვტკბები. პიკე მეხმარება ბავშვის მოვლაში, საფენებსაც უცვლის, აჭმევს, ეთამაშება. წარმომიდგენია, თუ რა დღეში არიან ის ქალები, რომელთაც ასეთი დამხმარე არ ჰყავთ.

საფენების გამოცვლა ერთადერთი პრობლემა არ არის ახალბედა დედისათვის. მომღერალი თავისი სხეულის ცვლილებებზეც ამახვილებს ყურადღებას:

— ჩვენი დედებისა და ბებიების დროს საზოგადოების მხრიდან არ იყო ისეთი ზეწოლა ქალებზე, როგორიც დღესაა. მაგალითად, მამაჩემი ახლაც თვლის, რომ ქალს ზედმეტი კილოგრამები უხდება. როცა დედაჩემმა ჩემზე იმშობიარა, წონის დაკლებაზე არ უფიქრია, მაგრამ მე რომ ახლა ასე მოვიქცე, საყვარელ მამაკაცს ნამდვილად დავკარგავ, — ამბობს შაკირა.



■ შაკირა, ხერარდ პიკე და მათი პირმშო




ბეპანთენი
მალამო

დაიცავით ბავშვის კანი პრობლემებისგან!

- გამოიყენება ბავშვებში გამოყელვისა და საფენისმიერი დერმატიტის სამკურნალოდ, ასევე ყოველდღიური მოვლისათვის
- ეფექტურია დედებში ძუძუს დვრილებზე ნახეთქების საპროფილაქტიკოდ და სამკურნალოდ
- უზრუნველყოფს კანის საფარველისა და ნახეთქების როგორც მკურნალობას, ასევე პროფილაქტიკას




**გამოშვების ფორმა:** 5% მალამო ტუბში 30 გ
**მოქმედი ნივთიერება:** დექსპანთენოლი (B5 პროვიტამინი)

150 Years
Science For A Better Life

მწარმოებელი: **Bayer Consumer Care AG (Switzerland)**
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს





# წლის ქალი – გვინეტ პელტროუ



ამერიკულმა ჟურნალმა „ფიფლმა“ 2013 წლის ყველაზე ლამაზ ქალად კინოსამყაროდან 40 წლის გვინეტ პელტროუ დაასახელა. მოგვიანებით მსახიობმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს აღიარება მისთვის მოულოდნელი იყო. გვინეტი აფასებს ბუნებრიობას და თითქმის არასოდეს იყენებს დეკორატიულ კოსმეტიკას. მისი სილამაზის რეცეპტი მარტივია — მხნეობა და ფიზიკური ვარჯიში. როგორც ჩანს, მსახიობი ამ აღიარებით ისე მოიხიბლა, რომ ფილმ „რკინის ადამიანი 3“-ის პრემიერაზე თითქმის შიშველი მივიდა. მის კაბას მხოლოდ წინა და უკანა მხარე ჰქონდა, გვერდებში კი ის აბსოლუტურად გამჭვირვალე იყო. ანტონიო ბერარდის კაბამ ნამდვილი ფურორი მოახდინა. ცნობისმოყვარეებმა კი წლის ყველაზე ლამაზი ქალის უკანალი სათანადოდ შეათვალიერეს.

კაბის ეფექტი იმდენად დიდი იყო, გვინეტ პელტროუს ეკრანული პარტნიორი, რკინის კაცი რობერტ დაუნი უმცროსი, წითელ ხალიჩაზე სრულიად დაიჩრდილა.




# რა გაუგებრობაში აღმოჩნდნენ ნიუ იორკში პირველად ჩასული მანანა კობახიძე და მისი ქმარი



პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძე პოლიტიკოსის რანგში უკვე რამდენჯერმე იყო საზღვარგარეთ ვიზიტით. რა თქმა უნდა, მოგზაურობა და უცხო ადგილების ნახვა ყოველთვის კარგია, მაგრამ გაცილებით მეტ სიამოვნებას მაშინ იღებდა, როცა თავისუფალი ადვოკატი გახლდათ და ოფიციალური სტატუსის ჩარჩოებში არ იყო მოქცეული. თუმცა მის ახლანდელ მდგომარეობას ერთი დიდი პლუსი ემატება — ქალბატონი მანანა ნახევარი წლის წინ გათხოვდა და უკვე ქმარი, ზაზა გოგიჩაიშვილი დაჰყვება ყველგან, რომელიც ცდილობს, საყვარელ მეუღლეს დრო სასიამოვნოდ გაატარებინოს.

— **ქალბატონო მანანა, ტრადიციული კითხვით დავიწყებ — გიყვართ მოგზაურობა?**

— მიყვარს, მაგრამ მოგზაურის როლში მაშინ ვარ, როცა სადღაც მივლინებაში, საქმიანი ვიზიტით ვიმყოფები. სამწუხაროდ, იმის შანსი და დრო არ მქონია, რომ უცხოეთში მხოლოდ სამოგზაუროდ ან დასასვენებლად წავსულიყავი. ბოლოს ამერიკაში, ნიუ იორკში, ქალთა სტატუსის შესახებ 57-ე სესიაზე ვიყავი ქმართან ერთად. ბოლო პერიოდში სულ ერთად დავდივართ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ქმრის ხარჯებს პირადად ვანაზღაურებთ, მისი და ჩემი სურვილია, რომ ერთად ვიყოთ.

— **ამერიკა პირველად ნახეთ?**

— დიახ. ჯერ კიდევ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობისას რამდენჯერმე მქონდა საშუალება, ამერიკაში წავსულიყავი, მაგრამ სულ რაღაც მიშლიდა ხელს. ახლაც ამერიკაში ვიზიტი 3 თვის წინ იყო დაგეგმილი, მაგრამ წასვლა ვერ მოვახერხე. პარლამენტში სასესიო კვირა იწყებოდა, ამიტომ მხოლოდ ერთი კვირით წავედი.

— **პირველად ნიუ იორკში თან საყვარელ მამაკაცთან ერთად — ეს ალბათ მართლაც დაუვიწყარი მოგზაურობა იყო.**

— ნიუ იორკი კულტურული შოკია, რომ ჩახვალ, შეიძლება 1-2 დღე აზრზე ვერ მოხვიდე-მეთქი, რომ გითხრათ, ასე ნამდვილად არ არის. ალბათ ეს იმის ბრალია, რომ ამ ქვეყანაზე, ქალაქზე იმდენი ინფორმაცია გაქვს, როცა ჩადიხარ, გგონია, უკვე ნამყოფი ხარ. მანჰეტენზე საკმაოდ სოლიდურ სასტუმრო „კონტინენტალში" ვცხოვრობდი. როგორც კი ამ ქალაქში ჩადიხარ, მაშინვე თავისუფლების სუნი იგრძნობა. ფიქრობ, რომ თავისუფლება იქ იწყება.

სხვათა შორის, ნიუ იორკში ყოფნისას სტრესიც მივიღე. იქ ჩაფრენიდან მეორე დღეს გამოსვლა მქონდა. ჩემი და ქმრის მობილურები და საათი სასტუმროს ნომრის საათის მიხედვით გავასწორეთ. თურმე იმ ღამეს საათი უნდა გადაეწიათ, რაც ჩვენ არ ვიცოდით... დილით 09:15 საათზე საელჩოს მანქანა უნდა მოსულიყო და გაერო-ში 10 საათზე უნდა მივეყვანე. ზუსტად იმ დროს, როცა მძღოლი ჩემ წასაყვანად მოვიდა, მე და ჩემი მეუღლე სასტუმროში მშვიდად ვისხედით და ყავას მივირთმევდით. რომ არ გავედით, ნომერში დარეკეს. იქ, ცხადია, არ ვიყავით და ტელეფონს ვინ აიღებდა? აღმოჩნდა, რომ ჩემი ამერიკული ნომერი მძღოლს არ ჰქონდა. დაიბნენ, ჩათვალეს, რომ საათობრივი სხვაობის გამო ღამე არ გვეძინა ან სადღაც ვიარეთ, დავიკარგეთ და სასტუმროს ველარ მივაგენით. მოკლედ, გაერო-ში ჩვენი წარმომადგენლობა ამის გამო ძალიან შეშფოთდა.

**„ქმრის ხარჯებს პირადად ვანაზღაურებთ, მისი და ჩემი სურვილია, რომ ერთად ვიყოთ".**

ამასობაში სასტუმროს მისაღებში საათი დავინახე და მივხვდი, რომ 1 საათით დავაგვიანე. ჩვენმა საელჩოს თანამშრომელმა იყოჩაღა, ჩემი გამოსვლა, რომელიც 10 საათზე იყო დაგეგმილი, 3 საათზე გადაიტანა. ძალიან ვინერვიულე — მთელი 12 საათი ვიფრინე, ოკეანე გადავლახე, რომ 5 წუთიანი გამოსვლა მქონოდა, მთელი ჩემი მიზანი ეს იყო და იქაც დამაგვიანდა!

— **თავისუფალი დრო გქონდათ, რომ ნიუ იორკის ღირსშესანიშნაობები დაგეთვალიერებინათ?**

— მთელი კვირა გაწერილი მქონდა. დილიდან საღამოს 6 საათამდე არ მეცალა, მუზეუმები კი 6 საათამდე მუშაობენ. მხოლოდ მეტროპოლიტენ მუზეუმი ვნახე. ცხადია, საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. როგორც ჩანს, ამერიკელებმა იზრუნეს, რომ კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები საკუთარ ქვეყანაში მთელი მსოფლიოდან ჰქონოდათ. მომეჩვენა, რომ მთელი ეგვიპტე იქ იყო გამოზიდული.

**„ბრიტანეთში ზრდილობამ გამაგიჟა. ვინმეს ფეხი რომ გაჰკრა ან შემთხვევით შეეჯახო, გაჩერდება და ბოდიშს მოგიხდის. ჯენტლმენობა მართლა იქიდან მოდის".**

— **როგორი თანამგზავრია თქვენი ქმარი?**

— არაჩვეულებრივი. ცდილობს, დრო სასიამოვნოდ გაგატარებინოს. ნიუ იორკში მეუღლის მეგობარმა ბროდვეიზე დაგვპატიჟა. ვნახეთ ძალიან საინტერესო მიუზიკლი „ჩიკაგო". თავისუფლების ქანდაკებამდე მისვლა ვერ შევძელი, რადგან ბოლო ქარიშხალმა იქაურობა ძალიან დააზიანა და ტურისტების მისვლა აკრძალულია. როგორც ამბობენ, ამერიკა სხვაა და ნიუ იორკი კიდევ — სხვა.

— **თქვენს ქმარს, ბატონ ზაზას უყვარს შორ მანძილებზე მოგზაურობა?**

— ქმარს ჩემ გარეშე არაფერი უყვარს. ყოველთვის ცდილობს, ჩემ გვერდით იყოს. ქუთაისშიც ჩემთანაა. სამსახურის საქმეები ისე გადააწყო და მოაგვარა, რომ ის პერიოდი, სანამ ქუთაისში ვარ, ისიც იქ იყოს. თუ სადმე მიწევს წასვლა, ერთად მივდივართ. არაჩვეულებრივი თანამგზავრია. სხვათა შორის, ნიუ იორკი ჩვენთვის პირველი მოგზაურობა არ ყოფილა. მანამდე 3 დღით ავსტრიაშიც ვიყავით. სამწუხაროდ, ვენის ოპერაში ვერ წავედით, მაგრამ არქიტექტურა დავათვალიერეთ. საშინლად ყინავდა და ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა ფეხით სიარული არ მინდოდა. მანქანიდან ვათვალიერებდი და ამიტომ ვენა ისე ვერ ვნახე, როგორც უნდა მენახა.

**„ქმარს ჩემ გარეშე არაფერი უყვარს. ყოველთვის ცდილობს, ჩემ გვერდით იყოს. ქუთაისშიც ჩემთანაა. სამსახურის საქმეები ისე გადააწყო და მოაგვარა, რომ ის პერიოდი, სანამ ქუთაისში ვარ, ისიც იქ იყოს".**

— **ანუ უცხო ქალაქში ფეხით სიარული გიყვართ?**

— როცა უცხოეთში ვარ, ფეხით ბევრს დავდივარ, რადგან ტრანსპორტით რაღაცეებს კარგად ვერ აღვიქვამ. იმის შიშიც მაქვს, არ დავიკარგო. სასტუმროს მისამართი და რუკა ყოველთვის თან დამაქვს. თუ დაიკარგები, ბოლოს და ბოლოს ტაქსის გააჩერებ, მთავარია, სასტუმროს მისამართი გქონდეს.

— **თქვენი სულ პირველი მოგზაურობა გაიხსენეთ.**

— ბევრი არც მოსკოვშია ნამყოფი და არც პეტერბურგში. ერმიტაჟის მუზეუმში რუსებს დიდი სიმდიდრე აქვთ მოგროვილი. რუსებმაც ევროპიდან ყველაფერი გამოზიდეს, რაც შეეძლოთ და თავიანთი ხელოვნებაც, არაჩვეულებრივი ფერწერა აქვთ.

ევროპას რაც შეეხება, ალბათ სიმბოლური იყო, რომ პირველად სტრასბურგში მოვხვდი. ჩემი საადვოკატო საქმიანობიდან გამომდინარე, სტრასბურგის სასამართლოში მომიხდა წასვლა. შესანიშნავი ქალაქია. ძველი, შუა საუკუნეების, რომანული სტილი და თანამედროვე არქიტექტურა ერთმანეთთან არაჩვეულებრივადაა შერწყმული. გერმანიის საზღვარზეა, შუა საუკუნეებში გერმანელებით დასახლებული ტერიტორია იყო და ეს იგრძნობა კიდეც. იქაური რესტორნებიც კი ცდილობენ, რომ ყველაფერში სიძველე იგრძნობოდეს. მათ ძალიან ტრადიციული ფრანგული სამზარეულო აქვთ.

— **თამამად აგემოვნებთ უცხო კერძებს?**

— არა, ტრადიციული, ქართული კერძები მიყვარს. უნდა ვიცოდე, რას ვჭამ. სხვათა შორის, არგენტინული სამზარეულო ძალიან გემრიელია. არგენტინაში არ ვყოფილვარ, მაგრამ ევროპაში საშუალება მქონდა, მექსიკური და არგენტინული კერძები გამესინჯა. გემრიელად იციან ხორცის მომზადე- →44





Cyan Magenta Yellow Black

ბა. მე მაინც ვთვლი, რომ ქართული სამზარეულო გამორჩეულია და ამას უცხოელებიც აღიარებენ.

ბაყაყი პირველად საფრანგეთში გავსინჯე. ერთ-ერთ შეკრებაზე ორიგინალური კერძი მოიტანეს, უგემრიელესი გახლდათ და შემდეგ გავარკვიეთ, რომ ბაყაყის ფეხები იყო. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამას შევჭამდი. ეს მათთვის დელიკატესია. სიმართლე გითხრათ, ნახევრად მომზადებული, თითქმის ცოცხალი ლოკოკინა რომ ზის, ასეთი მართლა არ გამისინჯავს, გული არ მიმდის, მიუხედავად იმისა, რომ ისიც დელიკატესად ითვლება და იმ დელეგაციაში მყოფები გემრიელად შეექცეოდნენ.

თუ ნაციონალური სამზარეულო არ არის, იტალიურს ვამჯობინებ. მოცარელათი მომზადებული კერძები ძალიან მიყვარს, რაღაცნაირად სულუგუნსაც ვამსგავსებ.

**— უცხო ქალაქში ჩასვლისას თქვენს ყურადღებას, პირველ რიგში, რა იქცევს?**

— ადამიანების დამოკიდებულება, აი, როგორც კი საზღვარზე შეხვალ, იქიდან მოყოლებული, მესაზღვრე როგორ გექცევა. ბრიტანეთში ზრდილობამ გამაგიჟა. ვინმეს ფეხი რომ გაჰკრა ან შემთხვევით შეეჯახო, გაჩერდება და ბოდიშს მოგიხდის. ჯენტლმენობა მართლა იქიდან მოდის. ლონდონი არაჩვეულებრივი ქალაქია. იქ 3 დღით ვიყავი და, თუ რამე სანახავი იყო, ერთ დღეში მოვიარე. მახსოვს, დაღლილობისგან ველარ ვიძინებდი.

ბუდაპეშტში ერთმა ფაქტმა ძალიან გამაკვირვა. ბანკში რომ შევედით და ფულის გადახურდავება ვთხოვეთ, ასეთი რაღაც გვითხრეს — დღეს ჩვენთან დაბალი კურსია, თუ არ გეზარებათ და არ გეჩქარებათ, სხვა ბანკს

**„რადგან ევროპაა, არ ნიშნავს, რომ მაქსიმალური სერვისი აქვთ. ჩვენთან უცხოელს თან ჰყვებიან, სტუმარი ყველაფერია და ეს სასტუმროშიც იგრძნობა. გაცილებით კომფორტულად მიგრძნია თავი ქობულეთის ერთ-ერთ ცნობილ სასტუმროში, ვიდრე მაღალი კლასის ძვირადღირებულ სასტუმროში შუა ევროპაში".**

მიგასწავლით, სადაც შედარებით მაღალი კურსიაო. ეს შოკისმომგვრელი იყო, მაგრამ ძალიან გვეჩქარებოდა და ფული იქვე გადავახურდავეთ. უცებ წარმოვიდგინეთ, საქართველოში რომელიმე ბანკში რომ შეხვიდე და გითხრან, დღეს ჩვენთან დაბალი კურსია და გვერდით მიბრძანდითო. ეს ხომ წარმოუდგენელია? იმ ბანკში მიხვდნენ, რომ ტურისტები ვიყავით და ჩვენთვის იმ ერთ ცენტსაც რაღაც მნიშვნელობა ჰქონდა.

**— უცხოეთში ენის გამო პრობლემა შეგქმნიათ?**

— ფრანგული არ ვიცი. საფრანგეთში ინგლისურად ყველა საუბრობს, მაგრამ როცა ინგლისურად რაღაცას ეკითხები, პრინციპულად ფრანგულად გელაპარაკებიან, გინდა გაიგე, გინდა — არა. ნაციონალიზმის რაიმე ნიშნები თუ არსებობს, ფრანგებს ნამდვილად აქვთ.

**— პარიზმა თქვენც მოგხიბლათ?**

— საფრანგეთში რამდენჯერაც ჩავედი, პარიზში ვერასოდეს მოვხვდი, მაგრამ იქ მაინც წავალ სამოგზაუროდ და არა — საქმიანი ვიზიტით.

**— რომელი ქალაქი მოგეწონათ განსაკუთრებულად?**

— ბერლინი ძალიან მომეწონა. ბუნდესტაგში მიგვიწვიეს. იქ პარალელურად ექსკურსია იყო, შენობა უნდა დაგვეთვალიერებინა. ამ შენობას საოცარი შუშის გუმბათი აქვს. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილმა აქედან გადაიღო თავისი სასახლის გუმბათი. შიგნიდან პანდუსებით ადიხარ და მთელ



■ ნიუ იორკი, მეტროპოლიტენ მუზეუმში

ბერლინს გადაჰყურებ. ყველაზე საოცარი ის არის, რომ ამ გუმბათს თავი ამოჭრილი აქვს. გაგვიკვირდა, იქიდან ხომ წვიმა და თოვლი ჩამოვიდოდა, მაგრამ სისტემა ისეთი მოწყობილია, შენობაში ერთი წვეთიც არ ჩადის. სუფთა ჰაერს, ჟანგბადს მუდმივად ამ ღია გუმბათიდან იღებენ. არადა, რამდენჯერაც გაწვიმდა, იმდენჯერ ქუთაისის პარლამენტის შენობაში წყალი ჩამოგვივიდა. ჩვენთან ყველაფერი გადახურულია და მაინც წყალი ჩამოდის, გუმბათი ღია გაქვთ და წვიმა როგორ არ ჩამოგდით-მეთქი, ვიკითხე. ამაზე დელეგაციაში ყველამ ძალიან იხალისა.

**— არ არსებობს ქალი, ერთხელ მაინც არ გაექცეს თვალი მაღაზიისკენ. თქვენ თუ ახერხებთ მაღაზიებში სიარულს, როცა საზღვარგარეთ ხართ?**

— შოპინგისთვის არც დიდი დრო მაქვს და არც — ფინანსები, თუმცა უცხოურ ბრენდებს ვათვალიერებ, რა არჩევანი აქვთ. თანამედროვე მოდის ტენდენციებს ევროპაში უფრო გაიგებ. სიმბოლურად ერთი-ორ ხელს ვარჩევ მოკრძალებულ ფასებში. იმის ფუფუნებას, რომ იქ დიდად იშოპინგო, ჩვენი ხელფასი არ გვაძლევს.

**— როგორ ემზადებით სამოგზაუროდ, ბევრი რამ მიგაქვთ თან?**

— ჩემი ჩემოდანი სულ ჩალაგებულია. პარასკევს ქუთაისიდან თბილისში რომ მოვდივარ, ორშაბათს ისევ ქუთაისში ვარ. ამ რეჟიმმა მიმაჩვია, ჩემოდანი მუდმივად გამზადებული მქონდეს. როცა უცხოეთში მიდიხარ, უფრო სხვანაირად ემზადები, სხვა საჭიროებები გაქვს, მაგრამ შეიძლება ეს ყველაფერი ნახევარ საათშიც მოვაგვარო. ამაშიც ქმარი მეხმარება, მეკითხება, სად რა დევს, რომ აიღოს და ჩალაგებაში მომეხმაროს. ჩემმა რეჟიმმა მიმაჩვია ასე სწრაფად ჩაბარგებას, თორემ რამდენიმე წლის წინ უცხოეთში წასასვლელად სამზადისისთვის შეიძლებოდა ერთი თვეც დამჭირვებოდა.

**— გაქვთ რაიმე ნივთი, რომელსაც მოგზაურობისას მუდმივად თან დაატარებთ?**

— პატარა ხატი მაქვს ჩანთაში. როცა ნიუ იორკიდან მოვფრინავდით, სერიოზული ქარი იყო, ქმარი კი მაწყნარებოდა, ოკეანის თავზე ხარ, ეს ჩვეულებრივი ამბავიაო, მაგრამ სერიოზულად შემეშინდა. ასეთ დროს ხატი რაღაცნაირად მშველის. კიდევ ტკივილგამაყუჩებლები დამაქვს.

**— ევროპული სტუმართმოყვარეობით, სერვისის ხარისხით ყოველთვის კმაყოფილი ხართ?**

— ერთი უხერხული მომენტი გამახსენდა: სტრასბურგის ერთ-ერთ სასტუმროში თეთრეულისა და პირსახოცის მდგომარეობა არ მომეწონა, უახლოეს სუპერმარკეტში ვიყიდე და სასტუმროში მივიტანე. პერსონალს ვუთხარი კიდეც, გასაკვირია, როცა შუა ევროპაში არაჰიგიენური მდგომარეობა გხვდება, ჩვენს ქვეყანაში ამაზე ბევრად იაფ ნომრებში არ დაგხვდებოდათ ასეთი რამ-მეთქი.

კიდევ ერთი შემთხვევა გამახსენდა: სტრასბურგის სასტუმროში დაჯავშნული ოთახი არ მომეწონა, გამოვცვალე და ჩემი ნივთები სხვა ნომერში გადავიტანე. მეორე დღეს სასამართლოზე წავედი და, როცა დავბრუნდი, ჩემს ოთახში სხვისი ნივთები დამხვდა, ნომერი დაუკითხავად შემიცვალეს. ეს არ იყო ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, მაგრამ ქალაქის ცენტრში, საშუალო დონის სასტუმრო გახლდათ, სადაც ადვოკატები ჩერდებიან. რადგან ევროპაა, არ ნიშნავს, რომ მაქსიმალური სერვისი აქვთ.

**„თანამედროვე მოდის ტენდენციებს ევროპაში უფრო გაიგებ. სიმბოლურად ერთი-ორ ხელს ვარჩევ მოკრძალებულ ფასებში. იმის ფუფუნებას, რომ იქ დიდად იშოპინგო, ჩვენი ხელფასი არ გვაძლევს".**

ჩვენთან უცხოელს თან ჰყვებიან, სტუმარი ყველაფერია და ეს სასტუმროშიც იგრძნობა. გაცილებით კომფორტულად მიგრძნია თავი ქობულეთის ერთ-ერთ ცნობილ სასტუმროში, ვიდრე მაღალი კლასის ძვირადღირებულ სასტუმროში შუა ევროპაში.

**— ქალბატონო მანანა, საოცნებო ქვეყანა თუ გაქვთ, რომელიც ძალიან განტერესებთ და გიზიდავთ?**

— მინდა, იაპონიაში წავიდე. საოცარი ქვეყანაა თავისი ტრადიციებით, ადათებით, დამოკიდებულებებით და სამზარეულოთი. რა თქმა უნდა, პარიზი ყველამ უნდა ნახოს და იქ აუცილებლად წავალ.

**— ადრე თქვენი მოგზაურობები საადვოკატო საქმიანობას უკავშირდებოდა, ახლა მაღალჩინოსანი პოლიტიკოსის რანგში გიწევთ საზღვარგარეთ წასვლა. რომელ ამპლუაში უფრო კარგად გრძნობდით თავს?**

— როგორც რიგითი ადვოკატი, ბევრად მეტ თავისუფლებას ვგრძნობდი. ახლა სხვა სტატუსი მაქვს. რომ ჩავდივარ, საელჩოს მანქანა მხვდება, ყველაფერი გაწერილი, რეგლამენტირებულია. სახელმწიფოს წარმომადგენელი ვარ და დიპლომატიური ეტიკეტი, სტანდარტი უნდა დავიცვა. თავისუფლებაც ნაკლებად მაქვს, იმ ჩარჩოებში ვზივარ, რასაც სტატუსი მიწესებს. როცა შენს ქვეყანას წარმოადგენ, ნებისმიერ ქცევას, სიტყვას მნიშვნელობა აქვს.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# გენტი — ბელგიური შოკოლადის „სამშობლო“



გენტი

გენტი ბელგიის რეგიონის, აღმოსავლეთ ფლანდრიის პროვინციის დედაქალაქია. ქალაქი მდინარეების ლისისა და შელდას შესართავთან მდებარეობს. აქ ქალაქი-პორტი მე-9 საუკუნეში დაარსდა, როცა ფლანდრიის პირველმა გრაფმა ბოდუენ პირველმა ვიკინგებისაგან საამატოებს დასაცავად ციხესიმაგრე ააშენა.

მმართველებს შორის კონფლიქტის მიუხედავად, ქალაქი მუდამ ყვაოდა, ძირითადად კარგი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. ეს ულამაზესი ქალაქი დიდიხანია ტურისტებს იზიდავს თავისი სილამაზითა და უძველესი არქიტექტურით.

### კლიმატი

გენტი ამინდის მხრივ ცუდი რეპუტაციით სარგებლობს. წელიწადის ნებისმიერ სეზონზე ხშირია წვიმა და ბურუსი, განსაკუთრებით ბევრია ნალექი ნოემბრიდან მარტის ბოლომდე. საშინლად ცივი ზამთარი იცის. სამაგიეროდ ზაფხულია თბილი. ზამთრის თვეებში ტემპერატურა -3 გრადუსზე დაბლაც კი ეცემა. ზაფხულში კი 18-ზე დაბლა არასოდეს ჩამოდის.

გენტში მოგზაურობისათვის საუკეთესო სეზონი გაზაფხულიდან შემოდგომამდეა, კერძოდ, მაისის შუა რიცხვებიდან ოქტომბრამდე. ეს ის დროა, როცა ყველაზე მეტად თბილა და ქალაქის დათვალიერება სახალისოა.

### ფული

გენტის ეროვნულ ვალუტას ევრო წარმოადგენს. 2002 წლამდე მიმოქცევაში მხოლოდ ბელგიური ფრანკი იყო.

ნებისმიერი სახის მომსახურება არცთუ ისე ძვირია სხვა ევროპულ ქალაქებთან შედარებით. სასტუმროს ფასები 25 ევროდან იწყება. ქალაქში იაფი სასტუმროები ისევე მრავლადაა, როგორც ძვირი. ასე რომ, თუ ფული შემოგაკლდათ, ღია ცის ქვეშ ნამდვილად არ დარჩებით.

### ენა

გენტი სამენოვანი ქალაქია, რაც იმას ნიშნავს, რომ სამი სახელმწიფო ენაა — ფრანგული, გერმანული და ნიდერლანდური. ქალაქის გარეუბნებში ძირითადად ფრანგულად საუბრობენ. მოსახლეობის 60% ნიდერლანდურად ლაპარაკობს, 39% — ფრანგულად, ხოლო 1% — გერმანულად.

მედია ნიდერლანდურ და ფრანგულ ენაზეა, ხოლო საგანმანათლებლო სისტემა სამენოვანია. ნებისმიერი ბელგიელი სამზე თუ არა, ორ ენაზე მაინც თავისუფლად საუბრობს. ტურისტულ ადგილებში კი ინგლისურიც პოპულარულია.

### რელიგია

გენტში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ოფიციალური რელიგია გამოცხადებული არ არის, თუმცა მთავრობამ სამი მათგანი აღიარა: ქრისტიანობა, ისლამი და იუდაიზმი. მოსახლეობის 75% კათოლიკეა, 20% — პროტესტანტი, ხოლო დარჩენილი პროცენტი ისლამისა და იუდაიზმის მიმდევარია.

### გადაადგილება

გენტში რომ მოხვდეთ, ჯერ ბრიუსელამდე უნდა ჩაფრინდეთ, შემდეგ ავტობუსით, ტაქსით ან მატარებლით შეგიძლიათ იმგზავროთ. ტურისტების უმრავლესობა უპირატესობას მატარებელს ანიჭებს, რომელიც ყველაზე უსაფრთხოა და დანიშნულების ადგილამდე სულ რაღაც ნახევარ საათში 20 ევროდ ჩაგიყვანთ. გაითვალისწინეთ, რომ ტურისტული სეზონის დროს მგზავრობის ფასი მცირედით მატულობს.

ქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტი ავტობუსით და ტრამვაით შემოიფარგლება, ორივე მათგანის ღირებულება 2 ევროა. ასევე შეგიძლიათ ერთკვირიანი ბარათის 12 ევროდ შეძენა, რომელიც გაცილებით იაფი ჯდება.

ნებისმიერი ადგილის დასათვალიერებლად საინტერესო და ამავდროულად სახალისო საშუალებას წარმოადგენს საჰაერო ბურთი, რომლის დაქირავება 150 ევრო ღირს. გენტში ტურისტულ სეზონზე ტაქსის, მანქანისა და ველოსიპედის ერთი დღით დაქირავება ძალიან ძვირია.

### სამზარეულო

სახელგანთქმული ბელგიური შოკოლადი წლების განმავლობაში ჩემპიონების საჭმელად ითვლებოდა. გენტი კი შოკოლადის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია.

როდესაც ტურისტები ამ ქალაქში მოგზაურობაზე ფიქრობენ, მხოლოდ სამი რამ ახსენდებათ — შოკოლადი, ვაფლი და ლუდი. ეს უკანასკნელი ყველაზე პოპულარულ ალკოჰოლურ სასმელს წარმოადგენს. ბელგიელებს ლუდი არა მარტო უყვართ, კარგი ლუდის კეთებაც იციან, ამიტომ მხოლოდ საკუთარი წარმოებისას გეახლებიან. ამ პატარა ქალაქში 500-600 დასახელების ლუდია და ზოგიერთ მათგანს 400-500 და 900 წლის ისტორიაც კი გააჩნია. ლუდის შემდეგ ყველაზე დიდი პოპულარობით თეთრი ღვინო სარგებლობს.

ყველაზე წარმატებით „დე სტამპეს“ და „დე კარმელიეტის“ ქსელის რესტორნები ფუნქციონირებენ, სადაც სადილი, თავისი დესერტით, სულ მცირე, 100 ევრო მაინც დაგიჯდებათ. არსებობს იაფი რესტორნებიც. იქ, რა თქმა უნდა, დაბალი ხარისხის საკვებს თუ გასინჯავთ. ბელგიელები უპირატესობას შემწვარს და წვნიანს ანიჭებენ. ქალაქიდან ენდივეს — თეთრი ბოსტნეულის გასინჯვის გარეშე არ წამოხვიდეთ. ბელგიელებმა ის 1830 წელს აღმოაჩინეს და დღეს უკვე „თეთრ ოქროს“ უწოდებენ.

ყავა ჩიფსებთან ერთად ყველაზე მოთხოვნებადია. ბელგიელები დარწმუნებულები არიან, რომ მათი სამზარეულო მეორე ადგილზეა მსოფლიოში.

### ღირსშესანიშნაობები

გენტის უმნიშვნელოვანესი ღირსშესანიშნაობა გრავენსტინის სასახლეა, რომელიც 1157-1191 წლებში აშენდა და მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში საგრაფო დინასტიის ნავსაყუდელს წარმოადგენდა. სასახლეში ახლა ისტორიის მუზეუმია და მისი დათვალიერება დაახლოებით 8 ევრო დაგიჯდებათ.

გენტის ცენტრში მისი ერთ-ერთი სიმბოლო — წმინდა მიქაელის ხიდია. ამ ადგილიდან ქალაქის საუკეთესო ხედები იშლება. იქვე ახლოსაა გენტის მთავარი განძი — წმინდა ნიკოლოზის ტაძარი (მარცხნივ), ბელფორდის კოშკი და წმინდა ბავონის ტაძარი (მარჯვნივ). ეს უკანასკნელი ერთ-ერთი უძველესი ტაძარია ბელგიაში. სახელი ადგილობრივი მიწათმფლობელისა აქვს, რომელიც მე-7 საუკუნეში წმინდანად შერაცხეს, რადგან მთელი ქონება ღარიბებს დაურიგა და თავი ეკლესიას მიუძღვნა. ბავონის ტაძრის მთავარი სიმდიდრე გენტის საკურთხეველია, რომელიც ძმებმა ჰუბერტ და იან ვან ეიკებმა შექმნეს, დამპყრობლებმა კი არა ერთხელ სცადეს მისი განადგურება. დღეს ორიგინალი შუშის ქვეშ ინახება. გენტის საკურთხევლის ნახვა 3 ევრო ღირს.

წმინდა ბავონის ტაძრის უკან შეიძლება ჟერარდ ეშმაკის სასახლის ნახვა, რომელიც ერთ-ერთი პირველი ქვის შენობაა ქალაქში. ლეგენდის თანახმად, კაცს, რომელიც აქ ცხოვრობდა, ჟერარდი ერქვა. ეშმაკი კი იმიტომ უწოდეს, რომ 5-ჯერ იყო დაქორწინებული და ყოველ ჯერზე ცოლს კლავდა, რომ სხვა მოეყვანა. ამჟამად ჟერარდის სახლში ქალაქის ადმინისტრაციის არქივია. აქვე, წმინდა ბავონის ტაძართანაა 1338 წელს აშენებული ბელფორდის სამრეკლო, რომელიც საგანგებოდ დოკუმენტების შესანახად აღმართეს. დღეს, ისევე როგორც ადრე, ბელფორდის ზარები ქალაქელებს გენტის ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენებს ამცნობს.

### უსაფრთხოების წესები

ბელგიელები საოცარი ზრდილობით გამოირჩევიან. ეს ყველგან და ყველა სფეროში შესამჩნევია. კრიმინალური თვალსაზრისით, გენტი მთელ დასავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უსაფრთხო ქალაქია, რა თქმა უნდა, თუ ჯიბის ქურდებს არ ჩავთვლით. ასე რომ, ქალაქში ჩასვლისას გაუფრთხილდით პირად ნივთებს.

ტურისტულ სეზონზე არეულობისა და უსიამოვნების მიზეზი თავად ტურისტები არიან. ისინი დროის უმეტეს ნაწილს ლუდხანებში ატარებენ, საიდანაც ლუდის უამრავი სახეობის გასინჯვის შემდეგ ისეთი მთვრალები გამოდიან, რომ საკუთარ საქციელს თითქმის ვერ აკონტროლებენ. ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვისას საკმაოდ დიდი ჯარიმებია დაწესებული.

### უბის წიგნაკი

**ქვეყანა** — ბელგიის სამეფო;
**ქალაქი** — გენტი;
**მოსახლეობა** — 247.486;
**ფართობი** — 156,18 კვ.კმ;
**ოფიციალური ენა** — ნიდერლანდური, ფრანგული და გერმანული;
**ვალუტა** — ევრო.

✓ *მოამზადა თათია ბოჭორიძემ*



Cyan Magenta Yellow Black

# უარი მომგებიან არჩევანზე — „დაქალის მამას ცოლად ვერ გავყვებოდი...“



ჩვენი რესპონდენტი, მშვენიერი ახალგაზრდა ქალი, თამარი, მამის სიყვარულის გარეშე გაიზარდა, ამიტომ ცხოვრებაში ქვეცნობიერად ყოველთვის ეძებდა საყრდენს, მფარველს, ძლიერ მამაკაცურ მხარს. პირველ სიყვარულში არ გაუმართლა, იმედი გაუცრუვდა. მერე შეხვდა კიდეც თავის გზაზე კაცს, რომელიც პატრონად მოევლინებოდა, დანაკლისს, რომელსაც მთელი ცხოვრება გრძნობდა, შეუვსებდა, მაგრამ ეს ნაბიჯი ვერ გადადგა, უფრო სწორად, საკუთარ თავს, შინაგან ბარიერს ვერ გადააბიჯა და ამას თავისი სერიოზული მიზეზი ჰქონდა. ის მამაკაცი კი მისთვის მაინც იდეალად დარჩა.

**თამარი:**

— 18 წლის ასაკიდან მარტოხელა დედა ვარ. ჩემი მომავალი ქმარი, დათო, 15 წლიდან მიყვარდა. მოგეხსენებათ, ამ ასაკის გოგონები სიყვარულის მიმართ როგორი ფაქიზები არიან. ოცნების კოშკებს ვაგებდი, ჩემი წარმოსახვით უბედნიერესი ვიყავი.

**— დათოც სიყვარულით გპასუხობდათ?**

— თავიდან სხვა გოგოებს უყურებდა, მაგრამ მერე ყურადღება მომაქცია. შეიძლება ითქვას, ჩემს სიყვარულს გვერდი ვერ აუარა. ერთი წლით ჩემზე უფროსი იყო, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მომიტაცა. მოტაცება სიმბოლურად შეიძლება დავარქვათ, ცხადია, ნებით გავყევი. უბრალოდ წინასწარ არ გამაფრთხილა, ამას რომ აპირებდა. იფიქრა, რომ შეიძლება შემეშინებოდა და არ გავყოლოდი.

**— მშობლები როგორ შეხვდნენ ასეთ მცირე ასაკში თქვენს გათხოვებას?**

— ჩემი მშობლები განქორწინებული იყვნენ, მე დედასთან გავიზარდე. მამა იშვიათად მითმობდა ყურადღებას. ასე რომ, მას ჩემი ამ ნაბიჯის გამო დიდად თავი არ მოუკლავს, არც დახმარებაზე უფიქრია. სუფრასთან და სადღეგრძელოებში კი, იცოცხლე, თავი სასიქადულო მამად მოჰქონდა. სანდროს მამა კი უცხოეთში მუშაობდა და ცოლ-შვილს იქიდან ეხმარებოდა.

დედამთილმა თავიდანვე ამითვალწუნა და, როგორც ხორცმეტს, ისე მიყურებდა. სულ თავის უმცროს ქალიშვილს, ანუ ჩემს მულს მადარებდა. ამბობდა, რომ მასთან შედარებით არაეფექტური და უბრალო ვჩანდი, დახვეწილობაც მაკლდა. ეს დედამთილის აკვიატება იყო, თორემ სინამდვილეში, არა მგონია, რომ მისი შავტუხა, გრძელცხვირა და უხასიათო გოგო რამეთი მჯობდა. ასეც რომ ყოფილიყო, ჩემთვის გული რატომ უნდა ეტკინა?

> **„...ეამაოდ გავიზახედ და ყველა კაცში მამას ვეძებდი — ძლიერს, მფარველს, დაღვინებულს".**

ერთი სიტყვით, რძლად არ ვუნდოდი და ამისთვის კარგადაც იმუშავა. დათოც დაუღვინებელი იყო, დედამისის ყველა შენიშვნას მტვერსასრუტივით ისრუტავდა. რამდენიმე ხანში ისიც დედის ტექსტებით ალაპარაკდა. ამდენი შეურაცხყოფა და ცინიზმი ვეღარ ავიტანე და მათი ოჯახიდან წამოვედი. ქმარს დიდად არ შეუწუხებია თავი ცოლის უკან დაბრუნების თხოვნით, პირიქით, ყველაფერი ისე გამოიყვანა, თითქოს მათ ოჯახს შეურაცხყოფა მე მივაყენე, წიხლი ვკარი. შერიგების შემთხვევაში ულტიმატუმები წამომიყენა. დედამ კი მირჩია, თუ მათ ოჯახში თავს ბედნიერად არ გრძნობ, შერიგებაზე არ იფიქრო, ჯობია, თავის დროზე დასცილდე, ვიდრე წლები შეალიოო.

პრინციპში, ჩვენი დაცილების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ პატარები და გამოუცდელები ვიყავით და სხვისი ზეგავლენის ქვეშ ადვილად ვექცეოდით. არც ჩვენი სიყვარული იყო ძლიერი და მყარი, ამიტომ ვერც მისი დაცვა შევძელით.

**— თქვენი შვილი რამხელა იყო, როცა გაიყარეთ?**

— ჩემი ორსულობა ქმართან გაყრიდან ორ თვეში გამომჟღავნდა, მაგრამ დაბრუნებაზე მაინც არ მიფიქრია. ჩემი ჭკუით, ამით ქმარს დავსჯიდი. მისგან მიყენებულ დამცირებებს და შეურაცხყოფას ვერ ვივიწყებდი.

**— დათომ ეს მართლაც სასჯელად მიიღო?**

— პირიქით, პასუხისმგებლობა თავიდან აიცილა. არც ბავშვის ნახვა მოინდომა, თითქოს მისი ცოლი არ ვიყავი და არც არასდროს ვყვარებივარ. ამბობენ, როცა კაცს ქალი არ უყვარს, არც მისგან გაჩენილ შვილს სწყალობსო. მისი სიყვარული მირაჟი გამოდგა, ალბათ ჩემიც. დღეები ისე გადიოდა, დათო არც მაგონდებოდა. ვფიქრობდი, რომ ჩვენი ქორწინება შეცდომა იყო, თუმცა ამან ჩემს ცხოვრებას სერიოზული კვალი დააჩნია.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— პირადი ცხოვრების მოწყობაზე აღარ მიფიქრია. მორიგი მარცხის და წარუმატებლობის მეშინოდა. ჩემი ბიჭის გაზრდაში დედა მეხმარებოდა. სტუდენტი გავხდი და დედა ყოველმხრივ მიწყობდა ხელს.

**— გამოჩნდნენ მამაკაცები, რომლებიც თქვენ მიმართ სიმპათიებს გამოხატავდნენ?**

— თქვენ წარმოიდგინეთ, თაყვანისმცემლებით განებივრებული არ ვყოფილვარ. შეიძლება ვილაცეებს მოვწონდი, მაგრამ თავი ისე მეჭირა, რომ გამოხატვას ვერ ბედავდნენ. და მაინც, ჩემს ცხოვრებაში ორი შემთხვევა იყო, როცა ურთიერთობამ სერიოზული სახე მიიღო, მაგრამ ნაბიჯის გადადგმა ვერ შევძელი.

**— თუ შეგიძლიათ, ამ შემთხვევებზე გვიამბეთ, რატომ იყო თქვენთვის მიუღებელი?**

— სტუდენტობისას ჩემს თანაკურსელ გვანცასთან დავმეგობრდი. სულ ერთად ვმეცადინეობდით, ძირითადად — გვანცას სახლში. მასთან უკეთესი პირობები იყო, დიდი სახლი ჰქონდათ თავისი კაბინეტით და ხელს არავინ გვიშლიდა. დედამისი, უსათნოესი ინეზა დეიდა შეუძლოდ იყო, იწვა და მომვლელი ქალი ჰყავდა. გვანცას მამა ვახტანგი კი მუშაობდა და შინ მხოლოდ საღამოს ბრუნდებოდა. ძალიან სიმპათიური, თბილი და ყურადღებიანი კაცი იყო. სახლში ხელცარიელი არასდროს მოდიოდა, მე და გვანცას საჩუქრებით განებივრებდა. ზამთარ-ზაფხულ საგზურებიც მოჰქონდა და გვანცასთან ერთად დასასვენებლად მივდიოდი, შვილიც დამყავდა.

ვახტანგი მანქანით გვემსახურებოდა. ჩემი პატარას მიმართაც ყურადღებას იჩენდა. კაკის ბავშვობაში სუსტი იმუნიტეტი ჰქონდა, ხშირად ცივდებოდა. გვანცას მამა ძალიან გვეხმარებოდა, წამლებით გვამარაგებდა. მისი ძალიან მადლიერი ვიყავი. როგორც მამას, ისე ვუყურებდი. მამის სითბო და სიყვარული ყოველთვის მაკლდა და ვახტანგის მიმართ ამ სიყვარულს და დიდ პატივისცემას ვგრძნობდი.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ გვანცა ინსტიტუტში დატოვეს სამუშაოდ. მე კი უმუშევარი დავრჩი. ერთ მშვენიერ დღეს დამირეკა და მახარა, მამაჩემთან სამსახურში ვაკანსიაა და იქნებ მიხვიდეო. სიხარულით დავთანხმდი და მუშაობა დავიწყე.

**— ანუ ვახტანგის თანამშრომელი გახდით. სამსახურში როგორ მიგიღეს?**

— სამსახურში ყველამ იცოდა, რომ ვახტანგის პროტეჟე ვიყავი და უბატონოდ ხმას არავინ მცემდა. არც არავის უკითხავს, მისთვის ვინ ვიყავი. მხოლოდ ერთი ქალი იყო, ალისა, რომელიც ვახტანგს აფანატებდა. იმ ქალმა რატომღაც ამომიჩემა, ერთი სული ჰქონდა, გაერკვია, მის უფროსთან როგორი დამოკიდებულება მქონდა. ისეთ სიტყვიერ მინიშნებებს მიკეთებდა, რომ ვღიზიანდებოდი, მაგრამ არაფერს ვამბობდი. იმ ქალს კოლექტივში იმხელა გავლენა ჰქონდა, შეეძლო, თანამშრომლები ჩემ წინააღმდეგ განეწყო. არ მინდოდა, ვახტანგის სახელი შემერცხვინა, ეს რა თავხედი გოგო მოიყვანაო, ამიტომ ყველაფერს ვყლაპავდი.

ჩვენს განყოფილებაში ერთი ტუტუცი და სიმპათიური ბიჭი იყო, ალისასთან ახლობლობდა, მეტსახელად პეპოს ეძახდნენ. ყველა გოგოს ეფლირტავებოდა, მე ვერაფერს მიბედავდა, თანაც ვახტანგის ახლობელი ვიყავი. ერთ დღეს კი, მოულოდნელად, მეც დამიწყო რაღაც ზედმეტები. არ მესიამოვნა და შევუტიე. მეგონა, მეტს აღარ გამიბედავდა, მაგრამ მეორე დღეს კვლავ გააგრძელა. არ ვაპატიე და სილა გავარტყი. ეტყობა, ეს ამბავი ვიღაცამ ვახტანგის ყურამდე მიიტანა, მან კი პეპო ამის გამო სამსახურიდან დაითხოვა.

**— ამის შემდეგ თქვენი და ვახტანგის ურთიერთობა შეიცვალა?**

— ვახტანგმა ჩემი კონტროლი დაიწყო, თუმცა ამას ძალიან



Cyan Magenta Yellow Black

დელიკატურად აკეთებდა. ერთ საღამოს კორპორატიული წვეულებიდან შინ მანქანით წამომიყვანა. კარგ ფორმაში ვიყავი, თანამშრომლების თქმით, იმ დღეს ვბრწყინავდი. ვახტანგი ცოტათი ნასვამი იყო (ადრე არასოდეს სვამდა). გავბედე და სამსახურში პეპოს დაბრუნება ვთხოვე, რაც მოხდა, თავქარიანობით მოუვიდა, მეტს აღარ გაბედავს-მეთქი. ვწუხდი, რომ იმ ბიჭმა ჩემ გამო სამსახური დაკარგა. ვახტანგი მარწმუნებდა, რომ პეპო მისივე თავხედობის გამო დაითხოვა, მაგრამ როცა ჩემი გულწრფელი წუხილი დაინახა, გამომიტყდა, რომ ჩემ მიმართ თავად ჰქონდა განსაკუთრებული სიმპათია და ჩემ გვერდით სხვა მამაკაცის არსებობას ვერ აიტანდა. მითხრა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ ბედნიერი იყოო. დარწმუნებული ვარ, სასმელმა აალაპარაკა, თორემ ბოლომდე თავშეკავებით იქნებოდა. ძალიან ჭკვიანი კაცი იყო, მოვლენებს წინ არ გაუსწრებდა.

— **რამე შემოგთავაზათ?**

— უხამსი არაფერი შემოუთავაზებია, საკმაოდ სერიოზულად მიყურებდა. მისი ცოლი ძალიან მძიმედ იყო, დღეებს ითვლიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ ვახტანგს ჩემი ცოლად შერთვა ჰქონდა განზრახული, მაგრამ ეს ჩემთვის სავსებით მიუღებელი იყო. მამისტოლა კაცს, რომელსაც თქვენობით ველაპარაკებოდი, თანაც ჩემი დაქალის მამას, ცოლად ვერ გავყვებოდი, თანამეცხედრეობას ვერ გავუწევდი, ახლოსაც ვერ მივიკარებდი. თანაც მის ცოლს უდიდეს პატივს ვცემდი და მისი გარდაცვალებით ვერ ვისარგებლებდი, მის ოჯახში დიასახლისის როლს ვერ მოვირგებდი.

— **ამ სიტუაციას პრაქტიკული ქალი მშვენივრად გამოიყენებდა და ცხოვრებასაც აიწყობდა. თქვენ როგორ გააგრძელეთ მასთან ურთიერთობა?**

— ძალიან შევიზღუდე, სამსახურში წასვლა არ მინდოდა. ვერავის ვერაფერს ვუმჟღავნებდი, ძალიან ვდარდობდი. გვანცა ვერ ხვდებოდა, რატომ ვარიდებდი თავს მასთან საუბარს, რატომ გავურბოდი. ეტყობა, მიზეზი მამამისს ჰკითხა, სამსახურში რამე ხომ არ უჭირსო. ვახტანგმა კი შვებულება გამიფორმა, ჩათვალა, რომ დასვენება მჭირდებოდა. სახლში რომ ჩავჯექი, უფრო მძიმე დღეში ჩავვარდი. ეტყობა, დედა გუმანით მიხვდა, რაც ჩემს თავს ხდებოდა და ყველაფერი მათქმევინა. მირჩია, რომ ვახტანგს დაველაპარაკებოდი, მასთან ურთიერთობა დამელაგებინა ისე, რომ განაწყენებული არც ერთი მხარე დარჩენილიყო.

— **როგორც ჩანს, დაქალის მამის სიყვარული რომ გაგეზიარებინათ, დედათქვენი წინააღმდეგი არ იქნებოდა.**

— დედას უნდოდა, პატრონი მყოლოდა, მაგრამ ჩემი ნების წინააღმდეგ არ წავიდოდა. ეს ჩემი გადასაწყვეტი იყო.

— **თქვენი საუბარი ვახტანგთან შედგა?**

— მასთან კაბინეტში შევედი და დაველაპარაკე, თან სირცხვილით ვიწვოდი, თითქოს რამეს ვაშავებდი. მან დამამშვიდა და მითხრა, ახლა ჩვეულებრივ შეუდექი მუშაობას, არ იდარდო, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდაო. ძალიან ვღელავდი, ორივე ხელი დამიჭირა, ნაზად მაკოცა, მერე თვალებში ჩამხედა და მაშინდელი სიტყვებისთვის ბოდიში მომიხადა.

კაბინეტიდან ალეწილი გამოვედი. დერეფანში ალისას შევეჩეხე, რომელმაც იქედნურად გადმომხედა და თავი გადააქნია. აშკარად რაღაც ცუდად იფიქრა ჩემზე. მალე ვახტანგმა დამაწინაურა, უკეთეს საფეხურზე გადამიყვანა — ამით სტიმული მომცა. ალისამ, როგორც ჩანს, ცუდი ხმები დამიყარა. თანამშრომლები უკვე ალმაცერად მიყურებდნენ. ყველას ვახტანგის საყვარელი ვეგონე.

— **ეს საიდან დაასკვენით?**

— ერთმა თანამშრომელმა გამიმხილა, რომელიც ჩემს განყოფილებაში მუშაობდა. თავი საშინლად შეურაცხყოფილად ვიგრძენი და სამსახური დავტოვე.

— **ვახტანგმა მიზეზი გაიგო?**

— ჩემთვის გაღებული ყველა სიკეთისთვის მადლობა გადავუხადე, ვუთხარი, რომ სხვა სამუშაო ვიშოვე ჩემი სპეციალობით. თითქოს ღმერთმა მისმინაო, დედაჩემის ახლობელმა მართლაც შემომთავაზა სხვა ადგილი და მაშინვე დავთანხმდი.

— **თქვენს მეგობარ გვანცასთან ძველებური ურთიერთობა გქონდათ?**

— ორ თვეში დედამისი გარდაიცვალა. მძიმე დღეებში გვანცას გვერდით ვიყავი, მერე თანდათან ჩამოვშორდი. ადვილი არ იყო მეგობრის დაკარგვა, მაგრამ სხვაგვარად ვერ შევძელი.

— **ზემოთ მეორე შემთხვევაც ახსენეთ. მაშინაც იყო რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი თქვენი პირადი ბედნიერებისთვის?**

— გიო ორი წლის წინ, ზაფხულში, კურორტზე გავიცანი, ძალიან ხალისიანი და საყვარელი ბიჭი იყო. როგორც თავად ამბობს, გაცნობისთანავე შევუყვარდი, მეც მომწონდა პიროვნულად, მაგრამ მისი შეყვარება ვერ შევძელი. გიოს ყოველი სიტყვა თუ მოქმედება ძალიან ბავშვური მეჩვენებოდა, კაცად ვერ აღვიქვამდი. ქვეცნობიერად ვახტანგს ვადარებდი და მის გვერდით გიო უსუსური ჩანდა.

— **კი, მაგრამ ვახტანგი ხომ არ მოგწონდათ, როგორც მამაკაცი.**

— ის ჩემთვის თითქოს იდეალად იქცა. არ ვიცი, ასე რატომ დამემართა. ალბათ იმიტომ, რომ უმამოდ გავიზარდე და ყველა კაცში მამას ვეძებდი — ძლიერს, მფარველს, დაღვინებულს... ჩემმა ქორწინებამ დამანახა, რომ ჩამოუყალიბებელ კაცთან ურთიერთობა არ გამომივა.

— **როგორ ფიქრობთ, ვახტანგი თქვენი მეგობრის მამა რომ არ ყოფილიყო, მასთან ურთიერთობასააწყობდით?**

— ალბათ — ვერა. ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, რაც ბარიერს მიქმნიდა. ის ჩემთვის უფროსი ადამიანი იყო, რომელიც პატივისცემას და მოწიწებას იმსახურებდა, თავს ვერასდროს გავუტოლებდი.

✓ **ნანა კობახიძე**

**„მამისტოლა კაცს, რომელსაც თქვენობით ველაპარაკებოდი, თანაც ჩემი დაქალის მამას, ცოლად ვერ გავყვებოდი, თანამეცხედრეობას ვერ გავუწევდი, ახლოსაც ვერ მივიკარებდი. თანაც მის ცოლს უდიდეს პატივს ვცემდი და მისი გარდაცვალებით ვერ ვისარგებლებდი, მის ოჯახში დიასახლისის როლს ვერ მოვირგებდი".**

❖ პიცა „მარგარიტა“ პირველად ნაპოლიში 1888 წელს დედოფლისათვის გამოაცხვეს. იქიდან მოყოლებული, კლასიკურ პიცას „მარგარიტას“ ეძახიან.

❖ ჩერჩილი წელიწადში 500 ლიტრამდე წითელ ღვინოს სვამდა.

❖ ინგლისელებმა დაადგინეს, რომ თუ ალკოჰოლის მიღებამდე ლიმონიან ყავას დალევთ, აღარ დათვრებით.

❖ ფართობის მიხედვით მსოფლიოს ყველაზე დიდი ქალაქი ავსტრალიაშია — სიდნეი (121,446 კვ.კმ). ამ ფაქტს ასაჩივრებენ ჩინელები, რომლებიც ყველაზე დიდ ქალაქად ჰულუნბურს მიიჩნევენ ფართობით 263,953 კვ.კმ. აღსანიშნავია, რომ ჰულუნბური უფრო რეგიონია, ვიდრე ქალაქი და პრეფექტურის სტატუსს ატარებს.

❖ ყველაზე გრძელი ქალაქი მეხიკოა. მისი სიგრძე 200 კმ-ს აღემატება.

## ეს იცოდით?

❖ უდაბნო ატაკამაში (ჩილე) წვიმა არასოდეს მოსულა.

❖ აინები იაპონიის უძველესი მოსახლეები იყვნენ.

❖ პირველი მეტროპოლიტენი ლონდონში გაიხსნა 1863 წლის 10 იანვარს და პირველი 7 წელი ვაგონების გამწევ ძალას ცხენები წარმოადგენდნენ.

❖ თავისუფლების ქანდაკების საჩვენებელი თითი 2 მეტრი და 44 სანტიმეტრია.

❖ კალედონია შოტლანდიის ლათინური სახელწოდებაა.

❖ ეკვატორზე დღისა და ღამის ხანგრძლივობა მთელი წლის განმავლობაში ერთნაირია.

❖ ქათმების რაოდენობა დედამიწაზე თითქმის იმდენივეა, რამდენიც ადამიანების.

❖ დადგენილია, რომ მწერებს ყველაზე მეტად ლურჯი ფერი იზიდავთ.

❖ თუთიყუშები ყველაზე ადვილად ლათინურ ენას სწავლობენ.

❖ როდესაც გუგული სხვის ბუდეში დებს კვერცხს, კვალის დასაფარად იმ ბუდიდან ერთ კვერცხს აგდებს.

❖ ძაღლის ცხვირის ანაბეჭდი ისეთივე უნიკალურია, როგორიც ადამიანის თითის ანაბეჭდი.

❖ ვეფხვებს აქვთ არამარტო ზოლიანი ბეწვი, არამედ ზოლიანი კანიც.

❖ ყველაზე დიდი თოვლის ფიფქის დიამეტრი (რაც დაუფიქსირებიათ) 38,1 სანტიმეტრია, სისქე — 15 სანტიმეტრი.

❖ ყველაზე მეტი მუსლიმი ინდონეზიაში ცხოვრობს.

❖ ბეთჰოვენის მიერ დაწერილი ერთადერთი ოპერა „ფიდელიოა“.

❖ არისტოტელე სილამაზეს „ღმერთის საჩუქარს“ უწოდებდა, ხოლო თეოფრასტე — „უსიტყვო მოტყუებას“.

# ჭაღარის შენიღბვა – 7 მეთოდი



ჭაღარის დაფარვის სურვილი ადვილად აიხსნება. როგორი ახალგაზრდაც უნდა იყოს ქალი, ჭაღარა თმა სახეს წლებს მატებს.

### რატომ ვჭაღარავდებით?

ჭაღარის გაჩენის მიზეზი პიგმენტ მელანინის გამომუშავების შემცირებაა, მაგრამ ეს რატომ ხდება, გამოცანად რჩება. ასეა თუ ისე, 30 წლის შემდეგ ყოველ 10 წელიწადში თავზე ჭაღარა ( ე.ი. მელანინს მოკლებული თმა) 10-დან 20%-მდე იმატებს, თუმცა ეს ყველას არ ემართება.

მელანინის წარმოქმნა ჯერ კიდევ დაბადებამდე იწყება. თმის ფერს განსაზღვრავს პიგმენტები, რომლებიც თმის ბოლქვებშია განლაგებული. ამასთან ფერთა მრავალფეროვნება მხოლოდ ორი ტიპის პიგმენტის დახმარებით იქმნება. ესენია: ეუმელანინი (მუქი ფერი) და ფეომელანინი (ღია ფერი). ჩვენი თმის ბუნებრივი ფერი დამოკიდებულია მელანინის ტიპების რაოდენობრივ თანაფარდობაზე, მათი განლაგებისა და დაგროვების ადგილზე — თმის შუა ფენაში ან ცენტრალურ ღეროში.

ნაადრევი ჭაღარა ხშირად მემკვიდრული ფაქტორია. ასევე იწვევს სტრესები, თავის კანში ცუდი სისხლის მიმოქცევა, სხვადასხვა დაავადებები, რომლებიც გაცვლით პროცესებს არღვევენ, B ჯგუფის ვიტამინებისა და ასევე მიკრო და მაკროელემენტების (განსაკუთრებით თუთიის, გოგირდისა და კალციუმის) დეფიციტი. ჭაღარის მოცულობას ზრდის სხვადასხვა, განსაკუთრებით ცილის პროდუქტებით ღარიბი დიეტები. თმის გაჭაღარავება ასევე ხდება ფერმენტ თიროზინის (მელანინის წინამორბედი) გამომუშავების უკმარისობით. ახლახან დაადგინეს, რომ ჩვენი ორგანიზმი მცირე რაოდენობით გამოიმუშავებს წყალბადის ზეჟანგს, რომელიც ფოლიკულებში დაგროვებისას თმას ალიავებს.

ნაადრევი ჭაღარა შეიძლება დაკავშირებული იყოს არანამკურნალევ გასტრიტთან ან ფარისებური ჯირკვლის მუშაობაში დარღვევებთან, ასევე ღვიძლის დაავადებებთან. ასე რომ, ზოგჯერ საჭიროა არამხოლოდ ტრიქოლოგთან, ასევე თერაპევტთან ვიზიტი ნაადრევი გაჭაღარავების მიზეზის გასარკვევად.

### პრობლემის გადაჭრის საშუალებები

არსებობს მოსახერხებელი საშუალებები, რომლებიც ნაადრევ ჭაღარას შეუმჩნეველს გახდის.

1. მელირება. შეღებვა ხდება არამხოლოდ მთელი თმის, არამედ ცალკეული კულულების (ერთ ან ორ ფერში). დანარჩენი თმა თავის ფერს ინარჩუნებს. უმჯობესია, ასეთი შეღებვა პროფესიონალს მიანდოთ. ეს მეთოდი კარგად მალავს ჭაღარას მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ჭაღარა თმის საფარველის არაუმეტეს 50%-ს მოიცავს.

2. გამამუქებელი ბალზამი. ჭაღარას სწრაფად და თმის დაუზიანებლად ღებავს, თუმცა მისი დახმარებით ფერის რადიკალურად შეცვლა არ გამოდის. გამოიყენება თავის დაბანამდე. თუ შედეგი არ მოგეწონებათ, შეგიძლიათ ფერის ინტენსივობა შეამციროთ ან ტონი სპეციალური საშუალების (რომელიც გამოყენებული ბალზამის მარკის უნდა იყოს) დახმარებით მოიშოროთ.

3. ნახევრად პერმანენტული საღებავი (მატონიზირებული). ასეთი საღებავი თმის სიღრმეში არ აღწევს, არამედ მის ზედაპირზე ან ქერცლიან ფენაზე რჩება. ტონი შენარჩუნებულია რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაგრამ თანდათან ჩამოირეცხება. ეს საშუალება საუკეთესოა მათთვის, ვისაც გაჭაღარავება ახლახან დაეწყო და ჭაღარის მოცულობა 30%-ს არ აღემატება.

4. მცენარეული საღებავები. პირველ რიგში მათ მიეკუთვნება ინა, რომელსაც ხშირად ბასმასთან ერთად იყენებენ. ისინი ჭაღარას კარგად ღებავს, ამავდროულად თმას მკურნალობს — მბრწყინავსა და აბრეშუმივით ნაზს ხდის, ზრდას აუმჯობესებს, ქერტლისგან იცავს. მათი მინუსი ისაა, რომ შეღებვა დიდ დროს ითხოვს, ვიდრე პერმანენტული საღებავების გამოყენება. ხოლო თმის ფერი შეზღუდულია: წითელი-წაბლისფერი გამა, წითური, ღია წაბლისფერი, მუქი წაბლისფერი, შავი.

ღია ფერის თმაზე, რომელსაც ჭაღარა სანახევროდ შეეხო, შეგიძლიათ გვირილის ნაყენი გადაივლოთ — ოქროსფერ შეფერილობას მიანიჭებს.

5. მეზოთერაპია გამოიყენება იმ შემთხვევებში, თუ ჭაღარის გაჩენის მიზეზი ნივთიერებათა ცვლის დარღვევაა. თავის თმიანი ნაწილის კანში ინექციის საშუალებით B ჯგუფის ვიტამინები, მელანინის წინამორბედები, ოლიგოელემენტები, ნიკოტინის მჟავა შეჰყავთ. მეზოთერაპიის ეფექტი კვებისა და სისხლის ცირკულაციის გაუმჯობესებით მიიღწევა.

6. გარეგანი პრეპარატები — გელი და ბალზამი, რომლებიც თუთიას, გოგირდს, სპილენძს, რკინას შეიცავს, თავის თმიან ნაწილში შეიზილება, რაც პიგმენტ მელანინის გამომუშავებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ეხმარება, თუ ნაადრევი ჭაღარა გამოწვეულია კვების დეფიციტით. სანამ მათ გამოიყენებთ, უმჯობესია, ტრიქოლოგს საკონსულტაციოდ მიმართოთ.

7. მოდურად თმის შეჭრა. შეიძლება ვიღაცას სულაც არ აკომპლექსებს თმაზე კეთილშობილი „ჭირხლი" და ჭაღარის შეღებვის იდეაზე უარს ამბობს. ამის მაგივრად ექსპერიმენტებს ატარებს. თმა მოდურად შეიჭერით. ეს შეღებვაზე არანაკლებ აახალგაზრდავებს.

# ხაჭოს დიეტა



საზოგადოებაში მეფობს მოსაზრება, რომ რძის პროდუქტები ჯანმრთელობის წყაროა. ისეთ პროდუქტს, როგორიც ხაჭოა, დითირამბები უნდა ვუძღვნათ. მისი სარგებლიანობა ფასდაუდებელია. ყოველთვის ურჩევენ დასუსტებულ ადამიანებს, ვინაიდან მის შემადგენლობაში შედის კალციუმი, რომელიც ორგანიზმის ბევრი სისტემის ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია.

ხაჭო გახდომას ეხმარება.საიდუმლო იმაშია, რომ მასში დიდი რაოდენობით არსებული კალციუმი სიმსუქნეს ებრძვის, ცხიმების დაწვას აძლიერებს და მათ დალექვას ამცირებს. კალციუმი ცხიმების მეტაბოლურ ტრანსფორმაციას ასტიმულირებს — ორგანიზმში მისი მაღალი შემცველობა ცხიმების წვის გარკვეული მექანიზმების ამუშავებას ხელს უწყობს. გარდა ამისა, კალციუმი გახდომის დროს კუნთური მასის დაკარგვას თავიდან აგაცილებთ. მას შემდეგ რაც წონაზე ხაჭოს გავლენის უნარი დამტკიცდა, ამ პროდუქტს დიეტურ კვებაში ფართოდ იყენებენ. არსებობს ხაჭოს დიეტის მრავალი ვარიანტი. გაგაცნობთ ერთ-ერთ მათგანს.

### 6 დღეში 4-5 კგ-ის დაკლება

ამ დიეტით 6 დღეში შეიძლება 4-5კგ-ს გამოეთხოვოთ. ყოველი დღის განმავლობაში წვენი და მინერალური წყალი 1,5 ლიტრამდე უნდა დალიოთ.

პირველი დღე. 500 გრამი უცხიმო ხაჭო (5 თანაბარ ნაწილად გაყავით და დღის განმავლობაში ჭამეთ), 2 ფორთოხალი.

მეორე დღე. საუზმე — 1 ფინჯანი ხილის სალათა, 150 მლ იოგურტი, ჩაი. სადილი — ბოსტნეულის წვენი, 100 გრამი ხორცი, ბოსტნეულის რაგუ. ვახშამი — რძეზე მომზადებული ერთი თეფში ბრინჯის ფაფა.

მესამე დღე. ზუსტად იმეორებს პირველ დღეს, მაგრამ ფორთოხლის მაგივრად 2 ბანანი მიირთვით.

მეოთხე დღე. საუზმე — 100 გრამი სიმინდის ბურბუშელა რძით. სადილი — ქათმის ბულიონი და პომიდვრის, კიტრის, ყველისა და ზეთისხილის სალათა. ვახშამი — 250 მლ იოგურტი და 100 გრამი ჩირი.

მეხუთე დღე. მენიუ იგივეა, რაც პირველ და მესამე დღეს იყო.

მეექვსე დღე. საუზმე — 2 კვერცხის ომლეტი, დაუმატეთ სოკო და მწვანილი. სადილი — თევზის წვნიანი, ფინჯანი ბრინჯის ფაფა, 1 ნაჭერი ჭვავის პური, წვენი. ვახშამი — მხოლოდ კიტრის და პომიდვრის სალათა.

მოამზადა აზა გაგოშიძე



Cyan Magenta Yellow Black

# ფრთხილად, სინუსიტი!

ერთი შეხედვით თითქოს უვნებელი და ნაკლებად სახიფათო სურდო შეიძლება საშიში აღმოჩნდეს პატარების ჯანმრთელობისთვის და სერიოზული დაავადებების პროვოცირება გამოიწვიოს. ამიტომაა მნიშვნელოვანი სინუსიტის დროულად აღმოჩენა და ადეკვატური ღონისძიებების გატარება.



სინუსიტი შეიძლება იყოს როგორც მწვავე, ისე ქრონიკული. პირველ შემთხვევაში ამ დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომები საკმაოდ მწვავედ ვლინდება. რაც შეეხება ქრონიკულ სინუსიტს, ის ნაკლებად აქტიურია, მაგრამ ხშირი გამწვავებები აქვს.

### სახიფათო ნიშნები

პირველი და მთავარი სიმპტომი, რომელიც დამახასიათებელია სინუსიტისათვის, გახანგრძლივებული სურდო, გაგუდული ცხვირი, თავის ტკივილი და ტემპერატურის მომატებაა. თუ ეს სიმპტომები გაქვთ, აუცილებელია ოტოლარინგოლოგთან კონსულტაცია, რადგან დროულად აღმოჩენილი დახმარების შემთხვევაში სინუსიტის მკურნალობა ეფექტური და იოლია.

ინჰალაცია. როგორც მწვავე, ისე ქრონიკული სინუსიტის დროს სიმპტომების შემსუბუქება შეგვიძლია ინჰალაციით. გამოიყენება სხვადასხვა მცენარეული ეთერზეთები, მაგალითად, ევკალიპტი, ლავანდა, პიტნა და სხვა.

ჩამოვრეცხოთ ბაქტერიები. ცხვირის გამოსუფთავება რეგულარულადაა საჭირო, რათა ბავშვის ორგანიზმიდან გამოვდევნოთ ვირუსები და ბაქტერიები. ამ პროცედურის დახმარებით ასევე შესაძლებელია ცხვირის ლორწოვანიდან მიკრობების გამოდევნა.

გამორეცხვისთვის საუკეთესო საშუალებაა ზღვის მარილი, რომლის შეძენაც აფთიაქში შეგიძლიათ. ამ ხსნარის მომზადება სახლის პირობებშიცაა შესაძლებელი: 1 ჩ.კ. ზღვის მარილი უნდა გავხსნათ 1 ჭიქა თბილ წყალში. პროცედურის ჩატარება შესაძლებელია 2 კვირის განმავლობაში დღეში 2-4-ჯერ.

### პროფილაქტიკა

სინუსიტის განვითარება მაქსიმალურად რომ შევაფერხოთ, აუცილებელია იმუნიტეტის გაძლიერება. თუ შვილს ცხვირიდან მცირედ გამონადენს შევამჩნევთ, დროულად უნდა მივიღოთ ზომები, რადგან გართულების შემთხვევაში დიდი ალბათობაა, პროცესმა ჰაიმორის ღრუმდე მიაღწიოს. ეს კი პატარასთვის საკმაოდ სახიფათოა.

კარგია ბავშვისათვის დიდი რაოდენობით სითხის მიცემა — თბილი ჩაის ჟოლოთი ან ლიმონით, ასევე პროფილაქტიკისთვის ცე ვიტამინის სმა, რომ ორგანიზმის ბრძოლისუნარიანობა მაქსიმალურად გავაძლიეროთ.

# მერი პოპინსი ჩვენი შვილების ცხოვრებაში



თანამედროვე ბავშვების ცხოვრებაში ძიძის როლი სულ უფრო აქტუალური ხდება. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ მის სწორად შერჩევას, მისეულ აღზრდის მეთოდებსა და ბავშვებისადმი მიდგომას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამიტომ ძიძის შერჩევისას კარგად უნდა დავფიქრდეთ და ფხიზელი თვალით დავაკვირდეთ თანამედროვე მერი პოპინსისა და ჩვენი შვილების ურთიერთობას.

### დეტალები, რომლებსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ

პირველი გახლავთ ასაკი. ოპტიმალური ასაკი ძიძისთვის 30-35 წელია. ეს ზოგადი მაჩვენებელია და არა — გადამწყვეტი, რადგან ბევრი რამ კონკრეტულ პიროვნებაზეა დამოკიდებული.

მთავარი მოთხოვნა გამოცდილებაა. კარგი იქნება, თუ მისგან მოვითხოვთ სპეციალურ სარეკომენდაციო წერილსაც, რომელიც სხვა ოჯახებში მუშაობის შედეგად მისცეს. საუკეთესო ვარიანტი უსაფრთხოებისთვის, როგორც სტატისტიკურად დადგინდა, არის ნაცნობობა, ანუ ახლობლის რჩევითა და რეკომენდაციით აყვანილი ძიძა ყველაზე მეტად ამართლებს მშობლების მოთხოვნებსა და მოლოდინს. ამიტომაც არის, რომ ხშირად კარგი ძიძა, რომ იტყვიან, ოჯახიდან ოჯახში გადადის.

სანამ ბავშვისათვის ძიძას აიყვანთ, აუცილებელია პატარას წინასწარ შემზადება. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა ბავშვის ცხოვრებაში, რომელთან შეგუებაც მისთვის სულაც არ არის იოლი. გასათვალისწინებელია პატარას ასაკიც. სანამ ბავშვსა და ძიძას მარტო დავტოვებთ, სასურველია, პირველი რამდენიმე დღე ჩვენც მათთან ერთად გავატაროთ სახლში და დავრწმუნდეთ, რომ მერი პოპინსი ადეკვატურად იქცევა ბავშვთან მიმართებაში.

### ენდეთ, მაგრამ შეამოწმეთ!

ეს მართებული და სწორი მიდგომაა, რადგან, რაოდენ კარგი პიროვნება და პროფესიონალი უნდა იყოს ძიძა, ყველა მშობელი ვალდებულია, მუდმივად აკონტროლოს ის. ყოველდღიურად გულდასმით და ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ შვილის მონათხრობს, რაც დღის განმავლობაში გადახდა თავს. ასევე ყურადღება მივაქციოთ მის რეაქციებს. დავაკვირდეთ, ხომ არ გახდა პატარა უფრო ემოციური და მშიშარა. კონტროლი ნამდვილად არ არის სირცხვილი, მით უფრო, როდესაც საქმე ჩვენი შვილის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ეხება.

# კრიტიკულ დღეებში ანანასის წვენი დაგვეხმარება

კრიტიკული დღეების პერიოდში ანანასის წვენი საუკეთესო საშუალებაა!

მუცლის არეში ტკივილები, ხასიათის მნიშვნელოვანი ცვლილებები, გაღიზიანება... როგორ შეიძლება, რომ მენსტრუაციის პერიოდში ქალებმა მდგომარეობა შევიმსუბუქოთ და ნაკლები პრობლემები გვქონდეს?

ბევრი ეფექტური მეთოდი არსებობს, რომელთა გამოყენებით კრიტიკულ დღეებს ადვილად დავძლევთ.

დაკავდით იოგით — კუნთების ტონუსის მოსახსნელად მენსტრუაციის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე კარგი მეთოდი იოგა გახლავთ. საერთოდ, ფიზიკური აქტივობა ამ დროს საკმაოდ ეფექტურია, რადგან ჰორმონი ენდორფინები ჭარბად გამომუშავდება, ეს კი სიამოვნებისა და დადებითი ემოციებისთვის საუკეთესო საშუალებაა.

შეგიძლიათ დღეში რამდენიმე წუთით ასეთი ვარჯიში გააკეთოთ: დაწექით ზურგზე, 10-ჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. შემდეგ ორივე ფეხი მოხარეთ და მკერდთან ახლოს მიიტანეთ, ამოძრავეთ ჯერ წინ, შემდეგ უკან. 10-ჯერ ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ.

მენსტრუაციის დროს მომატებული ტკივილების გასაყუჩებლად დაგეხმარებათ სითბო (სათბურა 10-15 წთ-ით დაიდეთ). ასევე ეფექტურია საათის ისრის მიმართულებით მუცლის არეში მასაჟის ჩატარება.

რაციონი — ეცადეთ, მოერიდოთ მარილიან, მჟავე და ცხარე კერძებს. კარგი იქნება, თუ ამ პერიოდში მიირთმევთ ხშირად და მცირე ულუფობით, ამგვარად სისხლში შაქრის დონე სტაბილურად შენარჩუნდება.

კარგია პროდუქტები, რომლებიც მდიდარია მაგნიუმით: ბანანი, ბრინჯი, ლობიო, ასევე ბე ჯგუფის ვიტამინების შემცველი საკვები — ხორცი, კარტოფილი, თევზეული, რომელიც მდიდარია მჟავა ომეგა 3-ით, აგრეთვე დე ვიტამინი. მისი მიღება შეგიძლიათ კვერცხიდან (გული), რომელიც ასევე ძალიან ეფექტურია დაღლილობისა და სისუსტის მოსახსნელად.

მარილიანი საკვები ორგანიზმში სითხეს აკავებს და შეშუპების პროვოცირებას ახდენს. რაც შეეხება შაქრის სიჭარბეს, ის აძლიერებს დაღლილობას და ხასიათის ცვალებადობას უწყობს ხელს.

მენსტრუაციის პერიოდში სასურველია ჭარბი სითხის მიღება, მაგრამ ყავა და ჩაი მინიმალური რაოდენობით უნდა დალიოთ. მიირთვით მცენარეული ჩაი, ჩვეულებრივი წყალი, კომპოტები, ნატურალური წვენები. საუკეთესო საშუალება ამ პერიოდში ანანასის ნატურალური წვენი გახლავთ.

კალციუმისა და მაგნიუმის სიკეთე

სპეციალისტები ქალებს გვირჩევენ, მენსტრუაციის პერიოდში დამატებით მივიღოთ კალციუმისა და მანგიუმის პრეპარატები. კალციუმი სპაზმსა და გაღიზიანებადობას ხსნის, ასევე აყუჩებს თავის ტკივილს, ორგანიზმიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე. რაც შეეხება მაგნიუმს, ის კუნთების დაძაბულობისა და სპაზმის მოხსნაში გვეხმარება.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა



Cyan Magenta Yellow Black

# „მაღალფეხება, ქერა ლამაზმანები არასოდეს მყოლია“

## როგორ მოხიბლა ახალგაზრდა დრამატურგი დოდო აბაშიძის შვილიშვილმა



Sანდრო კაკულია 16 წლის იყო, როცა მისი პირველი პიესა დაიდგა სცენაზე. მას შემდეგ მისი ცხოვრება თეატრისა და კინოს სამყაროს მჭიდროდ დაუკავშირდა. ორ ფილმშიც გადაიღეს, პოპულარობა კი მოუტანა სერიალმა „ჩემი ცოლის დაქალები“, სადაც ახალგაზრდა დრამატურგი ორიგინალური მეტსახელის მქონე პერსონაჟის, თითქმის თავისი მოსახელის, სანდრექსას როლს თამაშობს.

ოჯახს ექვსი წლის წინ მოეკიდა, საკმაოდ ადრეულ ასაკში, მაშინ 22 წლის იყო. ცნობილი ქართველი მსახიობის, დოდო აბაშიძის შვილიშვილზე, ნუცა აბაშიძეზე იქორწინა. მათი სიყვარულის ამბავი ორიგინალურად დაიწყო. ერთ დღესაც სანდრო ქუჩაში სტუდენტმა გოგონამ გააჩერა და პირდაპირ უთხრა, რომ ძალიან მოსწონდა. ლამაზ ქალიშვილს მანაც იმავე გრძნობით უპასუხა და დღეს უკვე 3 წლის შვილი, ელენე ჰყავთ.

სანდროს ცოლიანი კაცის სტატუსი მის თაყვანისმცემლებს არ ადარდებთ. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებისაგან დღეში უამრავ წერილს იღებს. თუ რას ფიქრობს მათზე და ზოგადად ქალზე, ამაზე ქვემოთ თავად გვესაუბრება.

— **სანდრო, სანამ უშუალოდ ჩვენს რუბრიკას შევეხებით, იქნებ გვითხრათ, როგორ მოხვდით სერიალში?**

— ფილმ „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილის“ პროდიუსერმა მომწერა, თქვენი ფოტო ვნახეთ და კასტინგზე მოდითო. მანამდე ვითამაშე ფილმში „გასეირნება ყარაბაღში“, სადაც პროდიუსერმა ლევან კორინთელმა მიმიწვია და, მიუხედავად იმისა, რომ მსახიობი არ ვარ, უარი არ მითქვამს. „ჩემი ცოლის დაქალის ქორწილში“ ნეფის მეგობრის როლზე დამამტკიცეს. ფილმს 19 დღე იღებდნენ და მსახიობობას იმდენად ვერ ვეგუებოდი, გამუდმებით ვითხოვდი, მალე გავთავისუფლებულიყავი. მაშინ ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ჩემი პერსონაჟი სანდრექსა სერიალშიც იქნებოდა.

— **პერსონაჟს თქვენი სახელი ჰქვია?**

— არა, უბრალოდ დაემთხვა, მაგრამ ახლა თითქმის ყველა ამ ფორმით მომმართავს, მგონი, მალე სახლშიც ასე დამიძახებენ.

— **ჰგავხართ თქვენს პერსონაჟს რაიმეთი?**

— „ბაბულიკა“ ტიპი არ ვარ, მიამიტური სურვილებით, აქტიურობით და მანერებით კი ალბათ ვგავარ. იმის გამო, რომ მსახიობი არ ვარ, სცენას ვერ გავითამაშებ, ვერაფერს მოვიგონებ, როგორიც ვარ, ვარ! ამიტომ არც არავინ მაძალებს, სხვანაირი ვიყო, უბრალოდ ტექსტებს ვითვალისწინებ.

— **სერიალის მიღმა რა ხდება თქვენს ცხოვრებაში, რითი ხართ დაკავებული?**

— დრამატურგი ვარ და ამ წრეში საკმაოდ ცნობილიც გახლავართ. 13 წლიდან ვწერ. 16 წლის ვიყავი, როცა „თეატრალურ სარდაფში“ ჩემი პირველი პიესა დაიდგა. ამ ასაკში საქართველოში კი არა, პოსტსაბჭოთა სივრცეში არ დადგმულა არავის პიესა. მე და ჭოლას (რეჟისორი ლევან წულაძე. ავტ.) ერთად არაერთხელ გვიმუშავია. 4 წლის წინ ყოველ ხუთშაბათს ჩემს საღამოებს ვმართავდი. ეს ჩემი, როგორც მწერლის, ერთი ცხოვრებაა.

იურისტიც გახლავართ, მაგრამ ამჟერად ამ პროფესიას არ ვიყენებ. მესამე ცხოვრებაც მაქვს — უკვე 6 წელია რეკლამის სფეროში ვარ და საოცრებებს ვაკეთებთ! უცნაურ პროექტებს ვიგონებ და კლიპებსაც ვიღებთ.

— **ვიცი, რომ ბევრი თაყვანისმცემელი გოგონა გყავთ. თქვენი ყურადღების მიქცევას როგორ ცდილობენ?**

— „ფეისბუქზე“ უამრავ წერილს ვიღებ. გვერდებია გაკეთებული, სადაც სერიალს განიხილავენ. წერენ, თუ როგორი კარგი და კეთილია სანდრექსა. გოგოებს ვითომ შემთხვევით „მოეწერებათ“ ხოლმე წერილი. როცა ხვდები, რომ მათ შენი როლი ან უბრალოდ გარეგნობა მოსწონთ, ასეთი ურთიერთობა მაინცდამაინც სასურველი არაა. ჩემი გვერდი ღიაა და ნებისმიერს შეუძლია ნახოს, რომ ცოლ-შვილი მყავს, მაგრამ ამას იგნორირებას უკეთებენ.

> **„ნუცა ერთადერთი აღმოჩნდა, ვისაც ჩემი მოსმენა დიდი გულისყურით შეეძლო. წერა ჩემთვის ინტიმური რამაა და უცებ მივხვდი, რომ ეს ინტიმი ვიღაცასთან გავინაწილე“.**

— **ასეთ აქტიურ ქალებზე რა აზრის ხართ, რომლებიც არად დაგიდევენ, რომ ცოლი გყავთ?**

— ქალისთვის არა უშავს... როცა კაცები ვიგებთ, რომ ქალს ქმარი ჰყავს, იქ სრულდება ყველაფერი. ქალების შემთხვევაში კი საქმე უფრო მარტივადაა.

— **ცოლს რა რეაქცია აქვს თქვენს თაყვანისმცემელ გოგონებზე?**

— ნუცა მსგავს სიტუაციებში გამოწრთობილია. მას რაღაცეებს ვეუბნები და მერე ერთად განვიხილავთ. ერთად ვიცინით, როცა გოგოები სოციალური ქსელის მთავარ ფოტოებად ჩემს სურათებს აყენებენ. ნუცას ამაზე პრობლემა არ აქვს, თან ხვდება, რომ ძალიან პატარები, 19-20 წლის ბავშვები არიან.

> **„როცა ვხვდები, რომ ადამიანმა სარკესთან დიდი დრო გაატარა, მიწებებული ფრჩხილები და წამწამები აქვს, ჩემს თვალში ნადგურდება და როგორი ლამაზიც უნდა იყოს, არ ვაღიარებ“.**

— **როგორც ჩანს, გაგიმართლათ, რომ თქვენი ცოლი ეჭვიანი არ არის.**

— როგორ არ არის! ნუცა სინამდვილეში პროფესიონალი ეჭვიანია, უბრალოდ არ გამოხატავს. შეიძლება გვერდით ჩავუარო და, სანდრო, რა ხდებაო, მკითხოს. ამით ვხვდები, რომ რაღაც იგრძნო...

— **როგორ ჩაისახა თქვენი სიყვარული?**

— მე და ნუცამ ერთმანეთი სტუდენტობის პერიოდში გავიცანით. მე იურიდიულზე ვსწავლობდი, ის — სოციოლოგიურზე. ჩემკენ პირველი ნაბიჯი თვითონ გადმოდგა. ქუჩაში უცებ ვიღაცამ ზურგზე ხელი დამარტყა და მომაბრუნა. შევხედე და ნუცა შემრჩა. ნუცა აბაშიძე ვარ, ერთი სემესტრია, გიყურებ, ძალიან მომწონხარ და რა გავაკეთო, მითხარიო. დავაკვირდი და ვუპასუხე, მეც ძალიან მომწონხარ და რა მაგარია, რომ გამომეკიდე, შენი თავი აღმომაჩენინე-მეთქი. მას შემდეგ 8 წელი გავიდა. შეყვარებულობის პერიოდში დიდი ხანი დაშორებულები ვიყავით. მე ჩემი ცხოვრება მქონდა, ნუცას — თავისი. ის პრაღაში წავიდა, რაც შემთხვევით გავიგე და რაღაც „გადამეკეტა“. მის ჩამოსვლას ველოდებოდი. ჩამოვიდა თუ არა, პირველივე დღეს დავურეკე და მას შემდეგ ერთად ვართ. 2007 წელს დავქორწინდით, 3 წლის ელენე გვყავს. ნუცა მსახიობ დოდო აბაშიძის შვილიშვილია. დოდოს სიძე გახლავართ!

— **როგორ მიგიღოთ დიდი მსახიობის ოჯახმა?**

— გადასარევად, რადგან მართლა ძალიან მაგარი ოჯახია.

— **რა მოგეწონათ ნუცაში, რა თვისებებმა მოგხიბლათ?**

— ნუცას კითხვა ძალიან უყვარს, მაგრამ არ იცოდა, მეც თუ ვწერდი, ეს მოგვიანებით გაიგო. შეყვარებულობის პერიოდში ვიჯექი და ნუცას ჩემს პიესებს ვუკითხავდი. ის ერთადერთი აღმოჩნდა, ვისაც ჩემი მოსმენა დიდი გულისყურით შეეძლო. ამის შემდეგ მივხვდი, რომ ის ჩემთვის ერთადერთი ადამიანი იყო. წერა ჩემთვის ძალიან ინტიმური რამაა და უცებ მივხვდი, რომ ეს ინტიმი ვილაცასთან გავინაწილე.

— **ლექსებსაც წერთ?**

— არა. რატომღაც ლექსები არც მე მიყვარს და არც ნუცას. მიუხედავად იმისა, რომ მწერლობას და კითხვას რაღაც რომანტიკული პეწი აქვს, სინამდვილეში მე და ნუცა რომანტიკული ტიპები არ ვართ. ჩვენი ურთიერთობა უფრო ღრმა იყო, ვიდრე ყვავილების ჩუქება. რბილი თოჯინების ჩუქების არსიც არასდროს მესმოდა. ჩემს ნაწერებს პირველად ნუცას ვუკითხავდი და მისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი საჩუქარი იყო.

— **ქალის ღირსებებში პირველ ადგილზე ინტელექტსა და განათლებას აყენებთ?**

— ქალში ინტელექტზე მნიშვნელოვანი ფიქრის უნარია. მის თვალებსა და საუბარში უნდა გრძნობდე, რომ ღამით, როცა დასაძინებლად წვება და თავის თავთან მარტო რჩება, აბსოლუტურად სხვა ადამიანია. სწორედ იმ მეორემ უნდა დამაინტერესოს და მივხვდე, რომ მისთვის რაღაც ფასეულობები მნიშვნელოვანია.

— **კონკრეტულად რა ფასეულობებს გულისხმობთ?**

— ჩემთვის პირველი ფასეულობა გახლავთ ის, რომ ყველა ადამიანი თანასწორია. მეორე კი ის, რომ სხვისი თავისუფლება და სივრცე უნდა აღიარო, რომ სისულელეების გამო არ გაკიცხო. დიდი ხნის განმავლობაში მიჭირდა სხვისი სივრცის აღიარება, მერე კი მივხვდი, რომ ყველაზე დიდი უნარი, რომელიც ადამიანს შეიძლება დაბადებიდან არ ჰქონდეს, მაგრამ მერე გამოიმუშავოს, სხვისი თავისუფლების აღიარებაა, რომ არ განუხებდეს, სხვას როგორ აცვია და რა რელიგიური მრწამსის ან სექსუალური ორიენტაციისაა.



Cyan Magenta Yellow Black

**— როგორ ქალს უწოდებთ მომხიბვლელს?**

— თუ გარეგნობას გულისხმობთ — თვალები და გამოხედვა. ქალი შეიძლება მთელი დღე თვალდახუჭული იყოს, მაგრამ ერთხელ გაახილოს და ისე გამოგხედოს, რომ მთელი ცხოვრება დაგამახსოვრდეს. თუ სულიერ სამყაროს შევეხებით, ქალს რაღაცეების მიღმა კიდევ მეტის დანახვა უნდა შეეძლოს.

**— ხშირ შემთხვევაში ადამიანებს თავიდანვე აქვთ ჩამოყალიბებული, როგორი პიროვნება სურთ გვერდით. ნუცა ისეთია, როგორი გოგონებიც მოგწონდათ?**

— ამაზე ბევრჯერ მიფიქრია და ველარ გავარკვიე. ქერა გოგოები რატომღაც არ მომწონდა და ჩემ გვერდით არც ყოფილან. თვალში უფრო მეტად მუქი ფერის ქალები მხვდებიან. ჩემი მეუღლეც შავგვრემანია. არც ძალიან მაღალი გოგოები მომწონს და, სიმართლე გითხრათ, არც ძალიან მოვლილებს ვანიჭებ უპირატესობას.

**— „ძალიან მოვლილში“ როგორ ქალს გულისხმობთ?**

— ვითომ ძალიან „რაღაცნაირები“ რომ არიან და „ნაშობისკენ“ იხრებიან. ეს გამაღიზიანებელია. როცა ვხვდები, რომ ადამიანმა სარკესთან დიდი დრო გაატარა, მიწებებული ფრჩხილები და წამწამები აქვს, ჩემს თვალში ნადგურდება და როგორი ლამაზიც უნდა იყოს, არ ვაღიარებ. წარმოდგენილი მაქვს, ასეთი ქალი რამდენ დროს ატარებს სალონში მხოლოდ იმის გამო, რომ საღამოს გამოვიდეს და 4 საათი სადღაც კაფეში დაჯდეს. დროს გარეგნობაზე კი არ უნდა ხარჯავდეს, არამედ იმაზე, რაც უფრო ღირებულია ცხოვრებაში, ურთიერთობაში. ნუცა სწორედ ასეთი აღმოჩნდა. მაღალფეხება, ქერა ლამაზმანები ნუცამდეც არ მყოლია.

**— სერიალის გმირი ქალებიდან ყველაზე მეტად ვინ იმსახურებს თქვენს სიმპათიებს?**

— ვერც კატოსნაირ გოგოს ავიტანდი სახლში და ვერც ოფისის თანამშრომლები რომ არიან, ისეთებს. ისინი ზუსტად ისეთები არიან — „ნაშობისკენ“ იხრებიან. ჩემთან ყველაზე ახლოს ნინასნაირი გოგოა.

**— თქვენი ცოლისთვის გარეგნობასთან, ჩაცმულობასთან დაკავშირებით რჩევა ოდესმე მიგიციათ?**

— კი. ხანდახან ძალიან მინდა, ნუცას მოკლე თმა ჰქონდეს და ვეხვეწები, შეიჭრი-მეთქი, მაგრამ ვერ რისკავს. იყო პერიოდი, როცა მის ტანზე რაღაცეები არ მომწონდა, მაგრამ მაშინ ბავშვიც ვიყავი. მეგონა, რომ რაც ეცვა, ძალიან მოღეღილი იყო, იდიოტობებს ვფიქრობდი. ვითომ არ ვუკრძალავდი, მაგრამ თან ვეუბნებოდი, იქნებ შავი, ყელიანი ზედატანი ჩაგეცვა-მეთქი. ახლა ასეთი რაღაცეები აღარ მაწუხებს. ორივე ერთად გავიზარდეთ. ნუცას მაღალქუსლიან ფეხსაცმელებზე შემდგარს ვერასდროს წარმოვიდგენ, რადგან არასდროს ჩაუცვამს. მაკიაჟს საერთოდ არ იკეთებს. ჩემი აზრით, ქალს თვალზე ჩრდილი ძალიან უხდება.

**„თუკი ვინმე ცუდი დედა ან უბრალოდ ცუდი ქალია, ყველაფერს ჩვენს სქესს ვაბრალებ. თუ ქალს 50 წლის ასაკშიც კი თავისი ცხოვრება არ გააჩნია, ესეც მამაკაცის ბრალია“.**

**— თვითონ როგორი ჩაცმული უფრო მოსწონხართ?**

— ბოლო 4 წელია სამსახურების გამო თეთრი პერანგითა და პიჯაკით სიარული მიწევს. მოენატრა, კედებით და ჯინსებით მნახოს, მაგრამ ყოველდღიურ ჩაცმულობას მე თვითონაც ძალიან გადავეჩვიე.

**— რამდენიმე ტატუ გაქვთ გაკეთებული, ეს თუ მოსწონს თქვენს ცოლს?**

— არა. ჰოროსკოპით თევზები ვარ და მთელ სხეულზე 6 სხვადასხვა თევზი მყავს გაბნეული. ალბათ ურჩევნია, ტატუ საერთოდ არ მქონდეს.

**— ნუცამ რომ გაიკეთოს ტატუ, მოგეწონებათ?**

— ამაზე არ მიფიქრია. ტატუს გაკეთება ზაფხულობით მოუნდება ხოლმე და მერე მალევე ავიწყდება. საერთოდ, ტატუ რაღაც კონცეფციაში უნდა ჯდებოდეს და ტყუილად მოგონილი ნახატი არ უნდა იყოს. ვიცი, ჩემი თითოეული თევზი რას ნიშნავს. ჩემი შვილიც ჰოროსკოპით თევზებია და მარჯვენა მაჯაზე რომ თევზი მაქვს, მის დაბადებას აღნიშნავს.

**— როგორი ქმარი და მამა ხართ?**

— ალბათ არ ვარ კარგი ქმარი, ჩემზე კარგებიც არსებობენ. ვიცი, რომ დადგება დრო, როცა ძალიან მაგარი ქმარი ვიქნები. ჩემი შვილი კარგი „თევზები“ რომ იყოს, ზუსტად ვიცი, რაზე უნდა ველაპარაკო და ისიც ვიცი, მომავალში როგორი იქნება. კარადაში ერთად ვიკეტებით და ყურში ვეჩურჩულები, რომ ვითომ ის დახურული სამყაროა და ჩემში მის გარდა ვერავინ შემოდის. ამით ელენეს სულიერ სამყაროს ვაყვარებ, ისე, როგორც თავის დროზე დედაჩემმა შემაყვარა ეს ყველაფერი. მე რომ წერა დავიწყე, მისი დამსახურებაა.

**— რას უსურვებდით მშვენიერ სქესს?**

— ისეთ ეპოქაში ეცხოვროთ, სადაც კაცებისგან ნაკლებად გაისრისებიან. თუკი ვინმე ცუდი დედა ან უბრალოდ ცუდი ქალია, ყველაფერს ჩვენს სქესს ვაბრალებ. თუ ქალს 50 წლის ასაკშიც კი თავისი ცხოვრება არ გააჩნია, ესეც მამაკაცის ბრალია. არარეალიზებული ქალი კი საზოგადოებისთვის ძალიან საშიშია.

✓ *სოფიო ბოჭორიძე*

# კბენია ფეხბურთელი დასაჯეს



■ ლუის სუარესი

ინგლისის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის, „ლივერპულის“ თავდამსხმელი ლუის სუარესი ათმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ლონდონის „ჩელსისთან“ მატჩის დროს მეტოქე გუნდის მცველ ბრანისლავ ივანოვიჩს უკბინა. ამის თაობაზე განცხადება ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა, რომელშიც ასევე ნათქვამია, რომ ასეთი დანაშაულისთვის ნაკლებად მძიმე სასჯელი საკმარისი არ იქნებოდა.

ინციდენტი 21 აპრილს მოხდა პრემიერლიგის მატჩის დროს, რომელიც ფრედ 2:2 დასრულდა. მსაჯებს მატჩის მსვლელობისას სუარესის ნამოქმედარი არ შეუნიშნავთ, ამიტომ მისი საქციელი იმ მომენტში დაუსჯელი დარჩა. მატჩის შემდეგ კი „ლივერპულის“ ურუგვაელმა მოთამაშემ თავისი დანაშაული აღიარა და პირადად ივანოვიჩსა და გულშემატკივრებს მოუბოდიშა.

ინგლისური კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ნათქვამია, რომ კლუბში შოკირებულები არიან სუარესის ათმატჩიანი დისკვალიფიკაციით. გუნდის მმართველი დირექტორის, იან ეირის განცხადებით, კლუბში ამ ფაქტზე იმსჯელებენ და, სავარაუდოდ, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

შეგახსენებთ, რომ ეს სუარესისთვის უკვე მეორე ხანგრძლივი დისკვალიფიკაციაა მას შემდეგ, რაც ინგლისურ გრანდში გამოდის. 2011 წელს ურუგვაელმა ფეხბურთელმა რვამატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო იმის გამო, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველ პატრის ევრას მიაყენა შეურაცხყოფა.

ურუგვაელს მეტოქის კბენისთვის 2010 წელსაც მოუხდა შვიდი მატჩის გამოტოვება, როდესაც ჰოლანდიურ კლუბ „აიაქსის“ ღირსებას იცავდა. მან მატჩის დროს პსვ-ს მოთამაშე ოტმან ბაკალას უკბინა.

მიმდინარე სეზონში ლუის სუარესი საკმაოდ ნაყოფიერად ირჯება თავისი კლუბის შემადგენლობაში. მან 41 მატჩში ითამაშა, 28 გოლი გაიტანა და ამ შედეგით ბომბარდირთა შორის მეორე ადგილზეა (ერთი ბურთით ჩამორჩება „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავდამსხმელ რობინ ვან პერსის).

# არიელ ორტეგა გაიტაცეს და გამარცვეს

არგენტინის ნაკრების ყოფილი მოთამაშე არიელ ორტეგა ძარცვის მსხვერპლი გახდა. ბოროტმოქმედებმა ის ბუენოს აირესში 21 აპრილს გაიტაცეს და ტყვეობაში რამდენიმე საათი გაატარა. ამ ინციდენტის შედეგად ორტეგას ტრავმები და ჭრილობები არ მიუღია.



■ არიელ ორტეგა

39 წლის ფეხბურთელი თავის ავტომობილს მართავდა, როდესაც უცხო მანქანამ გზა გადაუჭრა და აიძულა, გაჩერებულიყო. ამის შემდეგ არიელი მანქანიდან ოთხმა უცნობმა გადმოათრია და გაიტაცა, ხოლო მისი მანქანიდან მათ ფული და ძვირფასი ნივთები წაიღეს.

ორტეგამ საფეხბურთო კარიერა 2012 წელს დაასრულა. თავისი სპორტული კარიერის განმავლობაში გამოდიოდა რამდენიმე არგენტინულ კლუბში, ასევე ესპანურ კლუბ „ვალენსიაში“, იტალიურ კლუბებში „სამპდორიასა“ და „პარმაში“ და თურქულ კლუბ „ფენერბახჩეში“.

არგენტინის ნაკრებში ფეხბურთელმა 1993 წლიდან 2010 წლამდე 87 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 17 გოლი გაიტანა.

✓ *მოამზადა კახა ხატიაშვილმა*



Cyan Magenta Yellow Black



# როგორ დავაღწიოთ თავი პესიმისტის შავ პროგნოზებს

თქვენ ოპტიმისტი ხართ, ხოლო რომელიმე ახლობელთაგანი ცხოვრებას შავ ფერებში ხედავს. როგორ შეეწყოთ ერთმანეთს?

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რომელი ტიპის პესიმისტთან გაქვთ საქმე.

### თანდაყოლილი

ზოგიერთი ადამიანისთვის მუქ ფერებში სინამდვილის აღქმა თანდაყოლილი თვისებაა. ფსიქოლოგები ასეთ პესიმისტებს კონსტიტუციონალებს უწოდებენ, ხოლო ბიოლოგები ცდილობენ გაიგონ, ასეთი პიროვნებები სხვებისგან რით განსხვავდებიან. მაგალითად, მიჩიგანის უნივერსიტეტის (აშშ) მკვლევრებმა გამოავლინეს, რომ პესიმისტების ტვინში განსაკუთრებული ნეიროპეპტიდები მცირე რაოდენობითაა. ამის გამო, ისინი უარყოფით ცნობებზე უფრო ემოციურად რეაგირებენ იმათთან შედარებით, ვისაც ნეიროპეპტიდები მეტი აქვთ. ჯერჯერობით ეს მხოლოდ თეორიაა, თუმცა ფაქტია: თანდაყოლილი პესიმიზმით შეპყრობილი ადამიანების გადაკეთება შეუძლებელია.

რჩევა. ისწავლეთ ასეთი ადამიანის მიღება. მისი პესიმიზმი გაღიზიანებთ? სამაგიეროდ ექნებათ სხვა თვისებები, რომლებიც მოგწონთ და ყურადღების კონცენტრაცია სწორედ მათზე მოახდინეთ.

ისწავლეთ პესიმისტების გამონათქვამების გადათარგმნა თქვენს ენაზე. მაგალითად, რასაც ის „საშინელს“ უწოდებს, თქვენ შეიძლება „არცთუ ძალიან კარგი“ ან „ნორმალური“ მოგეჩვენოთ. ეს დაგეხმარებათ მის სიტყვებზე ნაკლებად ემოციური რეაქცია გქონდეთ და განწყობა არ გაიფუჭოთ. თავი დაანებეთ ადამიანს, როდესაც განსაკუთრებულად მოღუშული და ცუდ ხასიათზეა.

### შეძენილი

ხშირად ასეც ხდება, რომ ახალგაზრდობაში ადამიანი ხალისიანია, ცხოვრება უხარია, ხოლო 40-50 წლისთვის უკვე პირწავარდნილი პესიმისტი ხდება. ამაში დამნაშავეა ცხოვრებისეული გარემოებები, მიზნები, რომლებიც ვერ აისრულა, ადამიანები, რომლებმაც იმედები გაუცრუეს.

ასეთ პიროვნებებს თავიდანვე არცთუ მაღალი თვითშეფასება აქვთ, ხოლო წარუმატებლობა და მარცხი ღირსებას კიდევ მეტად ულახავთ. ადამიანი ნებისმიერ წამოწყებას სკეპტიკურად უდგება, თავს წინასწარ აპროგრამებს იმაზე, რომ არაფერი გამოუვა. სამწუხაროდ, ამას აკეთებს არამხოლოდ თავთან, არამედ გარშემომყოფებთან მიმართებაშიც. მაგალითად, დედები შვილებს ეუბნებიან, რომ ინსტიტუტში მოწყობა, ოჯახის შექმნა, კარგი სამსახურის შოვნა გაუჭირდებათ.

რჩევა. ახლობლების პირით წარმოთქმული ასეთი პროგნოზები გაღიზიანებას იწვევს (მით უფრო, რომ არ მართლდება), მაგრამ გაბრაზება და განაწყენება არ ღირს. მსგავსი სიტყვების უკან იმალება სურვილი წარუმატებლობა-მარცხისგან დაგიცვან, დაგაზღვიონ. ასე ავლენს პესიმისტი თქვენ მიმართ სიყვარულს.

ზოგჯერ კი ნამდვილად ღირს პროგნოზს მოუსმინოთ. ოპტიმისტები სწრაფად ეძლევიან აღმაფრენას, გეგმების აგებას იწყებენ, ბევრს ფანტაზიორობენ. ხოლო პესიმისტების უნარი — უარესი შედეგები დაინახონ, სიტუაციის რეალურად შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

პესიმისტი ახლობლის პოზიტივზე გარდაქმნას ბევრი ცდილობს. არის შემთხვევები, როდესაც ეს შესაძლებელია, თუმცა უფრო ხშირად პესიმიზმი იმდენად ფესვგადგმულია, რომ მეორე ბუნება ხდება. ასეთი ადამიანის გარდაქმნას ამაოდ შეეცდებით, ამაზე დროს ნუ დახარჯავთ.

### საჩვენებელი

არსებობენ დემონსტრაციული პესიმისტები. ისინი ესწრაფვიან თავიანთი უთანხმოება-უსიამოვნებები გარშემომყოფებს გაუზიარონ, გაანდონ და მათგან თანაგრძნობა მიიღონ. ხშირად ამისთვის ირჩევენ ისეთ ადამიანს, რომელიც თავაზიანობისა და სიბრალულის გამო მათ უსმენს, ხოლო გულშემატკივარი არამხოლოდ უარყოფითით იმუხტება, ასევე დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავს.

რჩევა. დიალოგი კონსტრუქციულ კალაპოტში გადაიყვანეთ. პირველივე ჩივილზე უთხარით: „დიახ, თქვენი მესმის. რით შემიძლია დაგეხმაროთ? მზად ვარ“. ხშირ შემთხვევაში ასეთ ადამიანებს არაფრის წამოწყება სურთ. ამიტომ ახალ „მსხვერპლს“ სწრაფად პოულობენ.

თუ ურთიერთობის გაწყვეტა არ შეგიძლიათ, ეცადეთ, წუწუნას პრობლემებს ნაკლებად ჩაუკვირდეთ: „დიახ, სიტუაცია ნამდვილად არასახარბიელო გაქვს. არც კი ვიცი, რა გირჩიო“. შეგიძლიათ თანაგრძნობა ამგვარად გამოხატოთ, მაგრამ ნეგატივში არ ჩაიძიროთ.

მთავარი — დიალოგში არ ჩაებათ, რომელიც არავის არაფერს მისცემს.

## იცეკვეთ და გაჯანსაღდით



დამტკიცებულია, რომ დაავადებების უმეტესობა ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით ვითარდება. ემოციებს ხშირად ვახშობთ, გრძნობებს გარეთ გამოსვლის საშუალებას არ ვაძლევთ. ეს კი შინაგანი ორგანოების მუშაობას არღვევს. ამიტომ ბევრი დაავადებისაგან სრულად რომ გამოჯანმრთელდეთ, აუცილებელია ფსიქოლოგიური დახმარება. ცეკვა — მოძრაობითი თერაპია ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მიმართულებაა. მოძრაობების მეშვეობით ადამიანი სულისა და სხეულის ჰარმონიისკენ გზას პოულობს. როგორ მოქმედებს ცეკვა ზოგიერთი დაავადების დროს?

1. გულის იშემიური დაავადება ხშირად ვლინდება იმ ადამიანებში, ვინც „გადარბენით“ ცხოვრობს, მუდმივად შინაგანად დაძაბულია. ცეკვის დროს ადამიანი სხეულის „მოსმენას“, მთელ სხეულში „სითბოს ტალღის“ გაშვებას, კუნთების მოდუნებას სწავლობს.

2. ჰიპოტონია (დაბალი წნევა) რბილი, მოწყვლადი, დელიკატური, არაკონფლიქტური ადამიანების დაავადებად ითვლება. აქტიური, ჩქარ ტემპში ცეკვა მათ კარგად ეხმარება.

3. ზოგიერთ ადამიანს ემოციების გამოხატვის სხვა საშუალებები მიესადაგება. მაგალითად, ჰიპერტონიის დროს რეკომენდებულია ყვირილი, ხმამაღლა მღერა, ბალიშებზე მუშტების დაშენა.

4. ფსიქოლოგთა აზრით, ასთმა ხშირად იმიტომ აღმოცენდება, რომ ბავშვს ბავშვობაში ყვირილი აუკრძალეს. ასთმიანებს შესანიშნავად ეხმარება მღერა და სიცილის თერაპია (დიაფრაგმას ამაგრებს). მთავარია, ემოციები შიგნით არ შეაკავოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

## სპორტი ბავშვს გონებას უვითარებს

გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ ბავშვები რაც მეტად დაკავდებიან სპორტით, მით უფრო გონიერები და ბედნიერები გახდებიან. როგორც გაირკვა, ხშირი ფიზიკური დატვირთვა არამხოლოდ აძლიერებს სისხლის დინებას თავისკენ, არამედ ტვინის უჯრედებში ზრდის



ჰორმონის დონესაც ამაღლებს. გარდა ამისა, ფიზიკური სავარჯიშოები დადებით გავლენას ახდენს ტვინის ქიმიურ ნივთიერებაზე — ნეიროტრანსმიტებზე, რომლებიც განწყობაზე პასუხისმგებლები არიან. ამიტომ საჭიროა ბავშვობიდან ვარჯიშის დაწყება. სპორტი არამხოლოდ სიმსუქნის განვითარებას ებრძვის, ასევე სწავლაშიც ეხმარება.



Cyan Magenta Yellow Black

# როგორ დავამარცხოთ საგაზაფხულო მოთენთილობა

გთავაზობთ რამდენიმე პრაქტიკულ რჩევას, რომლებიც გაზაფხულის დაღლის დაძლევაში დაგეხმარებათ.

### დილით სიმხნევით ვიმუხტებით

მაღვიძარას ზარი უადგილოა. ღილაკს თითი დააჭირეთ და ამაში თქვენი ყველა უკმაყოფილება ჩადეთ — ამგვარად ნეგატივისგან გათავისუფლდებით. რამდენჯერმე გაიზმორეთ, დაამთქნარეთ, ღრმად ჩაისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. სისხლი სასიამოვნოდ აჩქეფდება, მაგრამ ადგომა არ იჩქაროთ: ერთი-ორი წუთი მუშტი შეკარით, ფეხის თითები ენერგიულად აამოძრავეთ, ბარძაყის კუნთები დაჭიმეთ. ახლა შეგიძლიათ წამოდგეთ.



უმჯობესია, მაშინვე სამზარეულოს მიაშუროთ და პატარა ყლუპობით 1 ჭიქა წყალი დალიოთ — ნაწლავებს „დაქოქავს“. ვარჯიში დილიდან? არა, მაგრამ სამი-ოთხი ელემენტარული სავარჯიშო მხნეობისთვის მისწრებაა.

გამართულად დადექით, ფეხები მხრების სიგანეზე გაშალეთ. ზეაწეული ხელებით ფეხის წვერებზე აიზიდეთ. პოზა იგივე. ხელები იდაყვებში მოხარეთ, თითები მხრებზე დაიდეთ. მოხრილი ხელებით წინ და უკან გადაიზნიქეთ. რამდენჯერმე ჩაიცუცქეთ. ახლა სააბაზანოს მიაშურეთ, კარგია კონტრასტული შხაპი.

საუზმე ფაფით ან მიუსლით დაიწყეთ. ამის შემდეგ ყავა და ვაშლი ან ბანანი მიირთვით. ფაფის შემდეგ შეგიძლიათ ბუტერბროდზე ან ომლეტსა და ხაჭოზე გადახვიდეთ.

### როგორ გავხადოთ დღე მსუბუქი

დილით სერიოზულ საქმეს ხელს არ კიდებენ. უმჯობესია, სამუშაო დღე ორი-სამი „მეორეხარისხოვანი“ საკითხით დაიწყოთ. ეს სამუშაო განწყობის შექნას, გულისყურის მოკრებას ეხმარება. შეგიძლიათ ფინჯანი მწვანე ჩაი დალიოთ, შოკოლადის პატარა ნატეხი მიატანოთ და წინ! სამუშაო დღე დაგეგმეთ და ეცადეთ, დაიცვათ.

გაზაფხულის დაღლის დაძლევას ეხმარება ვიტამინური სასმელები.

აფთიაქში შეიძინეთ ასკილისა და ცირცელის გამხმარი კენკრა. საღამოს ერთ ლიტრიან თერმოსში 1 სუფრის კოვზი ნარევი ჩაუშვით, მდუღარე დაასხით და მთელი ღამე დადგით. ნახევარი — დილით და ნახევარი საღამოს დალიეთ. მოამზადეთ შტოშისა და წითელი ცირცელის მორსი. მათში ბევრიაC ვიტამინი, რომელიც დაღლას შესანიშნავად უმკლავდება.

წესად გაიხადეთ, ერთსა და იმავე დროს ჭამოთ. ეს არამხოლოდ გაზაფხულზე გასტრიტის ხშირ გამწვავებას აგაცილებთ თავიდან, ასევე ორგანიზმს ზუსტ რიტმზეააწყობს, დაღლასთან საბრძოლველად მობილიზებას გაუკეთებს.

### სასიამოვნო საღამო

აუზი და სპორტდარბაზი თქვენთვის არ არის? მაშინ სამუშაოს შემდეგ ორი გაჩერება ფეხით გაიარეთ.

ეცადეთ, აუცილებლად კარგად გამოიძინოთ. სწრაფად დაძინებაში თბილი აბაზანა დაგეხმარებათ. ასევე ჭიქა თბილი რძე ნატურალური თაფლით ეფექტური საძილე საშუალებაა.

# ნარგიზი — სიყვარულისა და ჯანმრთელობის სიმბოლო



ნარგიზი (ნარცისი) სხვადასხვა ხალხსა და სხვადასხვა ეპოქაში ყოველთვის სიყვარულით სარგებლობდა. ძველ რომში ყვითელი ნარგიზით ხელში გამარჯვებულ მეომრებს ხვდებოდნენ. ჩინეთში ნარგიზი ტრადიციული საახალწლო მცენარეა, ხოლო ინგლისში პოპულარობით ვარდსაც კი გაუსწრო.

გერმანიაში რენესანსის ეპოქაში ასეთი რომანტიკული ტრადიცია არსებობდა: ქორწილის შემდეგ ახალგაზრდა ცოლს ქმრის სახლში ქოთნით აყვავებული ნარგიზი მიჰქონდა. ქალი ისე უვლიდა მას, რომ ყვავილობა ხანგრძლივი და უხვი ყოფილიყო. ეს დიდი სიყვარულისა და ოჯახური კავშირის სიმტკიცის საწინდრად ითვლებოდა.

მას ჯანმრთელობისა და ვნების ყვავილსაც უწოდებენ. ხალხური მედიცინა უძველესი დროიდან იყენებდა ამ შესანიშნავი ყვავილის სამკურნალო თვისებებს. აღმოსავლურ მედიცინაში ნარგიზის ფოთლები გამოიყენებოდა თავის ტკივილის, ჰემოროისა და მუხლების სახსრების ტკივილის დროს. ფოთლები ჭრილობის მოშუშების კარგ საშუალებად ითვლებოდა. სადღეისოდ მცენარის ბოლქვი და ფოთლები (ალკალოიდ ლიკოპენს შეიცავენ) ასევე გამოიყენება ხალხურ მედიცინაში, როგორც ამოსახველებელი საშუალება ბრონქებისა და ფილტვების ანთების დროს. ნარგიზი ასევე კარგია კანის ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ.

ნარგიზის ნაყენი კანს ათეთრებს, პიგმენტურ ლაქებსა და ფერიმჭამელებს აქრობს.

2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ნარგიზის ბოლქვს 1 სუფრის კოვზი 9%-იანი ძმარი დაასხით, 7 დღე დადგით. ნაყენში დასველებული ბამბის ტამპონი სახეზე 5-10 წუთი დაიდეთ, შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ბოლოს დამატენიანებელი კრემი წაისვით. ეფექტს 10-15 დღის შემდეგ შეამჩნევთ.

# როგორ გამოვიცნოთ ქსოვილის მასალა



იმის განსაზღვრა, რომელი ბოჭკოსგან არის დამზადებული ქსოვილი, ძალიან მარტივია. საჭიროა მხოლოდ ძაფი დაწვათ, ხოლო დანარჩენს წვის დრო, სუნი და ალის ფერი გიკარნახებთ.

სუფთა შალის ბოჭკო ნელა იწვის და ბოლომდე არ იწვება, არამედ ინტენსიური სუნის მქონე ბურთად იხვევა.

ხელოვნური შალის ბოჭკოს ალი ცისფერია. ასეთი ბოჭკო სწრაფად იწვის, თითქმის ნაცრისა და ფერფლის გარეშე, ალმოდებული ქაღალდის სუნი აქვს.

ბამბის ქსოვილის ბოჭკო მალე იწვის, მაგრამ მისი ალი ნათელია. ძაფისგან მსუბუქი ნაცარი რჩება, სუნი არ აქვს.

სელი (ტილო) ისე იწვის, როგორც ბამბა, მაგრამ ნაცარი ინტენსიური რუხი ფერისაა.

აბრეშუმი ფაქტობრივად არ იწვის: ძაფზე მაშინვე შავი კვანძი წარმოიქმნება და ალი ქრება.

ხელოვნური აბრეშუმის ნატურალურისგან გარჩევა ადვილია: იწვის ძლიერ სწრაფად, სუნი არ აქვს. წვის დროს ხელოვნური აბრეშუმის ძაფს ტკაცატკუცი გააქვს.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

## წლის ყველაზე ლამაზი ბულდოგი



აიოვას შტატში, ქალაქ დე მონეში, დრეიკის უნივერსიტეტის ბულდოგების მოყვარულთა კლუბში, ბულდოგების 34-ე სილამაზის კონკურსი გაიმართა. გამარჯვებული გახდა ძაღლი, სახელად ჰეკლბერი. პატრონმა ის კინოგმირის, ფორესტ გამპის კოსტიუმში გამოაწყო.

გამარჯვებული ძაღლი ტახტზე დასვეს და ნამცხვრით გაუმასპინძლდნენ.

## ცოლ-ქმარი ერთნაირად იცვამენ



ნენსი და დონალდ ფეზერსტოუნები უკვე 35 წელია ერთნაირ სამოსს ატარებენ. ნენსის 600-ზე მეტი პერანგი და კოსტიუმი აქვს შეკერილი. წყვილს ამით ხალხისთვის იმის ჩვენება უნდა, თუ რამდენად უყვართ და ახლოს არიან ერთმანეთთან.



ნენსი და დონალდი 1976 წელს დაქორწინდნენ. შეუღლებიდან 2 წლის შემდეგ ნენსიმ მეუღლეს იმის მსგავსი პერანგი შეუკერა, რაც თავად ჰქონდა და... წყვილმა ამ ტრადიციის გაგრძელება გადაწყვიტა, თან ისე, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთმანეთისგან შორს არიან, წინასწარ თანხმდებიან, რას ჩაიცვამენ.

## კურტ კობეინის გატეხილი გიტარა 150 ათას დოლარად იყიდება



კურტ კობეინის გატეხილი გიტარა ინტერნეტ-აუქციონზე 150 ათას დოლარად იყიდება. აუქციონში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

ინსტრუმენტს კომპლექტში მოჰყვება საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ გიტარა 2012 წელს გაიყიდა „კრისტის“ აუქციონზე. ეს საკრავი მაშინ 40 ათას დოლარად იყო შეფასებული.

ცნობილი ფაქტია, რომ თავის დროზე „ნირვანას“ ბასისტმა, კრის ნოვოსელიჩმა, კლიპის გადაღებამდე რამდენიმე დღით ადრე სპეციალურად შეიძინა იაფფასიანი გიტარა, რადგან იცოდა, რომ სიუჟეტის თანახმად, ინსტრუმენტი გატყდებოდა.

## 14 წლის გოგო ბრიტანეთში ყველაზე ძლიერია



14 წლის შაჰარ ჰედი ბრიტანეთის ყველაზე ძლიერ მოსწავლედ აღიარეს. უკვე 2 წელია, რაც გოგონა პაუერლიფტინგითაა (სიმძიმეების აწევა) დაკავებული. შაჰარი რეკორდებს ერთიმეორის მიყოლებით ამყარებს და თავის წონით კატეგორიაში უკვე ევროპის ჩემპიონიცაა.

თავდაპირველად გოგონამ სპორტულ წრეზე სიარული ჯანმრთელობის გასამყარებლად გადაწყვიტა, რადგან ძალიან სუსტი იყო — დღენაკლული დაიბადა (ვადაზე 3 თვით ადრე), მაგრამ გადარჩა. ახლა კი შაჰარ ჰედი თავდაუზოგავად ვარჯიშობს და 2016 წლის ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება.

## უცნაური კოლექცია — 2053 ჯამბაზი

გერმანიაში მცხოვრები 61 წლის ორტრუდ კასტაუნი ჯამბაზი თოჯინების ყველაზე დიდ კოლექციას ფლობს მსოფლიოში. ის ცოტა ხნის წინ გინესის წიგნის რეკორდსმენიც კი გახდა.

1995 წელს, როდესაც ორტრუდი სამედიცინო დაწესებულებაში ალკოჰოლიზმის დაძლევას ცდილობდა, ფსიქოლოგებმა ურჩიეს, კოლექციონერობისთვის მიეყო ხელი. ქალმა მაშინვე გადაწყვიტა, ჯამბაზების შეგროვება დაეწყო და ამჟამად მისი კოლექცია 2053 თოჯინას ითვლის. კასტაუნმა კოლექციის ნახვის მსურველებისთვის სახლის მახლობლად მუზეუმიც კი გახსნა.

## ეს იცოდით?

❖ „ლივერპულის“ დანიელ ფეხბურთელ დანიელ აგერს ტანზე მთელი დანიური მითოლოგია აქვს დახატული.

❖ ჰიტლერი ევა ბრაუნზე 23 წლით უფროსი იყო.

❖ პიერ კარდენი თავის თავს დ,არტანიანს ეძახდა.

❖ ადამიანები, რომლებსაც ცოტა ხანი სძინავთ, მეორე დღეს უფრო მეტს ჭამენ, ვიდრე ისინი, რომლებსაც ნორმალური ძილის რეჟიმი აქვთ.

❖ მუსიკის მოსმენისას უფრო მეტი კალორია იწვება, ვიდრე ტელევიზორის ყურებისას.



Cyan Magenta Yellow Black



## 97 წლის ქალს კბილები ამოსდის

97 წლის იტალიელი ქალის ახალმა კბილებმა მსოფლიო გააოცა. ელენა ნოველას 96 წლის ასაკში არც ერთი კბილი აღარ ჰქონდა და ოჯახის წევრები ფაფებს აჭმევდნენ. ახლა კი ნებისმიერი სახის საკვების მირთმევა შეუძლია, რადგან უკვე 5 ახალი კბილი აქვს.

როგორც ელენა აცხადებს, პირველი კბილი ერთ მშვენიერ დილას აღმოაჩინა. მეორე დღეს მას უკვე მეორე კბილიც ჰქონდა და ასე მიყოლებით უკვე 5 საღი კბილი აქვს. უცნაურია, მაგრამ მოხუცი ამბობს, რომ კბილები დისკომფორტს უქმნის.

## კაცმა საკუთარი თითი დააგემოვნა



დეივ ფლეიფენზი 30 წლის ასაკში მოტოციკლით ავარიაში მოყვა. დროთა განმავლობაში ხელმა გაშავება დაიწყო და ექიმები იძულებულნი გახდნენ, ხელის ნაწილი და თითი მოეჭრათ. იმის ნაცვლად, რომ თითი გადაეგდოთ, დეივმა მისი სახლში წაღება მოითხოვა.

დეივი ადრე კანიბალიზმის თემით იყო დაინტერესებული და ყოველთვის სურდა, ადამიანის ხორცისთვის გემო გაესინჯა. თანაც თითი მისი სხეულის ნაწილი იყო და მისი დაკარგვა არ უნდოდა. მან საკუთარ თითს ხორცი მოაჭამა, ძვლები კი შეინახა და მათ მეგობრებს ხშირად აჩვენებს. თან ყველასთან აღნიშნავს, რომ კანიბალი არაა, ეს ცნობისმოყვარეობის გამო გააკეთა და აღარასოდეს გაიმეორებს.

## ბრიტანეთის ყველაზე გრძელფეხება ქალი




20 წლის ჯესიკა პარდო ბრიტანეთის ყველაზე მაღალი ქალბატონია. ამჟამად მისი სიმაღლე 2 მეტრი და 6 სანტიმეტრია. ჯესიკა 53 სანტიმეტრი სიმაღლისა დაიბადა, 1 წლის და 8 თვის ასაკიდან კი საოცარი სისწრაფით იზრდებოდა. გოგონა ოჯახში ერთადერთი მაღალი წევრი არ არის — მისი მშობლები მასზე ოდნავ დაბლები არიან, ძმა კი მისი სიმაღლისაა.

როგორც ჯესიკა აცხადებს, სიმაღლე დისკომფორტს არ უქმნის, პირიქით, მოსწონს, რომ განსხვავებულია. მისი მთავარი პრობლემა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეძენაა, რადგან ჩვეულებრივ მაღაზიებში ვერ შოულობს, ამიტომ ინტერნეტით იწერს.

## ძაღლს გმირობისთვის დააჯილდოვებენ



7 წლის ტერიერმა, სახელად ბარბიმ, პატრონი სიკვდილს გადაარჩინა. მის პატრონს, ბრისტოლში მცხოვრებ 72 წლის გლორია ფილდს, წიგნის კითხვისას ჩაეძინა, ლამპა კი გადავარდა და ზეწარს ცეცხლი მოეკიდა. ბარბი პატრონს მივარდა და სახის ლოკვა დაუწყო. ღრმად ჩაძინებული მოხუცის გაღვიძება ძალიან გაუჭირდა, ამიტომ წყლით სავსე ჭიქა გადააყირავა. ამ დროს გლორია გამოფხიზლდა და შესაბამის სამსახურს გამოუძახა.

სამაშველო სამსახურმა ცეცხლის ლოკალიზება უცებ მოახერხა. ისინი უახლოეს მომავალში ბარბის დაჯილდოებასაც გეგმავენ.

## ეს იცოდით?

❖ განათლებაზე ყველაზე ცოტა ფული დედამიწის ერთ-ერთ ულარიბეს ქვეყანა სომალიში იხარჯება — ბიუჯეტის 0,4%. 1990 წლის მონაცემებით, სომალის მოსახლეობის (9,5 მილიონი) ზრდასრული ნაწილის მხოლოდ 24%-ს აქვს განათლება.

❖ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი ჯომოლუნგმა (ევერესტი) პირველად ისტორიაში 1953 წლის 29 მაისს ახალზელანდიელმა მთამსვლელმა სერ ედმუნდ ჰილარიმ და ნეპალელმა ალპინისტმა ტენცინგ ნორგეიმ დაიპყრეს.

❖ ჩინეთის პროვინცია იანძში არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ თეფშზე შემორჩენილი იყო გაქვავებული ნახევარი მეტრი სიგრძის სპაგეტი, რომლის ასაკი 4000 წელს ითვლის.

❖ ძველი ბერძნები სხეულს ზეითუნის ზეთით იბანდნენ, რაც ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა კანის კიბოს წინააღმდეგ.

❖ პირველ ნამდვილ შოკოლადს მხოლოდ და მხოლოდ ინდიელთა ტომი (ოლმეკები) აკეთებდა ჯერ კიდევ 3000 წლის წინ. როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, იმ პერიოდისათვის იგი საკმაოდ მწარე და უგემური იყო.

❖ ყველაზე ეკონომიურად და ეფექტურად ფულს შოტლანდიელი მილიონრები განაგებენ. ყველაზე მფლანგველ მილიონრებად კი მსოფლიოში რუსები მიიჩნევიან.

❖ 2010 წელს ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობამ ქველმოქმედებისთვის 290,89 მილიარდი დოლარი გაიღო.

❖ ერთმა ამერიკელმა საკუთარ ძაღლს ანდერძით 68 მილიონი დოლარი დაუტოვა, ცოლს კი — ერთი ცენტი. სასამართლომ ანდერძი კანონიერად მიიჩნია, რადგან ყველა საბუთი წერიგში იყო. ქალმა მაინც გამონახა გზა და მემკვიდრეობის მისაღებად ცოლად გაჰყვა ძაღლს. როცა ეს უკანასკნელი მოკვდა, ქონების პატრონი მისი ქვრივი გახდა.

❖ ჩარლზ დიკენსის მამა ვალების გადაუხდელობის გამო ციხეში მოხვდა. მწერალს იმდენად რცხვენოდა ამ ფაქტის და ისე გულმოდგინედ მალავდა, რომ ცოლმა და შვილებმაც კი არაფერი იცოდნენ.



Cyan Magenta Yellow Black

ტესტი ქალებისათვის

# რომელი ავეჯს ჰგავხართ?



1. გიყვართ წყლის ჩხრიალის მოსმენა?

ა) დიახ — 0

ბ) არა — 2

გ) არ ვიცი — 6

დ) რასაკვირველია, ეს ნერვებს ამშვიდებს — 4

2. თქვენი საყვარელი ფერია...

ა) წითელი — 2

ბ) თეთრი — 4

გ) სულ ერთია, დალტონიკი ვარ — 6

დ) ფერს ყურადღებას არ ვაქცევ — 0



3. კოხტა ფეხები გაქვთ?

ა) არა — 6

ბ) ვთვლი, რომ ეს საკმაოდ ინტიმური შეკითხვაა — 4

გ) ჩემი ფეხებია, მინდა, ლამაზი იქნება, მინდა — დაგრეხილი — 2

დ) საკმაოდ — 0

4. კუთხეში დგომა გიყვართ?

ა) არა — 6

ბ) დიახ — 2

გ) ეს ჩემი საყვარელი ადგილია, განსაკუთრებით სამზარეულოში — 0

დ) არ მაქვს კუთხეები — 4

5. რომანტიკოსი ბრძანდებით?

ა) არა, მიწაზე მყარად ვდგავარ — 6

ბ) ეს ჩემი ამპლუაა — 4

გ) რომანტიკოსი არა, მსუნაგი ვარ — 0

დ) როდის როგორ — 2

6. მოწესრიგებული ხართ?

ა) არა — 2

ბ) დიახ, ყველაფერი თავის ადგილზე მაქვს — 6

გ) როდის როგორ — 0

დ) ძალიან, შეიძლება ითქვას, პედანტი ვარ — 4

5. სწრაფად აზროვნებთ?

ა) ვინ, მე? — 0

ბ) დიახ, მე ყველაზე ჭკვიანი ვარ — 6

გ) პერიოდულად კი — 2

დ) არა — 4

**შედეგები:**

**0-8 ქულა — სამზარეულოს მაგიდა**

ყველა თქვენკენ ისწრაფვის, თქვენ მყარი და საიმედო ხართ და ლუკმას ნებისმიერს გაუყოფთ.

**9-16 ქულა — ფეხსაცმლის კარადა**

მოდური და თავდაჯერებული ხართ, თანაც მუდამ სავსე. თქვენთან შეხვედრა ყველას ეჩქარება.

**17-23 ქულა — ორადგილიანი საწოლი**

ენერგიული და მომხიბვლელი ხართ, ყველას თქვენთან ჩახუტება სურს.

**24-30 ქულა — ტანსაცმლის კარადა**

თქვენ გვერდით ნებისმიერი თავს კომფორტულად და მშვიდად გრძნობს. რაც უფრო დიდი და სავსე ხართ, მით უფრო სასიამოვნოა თქვენთან ურთიერთობა.

# რას გაგვიმხელს თქვენი ფეხსაცმელი?



იმის მიხედვით, როგორი ფეხსაცმელი აცვია ქალს, რამხელა ქუსლებზე დგას, ბევრი რამის გაგება შეგიძლიათ პატრონის შესახებ.

**1. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი**

მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ირჩევენ ქალები, რომლებსაც ქვეცნობიერად სხვებზე მაღლა სურთ დგომა. ხშირად ეს დაბალ თვითშეფასებაზეც მიუთითებს, ანუ ქალი ასეთი ხერხით ცდილობს თავის დამკვიდრებას.

მეორე მხრივ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი უყვართ ქალებს, რომლებსაც სურთ, თავიანთ სილამაზეს ხაზი გაუსვან და გარშემომყოფებს გამოწვევა გაუკეთონ. მათ მიღებული წესების დარღვევა უყვართ და ვერ იტანენ სტერეოტიპებს.

**2. წვეტიანი ქუსლები**

როგორც წესი, წვეტიანი ქუსლები თავდაჯერებული ქალების საყვარელი ატრიბუტია. ისინი დარწმუნებული არიან თავიანთ მომხიბვლელობაში, ადვილად აბამენ ნაცნობობას და უცნობებთან ურთიერთობა არ უჭირთ.

**3. პლატფორმები**

ასეთებს ირჩევენ თადაჯერებული, ლამაზი და წარმატებული ქალები. მათ შეუძლიათ ბოლომდე გაიტანონ თავიანთი აზრი, თუნდაც ის მცდარი იყოს. შეიძლება მოგვიანებით მიხვდნენ, რომ ცდებოდნენ, მაგრამ ბოდიშს არასოდეს იხდიან. პლატფორმების მოყვარული ქალები ხშირად არაპროგნოზირებადებიც არიან.

**4. დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი**

დაბალ ქუსლს უპირატესობას ძლიერი ქალები ანიჭებენ. მათ ყოველთვის იციან, რა სურთ, მაგრამ სწრაფად იღლებიან და დეპრესიისკენაც არიან მიდრეკილი.

**5. სპორტული ფეხსაცმელი**

სპორტული ფეხსაცმლის მოყვარულები ადვილად ამყარებენ კონტაქტს პრაქტიკულად ნებისმიერ ადამიანთან. ისინი საკმაოდ კონსერვატულები არიან და არ უყვართ ცვლილებები.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

# სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

№ 1

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | 7 | | | | 6 | |
| | | 8 | | | | | 3 | |
| | 1 | | | | 9 | 7 | | 4 |
| 2 | 3 | | 4 | | 7 | | | |
| | | 6 | | 2 | | | 1 | |
| 9 | | | | 1 | | 8 | | |
| | 7 | | | | 1 | | | 9 |
| | | 5 | 2 | | | | | 3 |
| | | 4 | | | 6 | | 5 | |

№ 2

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 9 | | 2 | | | | | |
| 4 | | | | 1 | | | | 3 |
| | | 1 | | | 6 | 8 | | |
| | 3 | | 7 | | | | 4 | 1 |
| 2 | | 7 | | 5 | | | | 8 |
| 6 | | | | | 9 | 7 | | |
| 7 | | 5 | | | 1 | | | 9 |
| | | | 4 | | | 2 | 5 | |
| | 8 | | | 3 | | | | 6 |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

ტესტი ქალებისათვის

# ვინ ხართ მამაკაცისთვის?

**1. შეგიძლიათ თქვათ, რომ ბობოქარი ახალგაზრდობა გქონდათ?**

ა) დიახ — 5

ბ) არა — 10

გ) ჩემი ბობოქარი ახალგაზრდობა სრული სვლით წინ მიიწევს — 0

**2. თქვენზე გაცილებით ახალგაზრდა ადამიანთან პაემანზე წახვიდოდით?**

ა) ასაკი მთავარი არაა, ყველაფერი ადამიანზეა დამოკიდებული — 5

ბ) ალბათ არა — 10

**3. როგორ ფიქრობთ, შეიძლება ახალგაცნობილ მამაკაცს, რომელმაც რესტორანში დაგპატიჟათ, ინტიმურ სიახლოვეზე ჰქონდეს პრეტენზია?**

ა) გააჩნია, როგორ რესტორანში დამპატიჟა — 0

ბ) არავითარ შემთხვევაში — 5

გ) არ მივცემ უფლებას, ჩემი დანახარჯი გადაიხადოს — 10

დ) უცნობ მამაკაცთან ერთად რესტორანში არასოდეს წავალ — 15

**4. ისეც ხდება, რომ მამაკაცები თქვენთან ნაცნობობის გაბმას ქუჩაში ცდილობენ?**

ა) ასეც ხდება ხოლმე — 0

ბ) დიახ, მაგრამ მე შეუვალი ვარ — 5

გ) არა — 10

**5. ერთი კვირის განმავლობაში ორ პარტნიორზე მეტი გყოლიათ?**

ა) დიახ — 0

ბ) არა — 15

**6. თანამედროვე მამაკაცებს ეგოისტებად მიიჩნევთ?**

ა) ალბათ უფრო დიახ, ვიდრე არა — 5

ბ) არა, მამაკაცი ქალმა უნდა მართოს — 15

**7. გიჭირთ თქვენი დონისა და შესაფერისი ინტელექტის მამაკაცის გაცნობა?**

ა) დიახ — 15

ბ) არა — 0

**8. პარტნიორმა რომ შემოგთავაზოთ ან მანქანის ყიდვა, ან შვებულების გატარება მალდივებზე, რომელს აირჩევდით?**

ა) მანქანას, ის უფრო საჭიროა — 10

ბ) მალდივებს, ეს უფრო საინტერესოა — 5

**9. ყოფილა შემთხვევა, იმდენი ალკოჰოლი მიგიღიათ, რომ მეორე დღეს ვერც კი იხსენებდით, რომელ მამაკაცთან იყავით პაემანზე?**

ა) დიახ — 5

ბ) თუ ყოფილა, ალბათ წლებით წინ — 10

გ) არა, ეს შეუძლებელია — 15

**10. ამ ჩამონათვალიდან რომელი გაიძულებთ, ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყოთ მამაკაცი?**

ა) იმპოტენცია — 0

ბ) სიძუნწე — 10

გ) ბავშვების მიმართ ზიზღი — 20

დ) თუ ფულის შოვნას ვერ ახერხებს — 30

ე) მისი მუსიკალური გემოვნება — 40

**შედეგები:**

**40 ქულა და ნაკლები** — კაცებისთვის თქვენ საშიში ქალი ხართ, რადგან დამოუკიდებელ და ღირსეულ ქალად გთვლიან. თქვენი მამაკაცი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ თქვენი ღირსი არაა, რომ მისი სულიერი დონე თქვენსაზე დაბალია, მაგრამ ხმამაღლა ამას არასოდეს აღიარებს. ამის გამო საზოგადოებაში ვაჟკაცის ნიღაბს ირგებს, რომელმაც თქვენნაირი ქალის მოხიბვლა შეძლო. იმისათვის, რომ თქვენი გული მოეგო, საკმაო ძალისხმევა დასჭირდა — რესტორანში დაგპატიჟათ, მანქანით გაგასეირნათ, სახლში მიგაცილათ.... ერთი მხრივ, ეს შესაშურია, რადგან შეგიძლიათ მცირედით ტკბობა, მაგრამ თუ მამაკაცს თქვენი გულისთვის საგმირო საქმეების ჩადენას არ მოსთხოვთ, თქვენი რომანი რომანტიკულ ისტორიაში არასოდეს გადაიზრდება.



**45-65 ქულა** — თქვენი დახასიათებისთვის კაცებს ერთი უხეში სიტყვა აქვთ — „ქალი-ტარანი“. ისინი თვლიან, რომ თუ ქალი უფლებას აძლევთ, რესტორანში, ბარში დაპატიჟონ, მისი დანახარჯი გადაიხადონ, ე.ი. არც სასიყვარულო ურთიერთობებზე ეტყვით უარს. თქვენ კი დარწმუნებული ხართ, რომ თქვენ გვერდით ყოფნის ბედნიერებისათვის კაცმა ყველანაირი ვიპ-ფუფუნება უნდა შეგიქმნათ და ამასთან ინტიმური ურთიერთობა არ მოგთხოვოთ. სწორედ ასეთად წარმოგიდგენიათ იდეალური პირველი პაემანი. სამწუხაროდ, ცხოვრება გაცილებით მკაცრია, ვიდრე თქვენ ფიქრობთ. დღეს ყველაზე მდიდრები და ღირსეულებიც კი ფულს ითვლიან. ასეთი საქციელით რისკავთ, საზღაური მოგთხოვონ, თანაც ისე, რომ უარის თქმა გაგიჭირდებათ.

**70-85 ქულა** — კაცები თქვენ კომკავშირელს გიწოდებენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თქვენი კეთილგანწყობის მოპოვება ძნელია. საკუთარ, გამოგონილ იდეალურ სამყაროში ცხოვრობთ. გეშინიათ ურთიერთობების გაბმა და თაყვანისმცემლის ნებისმიერ ჟესტზე ისე რეაგირებთ, როგორც ხარი წითელზე. როგორც ჩანს, მამაკაცების მიმართ ან ზედმეტი მოთხოვნები გაქვთ, ან მამაკაცთან ნაცნობობის გასაბმელად შესაბამის ადგილს სწორად ვერ არჩევთ.

თქვენთვის ყველაზე ახლობელი ინტერნეტ-მეგობარია, რომელსაც თქვენი მსგავსი გემოვნება აქვს — მოგწონთ ერთნაირი მუსიკა, სიმღერები, ფილმები, წიგნები. როცა ადამიანს ვერ ხედავთ და მასთან რეალური ყოფა არ გაქვთ გასაყოფი, გაცილებით ადვილი წარმოსადგენია, რომ ის იდეალურია. მაგრამ ამას რეალურ ურთიერთობებთან საერთო არაფერი აქვს. თუ ასე გააგრძელებთ, შესაძლოა მარტოც დარჩეთ.

**90-105 ქულა** — მამაკაცები ალქაჯს გეძახიან. თქვენთვის იდეალურია პაემანი, როცა თაყვანისმცემელი თავის შეძლებულობის დემონსტრირებას ახდენს, გავსებთ კომპლიმენტებით, გულს და ხელს გთავაზობთ, თქვენ კი პირობას აძლევთ, რომ დაფიქრდებით. თავად კი ფიქრს იწყებთ, ეს ადამიანი სხვა თაყანისმცემლებზე უკეთესია თუ უარესი. რომანტიკული ნატურის ნამდვილად არ ხართ, უფრო გამორჩენაზე ფიქრობთ და იმაზე, რამდენად შეძლებს მამაკაცი თქვენთვის კომფორტის შექმნას. ამასთან არ გსურთ დაპირდეთ სიყვარულს, ზრუნვას, ერთგულებას. კაცები ამას მშვენივრად გრძნობენ.

თუ ქმარს იპოვით, ეს იქნება მამაკაცი, რომელიც სელექციის საშუალებით შეარჩიეთ — ოლიგარქი, ცნობილი მსახიობი, ჩინოსანი... მოკლედ კაცი, რომელსაც გაცილებით მეტი პრივილეგია აქვს სხვებთან შედარებით.

**110-125 ქულა** — ქალი-ცოლი — აი, განმარტება, რომლითაც კაცები თქვენ გახასიათებენ. დიდი ხანია მიხვდით, რომ რომანტიკული გრძნობები მხოლოდ ერთი ეტაპია ბედნიერების გზაზე. გაურბიხართ სიტუაციებს, რომლებმაც შესაძლოა ჩრდილი მიაყენოს თქვენს მომავალს. მამაკაცს, რომელსაც თქვენი მოხიბვლა სურს, მოუწევს კაზანოვას მთელი არსენალის გამოყენება, რათა თქვენი ყურადღება დაიმსახუროს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მისი თბილი სიტყვები გესიამოვნოთ, თქვენი გული მაინც ოჯახში რჩება. თქვენთვის იდეალური მეგობრებთან ერთად გატარებული საღამოა, როცა იცით, რომ მათ ყველაფერი წესრიგში აქვთ.

**126- 140 ქულა** — შინაბერა! საწყენია, მაგრამ ძლიერი სქესის წარმომადგენლები ასეთ ქალებს გვერდს უვლიან. შესაძლოა წარმატებული კარიერაც გაქვთ, თანამდებობაც, მაღალი ხელფასიც, მაგრამ...

## მხდალი, მამაცი თუ ფრთხილი?

**1. სახლში მარტო ხართ, კარზე ზარია, სათვალთვალოში გაიხედეთ და უცნობი დაინახეთ. თქვენ....**

ა) არაფრის შეგეშინდებათ და კარს გააღებთ.

ბ) შემოსასვლელ კარს ავეჯს მიადგამთ, რომ არავინ შემოგივარდეთ.

გ) კარს არ გააღებთ, ოთახში შეხვალთ და თქვენს საქმეს გააგრძელებთ.

**2. დედათქვენის საყვარელი ლარნაკი გატეხეთ...**

ა) ნამსხვრევებს იატაკზე დატოვებთ, დედა რომ მოვა სახლში და დაინახავს, ყველაფერს პატიოსნად მოუყვებით.

ბ) ყველაფერს კატას გადააბრალებთ.

გ) ნამსხვრევებს აიღებთ, გადაყრით, როცა დედა სახლში დაბრუნდება და დაისვენებს, ყველაფერს აუხსნით.

**3. კბილის ექიმთან მიდიხართ...**

ა) იცით, რომ კარიესი გაქვთ, უშიშრად ჯდებით დანტისტის სავარძელში და შესაბამის პროცედურებს იტარებთ.

ბ) პოლიკლინიკაში კი მიხვალთ, მაგრამ ექიმის დანახვაზე ისე შეშინდებით, რომ უკან გამოიქცევით.

გ) მშვიდად დაუცდით თქვენს რიგს, შემდეგ შეხვალთ ექიმთან და კბილებს შეამოწმებინებთ.

**შედეგები:**

თუ თქვენს პასუხებში „ა“ ვარიანტი ჭარბობს თქვენ მამაცი ხართ, თუ „ბ“ ვარიანტი — მშიშარა, „გ“ ვარიანტის შემთხვევაში კი თქვენ ფრთხილი ადამიანი ხართ. თუ ვარიანტების რაოდენობა თანაბრად გადანაწილდა, დაფიქრდით — ყოველთვის საჭიროა ასეთი სიმამაცე ან ხანდახან რატომ ხართ ასეთი მხდალი და რა მისასალმებელია, რომ სიფრთხილის გამოჩენა ისწავლეთ.





Cyan Magenta Yellow Black

# ზედმეტი წყლისგან გათავისუფლდით

**ფიქრობთ, ზედმეტი წონა გაქვთ? შეიძლება საქმე ზედმეტ წყალშია. შეუმჩნეველი შეშუპება წონას 2-3 კგ-ით ზრდის.**

**საიდან ჩნდება ზედმეტი წყალი ორგანიზმში? მიზეზი მრავალია.**

1. სუფთა წყლის უკმარისობა. დღის განმავლობაში ბევრ სითხეს იღებთ: ჩაის, ყავას, წვენს, რძეს და ა.შ. ეს შესანიშნავია, მაგრამ ამავდროულად არ დაგავიწყდეთ, რომ ორგანიზმისთვის აუცილებელია სუფთა წყალი და არა მისი შემცვლელები. ეს უკანასკნელები გაჯერებულია სხვადასხვა (ხშირად არასასარგებლო) ნივთიერებებით, რომლებიც, თავის მხრივ, შლაკებისა და ტოქსინებისგან ორგანიზმის გასუფთავებას ხელს უშლის. ამ დავალებას საკმაოდ წარმატებით თავს ართმევს მხოლოდ ჩვეულებრივი წყალი. გარდა ამისა, ე.წ. შემცვლელები (განსაკუთრებით ჩაი და ყავა) შარდმდენი სასმელებია. ისინი ორგანიზმიდან ცხოველმოქმედებისთვის სასარგებლო სითხეს აძევებენ. მისი დაკარგვის შიშით, ორგანიზმი ცდილობს, ამ ძვირფასი სითხის (ე.ი. წყლის) მარაგი გააკეთოს.

2. რაციონში მარილის სიჭარბე. ალბათ შენიშნეთ, რომ მარილიანი კერძის ჭამის შემდეგ წყალი ძლიერ გინდებათ. ამ შემთხვევაში წყალს ზედმეტი მარილი გამოაქვს. თუ მარილს ბევრს და ხშირად გამოიყენებთ, მარილის უვნებელსაყოფად ორგანიზმი წყლის სპეციალურად შეკავებას დაიწყებს. ესეც შეშუპებას იწვევს.

3. მჯდომარე სამუშაო ან პირიქით, მთელი დღე ფეხზე დგომა. ცხოვრების ასეთი წესის გამო ხშირად მეტაბოლიზმი ნელდება, რაც, თავის მხრივ, სითხის შეკავებას ხელს უწყობს.

## წესის მიხედვით ვიკვებებით

შეშუპებასთან ბრძოლაში (ექიმის რეკომენდაციების გარდა) თქვენც შეგიძლიათ დამოუკიდებლად რაღაც გააკეთოთ. მაგალითად, თქვენს რაციონს გადახედეთ. მთავარია, კვების სწორი რეჟიმი მუდამ დაიცვათ.



1. ყოველდღიურად არანაკლებ 2-2,5 ლიტრისა სუფთა წყალი დალიეთ. ამგვარად ორგანიზმი თანდათან გაიგებს, რომ წყალი საკმარისია და მომარაგება (შეშუპების სახით) საჭირო არ არის. გარდა ამისა, შლაკები და ტოქსინები გამოსვლას დაიწყებს. შედეგად, ძალის მომატებასა და მთელ სხეულში სიმსუბუქეს იგრძნობთ.

2. ნაკლებად მარილიან საკვებს მიეჩვიეთ. მარილი სანელებლებით, ბალახებით შეცვალეთ. მნიშვნელოვანია, მარილი საჭმელს არა მომზადების დროს, არამედ მზა კერძში დაუმატოთ.

3. არ დაგავიწყდეთ, რომ მარილი ხშირად პროდუქტებში „იმალება“. მაგალითად, 100 გრამ შავ პურში უკვე მარილის დღიური ნორმის ერთი მესამედია. მოერიდეთ ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა დაკონსერვებული წვნიანები, თევზის კონსერვები, ხიზილალა, მწნილები, შებოლილი პროდუქტები, სოუსები ( განსაკუთრებით მაიონეზი), მარილიანი ყველი.

4. კვირაში ერთხელ განტვირთვის დღე მოაწყვეთ ორგანიზმიდან ჭარბი სითხის გამოსადევნად.

## განტვირთვის დღე

ერთ დღეში შეგიძლიათ 500-600 გრამი დაკარგოთ. ეს შეიძლება იყოს კვირის ნებისმიერი დღე, მთავარია, სუფთა წყალი დალიოთ და, რეკომენდებული პროდუქტების გარდა, ნებისმიერი სხვა საჭმელისგან თავი შეიკავოთ.

**რძიანი ჩაის დღე.** დღის განმავლობაში, როგორც კი შიმშილის შემოტევას იგრძნობთ, რძიანი ჩაი დალიეთ. მომზადების წესი: 2 ლიტრი რძე ადუღებამდე მიიყვანეთ, ერთი მწიკვი მწვანე ჩაი დაუმატეთ და ნახევარი საათი დადგით. სასმელი მზადაა.

**კეფირის დღე.** ყოველ 2 საათში ცოტ-ცოტა ახალი უცხიმო კეფირი დალიეთ. ნორმა — 1-1,5 ლიტრი დღეში.

**გოგრის წვენის დღე.** გოგრის წვენი ვაშლისა და სტაფილოს წვენს შეურიეთ ან წყლით გააზავეთ, მაგრამ გახსოვდეთ, ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას მხოლოდ გოგრის წვენი ეხმარება.

**შვრიის დღე.** შეშუპებისგან გასათავისუფლებლად წყალზე მოხარშული შვრიის ფაფა ჭამეთ. ადუღებულ წყალში 200 გრამი ფანტელი ჩაუშვით და დაახლოებით 5 წუთი ხარშეთ, თან განუწყვეტლივურიეთ. შენიშვნა: ფაფა სქელი არ უნდა იყოს. შეგიძლიათ ბანანისა და ვაშლის ნაჭერი, ქიშმიში დაუმატოთ. არავითარი ცხიმი, მარილი, შაქარი. ფაფა 5-6-ჯერ ჭამეთ. წყლის გარდა, მწვანე ჩაი ან ასკილის ნახარში დალიეთ.

**თევზის დღე.** დღეში 5-ჯერ აუცილებლად ჭამეთ 500 გრამი უმარილო მოხარშული თევზი. გარნირად გამოიყენეთ ქორფა ან ორთქლზე მომზადებული (უმარილოდ) ბოსტნეული: კომბოსტო, სტაფილო, კიტრი.

შეშუპებას აქრობს ასეთი ხალხური რეცეპტი: 1 სუფრის კოვზ ალუბლის ყუნწებს 0,5 ლიტრი ადუღებული წყალი დაასხით. 1 საათი დადგით, გაწურეთ და დღეში 3-4-ჯერ 150 გრამი მიიღეთ.

# რა არის მიასთენია და როგორ ვუმკურნალოთ

არსებობს დაავადებები, რომელთა მიზეზის დადგენა მედიცინამ საუკუნეების განმავლობაში ვერ შეძლო. მიასთენია (სიტყვასიტყვით „კუნთების სისუსტე“), რომელიც აღწერილია ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში, ამ სიაში შედის.

ზოგიერთი მონაცემით, მიასთენიით 100 000-დან 10 ადამიანი იტანჯება. დაავადება 20-დან 40-წლამდე ახალგაზრდა ადამიანებს შორის გვხვდება. შედარებით ხშირად ქალები ავადმყოფობენ. ოფიციალური თანაფარდობაა 3:1.



## ნიშნები

მიასთენია აუტოიმუნური დაავადებაა, გამოწვეულია იმუნიტეტის მოშლით, მისი სიმპტომები ასეთია: ადამიანი უჩივის დილით სისუსტეს, რომელიც თვალებიდან იწყება. დილით თვალის გახელა ძნელდება, აღინიშნება ქოშინი, ფეხების ტკივილი, იღლება მკლავები. ადამიანი დუდღუნით ლაპარაკობს, ყლაპვა გაძნელებულია.

როგორც წესი, დაავადება ქუთუთოს კუნთების მუშაობის დარღვევით იწყება. შემდეგ სულ უფრო მეტად იტანჯება ხელების, ფეხების, სახის კუნთები. სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი ჩვენს მოძრაობებზე.

## მკურნალობა

წინათ მიასთენიის დროს სიკვდილიანობა 40%-ს შეადგენდა. სადღეისოდ მინიმალურია და ერთეული შემთხვევებია. მსუბუქ ფორმებში ინიშნება კალიუმის პრეპარატები, უფრო მძიმე სიტუაციებში საჭირო ხდება გლუკოკორტიკოიდების მიღება.

მიასთენიით დაავადებულებს ეკრძალებათ ალკოჰოლი, მზეზე გარუჯვა. გამოკვლევებით დადგენილია პირდაპირი კავშირი მზის აბაზანებსა და მდგომარეობის გაუარესებას შორის.

არ შეიძლება მაგნიუმის, შარდმდენების, ანტიბიოტკების გამოყენება.

ფიზიკური დატვირთვა ცალკე თემაა. კუნთების ძლიერი დაჭიმვა ტრენაჟორებზე დაუშვებელია, სიმძიმის აწევა გამორიცხულია. მაგრამ „მედალს“ მეორე მხარე აქვს — ეს არის კუნთების ზომიერი მოთელვა, რაც ნივთიერებათა ცვლის გასაუმჯობესებლად აუცილებელია.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



# გვპასუხობს ექიმი

**— რა იწვევს მოზარდებში ღამით კბილების კრაჭუნს?**

— ღამით კბილების კრაჭუნი უმეტესად ბავშვის ორგანიზმში კალციუმის ნაკლებობით არის გამოწვეული.

**— სტომატიტი მაქვს და რას მირჩევთ?**

— სტომატიტი პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთებაა. იგი სხვადასხვა სახისაა და შესაბამისად, გამოწვევი მიზეზებიც სხვადასხვაა. გამწვავებისას კი იმუნური სისტემა არის დაქვეითებული. პირის ღრუში დაავადებული, შეწითლებული უბანი იოდინოლით დაიმუშავეთ დღეში რამდენჯერმე. ურიგო არ იქნებოდა ალერგოლოგის კონსულტაციაც. ხშირი და გართულებული სტომატიტის მიმართ ზერელე დამოკიდებულება არ შეიძლება, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, მისი გამომწვევი მიზეზი სხადასხვაა და ერთ-ერთი შეიძლება ინფექციაც იყოს.

**— როდის უნდა ჩატარდეს ორსულობის ტესტი?**

— ტესტის ჩატარება შეგიძლიათ მენსტრუალური ციკლის გადაცდენის მეორე დღესვე, სასურველია იყოს დილის შარდი, თუმცა არსებობს ძალიან მგრძნობიარე ტესტი, რომლის გამოყენებაც შეგიძლიათ ციკლის გადაცდენამდე 2-3 დღით ადრე, დღის ნებისმიერ მომენტში.

**— რა იწვევს სიმსუქნეს და რამდენად საშიშია?**

— სამედიცინო ენაზე სიმსუქნე არის ცხიმოვანი და ენერგეტიკული ბალანსის დროს განვითარებული დაავადება. თუ ყველასთვის გასაგებად ვიტყვით, ადამიანის მიერ მიღებული კალორიები აჭარბებს მათ წვას. შედეგად, ორგანიზმში გროვდება ცხიმი, რაც სიმსუქნეს იწვევს. სიმსუქნის მიზეზი ძირითად შემთხვევაში არის არასწორი კვება, არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა ან ენდოკრინული დარღვევები. ქალთა უმეტესობისათვის სიმსუქნის პრობლემა აქტუალური ხდება მშობიარობის შემდეგ. ორსულობის პერიოდში ქალის ნივთიერებათა ცვლა გადადის ენერგიის დაგროვების რეჟიმში. ამაში გასაკვირი არაფერი უნდა იყოს. გასაკვირი და საგანგაშო არის ის, რომ ცვლის პროცესები ლაქტაციის შემდეგაც დაგროვების ხასიათს ატარებს და ხდება ცხიმოვანი ქსოვილების მატება. რა თქმა უნდა, სიმსუქნე არის საშიში დაავადება, ზოგ შემთხვევაში — მეტისმეტად საშიშიც კი. იგი შეიძლება იქცეს შაქრიანი დიაბეტის, ქოლესტერინის მომატების, ჰიპერტონიული დაავადების, გულის უკმარისობის, უნაყოფობის და უამრავი სხვა დაავადების მიზეზად. ასთმიანი ადამიანისთვის, ისევე როგორც ჩიყვით დაავადებულთათვის, სასტიკად არ შეიძლება სიმსუქნე, რადგანაც ამძიმებს ისედაც რთულ დაავადებებს. მსუქან ადამიანს შეიძლება ძალიან დიდი პრობლემები შეექმნას მშობიარობის დროს, რამაც შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ნაყოფზეც.

**— როცა ქალი ფრიგიდულია, როგორ უნდა მოიქცეს. არსებობს გამოსავალი?**

— მიმართეთ სექსოლოგს.

**— გაზაფხულზე სისხლში ყოველთვის მაქვს ეოზინოფილები მომატებული საკმაო რაოდენობით. რისი ბრალი შეიძლება იყოს?**

— ეოზინოფილების მატების მიზეზი ხშირად ალერგიაა, რომელიც სხვადასხვა ორგანიზმში სხვადასხვა სიმპტომით ვლინდება. სისხლის საერთო ანალიზის მხოლოდ ერთი მაჩვენებლით დაზუსტებით არაფრის თქმა შეიძლება, მაგრამ ალერგია მაინც უნდა გამორიცხოთ, რომელიც შეიძლება ჯერ შემაწუხებელი არ არის და ამიტომ ყურადღებას ნაკლებად ამახვილებთ.

**— იმუნიტეტის ასამაღლებლად რა შეიძლება, რომ მივიღო?**

— უმჯობესია, ექიმს მიმართოთ და მის მიერ დანიშნული წამლებით დაიწყოთ ორგანიზმის მოძლიერება. მცდარია მოსაზრება, რომ ვიტამინებით მდიდარ აბებს თუ მიიღებთ, იმუნიტეტს აიმაღლებთ, თვითნებურად ნუ დატვირთავთ ორგანიზმს. სახლის პირობებში კი კარგია ყოველ დილით უზმოზე ერთი კოვზი თაფლის მიღება.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო თ და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**

## ძიძო — ფურუნკულის რისხვა

ძიძო საოცარი მცენარეა. მრავალ დაავადებას კურნავს — პოდაგრას, თრომბოფლებიტს, ფილტვების ანთებას. ის აგრეთვე ფურუნკულების რისხვაცაა. თუ ამ მცენარის ბაზაზე მალამოს მოამზადებთ, მისი დახმარებით ფურუნკულის მომწიფების პროცესს და შემდეგ მის გამოშრობას დააჩქარებთ.

ძიძოს 2 ს.კ. ყვავილი დასრისეთ. 2 ს.კ. ნაღების კარაქი ან 50 გრამი ვაზელინი დაუმატეთ, აურიეთ. მალამო ფურუნკულზე წაისვით, გადაიხვიეთ. 5-6 საათის შემდეგ სახვევი შეცვალეთ.

## ღვინის ნაცვლად კონიაკი

როგორც უნდა გაგიკვირდეთ, სახის მოვლის საშუალებად ითვლება ხარისხიანი პროდუქტები: ნატურალური მცენარეული ზეთი, ღვინო, კონიაკი. სხვათა შორის, კონიაკი საუკეთესო ტონიკია. თუ დილით და საღამოს სახეს კონიაკით გაისუფთავებთ, კანი გაახალგაზრდავდება. კონიაკი შეიცავს ბევრ სასარგებლო ნივთიერებას, რომლებიც კანის დაბერებას აბრკოლებს. ხოლო თეთრი ღვინით შეგიძლიათ ნიღაბი გაიკეთოთ. ისიც კანს ნაადრევი დაბერებისა და გარემოს მავნე ზემოქმედებისგან იცავს.

აიღეთ 3 ს.კ. თეთრი მშრალი ღვინო, 1/4 ჭიქა მაწონი, 2 სუფრის კოვზი შვრიის ფქვილი. ღვინო მაწონში ჩაუშვით და ათქვიფეთ. შემდეგ შვრიის ფქვილი შეურიეთ ნახევრადწყლიანი მასის მიღებამდე. მასა ორ ფენა მარლაზე მოათავსეთ და სახეზე 15-20 წუთი დაიდეთ (თვალების მიდამოს მოერიდეთ). ეს ნიღაბი რეგულარულად გაიკეთეთ.

## თეთრი შაქარი „სიკვდილია“, ყვითელი — „სიცოცხლე“



„თეთრი სიკვდილი“ თითქმის ყველაფერშია. ის არამხოლოდ ტკბილეულში, ასევე მწარე სასმელებში, ცხარე სოუსებში, ძეხვეულში, შებოლილ და ბევრ სხვა პროდუქტში არსებობს, რომლებშიც ტკბილის წარმოდგენა საერთოდ შეუძლებელია. სწორედ ამიტომ უნდა გახსოვდეთ, რომ შაქრის მოხმარების დღიური ნორმა არაუმეტეს 50 გრამისაა. ამ ნორმის მიღება შეიძლება ნახევარი ლიტრი ტკბილი წყლით. ყველაფერი ამის ზევით მავნეა. მეცნიერებმა დიდი ხანია დაადგინეს: თეთრი შაქრის ჭარბად მოხმარება ჯანმრთელობას აუარესებს და სიცოცხლის ხანგრძლიობას ამცირებს. მაგრამ მეორე „ტკბილი მეგობარი“ — ყვითელი შაქარი, პირიქით, სასარგებლოა.



თუ ტკბილის მოყვარული ხართ, სრულებით არ არის აუცილებელი თქვენს ჩვევაზე საერთოდ უარი თქვათ. უბრალოდ, შაქრის „სწორი“ სახეობა უნდა შეარჩიოთ და მთავარი — ზომა იცოდეთ.

არარაფინირებული შაქარი, როგორც ნებისმიერი სხვა ნახშირწყალი, პირველ რიგში, ენერგიის წყაროა მთელი ორგანიზმისთვის. მასში ბევრი ქრომი, რკინა და მაგნიუმია, რომელთა ნაკლებობა თვლემას, დაღლას, გაღიზიანებულობასა და ცუდ განწყობას იწვევს. მასში საჭირო მიკროელემენტების მთელი კომპლექსია.

რაც შეეხება ნატურალურ დამატკბობლებს — ფრუქტოზას, სორბიტს, ქსილიტსა და სტევიოზილს, ისინი ჯანმრთელობას ზიანს არ მიაყენებენ, თუ ბოროტად არ გამოიყენებთ.



Cyan Magenta Yellow Black

1. წელიწადის მეოთხედი; 2. საჭმელი სოკო; 3. ... ნორისი; 4. იაპონური თეატრი; 5. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა ლიტერატურაში; 6. მაკლერი საფრანგეთში; 7. მუსაიფი; 8. გაკვირვების გამომხატველი ნაწილაკი; 9. ქალაქი პერუში; 10. უაზრობა, შეუსაბამობა; 11. ბიბლიური პერსონაჟი; 12. ლეოპარდი; 13. ნატვრის გამომხატველი შორისდებული; 14. ჭკუით, ნიჭიერებით ვისიმე შესაფერი, მსგავსი; 15. არჩევანის დროს ხმარებული კავშირი; 16. წარმოების მართვა; 17. იბნ სინა; 18. კათოლიკეთა მღვდელი; 19. იაპონური მარცვლოვანი ანბანი; 20. რძის პროდუქტი; 21. ტბა ნიკარაგუაში; 22. ხურდა ფული ნორვეგიაში; 23. სახუმარო შინაარსის მცირე საესტრადო პიესა; 24. საქონლის შესაფუთი მასალა; 25. ჟაკ ... კუსტო; 26. ცხენის ზურგზე გადასაფარებელი ქსოვილი; 27. „გველის ...“; 28. ... თოიძე, ფერმწერი; 29. სოფელი ლეჩხუმში; 30. ... კოზლოვსკი; 31. იუპიტერის თანამგზავრი; 32. აზრით ერთნაირ სიტყვებთან ხმარებული კავშირი; 33. ფართოფარფლიანი ჩალის ქუდი; 34. მცენარეთა და ცხოველთა კლასიფიკაციის უმსხვილესი ერთეული; 35. ბაკქელი ქალი ბერძნულ მითოლოგიაში; 36. ლითონის ფულის ნიშანი; 37. მარწყვი, ჟოლო, მაყვალი; 38. ექსპრომტი; 39. ძალ-ღონე, ილაჯი; 40. კაზინოს თანამშრომელი; 41. რუსული თვითმფრინავების მარკის წინსართი; 42. სალტო-...; 43. ჭია; 44. ქოჩრიანი თუთიყუში; 45. ორი მონარქიული სახელმწიფოს კავშირი, გაერთიანება; 46. ოდეტა და ...; 47. გამანადგურებელი ქარიშხალი წყნარ ოკეანეში; 48. ქალაქი კალიფორნიაში; 49. ჟურნალისტის ოფიციალური დაშვება რაიმე მნიშვნელოვან თავყრილობაზე; 50. ცისტერნა გემზე თხევადი ტვირთისათვის; 51. ხელოვნური ენა; 52. მეცნიერება ბუნების, საზოგადოების, აზროვნების განვითარების ზოგადი კანონების შესახებ; 53. ირიბი; 54. ...-ვეგასი; 55. შვეიცარიელი ნატურალისტი; 56. ახლო აღმოსავლეთის ძლიერი სახელმწიფო ძვ.წ.აღ-ით IX-VI საუკუნეებში; 57. ბერძნული ანბანის ასო; 58. ამერიკელი მეცნიერი მექანიკის დარგში; 59. ცხარე საწებელი; 60. ყვავილი; 61. სუბტროპიკული მცენარე მოყვითალო, კურკიანი, ტკბილი ნაყოფით; 62. საბრილიანტე ქვა; 63. ... უორდროპი; 64. ვიეტნამის დედაქალაქი; 65. ალგორითმული ენა.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. თალია; 2. კარმენ; 3. ლარი; 4. მორსი; 5. ომი; 6. მიკი; 7. რომანი; 8. ნივა; 9. იდიია; 10. ასკერი; 11. რაუტი; 12. ნიუ; 13. ჩემპიონი; 14. პრემია; 15. აკორდი; 16. იაკი; 17. ფრე; 18. ესაია; 19. აორტა; 20. ლიბერია; 21. მი; 22. კამილ; 23. შმაგა; 24. ან; 25. ევერესტი; 26. ლეგაცია; 27. თორა; 28. რომი; 29. აბი; 30. ანანკე; 31. ავგია; 32. აგრაფი; 33. ვა; 34. ბრომი; 35. ვალაბი; 36. პრასა; 37. კაპრალი; 38. ზვიად; 39. ტრიო; 40. ეტი; 41. რიმესა; 42. „ბორჯომი“; 43. პარაბოლა; 44. ლომერ; 45. რეტრო; 46. მამა; 47. ტოიოტა; 48. პიანო; 49. სეტი; 50. მარკეტინგი; 51. ლაბრადორი; 52. მემორია; 53. რუ; 54. ლომი; 55. მადერა; 56. სუმო; 57. ეკრანი; 58. ადეპტი; 59. ერი; 60. ორე; 61. ბრედ; 62. სტოპერი; 63. გიტარა. **სურათებზე:** ჯენიფერ ჯეისონ ლი; ჯეიმს ვუდსი; ედ ნორტონი; რებეკა რომინ-სტამოსი.

**კოდი: ეპოპეა**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი





1. ადამიანთა ხროვა
2. სარწყავი არხი
3. შაშის სახეობა
4. როზეტი
5. საფოსტო ნიშანი
6. დანაშაუ-ლი
7. აპოხტი
8. ... ნიუტონი
9. შტატი აშშ-ში
10. კინოსუ-რათი
11. ესპანური ცეკვა
12. პატარა ჭრელი ჩიტი
13. მდინარე ევროპაში
14. ზანტი, ზარმაცი
15. თევზის ძვალი
16. ხორციანი კორკოტი
17. ბოლო ნოტი
18. დარვიში
19. რუსი მწერალი
20. ბერძნული ანბანის ასო
21. ჟორჟ სანდის რომანი
22. ... სამპრასი
23. დიდი ჩაქუჩი
24. ხეთების ქალღმერ-თი
25. ... კრუზი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. არ; 2. სი; 3. პატრი; 4. აბელი; 5. ბუ; 6. კომპასი; 7. „ტამანგო“; 8. აჟიო; 9. რატომ; 10. გიმნეტები; 11. კორდოვა; 12. კაკადუ; 13. ბლე; 14. „ოლე“; 15. ნუკრი; 16. კალია; 17. ამპერი; 18. მატიე; 19. ია; 20. აპოხტი; 21. ეხი; 22. სე; 23. ალ.**სურათებზე:**ერმიტაჟი; ლუვრი; პრადო; ალბერტინა.



Cyan Magenta Yellow Black

# თაიგულმა დიდხანს რომ გაძლოს



როგორ გავუხანგრძლივოთ სიცოცხლე ლამაზ თაიგულს?

სანამ ვაზაში იასამნის ტოტებს ჩადებთ, ღეროს ბოლოები 2-3 ნაწილად გახლიჩეთ, შემდეგ რამდენიმე წამით არაყში ან სპირტში მოათავსეთ. თაიგულისთვის წყალს ძმარი ან ლიმონის მჟავა დაუმატეთ.

ნარგიზმა თავისი სილამაზით დიდხანს რომ გაგახაროთ, წყალში ცოტა მარილი დაუმატეთ და ყოველდღიურად გამოცვალეთ. თუ გსურთ, ლარნაკში ნარგიზების გვერდით სხვა ყვავილებიც მოათავსოთ, ნარგიზები ერთი დღე-ღამის განმავლობაში ცალკე წყალში გქონდეთ. ეს „საკუთარ თავზე შეყვარებული“ მცენარე გამოყოფს წებოვან წვენს, რომელიც მეზობელი ყვავილებისთვის ძალიან მავნეა.

ტიტებს ძალიან ცივი, ყინულივით წყალი უყვართ, რომელშიც დამატებულია ასპირინი (1 აბი 1 ლიტრ წყალზე). ყვავილის ღეროები რომ არ მოიხაროს, ასეთი მარტივი პროცედურა ჩაატარეთ: ღეროები თანაბრად მოაჭერით, ბოლოები შაქარში ჩადეთ და რბილ ქაღალდში გაახვიეთ. ორი საათის შემდეგ ქაღალდი მოხსენით და მხოლოდ ამის შემდეგ ყვავილები წყალში ჩადეთ.

# მკურნალი კედარი

კედრის წიპწების ზეთი უნიკალური ბუნებრივი პროდუქტია, რომლის ანალოგები ბუნებაში არ არსებობს. ის ადვილად შეითვისება, ვიტამინებითა და მიკროელემენტებით მეტად მდიდარია. სამკურნალო ზეთი ძალას აღადგენს, სტრესისა და ქრონიკული დაღლის სინდრომის შედეგებს აქრობს, ორგანიზმს აძლიერებს. გარდა ამისა, მამაკაცურ პოტენციას აუმჯობესებს.

კედრის ზეთი განსაკუთრებით სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების დროს. მას იღებენ გასრიტის, პანკრეატიტის, ქოლესტერინის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, ასევე გაციების, ბრონქიტის დროს. ეფექტურია ნეიროდერმიტის, ეგზემის, დამწვრობის, ტროფიკული წყლულისა და მოყინვის შემთხვევებში. სამკურნალო-პროფილაქტიკური მიზნით ასე გამოიყენება:

1 ჩაის კოვზს ჭამამდე 30-60 წუთით ადრე, დღეში 2-3-ჯერ, 1-1,5 თვის განმავლობაში იღებენ. ნერწყვთან არეული ნელა ჩაყლაპეთ.

დაზიანებულ ადგილზე ზეთი დღე-ღამეში 2-ჯერ მსუბუქად წაისვით.

კედრის ზეთი, ისევე როგორც წიპწები (რომლისგანაც ზეთს ამზადებენ) შესანიშნავია სალათების შესაკმაზად. ასეთი სასარგებლო დამატება ორგანიზმს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით უზრუნველყოფს, იმუნიტეტს ამაგრებს, ზედა სასუნთქი გზების, გრიპისა და ბევრი სხვა დაავადებისგან იცავს.

# ნუნებს სწორად ვიჭრით



საჭმელი სოდით თბილი აბაზანა გაიკეთეთ (1 სუფრის კოვზი სოდა ნახევარ ლიტრ წყალზე). შემდეგ აქერცლილი ნუნები ფრთხილად მოიჭრით. თუ ამოიგლეჯთ, ნუნა სისხლდენას დაიწყებს და შეიძლება დასნებოვნდეს. თითებზე ზეითუნის ზეთი წაისვით, ორი წუთის შემდეგ კი ხელსახოცით შეიმშრალეთ.

ალოეს ან კალანხოეს ფოთოლი ფაფის მდგომარეობამდე დააქუცმაცეთ და ნუნებზე დაიდეთ. თითებზე პოლიეთილენი დაიხვიეთ და ღამე დაიტოვეთ.

# ოხრახუში — უნიკალური საკმაზი



ეს სანელებელი ბალახი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მთელ მსოფლიოში. ოხრახუში საჭმელს არამხოლოდ უფრო არომატულს, ასევე უფრო სასარგებლოს ხდის.

ოხრახუშის სამშობლოდ საბერძნეთი ითვლება. ძველად ამ არომატულ მწვანილს საკვებად არ იყენებდნენ, ვინაიდან წმინდა მცენარედ მიიჩნევდნენ. მხოლოდ მე-14 საუკუნის შუა პერიოდში დაიწყეს მისი, როგორც ბოსტნეული კულტურის გამოყენება. ეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოხდა.

## ძალიან სასარგებლო

ოხრახუში სასარგებლო ნივთიერებებისა და მიკროელემენტების ნამდვილი საბადოა. მაგალითად,C ვიტამინი მასში ბევრად მეტია, ვიდრე მრავალ სხვა ბოსტნეულსა და ხილში. 100 გრამ მწვანე ფოთლებშიC ვიტამინის თითქმის ორი დღის ნორმაა (ამ მაჩვენებლით ლიმონს 4-ჯერ აჭარბებს) და დაახლოებით ამდენივეა ვიტამინიA (მისი შემცველობით სტაფილოს არ ჩამორჩება). ეს საოცარი მწვანილი ასევე შეიცავს $B_1$, $B_2$, PP ვიტამინებს, მარილებს, მაგნიუმს, რკინას, კალციუმს. თავისი სამკურნალო თვისებებით ხალხურ მედიცინაში ოხრახუში გამოიყენება შარდსასქესო სისტემის, ნაღვლისა და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს, ძალის გამოლევისა და მადის დაკარგვის, ასევე მხედველობის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, მწვანილი კარგად აქრობს შეშუპებას, კანს ათეთრებს და ატონიზირებს.

## ყველაზე პოპულარული

ოხრახუში თანაბარი სიხშირით გამოიყენება ევროპულ, ამერიკულ, აფრიკულ და აღმოსავლურ სამზარეულოში და, რა თქმა უნდა, მრავალი უძველესი სლავური კერძის შეუცვლელი ინგრედიენტია. ეს საკმაზი განსაკუთრებით კარგია ქორფა და მოშუშულ ბოტსნეულთან, თევზსა და ხორცთან. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მწვანილი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან არომატულ ბალახებს შორის, რომლებიც თვისებებს ხანგრძლივი თერმული დამუშავებისას არ კარგავს, პირიქით, მისი გემო უფრო ძლიერდება.

ყურადღება: ოხრახუშის წვენი ყველაზე კონცენტრირებულია, ამიტომ არასდროს გადააჭარბოთ ნორმას — 30-60 მლ წვენი სუფთა სახით. უმჯობესია სტაფილოს, სალათის, ისპანახის ან ნიახურის წვენებს შეურიოთ.

## ოხრახუშის კოსმეტიკა

ეს მწვანილი ცნობილია თავისი გამაახალგაზრდავებელი ეფექტით. ასევე ჭორფლთან და პიგმენტურ ლაქებთან ბრძოლაში ეხმარება. სახლის პირობებში შეგიძლიათ ასეთი მათეთრებელი ნიღაბი მოამზადოთ:

2 სუფრის კოვზ ოხრახუშის დაქუცმაცებულ ფოთლებს ამდენივე თაფლი და ლიმონის წვენი დაუმატეთ. ყველაფერი კარგად აურიეთ და სახეზე 15-20 წუთი დაიდეთ. შემდეგ თბილ წყალში დასველებული ბამბის ტამპონით მოიცილეთ. ნიღაბი კვირაში 1-2-ჯერ გაიკეთეთ.

# ჭკვიანი აზრები

„ყველა საქმეში, სადაც კარგი თავია საჭირო, გულს ნაკლებად ათხოვეთ ყური და სადაც გული უნდა — თავს“.

„ურცხვობა უკანასკნელი ხარისხია ბიწიერებისა“.

*ბუასტი*

„ზედმეტ მონდომებას ფრთხილი შიში სჯობს“.

*შექსპირი*

„თუ ადამიანს სურს, მისი ცხოვრება ისეთი იყოს, როგორიც კაცს ეკადრება, არც ბევრის იმედი უნდა იქონიოს და არც არაფერზე მიეცეს სასოწარკვეთას“.

*ლამოტ ლევაიერი*

„მაგალითი მუქარაზე უფრო ძლიერ მოქმედებს“.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძე

## ქართული ანეკდოტები

ორი პენსიონერი მამაკაცი საუბრობს:

— გუშინ თინიკო ვნახე... თინიკო, ხომ გახსოვს?!

— როგორ არა, მახსოვს მზია.

— იმას ქმარი არ გამოადგა... ქიშვარდი.

— კი, ვიცი ეგეც... არ ვარგოდა შაქრო არაფრად.

— მერე რუსთავში გათხოვდა.

— შაქრო, ხომ?

— შაქრო კი არა, დარეჯანი.

— დარეჯანი რომელია, კოლიას გოგო, ხომ?



**პენსიონერი დაქალები ბაღში მერხზე სხედან და გამვლელ-გამომვლელებს ათვალიერებენ.**

**— აი, დაინახე, გოგო, რა ლამაზი ბიჭია. მე რო შემომხედა, გაიცინა!**

**— ეეე, მე რო დილით შემოგხედე, მეც მომინდა სიცილი, მაგრამ თავი შევიკავე, ემანდ, არ ეწყინოს-მეთქი!**

— არა, კოლიას გოგო დიმიტრი იყო, საინჟინროზე რომ ჩააბარა კისლოვოდსკში.

— უი, გამახსენდა... იოსები... რას თამაშობდა ფეხბურთს?! ფეხი რომ მოიტეხა, ის, ხომ?

— არა, თინიკო ვნახე გუშინ.

— აბა, უშანგიო?!

❖ ❖ ❖

ზესტაფონელი და ოსი ერთად მგზავრობენ. ოსს ჩაეძინა და ხვრინვა ამოუშვა. ზესტაფონელმა ითმინა, ითმინა და გაალვიძა:

— დახურე პირი, დახურე!.. პირი გაქვს ღია... ღია...

— ალა უსავს, — დაამშვიდა ოსმა, — მე თვითონ გავაგე.

❖ ❖ ❖

— კაკოია, რამდენი ენა იცი, სიმონ? — ეკითხებიან ქუთაისელს.

— რამდენი და სამი: ქართული, რუსული და ინგლისური.

— აპა თქვი ინგლისურად რამე.

— გუმორძგუა!

— ეგ ხომ მეგრულია?

— შეხედე შენ?! ოთხი მცოდნია...

❖ ❖ ❖

— ექიმო, სექსის შემდეგ გამაყრუებელი ტაშისცემის ხმა მესმის, — ეუბნება ჟორიკიე ექიმს.

— რამდენი წლის ხართ, ბატონო?

— 91-ის.

— ნორმალურია... ეს თქვენი ცოლი უკრავს ტაშს აღტაცებული!

❖ ❖ ❖

— როგორ ხარ, ჩინგიზ?

— ძალიან მტკივა ბუასილი...

— მერე? არ წამლობ?

— ლოგოლ ალა, ექიმმა სანთლები გამომიწერა და უკან ვილწობ.

— ვა, მერე არ ქრება ხოლმე?!

❖ ❖ ❖

— ექიმო, მიშველეთ რამე!

— რაშია საქმე?

— საჭმელს ვერ ვყლაპავ.

— მერე მე რა გიყო, ძმაო, კაბინეტი შეგეშალა, მე პროქტოლოგი ვარ...

❖ ❖ ❖

— შენთან რომ ახალი ქუთაისელი შემეიყვანენ გუშინ, გამოუტანე განაჩენი? — ეკითხება ფსიქიატრი კოლეგას.

— ასპროცენტიანი გიჟია მაი უპატრონო.

— რაფერ მიხვდი?

— წინასწარ გადამიხადა 3000 დოლარი!

❖ ❖ ❖

— როგორ ჩაიარა თქვენმა ნადირობამ?

— მშვენივრად.

— მოკალით რამე?

— ხუთმა ერთი კურდღელი მოვკალით.

— მერედა ხუთმა ერთი კურდღელი როგორ გაიყავით?

— გაყოფით კი გევიყოფდით, მარა ველარ ვნახეთ ბუჩქებში.

❖ ❖ ❖

ოსმა ცხინვალში თონე გახსნა და დააწერა: „ლავაში შეშაზე“. მიადგა ვალოდა.

— სესა სულ გამითავდა და ფულზე ველ მომცემ?

❖ ❖ ❖

— ბუჯო, შენ ადრე ჩვენს „დინამოში“ არ თამაშობდი?

— ადრე კი.

— რამდენი გოლია შენს ანგარიშზე?

— 255.

— მალადეც, მაგარი ბომბარდირი ყოფილხარ!

— არა, მე მეკარე ვიყავი.

❖ ❖ ❖

გოგო ახალგახსნილ რესტორანში მივიდა „კასტინგზე“.

— მიმტანად შემიძლია ვიმუშაო.

დირექტორმა ჯიბიდან ათდოლარიანი ამოიღო და გოგოს ლიფში ჩაუტენა. გოგომ გაუქანა და თხლიშა სიფათში.

— არა, შენ ვერ იმუშავებ! — ამოიკვნესა დირექტორმა, — შემდეგი!

❖ ❖ ❖

— კბილის უანესთეზიოდ ამოღება რა ღირს?

— უფასოა.

— ვა, რა კაია!

— რომ გეტკინებათ, ბატონო?

— სიდედრი იღებს და მე რა უნდა მეტკინოს?

❖ ❖ ❖

— ექიმო, თავის ტკივილები მაწუხებს.

— სვამ?

— არა.

— ეწევი?

— არა, არასოდეს მომიწევია.

— იქნებ ძალიან ბევრს ჭამ?

— არა, ყოველთვის ზომიერად ვჭამ.

— ქალებში დაძვრები?

— არა, ქალებს საერთოდ არ ვაქცევ ყურადღებას.

— მდაა, — ჩაფიქრდა ექიმი, — თუ ასეთი ანგელოზი ხარ, ერთი მიზეზი დარჩა — ალბათ ეგ კეპკა გიჭერს. მოიხადე და გადააგდე, თუ კაცი ხარ.

❖ ❖ ❖

კახელი ბავშვი დედას ეკითხება:

— დედი, ვირსა ფეხებშუა რა აქ?

— მამაშენს ჰკითხე.

— მამამ თქვა, ეგა სისულელეაო.

— რაო?! სისულელეაო?! სისულელე მაგისი გახლავს, კარგად რომ იცოდეს მაგ უბედურმა!



**ოსი ექიმთანაა.**

**— არაყი ყინულით აზიანებს კუჭს, რომი ყინულით აზიანებს თირკმელებს, — უხსნის ექიმი, — ვისკი ყინულით აზიანებს ღვიძლს, კონიაკი ყინულით აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას.**

**— ყველაფერი იასნია, პატივცემულო ექიმო, კსოლტუ კინული! თბილი ძობია, ალა?!**

❖ ❖ ❖

მთვრალი ქუთაისელი ბარმენს ელაპარაკება:

— რაია, ბუჯო, როლანდია, აქანა ანონიმური ლოთების კლუბი გახსენით?

— რას ბჟოტიალობ, შარიკია, საიდან მეიგონე ახლა მაგი?!

— რა ვიცი, შე ჩემა, აგერ ორი საათია, ვაკვირდები და ვერც ერთი ვერ ვიცანი.



**ცირკის მსახიობი თავისივე პარტნიორზე დაქორწინდა. როგორც იქნა, მექორწილეები დაიშალნენ, ქალი ლოგინში შეგორდა და ქმარს ელოდება.**

**ქმარი სკამზე შედგა და აცხადებს:**

**— სახიფათოოო ნომერიიი! სრულდება პირველად!**

---

✓ შეკრიბა მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები



Cyan Magenta Yellow Black



### რაიმონდ ჩენდლერი

# მკვლელობა წვიმის დროს

დასაწყისი №16-17

ბინის კარი საკმაოდ გვიან გაიღო. ზღურბლზე მაღალი, გამხდარი კაცი იდგა და გულგრილად შემომცქეროდა.

— სტაინერი მინდოდა, — ვთქვი ღიმილით.

მან საიდანღაც სიგარეტი დააძრო, მოუკიდა, ბოლი შემომაფრქვია და ყოველგვარი ინტონაციის გარეშე შემეკითხა:

— რა თქვით?

— სტაინერს ვეძებ, ჰაროლდ ჰერდვიკ სტაინერს, წიგნებს რომ ყიდის.

— თითქოს მეცნობით. ვინ გამოგგზავნათ?

— თქვენ... მარტი ხართ? — შევაგებე კითხვა.

ჯოზეფი მოიღუშა:

— ვთქვათ, ვარ. თქვენ ჩემთან რამე საქმე გაქვთ თუ გასართობად მოხვედით?

— თქვენ წიგნები შეიძინეთ. მე მისი კლიენტების სია მაქვს. იქნებ გვესაუბრა?

— რატომაც არა? შემობრძანდით.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ერთმანეთის პირდაპირ ვისხედით: მე ტახტზე, ის კი დაბალი მაგიდის გვერდით, სავარძელში.

— აბა, გისმენთ, — მარტიმ კოლოფიდან ორი სიგარა ამოიღო და ერთ-ერთი ტახტზე ისროლა, — კუბურია, მოგეწონებათ.

ის იყო, სიგარის ასაღებად გადავიხარე, რომ მარტი ზეზე წამოიჭრა და რევოლვერი მომიშვირა:

— ადექით!

ცხადია, დავემორჩილე და, მიუხედავად შინაგანი ბობოქრობისა, ღიმილით წარმოვთქვი:

— დღეს თქვენ უკვე მეორე ხართ, ვინც საქმის მოგვარებას იარაღით ცდილობს. გირჩევთ, კოლტი დამალოთ, მერე კი მშვიდად ვილაპარაკოთ.

— სწორად გამიგეთ, — თითქოს მოლბა ის, — მე თქვენ საერთოდ არ გიცნობთ. იქნებ მძარცველი ხართ? ამიტომ სიფრთხილე მმართებს.

— თქვენ არც ისე ფრთხილი ხართ, — შევნიშნე და, რაკი ის უკვე სავარძელში იჯდა და კოლტი მუხლზე ედო, მეც ტახტს დავუბრუნდი, — წიგნების გადაზიდვა მაქვს მხედველობაში.

— კარგით. ახლა რა გინდათ?

— პორტიერის უკან თქვენი დაქალი იმალება. უთხარით, გამოვიდეს.

— აგნეს, აქ მოდი! — გასძახა მარტიმ.

სტაინერის მაღაზიის მწვანეთვალება ქერა ქალის თუ ქალიშვილის აქ გამოჩენამ ნამდვილად არ გამაკვირვა.

— ჯანდაბას! ვიცოდი, გვითვალთვალებდით! — ბრაზით ისროლა ჩემკენ, — ჯოსაც ვუთხარი, ფრთხილად იყავი-მეთქი!

— მორჩი! — შეუღრინა მარტიმ, — შუქი ჩართე, კარგად რომ დავინახო, ვისთან მაქვს საქმე.

ქერამ წითელაბაჟურიანი ტორშერი აანთო, მის გვერდით მდგარ პლუშის დიდ სავარძელში ჩაეშვა და ნაძალადევად გაიღიმა. ეტყობოდა, ძალიან შეშინებული იყო.

— კლიენტების სია, რაც წეღან ვახსენე, ჯერჯერობით დაშიფრულია. რაც შეეხება მათ რიცხვს, ოთხასს აჭარბებს. 12 ყუთი წიგნი, ვთქვათ, სამასია. თუ მათ დროებით სარგებლობაში გავცემთ, გაცილებით მეტი გამოვა. მოკლედ, თუ სია ნამდვილია და მთელი წიგნების გატანას მოახერხებდით, მილიონი დოლარის მეოთხედზე მეტი მოგება დაგრჩებოდათ, რაც ერთი ადამიანის გაწირვად ნამდვილად ღირდა.

— გაგიჟდით?! — შეჰკივლა ქერამ.

— მოკეტე! — უყვირა მარტიმ.

აგნესი სავარძელში გადაწვა, სახე დაძაბულობისაგან შეშლილს მიუგავდა.

— ამ, ასე ვთქვათ, ბიზნესის ხელში ჩასაგდებად თქვენ გუშინ საღამოს სტაინერი მოკალით, — განვაგრძე აუჩქარებლად, — წვიმამ კი ხელი შეგიწყოთ, მაგრამ, თქვენდა სამწუხაროდ, სტაინერი შინ მარტო არ იყო, რაც თქვენ ვერ შენიშნეთ, ან შენიშნეთ, შეგეშინდათ და გაიქეცით. მერე კი თავხედობა გეყოთ, უკან დაბრუნდით და გვამი სადღაც გადამალეთ, თან, ვიდრე მკვლელობის ამბავს ვინმე შეიტყობდა, წიგნების გატანაც მოახერხეთ.

ქერამ ამოიკვნესა და სახე კედლისკენ შეაბრუნა, მარტიმ კი, თვალიც არ დაუხამხამებია, ისე მშვიდად და დინჯად თქვა:

— ჩემო კარგო, მართლა ძალიან გაგიმართლათ.

— ანუ გამოვიცანი? — აშკარად გამიხარდა.

— არა, არა! გაგიმართლათ იმაში, რომ სტაინერი მე არ მომიკლავს.

— თუმცა მოკვლა შეგეძლოთ, — იხტიბარი არ გავიტეხე.

— შესაძლებლობას და რეალობას ერთმანეთში ნუ აურევთ, — დამარიგა მან, — მოკლედ, გგონიათ, მკვლელობას დამაბრალებთ?

— დარწმუნებული ვარ.

— რატომ?

— არსებობს ადამიანი, ვინც ამას დაადასტურებს.

— იმ იდიოტ გოგოს გულისხმობთ? უჰ, მე მაგის!.. — შესძახა მარტიმ და ლაზათიანი გინებაც მიაყოლა.

არაფერი მითქვამს. ფიქრის დრო მივეცი. ბოლოს სახე გაუნათდა, კოლტი მაგიდაზე დადო და დაიწყო:

— რამდენადაც ვხვდები, არც შანტაჟისტი ხართ და არც პოლიციელი. პირდაპირ მითხარით, რა გინდათ.

— ფოტოები დამიბრუნეთ. აქ და ახლავე. ახლა არ მითხრათ, რომელი ფოტოებიო. თქვენ რომ არ გქონდეთ, ვერ მიხვდებოდით, სტაინერის სახლში გუშინ ვინ იყო.

მარტიმ ჯერ აგნესს გადახედა, მერე მე შემომხედა:

— მეგობარო, მისამართი შეგეშალათ.

— მარტი, ნუ ჯიუტობთ. თუ ფოტოებს დააბრუნებთ, ის ქალიშვილი აღარაფერს იტყვის და თქვენც თავისუფლად ამოისუნთქავთ.

— თქვენ დეტექტივი ხართ? — მკითხა მან.

— დიახ.

— ჩემზე როგორ გამოხვედით?

— სტაინერი დრავეკთან იყო დაკავშირებული, რომლის დავალებასაც მე ვასრულებ. არცთუ შემთხვევით თვალი მივადევნე, როგორ გადმოზიდეთ სტაინერის წიგნები აქ. კარმენთან საუბრის შემდეგ მოვლენების აღდგენა შეუძლებელი იყო, მაგრამ...

— და მან გითხრათ, რომ სტაინერს მე ვესროლე? — გამაწყვეტინა მარტიმ.

— ჰო, მაგრამ შეეძლო შემცდარიყო.

— მას ჭირის დღესავით ვეზიზღები, — შენიშნა მარტიმ, — კარმენს რომ ჩამოვშორებოდი, დრავეკმა კარგად გადამიხადა, მაგრამ, რომც არ გადაეხადა, მაგ კახპას მაინც მივატოვებდი.

— ფოტოები მომეცით, მარტი.

მარტი წამოდგა, კოლტი გვერდითა ჯიბეში ჩაიდო და ის იყო, ხელი სამკერდე ჯიბისკენ წაიღო, რომ... კარზე გაბმული ზარის ხმა მოისმა.

მარტის ეს არ მოეწონა. ქვედა ტუჩზე იკბინა და სახე მოეღუშა. ზარი კი რეკვას განაგრძობდა.

აგნესი სწრაფად წამოდგა. ნერვულმა დაძაბულობამ თითქოს ერთბაშად დააბერა.

მარტის ჩემთვის თვალი არ მოუშორებია, ისე გამოსწია საწერი მაგიდის უჯრა, თეთრსახელურიანი პატარა ავტომატური პისტოლეტი ამოიღო, აგნესს გაუწოდა და ბზარნარევი ხმით დააყოლა:

— დეტექტივთან გადაჯექი და მიზანში ამოიღე! თუ საჭირო გახდა, იმოქმედე!

ქერა ტახტზე ჩემგან სამ ფუტში ჩამოჯდა და პისტოლეტი ჩემს ფეხს დაუმიზნა.

ზარი კაკუნმა შეცვალა, ხშირმა და მოუთმენელმა. მარტი იქითკენ წავიდა, მარჯვენა ხელი პიჯაკის ჯიბეში ჩაიდო, მარცხენათი კი კარი გამოაღო.

ოთახში რევოლვერმომარჯვებული კარმენ დრავეკი შემოვარდა და შიშისგან უკანდახეულ მარტის ეცა:

— ფოტოსურათები მომეცი! ჩქარა!

ამას აგნესის გააქტიურება მოჰყვა. მან თავისი პისტოლეტი ზეალმართა და კარმენს დაუმიზნა. მაშინ ჩვენ შორის პატარა შებრძოლება გაიმართა, რაც ჩემი გამარჯვებით დასრულდა — აგნესს პისტოლეტი წავგლიჯე, მაგრამ ამ ყველაფრისთვის არც მარტის მიუქცევია ყურადღება და არც კარმენს.

ბინის პატრონმა ნერწყვი გადაყლაპა, გაღიმება სცადა და დაყვავებით თქვა:

— ჰო, რა თქმა უნდა. დაწყნარდი, გოგონი, დაწყნარდი!

ასეთ გაანჩხლებულ და სახეშეშლილ კარმენს ასე უცებ რა დააწყნარებდა? მან გააფთრებით შესძახა:

— შენ ჰაროლდს ესროლე! მერე ფოტოები მოიპარე! ახლავე დამიბრუნე, ახლავე!

— მოიცა, კარმენ! შეჩერდი! — ვიყვირე მთელი ძალით, მაგრამ დრავეკის ქალიშვილი არც კი შემობრუნებულა.

სამაგიეროდ, ქერა მოეგო გონს და კბილებით იმ ხელში ჩამაფრინდა, რომელშიც მისი პისტოლეტი მეჭირა. ცხადია, მისი მოშორება ვცადე და შევძელი კიდეც, მაგრამ მერე დაიხარა და კბილებით ფეხში მწვდა, რამაც მოთმინება დამაკარგვინა და ქალს თუ ქალიშვილს ისე ჩავცხე მისივე პისტოლეტი თავში, რომ ჩემს ფეხს შეეშვა და დარეტიანებული პირდაპირ იატაკზე, ტახტთან ჩაჯდა.

ამასობაში მარტიც შეეცადა, კარმენისათვის იარაღი წაერთმია, მაგრამ ვერას გახდა.

უეცრად შემოსასვლელ კარს გარედან რაღაცა მძიმე მიეჯახა. ამან მარტი გაახელა, კარმენს ისევ ეძგერა, კოლტი წაგლიჯა და უკან გახტა.

კარზე შტურმი განმეორდა, ამჯერად უფრო ძლიერი, მერე კი ისევ და ისევ.

მე აგნესის პისტოლეტი გვერდზე მოვისროლე და ის იყო, ჩემი რევოლვერი ვიშიშვლე, რომ ნაფოტებად ქცეულ კართან ერთად ოთახში ტონი დრავეკი შემოიჭრა.

ის მაგარი მთვრალი იყო, თვალებში სისხლი მოსწოლოდა, პირიდან



Cyan Magenta Yellow Black

დუჟი სდიოდა და ხელებს უაზროდ იქნევდა...

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო და მკითხველიც არ გადავღალო, მოკლედ ვიტყვი: ოთახში ნამდვილი ომი გაიმართა, რაც ორი მამაკაცის სიკვდილით დამთავრდა — მარტიმ დრავეკს ზურგში ესროლა, ეს უკანასკნელი კი, უკვე სასიკვდილოდ დაჭრილი, მარტის ყელში სწვდა და იქამდე უჭირა, სანამ არ დაახრჩო.

რაკი იქ რაღაცა მეგულებოდა, მარტის გვამთან ჩავიმუხლე, მისი სამკერდე ჯიბიდან კონვერტი ამოვიღე, რომელიც მკვრივი და მძიმე მეჩვენა, მერე წამოვდექი და მიმოვიხედე.

სადღაც შორიდან სირენის ხმა მომესმა, რომელიც თითქოს გვიახლოვდებოდა.

— მამა მთვრალი იყო, — ცივი ხმით თქვა კარმენმა, — მაიძულა მეთქვა, რომ აქ მოვდიოდი. რას ვიფიქრებდი, თუ გამომყვებოდა...

— არ უნდა ჩარეულიყავი, — ვესროლე მშრალად, მერე კონვერტიდან ფოტოსურათები ამოვიღე და ნელ-ნელა, მეთოდურად, ნაკუწებად ვაქციე, რომლებიც იატაკზე მოეფინა, — გოგონი, შენს ფოტოებს გაზეთები კიდევ დაბეჭდავენ, მაგრამ ამათ ველარავინ ნახავს.

სინერა უკვე სახლის გვერდით ყმუოდა, რასაც გაბმული გუგუნი მოჰყვა, ბოლოს კი სულ შეწყდა.

ბოლო სცენა ინსპექტორ აიშემის კაბინეტში გათამაშდა.

გაი სლეიდი კაკლის ხის დიდ მაგიდას იდაყვებით დაეყრდნო და ჩემთვის არც შემოუხედავს, ისე თქვა:



— თქვენ გმადლობთ, კერძო დეტექტივო, რაღაცეებში რომ გაგვერკვიეთ. მთავარი სამმართველოს წარმომადგენლებთან დროდადრო ურთიერთობა ნამდვილად მსიამოვნებს, — მან თვალები მოწკურა და ნაძალადევად გაიღიმა.

ინსპექტორი აიშემი — გამხდარი, ჭაღარა მამაკაცი პენსნეთი, პოლისმენს სულ არ ჰგავდა. მე მის პირდაპირ ვიჯექი, მაგიდასთან, იასამანი ჯი და მხიარული ირლანდიელი დეტექტივი კი, გვარად გრინელი, სავარძლებში მოკალათებულიყვნენ.

— მისტერ სლეიდ, უნდა მაპატიოთ, — ვთქვი გულწრფელად, — მომეჩვენა, რომ სისხლი ძალიან სწრაფად შეამჩნიეთ. ცხადია, ვცდებოდი, რასაც ვაღიარებ.

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს არაფერი მომხდარა, — ის წამოდგა და იქვე მიდგმული ხელჯოხი აიღო, — ინსპექტორო, ჩემთან მორჩით?

— დღეისთვის ჰო, — მშვიდად მიუგო აიშემმა.

სლეიდი კართან მივიდა, გამოაღო, გაიღიმა და გავიდა, ინსპექტორმა კი მე მომმართა:

— მგონი, ახსნა არ გჭირდებათ, დანაშაულის გახსნის ამგვარ მეთოდს პოლიციის სამმართველოში როგორ უყურებენ...

მძიმედ ამოვიოხრე და დავიწყე:

— ჯერ სროლები... მერე ადამიანის გვამი იატაკზე... შიშველი, ნარკოტიკებით გაბრუებული ქალიშვილი, რომელიც აზრზე არ არის, რა მოხდა... მკვლელი, რომლის დაკავება ვერც მე შევძელი და ვერც თქვენ... ჯიქურ მიაწექით, ყველაფერი მე დამაბრალეთ... არ მეწყინება!

აიშემმა ჩემი ნათქვამი ყურებშუა გაატარა და მართლა ჯიქურ შემეკითხა:

— მაინც ვინ მოკლა სტაინერი?

— თუ ჩემი ვარაუდი გაინტერესებთ... დრავეკის მძღოლმა, ჩარლზ ოუენმა.

იასამანმა ჯიმ გაკვირვებით შესძახა:

— აი, ზღაპარი!

ინსპექტორის რეაქცია კი უფრო საქმიანი იყო:

— ამას რატომ ფიქრობთ?

— თავიდან მკვლელი მარტი მეგონა, რადგან ასე თქვა კარმენმა, არადა არანაირი სამხილი არ გააჩნდა და უბრალოდ, ქალური შურისძიება ამოძრავებდა, ის ხომ მარტიმ მიატოვა. ცხადია, სლეიდზეც ვიფიქრე, მაგრამ მას ამის მოტივი არ გააჩნდა და რომც ჰქონოდა, მოწმის თანდასწრებით არ მოკლავდა. აი, ოუენი კი მოკლავდა.

— რატომ?

— ადრე მას კარმენი უყვარდა და, როგორც ჩანს, ეს გრძნობა ბოლომდე გაჰყვა. ჩარლზ ოუენი კარმენს უთვალთვალებდა და მისი ყოველი ნაბიჯი იცოდა. სწორედ ეჭვიანობის გამო შეაღწია მან სტაინერის სახლში, რასაც მკვლელობა მოჰყვა. მერე მას შეეშინდა და გაიქცა.

— ბოლოს, როგორც ვიცი, ლიდოსთან დაიღუპა, — ჩაურთო ინსპექტორმა.

— ჰო, დრავეკის „კადილაკით“ ზღვაში გადავარდა, — დავუდასტურე.

— მარტიზე რას იტყვით?

— მან როგორღაც ფოტოსურათების ამბავი შეიტყო. სტაინერის სახლში შევიდა, ფოტოები აიღო, სტაინერის გვამი კი მისივე გარაჟში გადამალა. აი, ასე იყო.

— კარგით, — აიშემმა თავი შეაბრუნა, — გრინელ, აგნეს ლორელი შემოიყვანეთ.

გრინელი წამოდგა, კაბინეტი გადაჭრა და კარს მიღმა მიიმალა.

— რა მაგარია! — შესძახა იასამანმა.

გრინელი ქერა ქალიშვილთან ერთად მალე დაბრუნდა. აგნესს აჩეჩილი თმა პალტოს საყელოზე დაჰფენოდა, აქატის საყურეები აღარ ეკეთა, დაღლილი ჩანდა, მაგრამ შიში არ ეტყობოდა. ის მაგიდასთან მდგარ სავარძელში ჩაჯდა და ხელები წინ დაიწყო.

— მის ლორელ, — გულთბილად მიმართა აიშემმა, — ახლა თქვენ მოგისმენთ, თუ შეიძლება.

— ჯო მარტი სამი თვის წინ გავიცანი, — მშვიდი ხმით დაიწყო ქერამ, — ჩემი აზრით, იმიტომ დამიმეგობრდა, სტაინერთან რომ ვმუშაობდი. კარმენ დრავეკის მამისგან მიღებული ფული უკვე შემოლეოდა და ახალი თაღლითობისთვის ემზადებოდა. ჯომ სტაინერის თვალთვალი დაიწყო, რომ შეეტყო, დანაშაულებრივ სამყაროსთან რამე ხომ არ აკავშირებდა, — აგნესი გაჩუმდა.

— განაგრძეთ, გისმენთ, — შეახსენა ინსპექტორმა.

— გუშინ საღამოს მარტი სტაინერისსახლის უკან, მანქანაში იჯდა. მან ჯერ სროლის ხმა გაიგონა, მერე კი ბიჭი დაინახა, კიბე რომ ჩამოირბინა, „კადილაკში“ ჩაჯდა და ადგილს მოსწყდა. ჯო უკან გამოედევნა. ნაპირამდე შუა გზაზე დაეწია, უბიძგა და შოსედან გადაახვევინა. ბიჭი პისტოლეტით მიეჭრა, მაგრამ ჯომ დაასწრო და დარტყმით გააბრუა. მერე გაჩხრიკა და გაიგო, ვინც იყო. როცა ბიჭი გონს მოვიდა, ჯომ თავი პოლისმენად წარუდგინა, რამაც საბრალო ისე შეაშინა, რომ ყველაფერი აღიარა. ვიდრე მარტი ფიქრობდა, მერე რა ექნა, ბიჭმა ძალა მოიკრიბა, მარტი ხელის კვრით გარეთ გადმოაგდო, თავად კი „კადილაკი“ გიჟივით გააქროლა. ჯო აღარ დადევნებია, უკან გამობრუნდა. დანარჩენი თქვენ იცით.

— მორჩით? — შეეკითხა ინსპექტორი.

— როცა ჯომ შიშველი ქალის ფოტოები ნახა, მიხვდა, რომ ქალაქი მანამდე უნდა დაგვეტოვებინა, ვიდრე პოლიცია გვამს მიაგნებდა.

— მერე რას აპირებდით?

— სტაინერის წიგნები უნდა წაგვეღო და სხვა ქალაქში მაღაზია გაგვეხსნა.

აიშემმა მაგიდაზე თითები ააკაკუნა:

— მარტიმ ყველაფერი გიამბოთ, ხომ?

— დიახ.

— დარწმუნებული ხართ, რომ ჩარლზ ოუენი მას არ მოუკლავს?

— იქ არ ვყოფილვარ, მაგრამ ჯოს საქციელით თუ ვიმსჯელებთ, ის მკვლელს არ ჰგავდა.

— კარგით, მის ლორელ. დღეს ეს ვიკმაროთ. ცხადია, თქვენი დაკავება მოგვიწევს.

აგნესი წამოდგა და გრინელის თანხლებით ისე გავიდა ოთახიდან, არავისთვის შეუხედავს.

— მარტის ჩარლზ ოუენის დაღუპვის ამბავი არ შეიძლებოდა სცოდნოდა, — ალაპარაკდა აიშემი, — მაგრამ ის დარწმუნებული იყო, რომ ოუენი მიმალვას შეეცდებოდა. როცა ჩვენ მარტისთან მივედით, მას უკვე მოესწრო დრავეკისაგან ფულის აღება. ჩემი აზრით, ქალიშვილი სიმართლეს ამბობს.

ყველა ჩუმად იყო. ცოტა ხნის შემდეგ ინსპექტორი მე მომიბრუნდა:

— თქვენ უხეში შეცდომა დაუშვით. ორი ადამიანის ერთდროული დაღუპვა არც ისე გარდაუვალი იყო.

— იქნებ ყველაფერი თავიდან დამეწყო? — ვიკითხე ნაწყენმა.

— ნურც გწყინთ და ნურც მედავებით.

— არ გედავებით. მე დრავეკის პრობლემების მოგვარებას ვცდილობდი. რა ვიცოდი, კარმენი თუ ასეთი შეშლილი იყო და მამამისი ასე გაბრაზდებოდა?

— კარგით. დღეისთვის მოვრჩეთ, ოღონდ იცოდეთ, ეს ყველაფერი ასე იოლად არ დამთავრდება, — ინსპექტორი წამოდგა. მეც. მან ხელი გამომიწოდა და ჩაილაპარაკა, — ჭკუის სწავლება გვიანი არასოდესაა. აბა, კარგად.

მე და იასამანი ლიფტიდან ძირს ისე დავეშვით და ქუჩაში ისე გავედით, ერთმანეთისთვის არაფერი გვითქვამს.

მე ჩემი ცისფერი „კრაისლერის“ საჭეს მივუჯექი, ის კი გვერდით მომიჯდა და შემეკითხა:

— სახლში დასალევი გაქვს?

— რამდენიც გინდა, — მივუგე უხალისოდ.

— მაშინ სწრაფად დაგაზე, მალე რომ მივიდეთ და თითო გადავკრათ, — მიბრძანა ომახიანად.

წყნარი საღამო იყო.

ჩემს ცისფერ „კრაისლერს“ ბერგლუნდისკენ მივაქროლებდი.

თავს დაღლილად ვგრძნობდი, დაბერებულად და გადასაგდები ნივთივით გამოუსადეგრად...

თუმცა...

დალევის პერსპექტივა რაღაცნაირად მაინც მახალისებდა.

დასასრული

✓ თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი


Cyan Magenta Yellow Black

www.facebook.com/Tinatinbonney

**თინათინ ბონი**

# ეიფორია

## მესამე ნაწილი

დასაწყისი №7-17

### ცეკვის თერაპია

შაბათია. სახლს ვალაგებ და ბოლო ხმაზე ვუსმენ „Daft Punk & Pharell - Get Lucky“. ცოცხს ვიქნევ უაზროდ და ზოსი დახტის ჩემ გარშემო. სანდრო მემესიჯებოდა გუშინ. ვგიჟდები, როცა მოულოდნელად მწერს რაიმე უხამსობას. ვაგდებ ცოცხს და ახლა უკვე პროფესიონალური ძიგძიგით ვკავდები. კარზე ზარია. მივდივარ და ვაღებ. სანდროს სქუარედის ახალი სათვალე უკეთია და მიღიმის. აცვია თეთრი მაისური, გახეხილი ჯინსები და პრადას კედები. ხელში კრუასანებით სავსე ქაღალდის კონტეინერი უჭირავს.

— დილა მშვიდობის, — მეუბნება, ტუჩებში მკოცნის და შემოდის.

— მობრძანდით, — ვეუბნები კმაყოფილი.

სანდრო დონატებს მაგიდაზე დებს და სათვალეს იხსნის. მუსიკალური ცენტრი გაუთავებლად ატრიალებს იმავე სიმღერას.

— ყველა რატომ დაიციკლა ამ სიმღერაზე? — სანდრო ჩაიდანს რთავს.

— ძალიან სიმღერაა და მაგიტომ, — ვეუბნები და კარადიდან ჭიქებს ვიღებ.

— მოდი ჩემთან! — სანდრო თავის მკლავებში მაქცევს და მკოცნის.

ვდნები. ჩემი ყველაზე, ყველაზე მაგარი კაცი! მისი მაისურის ქვეშ ვაცურებ ხელებს.

— ლენაჩკა, რა დღეში ხარ? — მეკითხება ცინიკურად.

სიცილი მიტყდება. სანდროც იცინის. ორივე ვჭიხვინებთ სამზარეულოში.

— სანდრო, ნიას რატომ აჩუქე ჩემი მანქანა? — ვეკითხები უეცრად.

— რა? — სანდრო სერიოზულდება.

— ნიას ჩემი მანქანა რატომ მიეცი-მეთქი.

— დათოს რატომ უყურებდი „შეყვარებული“ თვალებით ჩემთან სახლში?

— შენ ეს დაინახე? — გაოცებული ვარ.

— როგორ ვერ უნდა დამენახა, ლენა?

თავს ვხრი და ვიღუშები. სანდრო სახეს მაწევინებს და ნაზად მკოცნის ტუჩებში.

— გავარტყი მაგათ ყველას! შენ მყავხარ ახლა და მინდა, რომ ასე ვიყოთ მუდამ.

— მეც მინდა, — კისერზე ვხვევ ხელებს.

— მოდი, ვისაუზმოთ და შემდგომ უფლებას მოგცემ, ჩემით ისარგებლო, — მეუბნება კმაყოფილი სახით.

— სიამოვნებით.

— ოღონდ ექსპერიმენტების გარეშე, ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ სიკვდილისთვის, — სანდრო იკრიჭება.

— რატომ მახსენებ? — სირცხვილით ვიშმუშნები.

— კაი, ვის არ მოსვლია, — ახლა უკვე ხმამაღლა იცინის სანდრო.

— სანდრო!

— კარგი, გავჩუმდი.

ვასხამ ჩაის და დონატებს თეფშებზე ვალაგებ. მივირთმევთ და ვსაუბრობთ ზოგადსაკაცობრიო თემებზე.

— სანდრო, რაღაც მინდა, გკითხო, — არ მასვენებს რა, გამჩენი!

— მკითხე, — სანდრო ცოტა იძაბება, მაგრამ არ იმჩნევს.

— მე და შენ რომ სულ ერთად ვიყოთ, შენ სხვა ქალი აღარ მოგინდება?

— ვგავვარ მე ახლა კაცს, რომელიც ცოლს ღალატობს?

ცოლსო, ცოლსო! ცოოოლსოოოო! ვცდილობ, არ გავიკრიჭო.

— და შენ მზად ხარ, რომ სხვისკენ აღარასდროს გაიხედო? — მეკითხება სერიოზული სახით.

უცებ თავში გამირბის დათო და ენდი. მზად ვარ კი მე ამისთვის? ჩემი არეული და მუდამ მერყევი ემოციების ფონზე?

— კი, — ვეუბნები და თვალებში ვუყურებ მეტი დამაჯერებლობისთვის.

— მშვენიერი მაშინ. ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის.

— არ გეუბნებიან ხოლმე, რომ ჩემზე უკეთესი შეგიძლია? — არ ვისვენებ.

სანდროს კრუასანის ფუჩხი სცდება ყელში და ახველებს.

— რას მეუბნებიან?

— რომ, ლენა რად გინდა, უკეთესიც შეგიძლიაო.

— და ვინ გამიბედავს მაგას მე? თანაც არ ვიცი, შემიძლიაში რას გულისხმობ. მე ვიცი, რაც მინდა! შენ მართლა გონზე არ ხარ, რა ლამაზი ხარ.

ვიბადრები. ლამაზი ვარ, ლამაზი!

— თანაც, შენთან რომ სექსი მაქვს, არავისთან მქონია მასეთი, — თვალს მიკრავს.

საერთოდ კმაყოფილებისგან ჰაერში ვიწევი.

— განსაკუთრებით, როცა ცდილობ, გამკოჭო, — მეუბნება სერიოზულად.

— სანდრო! ისედაც მრცხვენია, ნუ მახსენებ! — აუტანელი ეს!

სანდრო ხარხარებს. მეც ვიცინი. კარგი წყვილი ვართ. და იმასაც შევეგუები, რომ „სიძე პატარძალს ჯობია“. რა ვუყო ახლა, გამიმართლა.

— უი, თამილას ფული მოგცე, — ვამბობ და გავდივარ საძინებელში.

ვიღებ უჯრიდან პარკს და ვბრუნდები სამზარეულოში. ვყრი პარკის შიგთავსს მაგიდაზე. ვარდება ფულის კონვერტი და... დავიღუპე! კონვერტთან ერთად ვარდება ბეჭდის ყუთი. სანდრო ფითრდება. გაშეშებული ვდგავარ. რამ შემანახვინა დედამისის ფულთან ერთად. სანდრო ყუთს ხსნის და ენდის ნიშნობის ბეჭედს იღებს.

— ეს რა არის? — მეკითხება ისე, რომ მგონია, გამგლეჯს შუაზე.

— სულ დამავიწყდა, რომ მქონდა, — ვეუბნები შეშინებული.

— ეს რა არის, ლენა? — ბეჭედს მაგიდაზე აგდებს.

— ენდის ნაჩუქარი ბეჭედია, სანდრო. სულ გადამავიწყდა.

სანდრო სკამიდან დგება. ისეთი გაბრაზებულია, კისრის ვენაც კი ებერება.

— რას აკეთებ? — ვეკითხები ცახცახით.

— იცი, ლენა, ყველაფერს აქვს საზღვარი. ჩვენ ახლა ამ საზღვარს მივუახლოვდით.

— სანდრო, შენს თავს ვფიცავარ, დამავიწყდა! — ვამბობ აკანკალებული ხმით.

— არ მაინტერესებს!

სანდრო მიდის და კარს აჯახუნებს. ყველაფერი უჯიშობა მე როგორ უნდა დამემართოს!

საღამო. მოვუყევი გოგოებს, რა მოხდა. ვსხედვართ და ვბჭობთ. არ ვიცი, მიმატოვა სანდრომ თუ უბრალოდ გაბრაზდა. ველარც ვტირი.

— ლენა, რაღაცაში მართალია, — მეუბნება ნანუკა.

ირა ჩუმად ზის. საერთოდ სად დადის ეს დღეები ნეტა? ეჭვი მაქვს, კლოდთან დაძვრება.

— ნან, მართლა გადამავიწყდა.

— ლენა, აბა, კარგად დაფიქრდი. დათოსთან ქორწინების ბეჭედიც ხომ არ გადაგავიწყდა სადმე?

ვკრთები. ის მართალია. ხის ბეჭედი დღემდე მიდევს სამკაულებში.

— ლენ, სანდროსთან ნორმალური ურთიერთობა თუ გინდა, უნდა საერთოდ დაივიწყო ორივე.

— რა გავაკეთო, ნან?

— რა და ან გადაყარე ეგ ბეჭდები და ან დაუბრუნე მათ. ამითი მათაც მიახვედრებ, რომ ყველაფერი დამთავრდა.

გავდივარ საძინებელში და დათოსთან ქორწინების ხის ბეჭედს ვეძებ. ვპოულობ. ვბრუნდები ნანუკასთან.

— მზად ვარ.

— დარწმუნებული ხარ? — ეჭვის თვალით მიყურებს ნანუკა.

— კი.

ნანუკა ენდის ბეჭედს მაწვდის.

— ახლა რა ვქნა?

— ნუ, დათოს მისამართი იცი და შეგიძლია კართან დაუტოვო და ენდი, საშკას ვკითხოთ, თუ აქაა.

— აქაა, — ამბობს ირა.

— შენ რა იცი? — წარბს სწევს ნანუკა.

— შევალ მე, გადავივლებ, — ირა სააბაზანოში მიიძურწება.

— კლოდი? — ვეკითხები ნანუკას.

— უეჭველი! გაიშარება ეს გოგო.

— კარგი, მაშინ მე ახლა დათოს მოვილევ და ენდი თუ სამსახურშია, გამიგებს საშკა. ხვალ კვირაა, მაგრამ იცის ხოლმე მაგან კვირას მუშაობა.

ვდგავარ დათოს კართან. დავრეკო ზარი? სანდროს დარტყმის მერე არ გამოჩენილა საერთოდ და იქნებ არცაა აქ. ბეჭედი კონვერტში დევს და ზემოდან აწერია: „დათოს“. ვდებ კონვერტს კართან, ზარს ვრეკავ და გიჟივით ჩავრბივარ კიბეზე. მესმის კარის ხმა და, საბედნიეროდ, უკვე დაბლა ვარ. ძლივს ვსუნთქავ. ვაჩერებ ტაქსს და ვხტები შიგნით.

— სად მივდივართ? — მეკითხება მოხუცი კაცი.

— დაძარით და გზაში გავერკვევით.

ძრავს და მივლოლავთ. მომდის დათოს მესიჯი: „გასაგებია“. ღრმად ვისუნთქავ. ეს ერთი. პაპა რადიოს უწევს და აქაც „Daft Punk & Pharell - Get Lucky“ უკრავს. საშკასგან ვიცი, რომ ენდი



Cyan Magenta Yellow Black

სამსახურშია. თანაც მის გარდა არავინ იქნება ახლა იქ. ენდის უნდა დაველაპარაკო.

მომნატრებია ჩემი სამსახური. დაცვა მცნობს და ძალიან თბილად მხვდება. კარსაც მიღებს, ჩემდა გასაკვირად. აი, რატომ უნდა გქონდეს ყველასთან კარგი ურთიერთობა. შევდივარ ოფისში. საოცარი სიჩუმეა. მივდივარ ენდის კაბინეტთან. ძალებს ვიკრებ და კარზე ვაკაკუნებ. სიჩუმე. იქნებ საპირფარეშოშია? კიდევ ვაკაკუნებ. ნელა ვაღებ კარს და ვხედავ, რომ ენდი იატაკზე წევს. სწრაფად მივრბივარ მასთან. უგონოდ არის, მაგრამ სუნთქავს. ვრეკავ სასწრაფოში და დაცვასთან. ვჯდები მის გვერდით იატაკზე და ვცდილობ, პულსი გავუსინჯო. ხელოვნური სუნთქვა ხომ არ გავუკეთო? სრული პანიკა მაქვს. შემორბის დაცვის შეშინებული მუშაკი. მკერდზე ვიდებ ენდის ხელს და ვეფერები.

— ლენა... — ჩურჩულებს ენდი ისე, რომ თვალებსაც არ ახელს.

— ნუ ლაპარაკობ. სასწრაფო მალე მოვა.

— ვიცოდი, რომ შენ იყავი...

მიჭირავს მისი ხელი და ვუყურებ მის სახეს. მზად ვარ, რომ ეს ყველაფერი დავამთავრო? შემიძლია გავუშვა ასეთი დიდი სიყვარული?

ენდი საავადმყოფოში წაიყვანეს. მე სახლში წამოვედი. დაცვამ ნეკას დაურეკა და ჩემი იქ გაჩერება არ შეიძლებოდა. ძალიან ვნერვიულობ. იმდენად, რომ სანდრო სულ გადამავიწყდა. მას კი არც დაურეკავს და არც მოუწერია. რატომ ვარ ასეთი არეული, რატომ? ვრთავ „Daft Punk - Make Love" და ვწვები ლოგინში. მუდმივი ძილი მინდა.

ორშაბათი. სამსახური. ინოლა გურგულია. დოდო თავისი იდეებით. ვზივარ ჩემს ოთახში და ვუყურებ ენდის ბეჭედს. ვიცი, რომ უნდა დავაბრუნო, მაგრამ არ მინდა. ვიღებ ფურცელს და ვიწყებ წერას.

„მე მადლობელი ვარ იმისთვის, რომ მყავს საყვარელი ადამიანი. მას მე ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ და მე ის მიყვარს ისეთი, როგორიც არის. იგი მიგებს და მავსებს, როგორც ადამიანს. ჩვენ ძალიან ბედნიერები ვართ ერთად".

ვკეცავ ფურცელს და ვდებ ბლოკნოტში. მერფის თუ დავუჯერებთ, ან ჩემი აწმყო კაცი იქნება ისეთი, როგორიც მე მინდა, ან შემხვდება ვინმე, ვინც იქნება. მთავარია, იცოდე, რა გინდა. მობილური რეკავს. ლიზაა. ვპასუხობ.

— ლენა, პრივეტები. რაზე გაწუხებ, ბატონი დევინსის დავალებით გირეკავ, შენი ნახვა უნდა და იქნებ გახვიდე საავადმყოფოში მასთან.

— როდის? — გული მიჩქარდება.

— ახლა თუ შეგიძლია?

— გამოვდივარ.

ვეთავისუფლები დოდოს და გავრბივარ ოფისიდან. რატომ ვღელავ ასე? რადგან დაარეკინა ჩემთან, ესე იგი, ნეკა იქ არ არის. მთავარია, უკეთესადაა.

ვაკაკუნებ კარზე და შევდივარ ენდის პალატაში. ექთანი გადასხმას უკეთებს. ვდგები კუთხეში და ველოდები პროცედურის დასრულებას. ექთანი გვტოვებს. ვუახლოვდები ენდის და მის გვერდით ვჯდები.

— უკეთ ხარ? — ვეკითხები და შუბლზე ვკოცნი.

— კი, — მეუბნება ღიმილით.

— რა დაგემართა?

— სტრესი, გაუწყლოება, გადაღლა, ყველაფერი ერთად.

— მიხედე თავს, ენდი!

— შენ მე გადამარჩინე, — მეუბნება ენდი და ჩემს ხელს იღებს.

— კარგი ახლა, შენ არ კვდებოდი, — ვცდილობ, გავიღიმო.

— თვითონ როგორ ხარ?

— კარგად.

სიჩუმეა. ვცდილობ, არ შემეტყოს, როგორ ვნერვიულობ.

— ენდი, ბოდიში მინდა მოგიხადო იმ ამბავზე...

— არ გინდა, — ენდი ხელზე მკოცნის.

— მინდა! გაგიფუჭე ის დღე და კინაღამ დაგახრჩო სანდრომ.

— მასთან ბედნიერი ხარ? — მეკითხება ენდი და გული მეკუმშება.

და მართლაც... ბედნიერი ვარ?

— კი, — ვპასუხობ და ვხვდები, რომ პირველად ეს სრული სიმართლეა.

— Then I am happy for you, — ენდი თვალებს ხუჭავს.

ვდგები ფეხზე. ვუყურებ ენდის სახეს და გულში ვემშვიდობები მას. ვიხრები და ნაზად ვკოცნი ტუჩებში. ჯიბიდან ბეჭედს ვიღებ და მის ხელში ვდებ. ენდი მუშტს კრავს, მაგრამ თვალებს არ ახელს. მივდივარ.

სამსახურში მოვბრუნდი. ნეტა, მალე დამთავრდეს ეს დღე. ძალიან ცუდად ვარ. ძალიან!

სახლი. შხაპი. სადილი. ძაღლის გასეირნება. გოგოებთან ჭორაობა. ადგილს ვერ ვპოულობ. ვწევარ და ვცდილობ, დავიძინო. ვხუჭავ თვალებს. სულ რაღაც სურათები დამირბის თვალწინ. ჩემს გონებაში დიდი არეულობაა. ვუყურებ მობილურს. თორმეტი საათია. ვდგები ლოგინიდან და ვიცვამ.



ვდგავარ სანდროს კართან. ვრეკავ ზარს. არავინ აღებს. ამ დროს სად უნდა იყოს? ნუთუ უკვე ვიღაცასთან არის? ამის გაფიქრებაზეც კი ყველაფერი მტკივდება. ვჯდები ძირს და ვეყუდები მის კარს. მეძინება. ვითიშები.

ხმაური მაღვიძებს. ლიფტიდან გამოდის პიჯაკში გამოწყობილი სანდრო. ჩემს დანახვაზე თვალები უფართოვდება.

— ადექი, გაცივდები, — მაყენებს იატაკიდან.

ვცდილობ, გამოვფხიზლდე. ვბარბაცებ. გამარჯობის ნაცვლად შეკითხვას ვახლი:

— სად იყავი?

— საქველმოქმედო საღამოზე.

— რაზე?

— ბავშვთა სახლისთვის ფულს აგროვებდნენ და დავეხმარე.

— მიდიი!

— ლენა, გეყოფა!

ვჩუმდები. სახლში შევდივართ და სანდრო პიჯაკს სკამზე კიდებს. ვჯდები სკამზე. სანდრო ვისკის ისხამს და დივანზე ჯდება. ხმას არ ვიღებთ.

— სანდრო... — ვამბობ და ენას ვყლაპავ. არ ვიცი, რა მჭირს. რატომ გავხდი უცებ 13 წლის გოგო?

— გისმენ, — მეუბნება და ვისკის სვამს.

— დავამთავრე.

— რა დაამთავრე?

— ყველაფერი, ორივე წარსულია.

— დარწმუნებული ხარ, რომ ეს გინდა?

— კი.

— ლენა, კარგად დაფიქრდი, მე მეტი აღარ ავიტან შენს გაურკვევლობას.

— ვიცი.

სანდროს ეღიმება და ცოტა მეშვება.

— მოდი ჩემთან, — მეუბნება და ხელს მიწვდის.

მივდივარ მასთან და მუხლებზე ვუჯდები.

ბეჭზე მკოცნის და მიხუტებს. ხელებს ვხვევ კისერზე და ტირილს ვიწყებ.

— კაი, ნუ ტირი, გული გინდა გამიხეთქო? — მეუბნება და ცრემლიან თვალებზე მკოცნის.

— სანდრო, არ ვიცი, რატომ ვარ ასეთი. არ ვიცი, რატომ ვარ მუდამ რაღაცის ძიებაში.

— კარგი, დამშვიდდი, — სანდრო ტუჩებში მკოცნის.

— აღარ შემიძლია, — ტირილის ხმას ვუმატებ.

— რა აღარ შეგიძლია?

— ეს უაზრო ეიფორია, აღარ შემიძლია. მშვიდად და წყნარად ცხოვრება მინდა.

— ლენ, მშვიდად და წყნარად შენ ვერ იქნები, — მეუბნება ღიმილით, — მაგრამ, თუ ჩემთან იქნები, ეს უკვე ყველაფერია ჩემთვის.

მეღიმება და ცხვირზე ვკოცნი. მის ულამაზეს, ნატიფ ცხვირზე.

— დავწვეთ? — თვალს მიკრავს.

— დავწვეთ, — თვალებს ვხრი.

— ოღონდ ვიძინებთ. დაღლილი ვარ და მეტი არაფრის იმედი არ გქონდეს! მით უმეტეს, შენებური თამაშების.

— სანდრო! — მეცინება.

ვდგები დივანიდან და საძინებელში გავდივართ. სანდრო მაისურს იხდის და სკამზე აგდებს. ვდგავარ და ვტკბები მისი ლამაზი დაკუნთული სხეულით. შარვალსაც იხდის და ახლა მისი ფეხები და საჯდომი მიბინდავს გონებას. ვჯდები ლოგინზე და ვაგრძელებ მის თვალიერებას.

— რა კარგი ხარ... — ვამბობ ჩურჩულით.

— შენ უფრო კარგი ხარ! — მეუბნება და ნელ-ნელა მხდის.

ვღოღდები ლოგინზე და საბნის ქვეშ ვძვრები. სანდრო კარადას აღებს და რაღაცას იღებს. ვცდილობ, გავარკვიო, რა არის ეს. ხელში უჭირავს აბრეშუმის წითელი შარფი. ჩემკენ ტრიალდება და მისი წყლიანი თვალები უკვე დაბინდულია.

— ამჯერად მე გავაკეთებ ყველაფერს ისე, როგორც საჭიროა, — თვალს მიკრავს და საწოლზე დგება მუხლებით.

ეს ღამე საოცარი იქნება. მე მხოლოდ მისი ვარ და ის მხოლოდ ჩემია. და ის, რაც ჩვენ შორის ხდება, მხოლოდ ჩვენია.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

# მსგავსება

ლელა ცუცქირიძე

ჯერ ისევ ბნელოდა, ალიონი იპარებოდა ფეხაკრეფით ქალაქში, მარეხს რომ გაეღვიძა, უფრო სწორად, სიზმარმა გამოაღვიძა.

— რა უცნაური სიზმარი იყო, — გაიფიქრა, უსიამოვნო განცდის მოშორებას შეეცადა, გაიზმორა და წამოჯდა, — ყველაფერი უცნაური მე როგორ უნდა დამემართოს. რას დავრბოდი შიშველი ქუჩაში, რა მინდოდა? — თავის თავს ისე უსაყვედურა, თითქოს ცხადში დარბოდა შიშველი, — ტანსაცმელიც რომ ვერ ვიპოვე მისაფარებლად, — ახლა გაეცინა, — ისე, რაღა დროს ჩემი შიშვლად სირბილია...

ტანზე დაიხედა, მაინცდამაინც არ იყო საკუთარი სხეულით უკმაყოფილო, უბრალოდ ასაკი თავის ნაკვალევს უტოვებდა ავტოგრაფივით. თითქოს თოვლზე პატარა ჩიტი დახტოდა მსუბუქად. მალე ალბათ დამძიმდებოდა და ნაოჭებიც უფრო ღრმა და მკვეთრი გახდებოდა უპეებთან, ყელზე, შუბლზე, ტუჩებთან...



— ოჰ, ამაზე ვიდარდო ახლა თუ იმაზე, სიზმარში შიშველი რომ დავდიოდი! — ჩაიქნია ხელი, მერე სწრაფად მოწესრიგდა, კარადიდან სტუდენტობისდროინდელი ფოტოებით სავსე ალბომი გამოიღო, სავარძელში ჩაეფლო და გადაშალა.

— ეჰ, მარეხ, მარეხ, რა გოგო იყავი, — გაყუჩდა, გაირინდა, ბევრი რამ გაახსენდა.

წლების წინ გადაღებულ ფოტოებზე საკუთარ თავს ისე უყურებდა, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს, იხსენებდა იმ ემოციებს, რაც ფოტოების გადაღებისას ჰქონდა, იმ ადამიანებს, ვინც მის გვერდით იდგა.

აი, მაგალითად, აქ, ამ ფოტოზე, ბედნიერია: ერთი ისეთი გამოცდა ჩააბარა, ასე ეგონა, მწვერვალი დაიპყრო. ნანასთან ერთადაა, თავის კურსელთან. მაინცდამაინც დიდი მეგობრობა არ აკავშირებდათ. მარეხი მზიასთან მეგობრობდა, თუმცა ძალიან განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. მარეხი ცეცხლი იყო, მზია — წყალი ამ ცეცხლზე. მარეხი — ფორიაქა, მზია — დინჯი, მარეხი — ხმაურიანი, მზია — ჩუმი, მარეხი — თამამი, მზია — მორცხვი, მარეხი — გახსნილი, მზია — ჩაკეტილი...

— ზედმეტადაც გახსნილი, — ასე ეუბნებოდა მზია.

— დიდი ამბავი, — უდარდელად პასუხობდა მარეხი, — რატომ უნდა ვცხოვრობდე ჩაკეტილი გულით?

— თანაც პირდაპირი და ირიბი მნიშვნელობით, არა? — ღრმა დეკოლტეზე ღიმილით ანიშნებდა მზია.

— რაც კარგი მაქვს, რატომ უნდა დავმალო, არ მესმის. ისედაც, ჩაკეტილი არც სივრცე მიყვარს და არც ადამიანები. მირჩევნია, ბოლომდე გახსნილი ვიყო, არაფერი მაქვს დასამალი.

— ოდესმე გექნება და დამალავ, — ეცინებოდა მზიას.

მარეხმა ფოტოალბომი გადაფურცლა.

აი, ეს ფოტო განსაკუთრებით უყვარს: სოხუმში იყვნენ ის და მზია, მეორე კურსი დახურეს და გიჟებივით გაცვივდნენ. წინ მზია, უკან მარეხი, წინ მარეხი, უკან მზია.

უთენია გადიოდნენ ნაპირზე, ზღვის მლაშე სურნელს ხარბად ისრუტავდნენ, იტუმბებოდნენ ამ სურნელით, რომ მერე, თბილისში დაბრუნებულებს, დიდხანს, დიდხანს გაჰყოლოდათ ზღვისგან და მზისგან ნაჩუქარი ენერგია.

ნაპირი კენჭების ფერადი მოზაიკით მოპირკეთებულს ჰგავდა: მწვანე, ფირუზისფერი, სერდოლიკისფერი, თეთრი, სადაფისფერი, გამჭვირვალე... აქა-იქ ნიჟარების პაწაწინა ბორცვებით და პირამიდებით, ზღვისგან გაპრიალებული ფესვებით...

მარეხი წყალში შედიოდა და გამოსვლა აღარც უნდოდა. მზიამ ცურვა არ იცოდა, ნაპირზე ელოდებოდა მეგობარს, ფოტოებს უღებდა. მზიას კარგი ფოტოები გამოსდიოდა, რამდენჯერმე ფოტოგამოფენაშიც მიიღო მონაწილეობა. სხვათა შორის, ამ ფოტოთი, რომელსაც ახლა უყურებდა მარეხი, მზიამ პირველი ადგილი აიღო მოყვარულ ფოტოგრაფთა გამოფენაზე... წყლიდან სანახევროდ ამოწეული მარეხი ქალთევზას ჰგავდა, მზის სხივებს ბულულა თმაში შუქ-ჩრდილების უცნაური გვირგვინი ჩაეწნა, თვალებში ვნების კოცონი ენთო, სავსე მკერდზე შხეფები მარაოსავით გადაშლოდა...

— აბა, ასეთი მკერდი როგორ არ უნდა გამომეჩინა? თანაც სულ რომ ჩადრით მევლო, მაინც ვჩანდი, მაინც მე დამსდევდა ყველა, — სავარძელში ჩაფლულმა მარეხმა კატასავით გაიზმორა, ალბომი დახურა, მაგიდის კიდისკენ გადაიზნიქა, კოსმეტიკური სარკე აიღო.

— ფუი, ეშმაკს! — სწრაფად შეატრიალა სარკის გამადიდებელი ზედაპირი, საიდანაც გადიდებულნაკვთებიანი მარეხი უყურებდა, სახის ყველა ნაკლი მოუჩანდა, ძაფივით წვრილი ნაოჭები ბაწრით დაგრეხილს ჰგავდა, მოვლილი წარბები — პატარა ბუჩქნარს.

— რაღა ამ მხრიდან ჩავიხედე? — ჩაილაპარაკა უკმაყოფილოდ და სარკე შეატრიალა.

ფოკუსი გასწორდა და მარეხი საკუთარ სახეს უკვე სიამოვნებით დააკვირდა. ბალზაკის ასაკის მშვენიერი ქალბატონი იყო, წლებს იხდენდა.

— კოსმეტოლოგთან ვიზიტი არ მაწყენდა, — ისევ გადიდებული სახე გაახსენდა, მაგრამ დეფექტების საძებნელად ხელმეორედ აღარ ჩაუხედავს.

— ხვალ წავალ და ეგ იქნება, რაღაზე ვიხეთქო გული? თმა შესაღები მაქვს უკვე? — ახლა თმას დააკვირდა გულმოდგინედ, — არა, ჯერ არა, ხვალ ნიღაბი უნდა დავიდო, არ დამავიწყდეს.

გაახსენდა, ერთხელ მაიონეზის შეზელვა რომ ურჩია მზიას. ის კი ადგა და მთელი ქილა მაიონეზი დაიმხო თავზე. ამის მერე იყო, აბაზანიდან რომ ველარ გამოდიოდა.

ნეტავ ახლა სადაა მზია, რას აკეთებს, რას საქმიანობს? ნელ-ნელა დაშორდნენ და აღარასდროს შეხმიანებიან ერთმანეთს, თითქოს მათ შორის ბეწვის ხიდი იყო გადებული და ის ხიდი ორივემ ერთად ჩაწყვიტა, მერე შეტრიალდნენ და თავ-თავის ნაპირებზე გააგრძელეს ცხოვრება ისე, რომ ერთმანეთისკენ აღარ მიუხედავთ.

— ნეტავ რატომ გაქრა, რა მოხდა... — ჩაილაპარაკა, — ოჰ, გაქრა და გაქრა, საერთოდ რამ გამახსენა ასი წლის წინანდელი მეგობრის ამბავი? ან რა საერთო მქონდა მასთან?! თან მაინცდამაინც ტუსას დაბადების დღეზე, ამისთვის მცალია?

— დე, რას აკეთებ? — ოთახში ტუსა შემოვიდა, ღამის პიჟამა ეცვა, დათუნიებით და გულებით მოხატული, თმა ფერადი ლენტებით ჰქონდა შეკრული.

„ჩემი დათუნია, — გაიფიქრა მარეხმა, თვალები გაუნათდა, თბილად გაეღიმა, — უკვე ოცი წლისაა და მაინც ბავშვივითაა“.

— რა ლამაზი დღეაა, რა ნათელი დღეაა! — წამოდგა და შვილისკენ სიმღერით წავიდა, — გილოცავ, დე, ჩემო ყველაზე, ყველაზე ლამაზო გოგო, ჩემო ყველაზე კარგო, თბილო, ჭკვიანო!

— დიდი მადლობა! — მოეხვია გაბრწყინებული ტუსა, — მეც ვულოცავ ყველაზე საუკეთესო დედიკოს შვილიკოს დაბადების დღეს. მაინც რას აკეთებდი?

— არაფერს, დე, ადრე გამეღვიძა და ძველ ფოტოებს ვათვალიერებდი, — თმა მოუჩეჩა მარეხმა, — რა ლამაზი მყავხარ.

— რა სასწაულია, — გაუცინა ტუსამ, — შენ და ადრე გაღვიძება?! ჩემი დაბადების დღის გამო ხომ არ ნერვიულობ?

— რატომ უნდა ვნერვიულობდე, სულელო, პირიქით, ძალიან მიხარია, — კიდევ ერთხელ მოუჩეჩა თმა მარეხმა, — წავალ, საუზმეს მოგიმზადებ.

— დე, ყავა, რა, — ხვეწნით შეხედა ტუსამ, — საუზმე არ მინდა, ხომ იცი, დიეტაზე ვარ.

— დღეს მაინც ნუ იქნები დიეტაზე, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა მარეხმა, სამზარეულოში გავიდა და ჩაიდანი ჩართო.

— უშაქრო, რა, — ახლა სამზარეულოს კარში გამოჩნდა ტუსას ლენტებიანი თავი.

— კარგი ჰო, კარგი, — მარეხმა ყავა ჩაყარა ფინჯანში, — შენ ის მითხარი, რას აპირებ? სადმე წახვალთ თუ აქ მოიყვან ვინმეს?

— ოო, რამდენჯერ გითხარი, წარმოდგენა არ მაქვს, — მხრები აიჩეჩა ტუსამ, ლენტების მოხსნა დაიწყო თმიდან, — ან

სადმე წავალთ, ან აქ მოვალთ, ან სადმე წავალთ და მერე აქ მოვალთ... მოკლედ, ჯერ არ ვიცი.

— შენი ვერაფერი გავიგე, — ქაფქაფა წყალი დაასხა ყავას მარეხმა, — ხომ უნდა ვიცოდე, რას აპირებ?

— იცი რა, ყოველი შემთხვევისთვის, ერთი პატარა ტორტი იყიდე, სხვა არაფერი გინდა, თუ მოვალთ, მარტო ყავას დავლევთ ან ჩაის, ტორტს მივირთმევთ და ის იქნება, სხვა არაფრის თავი აღარ გვექნება.

— კი, ბატონო, როგორც იტყვი, ჩემთვის ეგ ყველაზე მარტივი გამოსავალია, — გაუღიმა მარეხმა, — ესე იგი თავისუფალი ვარ. ძალიან კარგი, მაშინ თავს მივხედავ.

ტუსამ ლენტები მოიხსნა, დახვეული თმა ჩამოიშალა.

„რა ლამაზი მყავს! — თვალი ვერ მოსწყვიტა შვილს, — მამის ასლია, ჩემი ჭკვიანი. კარგი იყო, დათო მოსწრებოდა ამხელა შვილს... მაინც როგორ ვუყვარდი, ყველა სურვილს მისრულებდა, ოღონდ რამე მეთხოვა. ასეთი სიყვარული თუ შეიძლება, ახლაც არ მგონია. ღმერთო, ნეტავ ტუსას შეხვდეს მისნაირი ერთგული და ცოლზე გაგიჟებული ქმარი... და როგორი ჭკვიანი იყო? ყველაფერი ისე გააკეთა, რომ აგერ ამდენი წელია უზრუნველად ვცხოვრობთ მისი წყალობით“...

დათო მარეხზე ბევრად უფროსი იყო. გოგოები ჩვეულებრივად გაიცნო, წვიმდა და მანქანა გაუჩერა ერთიანად გალუმპულებს. მარეხი მაშინვე ჩახტა მანქანაში.

— ჩაჯექი, ვერ ხედავ, როგორ სველდები? — ისე უთხრა ტროტუარზე აწურულ მზიას, თითქოს მანქანა მისი საკუთრება იყო.

— ამაზე მეტად აღარ დავსველდები, — უთხრა მზიამ, სულაც არ აპირებდა უცხო ადამიანის მანქანაში ჩაჯდომას.

— ვერ ხარ, ხო იცი! — გაუბრაზდა მარეხი, — ჩაჯექი დროზე, ბოლოს და ბოლოს შენთან მივდივართ და შენ გარეშე ხომ არ მივალ?

დათო ჩუმად იყო, ხმას არ იღებდა, ღიმილით უგდებდა ყურს მათ დიალოგს.

— ვაიმე, საბურთალოზე ხომ გაგვიყვანთ? — უცებ მოუტრიალდა მარეხი და გაუცინა.

— კი, ბატონო, თუნდაც საბურთალოს იქით ან ცხრა მთას იქით, — გაუცინა დათომაც.

— უი, არა, გმადლობთ, მაგ სიშორეზე წამოსვლა ნამდვილად მეზარება, — ჩაიკისკისა მარეხმა და ახლა ისევ მზიას მიუტრიალდა, — ჩაჯექი ახლავე!

ასე იყო თუ ისე, მზია მანქანაში ჩაჯდა. დათო კი იმ დღის მერე მარეხს აღარ მოშორებია, მზია კი მალევე გაქრა მათი ცხოვრებიდან, უბრალოდ ადგა და გაქრა, ფა-ფუ...

— რა წამდაუწუმ ეს გოგო მახსენდება, — ჩაილაპარაკა მარეხმა, როცა მარტო დარჩა, — ნეტავ, ხომ არ კვდება? ან იქნებ უკვე გარდაცვლილია და არ ვიცი. საწყალი... — ისე შეეცოდა, თითქოს მისი გარდაცვალების ამბავი გაიგო.

დღე ისე გავიდა, ვერ გაიგო, ხან სალონში შეიარა, ხან მაღაზიები ჩამოიარა, ოფისშიც შეირბინა ცოტა ხნით, მერე ტორტი იყიდა, სხვა ნუგბარიც დაამატა და სახლში რომ დაბრუნდა, მაშინ მიხვდა, რომ, ცოტა არ იყოს, დაიღალა.

ტუსამ გვიან დაურეკა.

— დე, მისმინე, — ხმაურიან ადგილზე იყო და ბოლო ხმაზე ყვიროდა, — სახლში მოვდივართ გოგოები, ტორტი იყიდე?

— ვიყიდე, კი, მოდით, გელოდებით, — ხმამაღლა ჩასძახა მარეხმაც.

— ისეთი სიურპრიზი მაქვს შენთვის, აი, ძალიან მაგარი, წარმოუდგენელი! მოკლედ, მოვალ და ნახავ.

მარეხმა ძლივს გაიგო ტუსას ნათქვამი.

— რა სიურპრიზი? ნეტავ, გიგას ხომ არ შეურიგდა? ეს თუ გააკეთა, სიურპრიზი კი არა, ელდა იქნება, — იმის წარმოდგენამ, რომ დღეს იმ ბიჭს, რომელიც ტუსას შესაფერისად არ მიაჩნდა, აქ, თავის სახლში, ტუსას დაბადების დღეზე ნახავდა, ხასიათი წაუხდინა.

— სულ ტყუილად ვთვლი ჭკვიანად, — ჩაილაპარაკა გაბრაზებულმა, — ახლა თუ მომაყენა და გამომიცხადა, ცოლად მივყვებიო... არავითარ შემთხვევაში! საერთოდ, არც მივიღებ, ზედაც არ შევხედავ იმ უსაქმურს. მაგის ატანის ნერვი სად მაქვს...

ასეთივე განწყობით გააღო კარი.

ტუსას მეგობრები შემოცვივდნენ მხიარულად, ლაპარაკით, შეძახილებით. მარეხი გადაკოცნეს, ტუსას დაბადების დღე მიულოცეს...

— ტუსა სადაა? — გულმა რეჩხი უყო მარეხს.

„ნამდვილად გაჰყვა, ნამდვილად და გავგიჟდები კიდევაც ახლა!“.

— ტუსა? — ჰკითხა მაიკომ, ტუსას მეგობარმა, — ტუსა...

— გათხოვდა? — წამოიყვირა მარეხმა.

— ვაიმე, რა გავთხოვდი, დე, — შემოვიდა კარის გვერდით მიმალული ტუსა, — რა გჭირს?

— არაფერი, დე, არაფერი, — სახე გაუნათდა მარეხს, — კარგი სიურპრიზი კი გამოგივიდა, გული გამისკდა.

— სიურპრიზი? აი, სიურპრიზი, — და სანამ მარეხი ისევ გიგასთან წავიდოდა ფიქრით, წარმოიდგენდა, რომ ახლა ტუსა გიგას შემოიყვანდა სახლში...

არავითარი გიგა, ტუსამ უცნობი გოგონა შემოიყვანა და დედას წარუდგინა.

— გაიცანი, ჩემი ორეული, ლიზა, — და მარეხის წინ უცნობი გოგონა დააყენა.

მარეხმა თვალები დახუჭა, გაახილა, დახუჭა, გაახილა... ეს, გოგონა, ლიზა, მართლა გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ტუსას.

— ვაიმე, მართლა როგორ გგავს, — უთხრა გაკვირვებით შვილს.

— არ თქვა, მაიკომ მომიწყო დღეს ეს სიურპრიზი, — მეგობარს სიცილით გადახედა ტუსამ.

— ვაიმე, დეიდა მარეხ, ვერც კი წარმოიდგენთ, — ახლა მაიკო აქაქანდა, — ერთი მე მკითხეთ, ლიზა პირველად რომ დავინახე, რა დამემართა. ტუსა მეგონა.

— მერე, შე პატარა ჭორიკანავ, აქამდე როგორ მოითმინე, რომ ერთმანეთი არ გააცანი? — გაუღიმა მარეხმა მაიკოს, ყველა სუფრასთან მიიპატიჟა.

— აქამდე არც მე ვიცნობდი, — ენას აღარ აჩერებდა მაიკო, — წარმოგიდგენიათ? ახალი გადმოსულები არიან ჩვენ მეზობლად. ორი დღის წინ ამ ქალბატონს, — ლიზაზე ანიშნა მარეხს, — წყალი დარჩა მოშვებული. კარგად გაგვიწვიმდა სახლში, მერე მოვიდა საწყალი დეიდა მზია ბოდიშებით...

— დეიდა მზია?! — წამოიძახა მარეხმა.

— კი, ლიზას დედა, მერე მოჰყვა ლიზა... — გააგრძელა მაიკომ.

მარეხი წამოდგა, გოგონებს მექანიკურად გაუღიმა, სამზარეულოში გავიდა, სკამზე ჩამოჯდა.

მზია... მზია... აი, რატომ გადაიკარგა, რატომ გაქრა მისი ცხოვრებიდან...

„მაგრამ გამოდის, რომ ორივემ მიღალატა, მეგობარმაც და ქმარმაც?! არა, წარმოუდგენელია! დათო მზიასთან როგორ მიღალატებდა, საერთოდ, როგორ მიღალატებდა?! შეიძლება ეს სულ სხვა მზიაა, შეიძლება უბრალოდ დამთხვევაა...“

სიზმარი გაახსენდა, ის უსიამოვნო გრძნობა, რამაც გამოაღვიძა, მერე მივიწყებული ალბომი გადააშლევინა, მერე მზია გაახსენა...

„გამოდის, რომ მე კი არა, მზია გაშიშვლდა, ოღონდ ცხადში, — გაიფიქრა უაზროდ, — არა, არა, წარმოუდგენელია, დაუჯერებელი...“

წამოდგა, თავი აიძულა, რომ არაფერი შეემჩნია. გოგონებთან გავიდა, ბევრი რამ ჰქონდა გასარკვევი...

❖ ყველაზე საშინელი წყალდიდობა ჩინეთში მოხდა 1921 წელს. მან 3,5 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

❖ ყველაზე მეტი მუზეუმი ამერიკის შეერთებულ შტატებშია. სტატისტიკური მონაცემებით, იქ 2890 მუზეუმია.

❖ ყველაზე ხანგრძლივი ორთაბრძოლა კრივში ახალ ორლეანში 1892 წელს ჩატარდა. ეს გახლდათ 110 რაუნდიანი ბრძოლა, რომელიც 7 საათი და 20 წუთი გრძელდებოდა.

## ეს იცოდით?

❖ ფრანგები ყველს დესერტად მიირთმევენ, თანაც ხილის ჭამის შემდეგ.

❖ „კანონი“ ბერძნული სიტყვაა და გათლილ, სწორ ჯოხს ნიშნავს.

❖ ურუგვაიში დუელი მხოლოდ 1992 წელს აკრძალეს.

❖ ჩინეთში ტაქსის მძღოლების 30-40% ქალია.

❖ პირველი კოლექციონერი არისტოტელე გახლდათ, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების მცენარეების ნიმუშებს აგროვებდა. მათ მისი მოსწავლე, ალექსანდრე მაკედონელი უგზავნიდა თავისი ლაშქრობებიდან.

❖ ბეთჰოვენმა გამრავლების ტაბულა არ იცოდა.

❖ კურდღლების სიცოცხლის ხანგრძლიობა (რაც დღემდე დაფიქსირებულა) 19 წელია. მაქსიმალური სისწრაფე კი, რაც შეუძლია განავითაროს სირბილის დროს, 56 კილომეტრია საათში.

❖ ბუზის სიცოცხლის ხანგრძლიობა 14 დღეა.

❖ ჟირაფის ენა საშუალოდ 50 სმ სიგრძისაა.

❖ ყველაზე მძიმე ჯიშის ძაღლი სენბერნარია. მისი მაქსიმალური წონა 111 კილოგრამია.



Cyan Magenta Yellow Black

## გავიცნობ, ვეძებ

sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 4 მაისი 17 საათი.

2017

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ ლამაზ, არამ-სუქან ქალს ლამაზი შეხვედრებისთვის. ვარ 36 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 593515049. ლევანი

2. ვარ სიმპათიური ბიჭი, მომწონს თავისუფალი და მონდომებული გოგოები. 555207508. გაგა

3. ვარ 30 წლის, გავიცნობ 25 წლის ზევით ქალს, თუნდაც გათხოვილს შეხვედრებისთვის, ცოტა ფინანსურად შეძლე-ბულს, მყავს მანქანა. 558192409

4. გავიცნობ 35 წლიდან სერიოზულ ქალს სამეგობროდ. ვარ თბილისელი, ყურადღებიანი, მშვიდი, წესიერი მამაკაცი. 558650023

5. გავიცნობ თბილისელ უკომპლექსო გოგოს. 558655517

6. ვარ სიმპათიური ბიჭი, მომწონს თავისუფალი გოგოები. 555479241. ლაშა

7. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ, თბილისელ, სერიო-ზულ 40-45 წლამდე ქალს. ვარ თბილისელი, სამსახურით და ყველაფრით უზრუნველყოფილი მამაკაცი, ვცხოვრობ მარტო. 555255301. გიორგი

8. შეხვედრებისთვის გავიცნობ 20-დან 40 წლამდე გოგოს, იყოს ხულოში, შუახევსა და ქედაში მცხოვრები. ვარ თბილი-სელი, მაქვს სამსახური. 557678873. გიო

9. შეხვედრებისთვის გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს. ვარ ქერა, ქამელეონი თვალებით, საშუალო სიმაღლის, ათლეტური ტანით. 593550802

10. ნებისმიერ თემებზე სასაუბროდ და შეხვედრებისთვის გავიცნობ 18-25 წლამდე გოგოს. ვარ თბილისელი, 28 წლის. 593454021. ბექა

11. გავიცნობ 25-40 წლამდე ქალს, ვინც თავს გრძნობს მარტოსულად. 557754488

12. გავიცნობ 30-დან 45 წლამდე ქალს. ვარ 26 წლის. 557202742

13. შეხვედრებისთვის გავიცნობ კარგ გოგოს. ვარ მაღალი, სიმპათიური ბიჭი, 24 წლის, ბათუმელი. 557409210

14. გავიცნობ მარტოსულ გოგოს. 558939631

15. სამეგობროდ გავიცნობ ლამაზ და ჭკვიან ქალს. ვარ 28 წლის, ქუთაისელი. 558275128. გიო

16. სამეგობროდ გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, თბილი-სელ, კარგი ხასიათის გოგოს. ვარ სიმპათიური, კარგი ხასიათის, უზრუნველყოფილი. 555349175

17. შეხვედრებისთვის გავიცნობ 30 წლამდე ლამაზ გოგონას, დავეხმარები ფინანსურად. ვარ 40 წლის, კარგი ადამიანი. 593552790

18. გავიცნობ სერიოზულ და მომხიბვლელ ქალს სამეგობროდ, ვცხოვრობ მარტო. 558794125

19. ვარ სიმპათიური, თბილისელი, გავიცნობ სიმპათიურ გოგოს შეხვედრებისთვის. 593135572. დათო

20. ხანგრძლივი ურთიერთობისთვის გავიცნობ 35 წლამდე თბილისში მცხოვრებ, მომხიბვლელ ქალს სამეგობროდ, ვარ 184 სმ. სპორტული აღნაგობის. 593547418. ჯაბა

21. გავიცნობ 50 წლამდე სიმპათიურ ქალს, ძლიერს, ფიზიკურად და ფინანსურად. ვარ 35 წლის, სიმპათიური, ფიზიკურად ძლიერი მამაკაცი, არამწეველი და, რაც მთავარია, არამატყუარა. 555294041

22. ვარ 35/180/70, კარგი აღნაგობის, სიმპათი-ური, დასაქმებული, თბილისელი მამაკაცი. შეხ-ვედრებისთვის გავიცნობ 40 წლამდე, სადა გარეგნობის თბილისელ ქალს. 557704587

23. შეხვედრებისთვის გავიცნობ ბათუმელ, ქო-ბულეთელ ან იმერელ, მხოლოდ ქვრივ, 35 წლამდე ქალს. ვარ 38 წლის, სიმპათიური მამაკაცი იმერეთიდან, მყავს მანქანა. 557994113. ჯონი

24. ვარ 45 წლის, თბილისელი მამაკაცი, ხანგრძლივი და სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ ლამაზ, სიმპათიურ ქალს. 558574647. ბექა

25. გავიცნობ 35 წლამდე ქალს სამეგობროდ. 557177977. რემი

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 30 წლამდე წესიერ და პატიოსან ქალს. ვარ 37 წლის. 557561363

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ დედისერთა ან მარტოხელა ქალს. ვარ შრომისმოყვარე ადამიანი. 557647577

3. ვარ თბილისელი, თბილი ბუნების 45 წლის მამაკაცი, მაქვს თბილისის ცენტრში კარგი ბინა. ოჯახის შესაქმნელად გავიცნობ რაიონელ, 33 წლის ქალიშვილ, სადა, მშვიდი ბუნების პიროვნებას. 558215498

4. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე ქალიშვილს, ვისაც უნდა შვილები და თბილი ოჯახი. დამირეკეთ საღამოს 9-ის მერე. 557648775

5. ვარ სპორტული აღნაგობის, 50 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავცნობ ბინით უზრუნველყოფილ ქალს. 555433172. ილია

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 36-42 წლამდე მაღალ, შეგნებულ, გულწრფელ და ერთგულ მამაკაცს. 557432047

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მშვიდ, სიმპათიურ, მშრომელ 45 წლამდე მამაკაცს. ვარ 38 წლის, მიმზიდველი, განათლებული, თბილი, ყურადღებიანი ქალი. 555285431

3. გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, დასაქმებულ მამაკაცს ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ 56 წლის. 555134551

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. სამეგობროდ გავიცნობ წესიერ, ფინანსურად უზრუნველ-ყოფილ, 40 წლამდე მამაკაცს. 558582418

## მიყვარხარ, მენატრები

დათუნა, როგორ ხარ? გენაცვალე, როგორ მენატრები და მინდა ჩემთან იყო, მე ჭკვიანად ვარ, ვსწავლობ და გელოდები შენ... რომ მოახერხებ, დამირეკე, რა, გკოცნი. მარიამი

დათ, ჩემო სიყვარულო, როგორ ხარ? უზომოდ მენატრები, უშენობა ცუდად მხდის, მაგრამ ღმერთის იმედი მაქვს და ალბათ მალე ერთად ვიქნებით. მიყვარხარ გულში. თიკო

დათ, შენ ჩემი უსაზღვრო სიყვარული ხარ, მადლობა უფალს, რომ ასე გვიყვარს ერთმანეთი. შენ გამო სიცოცხლესაც გავწირავ. მიყვარხარ ძალიან და მენატრები. თიკო

თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის" მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M", შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის" უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 4 მაისის 17 საათამდე.
ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!
ერთი აბონენტისაგან მიწერილ ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება



Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი აფციაური მამა ხდება

## „ჩვენი შვილი გვემალება, არ უნდა, სქესი გაგვიმხილოს“



■ სალიტა და გიორგი

დასაწყისი მე-9 გვერდიდან

შვილის მოლოდინთან ერთად გიორგი აფციაურის ცხოვრებაში სხვა ძვრებიც მოხდა. მას შემდეგ, რაც ტელეშოუს ჩამოსცილდა, ახალი საქმე წამოიწყო, თუმცა იუმორიდან შორს არ წასულა. მისი სამსახური ახალგაზრდებთან მუშაობას უკავშირდება. ამაზე უფრო კონკრეტულად ქვემოთ შეიტყობთ.

**— არც ისე დიდიხანია, რაც ოჯახი შექმენით. როგორი აღმოჩნდა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება?**

**სალიტა:** სირთულეები ნამდვილად არ გვქონია. ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთი უკეთ გავიცანით. საერთოდ, რომ გგონია, ადამიანს იცნობ, ერთად ცხოვრების დროს მაინც აღმოაჩენ სიახლეს მის ხასიათში, ქცევაში. აღმოვაჩინე, რომ გიორგი იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე მეგონა. ძალიან საინტერესო, თბილი და მოსიყვარულე ადამიანია. მშვიდი, ბუნჩულა ბიჭია.

**გიორგი:** მანამდეც ვიცნობდით ერთმანეთის ხასიათს, ასე რომ, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება რთული ნამდვილად არ აღმოჩნდა. სალიტა ძალიან ყურადღებიანია. დღეს ბედნიერი ოჯახი გვაქვს და დარწმუნებული ვარ, ცხოვრების ბოლომდე ასე გაგრძელდება. სალიტა ძალიან კარგი დიასახლისია, გემრიელი საჭმელების კეთება იცის, არაჩვეულებრივ სალათებს, პიცას ამზადებს.

**— გამოდის, რომ თქვენი ზედმეტი კილოგრამები სალიტას დამსახურება ყოფილა.**

**გიორგი:** გამხდარი რომ ვიყავი, მაშინ უცოლოც გახლდით და ვიპრანჭებოდი.

> **გიორგი: „გამხდარი რომ ვიყავი, მაშინ უცოლოც გახლდით და ვიპრანჭებოდი. დაქორწინების შემდეგ ამ რაღაცეებზე აღარ ვფიქრობ".**

დაქორწინების შემდეგ ამ რაღაცეებზე აღარ ვფიქრობ.

**სალიტა:** სხვათა შორის, ბევრს საერთოდ არ ჭამს. უბრალოდ სწორი კვების რეჟიმზე ვერ გადმოვიყვანე. შინ გვიან ბრუნდება, ამიტომ ღამით ჭამას მიეჩვია.

**— სალიტა, გიორგი ყოველთვის მშვიდი და, როგორც თქვენ ამბობთ, ბუნჩულაა?**

**სალიტა:** არა, არის მომენტები, როცა ბრაზდება და მაშინ ძალიან მამაკაცურია.

**— რაზე ბრაზდება ხოლმე?**

**გიორგი:** შარვლის ჩაცმის უფლებას არ ვაძლევ. (იცინიან).

**სალიტა:** ბრაზდება იმაზე, რომ სათქმელს მოგვიანებით ვეუბნები.

**— სალიტა, ქმარი მართლა გიწესებთ რაიმე აკრძალვებს?**

**სალიტა:** გიორგი ძალიან თავისუფალი პიროვნებაა. ჩვენ შორის არანაირი აკრძალვა არ არსებობს.

**— ოჯახში ვის რა გევალებათ?**

**სალიტა:** ჩვენს ოჯახში ისე არ არის, რომ საჭმელი მაინცდამაინც ქალმა უნდა გააკეთოს. დილით გიორგი მშვენიერ საუზმეს მახვედრებს, მაგალითად, ბუტერბროდებს. ერბოკვერცხის და კარტოფილის შეწვაც იცის და ყველაფერი გემრიელი გამოსდის.

**— მესამე წევრს როდის ელოდებით?**

**გიორგი:** ოქტომბრის დასაწყისში მამა გავხდები!

**სალიტა:** ძალიან ბედნიერები ვართ, მაგრამ ექოსკოპიაზე რომ მივდივართ, ჩვენი შვილი იმალება და თავის ვინაობას არ გვიმხელს.

**გიორგი:** თუმცა ჩვენთვის სქესს მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ჯანმრთელი იყოს.

> **სალიტა: „აღმოვაჩინე, რომ გიორგი იმაზე მეტად მიყვარს, ვიდრე მეგონა".**

**— სალიტა, როგორი ორსულობა გაქვთ?**

**სალიტა:** არანაირი ახირება, მნიშვნელოვანი მოთხოვნა ან პრეტენზია არ გამაჩნია. უბრალოდ ახლა უფრო მეტად მიწევს მჟავე კიტრის ჭამა, ვიდრე ადრე. განსაკუთრებული არაფერი მინდება. გიორგის ისეთ აბსურდულ რამეებს არ ვთხოვ, რაც საგონებელში ჩააგდებს.

**— რადგან სქესი არ იცით, ბიჭის და გოგოს სახელებზე ერთდროულად მოგიწევთ ფიქრი.**

**გიორგი:** სახელის დარქმევის საკითხში სრული ავტონომია სალიტას აქვს. მითხრა, ბავშვი 9 თვე მუცლით მე უნდა ვატარო, ამიტომ სახელსაც თავად მოვიფიქრებო. ჩემს მოფიქრებულ სახელს, ენქტერს, რას უწუნებს, ვერ გავიგე.

**სალიტა:** ჩემი აზრით, ადამიანის მომავალს მისი სახელი და გვარი განსაზღვრავს, ამიტომ მინდა, ჩემს შვილს განსხვავებული სახელი ერქვას.

**— გიორგი, კარგად აცნობიერებთ, რომ მამა უნდა გახდეთ?**

**გიორგი:** სიმართლე გითხრათ, ვერ ვაცნობიერებ. უყურადღებო არც არასდროს ვყოფილვარ და ახლა, მით უმეტეს, ვერ ვიქნები. უკვე ვამუღამებ სიტყვებს — „მოდი, შე მამაძაღლო!“. როგორც სერიალებშია, სალიტას ვეუბნები ხოლმე ხუმრობით, ბავშვი ჩემთან დარჩება, შენ აქედან გაეთრიე-მეთქი.

**სალიტა:** სიმართლე გითხრათ, ვერც მე ვაცნობიერებ, რომ დედა უნდა გავხდე. იმას კი ვხვდები, რომ სხვა ეტაპი დაიწყო... საღამოობით ბუნებაში ვსეირნობთ, დილაობით სახლში ვნებივრობთ. გიორგი პატარას ხშირად ელაპარაკება.

> **გიორგი: „სახელის დარქმევის საკითხში სრული ავტონომია სალიტას აქვს. მითხრა, ბავშვი 9 თვე მუცლით მე უნდა ვატარო, ამიტომ სახელსაც თავად მოვიფიქრებო".**

**გიორგი:** პატარას ველაპარაკები, ოღონდ ჩემი ხმით. სხვა ხმით ლაპარაკი ამიკრძალეს.

**— გიორგი, მას შემდეგ, რაც იუმორისტულ გადაცემას აღარ აკეთებთ, რითი ხართ დაკავებული?**

**გიორგი:** ახლა პროფკავშირის ახალგაზრდული განყოფილების ხელმძღვანელი ვარ. ყველა იმ ადამიანს, ვისაც სამსახურში დაჩაგრავენ და უსამართლოდ დაითხოვენ, კონსულტაციებს გავუწევთ, მათ ინტერესებს დავიცავთ.

**— ასე რადიკალურად განსხვავებული საქმე რატომ აირჩიეთ?**

**გიორგი:** საკუთარ თავზე გამოვცადე სამსახურში უსამართლოდ მოქცევა. ეს ის საქმეა, რომელიც იუმორისტულ კარიერაში ხელს არ შემიშლის. რაც უნდა დამიშალონ საკუთარი იუმორისტული გადაცემის კეთება, ამ საქმეს მაინც არ მოვეშვები. სახლში დავჯდები, დავწერ... 10 წელზე მეტია, ამ სფეროში ვარ. ამჟამად ახალგაზრდა იუმორისტებს ვხელმძღვანელობ, ჩემს გამოცდილებას მხიარულთა და საზრიანთა გუნდებს ვუზიარებ.

> **სალიტა: „ახლა უფრო მეტად მიწევს მჟავე კიტრის ჭამა, ვიდრე ადრე. გიორგის ისეთ აბსურდულ რამეებს არ ვთხოვ, რაც საგონებელში ჩააგდებს".**

**— სალიტა, თქვენ და გიორგი სამსახურშიც ერთად იყავით. ახლა თქვენ რას აკეთებთ?**

**სალიტა:** სტუდენტი ვარ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მეოთხე კურსზე ვსწავლობ. ხანდახან კონცერტებზე მეძახიან და ვმღერი, თუმცა ახლა მირჩევნია, მშვიდ გარემოში ვიყო და ნაკლებად ვიაქტიურო. სიწყნარე მსიამოვნებს. სულაც არ განვიცდი, რომ ერთად აღარ ვმუშაობთ. ძირითად დროს მაინც ერთად ვატარებთ.

**— თქვენი ქმარი აპირებს, მშობიარობას დაესწროს?**

**სალიტა:** გიორგი მშობიარობას არ დაესწრება! ახლა ჩვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, დღეებს, თვეებს ვითვლი, ერთი სული მაქვს, ჩვენი შვილი როდის დაიბადება.

**გიორგი:** მეც იგივე შემიძლია გავიმეორო. ველოდები, გავიგო, ბიჭია თუ გოგო და მამობისთვის მზადებას მერე უფრო დავიწყებ.

✓ **ლანა კიკნაძე**



Cyan Magenta Yellow Black



# წრფელი სინანული არის ის იარაღი, რომელსაც შეუძლია, წმინდანებად გვაქციოს

## ხსენება ღირსისა მოწამისა ევდოკიასი

(გაგრძელება)

წმინდანი სწორედ ისე მოიქცა, როგორც უფალმა აკურთხა, ილოცა უფლის წინაშე და აღდგა მკვდრეთით ფილოსტრატოსი, რომელმაც გაბედა ევდოკიასთან მისვლა და იმის გახსენება, რაც სასტიკად მიუღებელი იყო ღვთისთვის. იმავე უფლის ჩარევით აღდგა ის, რაც სავსებით საკმარისი აღმოჩნდა ფილოსტრატოსისთვის, სინანული დაბრუნებოდა იმის გამო, რაც ჩაიდინა.

ამის შემდეგ ისევ მსგავსი რამ განმეორდა, რადგან წმინდა ევდოკიას სამშობლოში გამეფდა ის, ვისაც ახალგაზრდობაში ურთიერთობა ჰქონდა მასთან. როცა შეიტყო, რომ ევდოკია მონაზვნად აღკვეცილა და მონასტერში მოსაგრეობა გადაუწყვეტია, ბოროტის შთაგონებით და მისი ძალაუფლების გამოყენებით ბრძანა ევდოკიას სასახლეში მიყვანა. აინტერესებდა, უწინ ასეთი წესით მცხოვრები ქალი დღეს რა მდგომარეობაში იყო ან იქნებ ეს ყოველივე მოჩვენებითი იყო და შეეძლო მასთან ურთიერთობების აღდგენა.

გაგზავნა მსახურები და ბრძანა, წაერთმიათ წმინდანისთვის, თუ რამ სიმდიდრე გააჩნდა და წამოეყვანათ იქიდან, რადგან ის განუდგა მამა-პაპათა ღმერთებს და აღიარა ებრაელების მიერ ჯვარცმული ქრისტე, რომელიც გამოაცხადა ღმერთად. ეს ყოველივე იყო მიზეზი, მიზანი კი სხვა ჰქონდა მეფეს, ამიტომაც კაცთმოყვარე უფალი, რომელმაც უწყის კაცთა მოდგმის ზრახვანი, გამოეცხადა წმინდანს და აუწყა: „მეფის რისხვა მოდის შენზე, ევდოკია, მაგრამ ნუ გეშინია, ვინაიდან მე ვარ შენთან ყოველთვის“.

მოადგა მონასტერს სამასამდე შეიარაღებული მეფის მსახური, მაგრამ ღვთის შეწევნით ვერ ეკარებოდნენ წმინდანს, რადგან თვით უფალი ზრუნავდა მასზე. სამი დღე და ღამე გაგრძელდა ეს ყოველივე. მეფის მსახურები ვერც კი მიხვდნენ, თუ რა ხდებოდა მათ თავს და რატომ არ შეეძლოთ ევდოკიას შეპყრობა და მეფესთან წარდგენა. ყველა მათგანი მესამე დღეს მოცელილივით ძირს დაეცა და სული განუტევა, მხოლოდ მათი მხედართმთავარი და სამი მსახური გადაურჩნენ სიკვდილს, რომელთაც აცნობეს მეფეს ამ საშინელების შესახებ.

განრისხებული და, ამასთან ერთად, შეშინებულიც გაიძახოდა მეფე, ნუთუ ამ მეძავმა ქალმა თავისი მაგიური ძალით შეძლო და ჩემი ჯარისკაცები დახოცა, იქნებ კიდევ უარესი რამე აქვს ჩაფიქრებული. მაშინ მეფის ვაჟმა მიუგო მამას, მე ვიქნები, ვინც უშიშრად შევერკინები მაგ ჯადოქარს, მიწასთან გავასწორებ მონასტერს და მასაც მოვათრევ სასახლეშიო. ამაო აღმოჩნდა მისი მუქარა, რადგან მონასტრისკენ მიმავალს ცხენი დაუფრთხა და გადმოაგდო, ორივე ფეხი მოიტეხა და თვითონ გახდა სამკურნალო. ჭრილობები იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ, ხანგრძლივი მკურნალობის მიუხედავად, მაინც ვერაფერი უშველეს და გარდაიცვალა.

მეფე მოსთქვამდა უნუგეშოდ შვილის სიკვდილს. მაშინ მივიდა მასთან ფილოსტრატოსი და მოახსენა: „შეისმინეთ, მეფეო, რომ ნეტარი ევდოკია არის აღმსარებელი ჭეშმარიტი ღმერთის და ვერავის ძალუძს, მათ შორის ვერც თქვენ, მისთვის ზიანის მიყენება, რადგან მას იცავს საღვთო ძალა, ენერგია. თუ გსურს, რომ შენი შვილი აღადგინოს მკვდრეთით ისევე, როგორც მე, მაშინ გაუგზავნე თხოვნის წერილი და ეს ყოველივე გააკეთე თავმდაბლობით“.

მეფეს არ სურდა ამის გაკეთება, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა, ეს იყო მისი ბოლო იმედი, იქნებ მართლაც მომხდარიყო სასწაული და სიცოცხლის სული დაბრუნებოდა მის შვილს. გაუგზავნა ვინმე მოსამართლის, სახელად ვავილას ხელით თხოვნის და პატიების წერილი ერთდროულად. ვავილამ მიაკითხა მონასტერში და გადასცა მეფის წერილი პირადად წმინდანს. შემდეგ გალავნის გარეთ ქვაზე დაჯდა და ევდოკიას პასუხს უცდიდა. ამასობაში ჩაეძინა და ჩვენება იხილა. მიუახლოვდა ღრუბლებით მომავალი უფლის ანგელოზი და მიუგო: „მიცვალებული გიცდის, ვავილა!“.

ვავილას მაშინვე გამოეღვიძა, მიაშურა ნეტარ ევდოკიას და ხილვის შინაარსი მოახსენა. მაშინ მისწერა მეფეს ნეტარმა ევდოკიამ გულწრფელი თავმდაბლობით: „მეფეო, მე მართლაც ვარ უღირსი და ცოდვილი მოკვდავი, დამძიმებული მეძავობის ცოდვით და არ შემწევს ძალა, ვილოცო ღვთის წინაშე შენი შვილისთვის მანამ, სანამ შენ თვითონ არ შეინანებ საკუთარ საქციელს და სულით და გულით არ ირწმუნებ. თუ ამას გააკეთებ, ყველა ნახავს უზენაესი ღმერთის ძალას, თუ როგორ შეიცვლება შენი მწუხარება სიხარულით“. ეს მისწერა და თანაც წერილს ბოლოს სამი ჯვარი გამოსახა.

როგორც კი ვავილა მეფის სასახლეში მივიდა და ევდოკიას მიერ გამოგზავნილი წერილი მიიტანა, მაშინვე წამოდგა მეფის ვაჟი. ეს სასწაული იხილა ყველამ, ვინც იქ იყო და ყველამ ერთხმად შესძახა: „დიდ არს ღმერთი ღვთის მონისა ევდოკიასი, რომელიც იქმს ამგვარ სასწაულებს“. მოაწყო მეფემ ნადიმი, მადლობის ნიშნად მოწყალება დაარიგა. მალევე ნახა ადგილობრივი ეპისკოპოსი და თვითონაც და მთელი სახლეულიც მოინათლნენ. უამრავი ოქრო-ვერცხლი გაუგზავნა ნეტარ ევდოკიას მადლობის ნიშნად, რათა მონასტრისთვის მიეხედათ.

არ გაუვლია დიდ დროს და მეფეც და მისი მეუღლეც მიიცვალნენ, მათი ვაჟი კი, რომელიც მამის ტახტის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო, დიაკონი გახდა ადგილობრივ ეკლესიაში. როცა მათი ეპისკოპოსი გარდაიცვალა, ხალხმა ერთხმად აირჩია მეფის შვილი ეპისკოპოსის ტახტის მემკვიდრედ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეფეს ვაჟის გარდა, რომელიც ილიოპოლისის ეპისკოპოსი გახდა, კიდევ ერთი ქალიშვილი ჰყავდა და ისიც მონაზვნად აღიკვეცა. სახელიც კი არის ცნობილი — გელასია, რომელიც ღვთივსათნოდ მოღვაწეობდა ერთ-ერთ მონასტერში. ამ ისტორიას იმიტომ გიყვებით, რომ ადვილად გაიგოს მკითხველმა ნაშრომის აზრი.

მეფის გარდაცვალების შემდგომ ტახტზე ავიდა წარმართი მეფე. მან ილიოპოლისში თავის წარმომადგენლად გაგზავნა დიოგენე, რომელსაც, ვიდრე გელასიას მამა ცოცხალი იყო, მისი ხელი უთხოვია მეფისთვის და სასტიკი უარი მიუღია, რადგან სასიძო წარმართი იყო და არც სურვილი ჰქონდა გაქრისტიანების. ამიტომაც ატარებდა გულში წყენას დიოგენე. ახლა, როცა უკვე ილიოპოლისის მმართველი გახდა, გადაწყვიტა, იმ ძველი წყენის გამო, რომელიც გელასიას მამის მიმართ ჰქონდა, შვილისთვის მოეთხოვა პასუხი. ეს კი შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან გელასიამ მოულოდნელად მიაბარა სული უფალს.

ეს რომ შეიტყო დიოგენემ, გადაწყვიტა, იმაზე ეძია შური, ვინც ის მონაზვნად აღკვეცა. ასეთი იყო ნეტარი ევდოკია, რომელმაც შემოსა გელასია მონაზვნის სქემით და დიოგენემ გაგზავნა მის შესაპყრობად ორმოცდაათი რჩეული ვაჟკაცი. უბრძანა, მასთან მიეყვანათ ნეტარი ევდოკია. ამ დროს ისევ გამოეცხადა უფალი ევდოკიას და უთხრა: „იფხიზლე, ევდოკია, და იბრძოლე ჭეშმარიტების დასაცავად, რათა მიიღო უჭკნობი გვირგვინი, ვინაიდან მოვიდა დრო შენი აღმსარებლობის. შენკენ მოემართებიან ველური წარმართები, მაგრამ ნურაფერზე იდარდებ, რადგან იცოდე, შენ გვერდით მე ვიქნები ყოველთვის“.

როცა მოადგნენ წმინდანის წასაყვანად მონასტერს, ნეტარმა ევდოკიამ მაცხოვრის ხორცის ნაწილი შეინახა ჩუმად და თვითონ წარუდგა მოსულ ჯალათებს, რომელთაც მიუყვანეს დიოგენეს. მაშინვე ბრძანა, საპყრობილეში ჩაემწყვდიათ და არავის გაებედა მისთვის საკვების მიწოდება.

მეოთხე დღეს წარუდგინეს ნეტარი ევდოკია დიოგენეს სახედაფარული. როცა თავსაბურავი მოხადეს, ყველას თვალთ დაუბნელდა ნეტარის მადლმოსილების



Cyan Magenta Yellow Black

გამო, განსაკუთრებით დიოგენეს. უბრძანა გაშმაგებულმა წმინდანს, მითხარი შენი წარმომავლობა, სარწმუნოება და სახელიო. წმინდანმა მაშინვე მიუგო: „ევდოკია მქვია, ვარ ქრისტიანი და ღირსი შევიქენი, მრქმეოდა მონა ჭეშმარიტი კაცთმოყვარე ღმერთის, რომელიც ვირწმუნე და შევიყვარე მთელი ჩემი გულით და მთელი ჩემი სულით ისე, რომ ახლა უკვე არ არსებობს ძალა, რომელიც შემაჩერებს და შეეცდება ჩემს განშორებას მისგან, მისი სიყვარულისგან, ამიტომ ნუღარ აყოვნებ და დროს ტყუილად ნუ კარგავ, აღასრულე, რაც გსურს!“.

ამაზე მთავარმა მიუგო: „რატომ მიატოვე შენი ქალაქი, მიაშურე უდაბნოს და ტყუილად განაბნიე შენი ავლადიდება?“ წმინდანმა უპასუხა: „აჰა, აქ ვარ. მოვიდნენ, რომლებიც ცილს მწამებენ და მე მათ ვეტყვი, რომ არასდროს ამიღია სახელმწიფოს სიმდიდრე და ქონება. თუ სხვა მიზეზი გაქვთ, ეს უკვე სხვა საქმეა!“.

შემდეგ მთავარმა მოსთხოვა, თუ გინდა, რომ წამებით არ ამოგხადო სული, ახლავე მსხვერპლი შესწირე ჩვენს ღმერთებს, სახელმწიფოს ხაზინიდან აღებული სიმდიდრე ისევ სახელმწიფოს დაუბრუნე და მაშინ თავისუფალი იქნებიო. რაზეც წმინდანმა უპასუხა, მე ჭეშმარიტი ღმერთი შევიცანი და ახლა ცოცხალი თავით არ ვაპირებ მის კერპებში გაცვლას და არც სახელმწიფოს ფული მაქვს დასაბრუნებელი, რაც გსურს, ის გააკეთე, ოღონდ ეს ყოველივე რაც შეიძლება ჩქარაო.

ბრძანა მტარვალმა, მუცელი გაეფატრათ წმინდანისთვის ისე, რომ მთელი ნაწლავები გარეთ გადმოყრილიყო. ტკივილი მართლაც აუტანელი იყო, მაგრამ უფალი ხომ არასოდეს ტოვებს თავის შვილებს. ამის შემდეგ კიდევ სცადა მტარვალმა წმინდა ევდოკიას დაყოლიება და უთხრა: „საცოდაობაა, შენი სილამაზის პატრონმა ასე დაასრულოს ცხოვრება, შესწირე მსხვერპლი ჩვენს ღმერთებს და ახლავე გაგათავისუფლებ“. რაზეც სასტიკი უარი მიიღო და მიუგო, უსამართლო ხართ შენც და შენი ღმერთებიც, ამიტომ გახსოვდეს, ამ უსამართლობისთვის სამართლიანად დაისჯებიო.

ამის გაგონებაზე გაცოფებულმა დიოგენემ ბრძანა წმინდანის გაშიშვლება სრულიად და მისი ძელზე გაკვრა. როცა ჯარისკაცებმა ბრძანების აღსრულება დაიწყეს, წმინდანს უნახეს ტოპრაკში გახვეული წმინდა ნაწილი. წაართვეს და მიუტანეს დიოგენეს, რომელმაც მოინდომა მისი გახსნა. უნდოდა, ენახა, თუ რა იყო შიგნით, მაგრამ აღარ დასცალდა, ტოპრაკიდან ცეცხლი ამოვარდა და დაწვა ნახევრად დიოგენე.

ნახევრად ინვალიდი დიოგენე მიწაზე ეგდო და გმინავდა, ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა, რადგან ყველამ ნახა, რაც მოხდა და ეშინოდათ. მტარვალი კი გაჰკიოდა: „განმკურნე მე, ღმერთო, მანათობელო მზისაო და შემეწიე, რათა ფერფლად ვაქციო შენი მტერი, ჯადოქარი ევდოკია!“ ამის თქმა იყო და ზეციდან მეხი დაეცა, რომელმაც ადგილზევე ფერფლად აქცია დიოგენეს ლეში.

შეშინებული და თავზარდაცემული მოსახლეობა მოსთქვამდა და გლოვობდა ქალაქის მმართველს. მაშინ შენიშნეს ჯარისკაცებმა ელვის მსგავსი, რომელიც საუბრობდა წმინდანთან და თავისივე სამოსლის მსგავსი სამოსით ცდილობდა ევდოკიას სიშიშვლის დაფარვას. მიუახლოვდა ერთი ჯარისკაცი და უთხრა წმინდანს: „მისმინე მე, ცოდვილს და მონანულს, რომელსაც მწამს. იქნებ შეიბრალო მთავარი და აღადგინო მკვდრეთით, რათა ყველამ ირწმუნოს ჭეშმარიტი ღმერთი შენი მეშვეობით და მონაწილეობით“. ეს უთხრა და ჩამოხსნა ძელიდან. წმინდანიც დაჰპირდა, რომ შესთხოვდა უფალს დიოგენეს გაცოცხლებას.

წმინდა ევდოკიამ მუხლმოყრით ითხოვა: „უფალო ისეო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შენ, რომელმაც უწყი დაფარულნი ზრახვანი გულთა კაცთანი, შექმენი შენი სიბრძნით და სურვილით ეს სამყარო, ინებე, რათა აღადგინო ისინი, ვინც დაწვა საღვთო ცეცხლმა, რათა აღიარონ ყოვლადწმინდა სახელი შენი“. ეს თქვა და შებრუნდა გარდაცვლილებისკენ: „სახელითა იესო ქრისტესითა, აღსდექით“. და იმ წამსვე ყველა მათგანი წამოდგა.

ამ სასწაულის ამბავი მალევე ეუწყა სამეფოს მთავარ დიოდოროსს, რომელიც ის-ის იყო, მეუღლის გარდაცვალებას გლოვობდა და ნუგეშს ვერსად პოულობდა. როგორც კი მომხდარი სასწაულის შესახებ აცნობეს, მაშინვე გადაწყვიტა, წმინდანი მოენახულებინა და უთხრა, ჭეშმარიტად მწამს, რომ უფრო ძლიერი და უფრო დიდი არის შენი ღმერთი ჩვენი ღმერთებისგან განსხვავებით, ამიტომ, რადგან ჯერ კიდევ ეჭვით ვუყურებ ამ ყველაფერს, აღადგინე ჩემი ცოლი და მოვინათლები მეც და ჩემი ოჯახიცო.

წმინდა ევდოკიამ მიუგო: „ჩემს უფალს სურს, მოიმოქმედოს ეს სასწაული, როგორც უზომოდ მოწყალეს, რათა ირწმუნოს მისი უფრო მეტმა ადამიანმა“. ამის შემდეგ წმინდანი გაჰყვა მეფეს ცოლის საფლავთან, მუხლი მოიყარა და ილოცა: „უფალო იესო ქრისტე, ძეო და სიტყვაო მამისაო, რომელი აღდგომა ხარ მკვდართა, ღმერთო ყოვლადძლიერო, აღადგინე ფირმინაც, რათა ირწმუნოს მანაც და აქ მყოფებმაც, რომ ხარ ღმერთი ცოცხალთა, მოსიყვარულე და საუკუნო“. ხალხმა რა ნახა მკვდრეთით აღმდგარი ფირმინა, მოინათლნენ ყოველგვარი ეჭვის გარეშე, მათ შორის თვით დიოგენეც თავის მთავარ დიოდოროსთან ერთად.

ამის შემდეგ უამრავი სასწაული აღასრულა ღვთის სახელით წმინდა ევდოკიამ, რომელთა მოყოლა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ იმ სასწაულების ფონზე, რომლებზეც უკვე გიამბეთ. წმინდანის წარმოსაჩენად და ღვთის სადიდებლად ესენიც საკმარისია. დიოგენეს გარდაცვალების შემდეგ ილიოპოლისის ტახტი დაიკავა ღვთისმგმობელმა ბიკენტიმ, რომელმაც ველარ გაუძლო ნეტარი ევდოკიას მხილებას და თავი მოჰკვეთა წმინდანს.

რომაელებმა წლის პირველ თვეს მარტი უწოდეს ამ დღის აღსანიშნავად, რადგან ბერძნულად მარტირას ნიშნავს მოწამეს. სწორედ ნეტარი ევდოკიას მოწამეობრიობა იყო ყველაზე გახმაურებული ამბავი მთელ რომის იმპერიაში და არა მარტო რომის, ამიტომაც გვწამს, რომ წმინდანის მეოხება ჩვენც შეგვეწევა აწ და მარადის და უკუნისამდე, ამინ!

**ქრისტესმიერი სიყვარულით**
**პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**

## კითხვები მოძღვარს

# „პასქა არის იმ მთის სიმბოლო, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე“

## ვნების შვიდეულის განმარტებები

მართლმადიდებლური სამყარო ბრწყინვალე დღესასწაულის, ქრისტეს აღდგომისთვის ემზადება. ორშაბათიდან დაიწყო ვნების კვირა, რომელიც ყველა მორწმუნისათვის მნიშვნელოვან მოსამზადებელ პერიოდს წარმოადგენს. 48 დღიანი მძიმე მარხვის ბოლო კვირა ბევრ სახელობით დღეს მოიცავს, მათ მნიშვნელობაზე წმინდა იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე) გვესაუბრება.

— **მამაო, რას ეძღვნება ვნების კვირა?**

— აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წინ ვნების კვირა უსწრებს. სწორედ ეს კვირა ეძღვნება მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეების გახსენებას — საიდუმლო სერობას, უფლის გაცემას, პილატეს სამსჯავროს, ჯვარზე ვნებას, მაცხოვრის სიკვდილსა და საფლავად დადებას. ქრისტიანი ადამიანი ამ კვირას განსაკუთრებული თავმდაბლობით, სინანულითა და მორჩილებით უნდა ხვდებოდეს.

— **როგორ უნდა გაატაროს ქრისტიანმა ვნების კვირა?**

— ქრისტიანები ვნების შვიდეულს სინანულით ხვდებიან, აქვთ განცდა იმ ტკივილის, სასჯელის, რომელიც მაცხოვარმა ჩვენთვის დაითმინა. ჩვენ ყველანი მაცხოვრის ნაწილი ვართ. როდესაც ქრისტიანი აცნობიერებს, რომ ის ღმერთის ნაწილია, მისგან არის შექმნილი, მისი შექმნილები ულმობლად მოექცნენ, დაამცირეს მაცხოვარი, მიაგეს სასჯელი, ეს ბოროტი კი დღემდე ზეიმობს დედამიწაზე, შინაგანად, სულიერად განიცდის ამ ტკივილს. მართლმადიდებელი უნდა აცნობიერებდეს, რომ ცოდვებში ვარდება, უშვებს შეცდომებს, ბევრი რამ ეშლება. ამ ცოდვების შეცნობით, ტკივილით უნდა ემზადებოდეს ვნების შვიდეულში მაცხოვართან აღდგომის შესახვედრად.

**„ქრისტიანები ვნების შვიდეულს სინანულით ხვდებიან, აქვთ განცდა იმ ტკივილის, სასჯელის, რომელიც მაცხოვარმა ჩვენთვის დაითმინა“.**

— **ვნების კვირის პირველ დღეებს როგორ აღნიშნავს ეკლესია?**

— ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს ტაძარში ღვთისმსახურებისას ოთხივე სახარება თავიდან ბოლომდე იკითხება.

— **რა რიტუალები ტარდება** →74



Cyan Magenta Yellow Black



მამა გიორგი

დიდ ხუთშაბათს?

— დიდი ხუთშაბათი არის საიდუმლო სერობის დღესასწაული, ამ დღეს იკითხება თორმეტი სახარება და

**„კვერცხებს წითელ პარასკევს ღებავენ იმის მოსაგონებლად, რომ ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. წითელი კვერცხი აღდგომისა და სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი ფერი კი იესო ქრისტეს წმინდა სისხლის ფერია. აღდგომის კვერცხი ნიშანია ქრისტეს წმინდა სისხლით განწმენდილი ჩვენი მარადიული ცხოვრებისა".**

ხდება ფეხთბანვა. ფეხთბანვის წესი მაცხოვარმა დაადგინა, მან თორმეტივე მოციქულს ფეხები დაბანა, რათა ეჩვენებინა მოწაფეთათვის, როგორც ის იმდაბლებდა თავს, ისე ეპატრონათ ერთმანეთისთვის. ანუ, ვინც გემსახურება, ის არის შენზე უპირატესი, თორემ შენ კი არ ხარ უპირატესი, როცა სხვა გემსახურება. ამ კვირაშიც, პირველი კვირის მსგავსად, მკაცრად ვმარხულობთ, თუმცა ვნების შვიდეულის ხუთშაბათი ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა: ამ დღეს იესო ქრისტემ დააწესა ზიარების საიდუმლო. ყველა ქრისტიანი უნდა ეცადოს, დიდ ხუთშაბათს უზიარებელი არ დარჩეს.

— **გვესაუბრეთ წითელი პარასკევის შესახებ.**

— პარასკევი უკვე ვნების, დამცირებისა და ჯვარცმის დღეა. ამ დროს სრულდება გარდამოხსნის რიტუალი, ღვთისმსახურებისას იკითხება განსხვავებული ლოცვები. დიდი პარასკევი (წითელი პარასკევი) ყველაზე მძიმე დღეა წლის განმავლობაში. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ახლობელი ადამიანის გარდაცვალებისას ჭირისუფალს მარადიულობასთან შეხების საოცარი განცდა ეუფლება. ეს გრძნობა კიდევ უფრო იზრდება, თუ მიცვალებული მთელ ერს ეკუთვნოდა. ასეთ დროს ამაო საგნებზე ფიქრიც კი უხერხულია. ჩვენ კი, ქრისტიანებს, წითელ პარასკევს გვენიჭება დიადი უფლება, არ მივატოვოთ ჯვარზე უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მენელსაცხებლე დედებთან, წმინდა იოანე მახარებელთან და თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელთან ერთად ვიყოთ მისი ჭირისუფალნი. ამის გამო ეს დღე განსაკუთრებით წმინდად უნდა გავატაროთ, მაქსიმალურად ვეცადოთ საკუთარ თავში ჩაღრმავებას, მოვერიდოთ ურთიერთობებს, სხვისი საქციელის განკითხვას; სულ გვახსოვდეს ჯვარცმული მაცხოვარი.

ამ დღეს შეგვიძლია საზრდელზე უარიც კი ვთქვათ ან მცირედ წავიხემსოთ დღის მეორე ნახევარში. დღის ორ საათზე ეკლესიაში სრულდება გარდამოხსნის გადმოსვენება — იესო ქრისტეს სხეულის ჯვრიდან გადმოხსნის რიტუალი. საღამოს იკითხება თორმეტი ვნების სახარება, ანუ ყველა ის ადგილი სახარებაში, სადაც აღწერილია უფლის წმინდა ვნება ჯვარზე. სასურველია, რომ ქრისტიანი ორივე რიტუალს დაესწროს.

— **რა რიტუალი სრულდება ეკლესიაში დიდ შაბათს?**

— ვნების შვიდეულის შაბათს, რომელსაც დიდ შაბათს ვუწოდებთ, დილით ადრე სრულდება გარდამოხსნის შემოტარება ეკლესიის გარშემო, რის შემდეგაც მას შუა ტაძარში დაასვენებენ. ეს რიტუალი მომასწავებელია უფლის წმინდა სხეულის გადმოსვენებისა ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ საფლავში. სრულდება წირვა, ხოლო ამის შემდეგ ვემზადებით იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად. დიდი შაბათი ერთადერთი შაბათია წლის განმავლობაში, როდესაც დაშვებულია და ამდენად სავალდებულოა მკაცრი მარხვა. ამასთან, ვინც აღდგომის წირვაზე ზიარებისათვის ემზადება, საღამოს 8 საათის შემდეგ საზრდელი აღარ უნდა მიიღოს.

— **გვესაუბრეთ გარდამოხსნის შესახებ, რატომ ენიჭება მას ასეთი დიდი მნიშვნელობა.**

— ქრისტიანული ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად აღდგომა ითვლება, აღდგომა იმ დაცემული კაცობრიობისა, რომლისთვისაც უფალმა მოავლინა განკაცებული მხსნელი — იესო ქრისტე. გარდამოხსნას უდიდესი

**„მაცხოვარმა თორმეტივე მოციქულს ფეხები დაბანა, რათა ეჩვენებინა მოწაფეთათვის, როგორც ის იმდაბლებდა თავს, ისე ეპატრონათ ერთმანეთისთვის. ანუ, ვინც გემსახურება, ის არის შენზე უპირატესი, თორემ შენ კი არ ხარ უპირატესი, როცა სხვა გემსახურება".**

მნიშვნელობა აქვს მთელი მარხვის განმავლობაში. პარასკევ დღემდე გარდამოხსნა ტრაპეზზე არის დაბრძანებული. მართლმადიდებლურ ეკლესიაში ტრაპეზზე მსხვერპლშეწირვა ხდება — პურითა და ღვინით მომზადებული ნივთიერებების ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაქმნა. ეს არის მთელი ლიტურგიის დანიშნულება და პროცედურა. სწორედ ეს განასახიერებს უფლის განვლილ პერიოდს. ამას წირვის დროს დიდი გამოსვლაც განასახიერებს, როდესაც მოაბრძანებენ ფეშხუმს და ბარძიმს იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცის შესაქმნელად.

ტრაპეზს საკურთხეველში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის არის სიმბოლო იმ აკლდამისა, სადაც უფალი იყო დასვენებული, ასევე — იესო ქრისტეს აღდგომისა და მისი ხორცშესხმისა. ტრაპეზზე დაბრძანებულია გარდამოხსნა, რაც შექმნილია შესანიშნავ ხელოვანთა შთაგონებით. ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში გარდამოხსნა ძვირფას ტილოზეა შესრულებული. ჩვენ გვაქვს ქართულ სტილში შექმნილი გარდამოხსნები.

გარდამოხსნის ცერემონიალი ყოველთვის აღდგომის წინა პარასკევს აღესრულება. გარდამოხსნა ტაძრის ცენტრში სამი დღე, კვირის დილის 6 საათამდე, განთიადის ჟამამდე არის დაბრძანებული. განთიადის ჟამს გარდამოხსნა აღდგება და ისევ საკურთხეველში შებრძანდება. იმავე საღამოს ტარდება საზეიმო ლიტურგია და იწყება აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული.

გარდამოხსნას ჩვენ ძალიან დიდ

**„ქრისტიანებს წითელ პარასკევს გვენიჭება დიადი უფლება, არ მივატოვოთ ჯვარზე უფალი ჩვენი იესო ქრისტე და მენელსაცხებლე დედებთან, წმინდა იოანე მახარებელთან და თვით ყოვლადწმიდა ღვთისმშობელთან ერთად ვიყოთ მისი ჭირისუფალნი. ამის გამო ეს დღე განსაკუთრებით წმინდად უნდა გავატაროთ".**

ყურადღებას ვაქცევთ, რადგან ეს დღესასწაული არის ვნების შვიდეულის უმძიმესი დღის დასასრული, რასაც ჯვარცმა ჰქვია და იმ ბედნიერების წინაპირობა, რასაც დიდი აღდგომა ჰქვია.

— **რასთან არის დაკავშირებული კვერცხის შეღებვის ტრადიცია?**

— წმინდა მარიამ მაგდალინელმა იმპერატორ ტიბერიუსს კვერცხი მიართვა და აღდგომა ახარა. წარმართმა ტიბერიუსმა მიუგო: მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამის თქმაზე კვერცხი გაწითლდა. ნიშნად ასეთი დიდი სასწაულისა, ქრისტიანებში ტრადიციად იქცა სააღდგომოდ კვერცხის წითლად შეღებვა. კვერცხებს წითელ პარასკევს ღებავენ იმის მოსაგონებლად, რომ ამ დღეს ჯვარს აცვეს უფალი ჩვენი იესო ქრისტე. წითელი კვერცხი აღდგომისა და სიცოცხლის სიმბოლოა, მისგან ხომ წიწილები და ბარტყები იჩეკება. წითელი ფერი კი იესო ქრისტეს წმინდა სისხლის ფერია. აღდგომის კვერცხი ნიშანია ქრისტეს წმინდა სისხლით განწმენდილი ჩვენი მარადიული ცხოვრებისა.

— **პასქებს რატომ ვაცხობთ?**

— პასქას აცხობენ და მიირთმევენ იესო ქრისტეს აღდგომის რწმენის ნიშნად. იგი არის იმ მთის სიმბოლო, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. პასქა აღდგომის სიხარულისა და ქრისტიანთა ერთობის სიმბოლოცაა.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

# „ქართველს სიტყვაზე ვენდე და მომატყუეს“

## თეონა კონტრიძე ჩაშლილ კონცერტსა და საქართველოში გაცრუებულ იმედებზე



27 აპრილს თბილისის ერთ-ერთ კლუბში რუსეთში მცხოვრები ქართველი მომღერლის, თეონა კონტრიძის კონცერტი უნდა გამართულიყო, მაგრამ საკმაოდ უხერხული სიტუაცია შეიქმნა — ღონისძიების ორგანიზატორებმა მომღერალს დაპირებული ჰონორარი არ გადაუხადეს, თეონამ კი თავის შვიდკაციან ჯგუფთან ერთად კონცერტის გამართვაზე უარი განაცხადა. ორგანიზატორმა მომხდარი იმით ახსნა, რომ საკმარისი რაოდენობის ბილეთები არ გაიყიდა. „იყო გარკვეული პრობლემა ჰონორართან დაკავშირებით, გაყიდული ბილეთებიდან ისე არ გამოვიდა საქმე, როგორც იყო დაგეგმილი. კონცერტი არ იქნება და ბილეთის ფული ყველას უკან დაუბრუნდება“, — განმარტა დათო ბაღაშვილმა — იმ კომპანიის წარმომადგენელმა, რომელმაც კონტრიძე საქართველოში მოიწვია. როგორც „სარკემ“ გაარკვია, მომღერალსა და ორგანიზატორს შორის მხოლოდ და მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არსებობდა, ასე რომ, თეონა მეორე მხარეს პირობების დარღვევის გამო სამართლებრივი კუთხით პასუხს ვერ მოსთხოვს. ასე რომ, მოსკოვიდან ჩამოსული მომღერალი ზარალში აღმოჩნდა.

თეონას გადაწყვეტილებას, რომ ჰონორარის გარეშე არ იმღერებდა, სოციალურ ქსელში უარყოფითი შეფასებები მოჰყვა. საზოგადოების აზრით, მომღერალს კეთილშობილური ჟესტი უნდა გაეკეთებინა და მონატრებული მაყურებლისთვის თუნდაც ჰონორარის გარეშე ემღერა.

ჩაშლილი კონცერტის, საქართველოში გაცრუებული იმედებისა და რუსეთში 19 წლიანი ცხოვრების შესახებ თეონა კონტრიძე „სარკის“ მკითხველებს უამბობს.

**— თეონა, კარგად იცნობდით და ენდობოდით იმ კონცერტის ორგანიზატორებს, რომელიც საბოლოოდ არ შედგა?**

— მხოლოდ და მხოლოდ ქართველობა გახდა ნდობის ფაქტორი. მოჯადოებული, მონუსხული ვიყავი, რომ ვიღაცამ კონცერტზე დამიძახა თბილისში. 14 წლის განმავლობაში არ მქონია შემოთავაზება, ჩემი ნატვრა კი აქ კონცერტის ჩატარება იყო. ზოგიერთი მეუბნება, ნატვრა თუ იყო, ჩამობრძანებულიყავი და გემღერაო, მაგრამ პროფესია სიამოვნების გარდა ერთადერთი საშუალებაა, რომ საზრდო გქონდეს, საკუთარი თავი და ოჯახი შეინახო. ვისაც არც საქმე აქვს და არც რამე პროფესია, ამას ვერასდროს მიხვდება.

**— არ შეგეძლოთ, თავად გაგეკეთებინათ ამ კონცერტის ორგანიზება?**

— თქვენ წარმოგიდგენიათ, ეს რამხელა თანხასთან არის დაკავშირებული?! გადმოფრენა-გადაფრენა, აპარატურა, ტრანსპორტი, კვება... ქველმოქმედების საშუალება არ მაქვს.

**— ესე იგი ორგანიზატორის სიტყვაზე ენდეთ და მასთან კონტრაქტი არ გაქვთ გაფორმებული?**

— კი, სიტყვაზე ვენდე, მასთან მეტი არაფერი მაკავშირებს. მსოფლიო პრაქტიკაა, რომ მომღერალს ჯერ პირობებზე შეუთანხმდები, შემდეგ ამ პირობებს ასრულებ და მომღერალი მუშაობს. ამ კომპანიამ ჩამოიყვანა საქართველოში ჯგუფი „უმა ტურმანი“. მოსკოვში მის დირექტორს ვკითხე, თუ როგორ დახვდნენ თბილისში. მიპასუხა, დახვედრა, კვება, ყველაფერი ფანტასტიკური იყო, მაგრამ ფული წინასწარ გამოართვიო. ისე ძალიან მინდოდა საქართველოში გამოსვლა, რომ პრინციპებიც კი დავთმე, რაც ჩემს ცხოვრებაში არასოდეს მომხდარა.

ჩვენი მოლაპარაკება ორთვენახევრის წინ შედგა, რომლის მიხედვითაც, დათო ფულს მოსკოვში გადარიცხავდა. შემდეგ იმაზე შევთანხმდით, რომ ამ ფულს თბილისში ჩემს რომელიმე ნათესავთან მიიტანდნენ. ეს ყველაფერი ბოლო წამამდე გაწელეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში სატელეფონო საუბრებით ისე დავახლოვდით, ოჯახის წევრებივით ვიყავით. მეუბნებოდა, რომ ყველაფერი კარგად იყო და თბილისი მელოდებოდა. ბოლოს დათომ მითხრა, როგორც კი აქ ჩამოხვალ, აეროპორტში დაგახვედრებ ფულსო. აეროპორტში კი არა, კონცერტამდე 2 საათით ადრე მითხრა, ფული არ არის და ორშაბათს მოგცემო. ორთვენახევრის განმავლობაში ვერ მომცა და ორშაბათს როგორ მომცემდა?!

**— ბილეთები არ გაიყიდა?**

— როგორ არა, მაგრამ როგორ შეიძლება ბილეთების გაყიდვაზე იყო დამოკიდებული? დარბაზში 3 ადამიანიც რომ იჯდეს, შენ უნდა გახვიდე და იმღერო. არ ვიცი, რა მოხდა, ფული ვერ იშოვა, ვერ ისესხა, ვერ მოიპარა, ბანკიდან სესხი ვერ გამოიტანა... მე ეს არ მაინტერესებს. 7 ადამიანთან, მუსიკოსებთან, ჩემი ჯგუფის წევრებთან ერთად ჩამოვედი. პირველად შეგვემთხვა ასეთი რამ და ძალიან ცუდია, რომ სწორედ თბილისში მოხდა. მათ თვალებში ვერ ვუყურებდი, სირცხვილით ვერ ვენახვებოდი. მეუბნებოდნენ, პირველ შემხვედრს როგორ ენდეო. ქართველია და იმიტომ ვენდე-მეთქი, ვპასუხობდი. ამ ადამიანებს 5000 დოლარი ჩემი ჯიბიდან გადავუხადე.

ამ ფაქტით ერთ რაღაცას მივხვდი — საქართველოში გოგო შეიძლება მოკლე კაბის ჩაცმის გამო გაკიცხონ, მაგრამ ვიღაც მკვლელობის, მოპარვის გულისთვის გაამართლონ. ვინც ამ ნაბიჯს ამართლებს, თვითონაც პოტენციურად აფერისტია, თვითონაც შეუძლია ვიღაც გადააგდოს, ვიღაცას ფული არ გადაუხადოს.

**— სოციალურ ქსელში ბევრი არ ამართლებდა თქვენს საქციელს, რომ კონცერტის გამართვაზე უარი თქვით.**

— კი, მთელი „ფეისბუქი“ აჭრელებულია. 50 პროცენტი მლანძღავდა, 50 პროცენტი მეფერებოდა. წერენ, ეს თეონა კონტრიძე ფულის ღორი და ფულის მონააო, მაგრამ ეს იმის ბრალია, რომ ხალხმა შრომა და შრომის ფასი არ იცის. მილიონი უფასო კონცერტი გვაქვს ჩატარებული, მაგრამ უნდა ვიცოდე, რომ ეს ქველმოქმედება ჩვენი ნებაა და არა — ტყუილი და გადაგდება. როგორ შეიძლება მართლმადიდებელ ქვეყანაში, სადაც ხალხი მართლმადიდებლურ პრინციპებზე თავს დებს, ერთი ადამიანი მაინც ამართლებდეს მსგავს ქურდობას და ტყუილს?!

**— ამ ყველაფრისთვის სამართლებრივი ფორმის მიცემას აპირებთ?**

— რა თქმა უნდა, არა, რადგან არანაირ დოკუმენტზე ხელი არ გვაქვს მოწერილი. სამწუხაროდ, მე რუსეთის მოქალაქე ვარ, ის კი საქართველოს მოქალაქეა.

**— ეპატაჟური იმიჯი გაქვთ. რუსეთმა იქონია თქვენზე გავლენა?**

— არა, ყოველთვის ასეთი ვიყავი. ჩემი თავი სხვანაირი არასოდეს მახსოვს. ემოციების გამოხატვაში თავს არასოდეს ვზღუდავ.

**— მოსკოვში თავის დამკვიდრება გაგიჭირდათ?**

— ბუნებრივია, გამიჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსები მენტალურად ჩვენთან ძალიან ახლოს არიან, ერთმანეთისგან მაინც განვსხვავდებით, თუნდაც სამზარეულოთი, ცხოვრებისადმი მიდგომით... მაგრამ იქ მუშაობა უფრო მიადვილდება, ვიდრე საქართველოში. რუსები ბევრად უფრო კონკრეტული ერია, ანუ მათთვის შავი შავია, თეთრი — თეთრი.

**— რუსულმა შოუბიზნესმა როგორ მიგიღოთ?**

— შოუბიზნესის წარმომადგენელი არ ვარ, ამ სფეროსთან არასოდეს მქონია შეხება, უფრო ივენთბიზნესში ვარ. ტელევიზიასთან და რადიოსთან კონტაქტი არ მაქვს, მოსკოვში ჩემი არც ერთი აფიშა ყოფილა გაკრული. რუსეთში რა აღარ ვცადე: ხან პედაგოგი ვიყავი, ხან ბექვოკალისტი, ხან დამლაგებელი, ხან ბავშვების ძიძა... მახსოვს, ერთადერთხელ ავიღე ვალი. მე და ჩემს მეუღლეს მანქანის ყიდვა გვინდოდა და ორწლიანი სესხი გამოვიტანეთ ბანკიდან, რომელიც 8 თვეში გავისტუმრეთ. ღამეები არ გვეძინა. დედაჩემი, მამაჩემი ასეთები იყვნენ, წესიერ ადამიანებთან ვარ გაზრდილი.

**— რთული გზა გაგივლიათ.**

— ალბათ, მაგრამ ახალგაზრდობაში ყველაფერი გიადვილდება. სირთულეები აღარც მახსენდება. რა თქმა უნდა, ბევრი შრომა, ბევრი უძილო ღამე მქონდა. ამ ყველაფერთან ერთად სწავლასაც ვახერხებდი, მაგრამ ჩემი ბავშვობა, ახალგაზრდობა რომანტიკულად, ტკბილად მახსენდება. ძალიან რთული გზა იყო-მეთქი, ვერ ვიტყვი, რადგან ეს ჩემი გზა იყო.

**— როგორც ქართველს, პრობლემები შეგექმნათ მოსკოვში?**

— ამ ორი ქვეყნის პოლიტიკამ ბევრი გაატარა ხორცსაკეპ მანქანაში. რუსებს ქართველები ძალიან ენატრებათ. ბევრი ქართული რესტორანი გაიხსნა... სულ მესმის, მე თბილისში მივდივარო. ჩვენი ერთად ყოფნა მოენატრათ. ამ ტალღაზე ჩვენმა ჯგუფმა ბოლო 3 წლის განმავლობაში საქართველოს სიყვარული და პოპულარობა ააგორა.

**— ვინ არის თქვენი ქმარი?**

— რუსი მეუღლე მყავს. ეკონომისტია. ჩემი მეუღლე საუკეთესო ადამიანია მათ შორის, ვინც კი ცხოვრებაში შემხვედრია. ნამდვილი ბრილიანტია! ჩვენ მხოლოდ ერთი საიდუმლო გვაქვს და ეს სიყვარულია. სიყვარულით ნებისმიერ ეგოს დაამარცხებ.

**— საქართველოში დაბრუნებაზე თუ ფიქრობთ?**

— მომავალზე ვერაფერს გეტყვით. გული ძალიან მეტკინა. ამ უსიამოვნო ფაქტს საქართველოს არ ვუკავშირებ, კომპანიის ბრალია, მაგრამ გული პატარა ბავშვივით მაქვს გატეხილი.

**— აქ ოჯახთან ერთად ხართ ჩამოსული?**

— აქ ოჯახთან ერთად ვარ. გვინდა, ცოტა დავისვენოთ და ბავშვები ზაფხულობით საქართველოში ვატაროთ. ჩემს ქმარს საქართველო ისე უყვარს, საფრანგეთს და იტალიას ურჩევნია.

**— დაბოლოს, საქართველოში კონცერტის გამართვაზე ისევ იფიქრებთ?**

— რა თქმა უნდა, აბა, ეს შემაშინებს?! ორგანიზატორი თუ გამოჩნდება და ანაზღაურება იქნება, კონცერტს, რა თქმა უნდა, ჩავატარებ.

✓ ეკა ლემონჯავა



Cyan Magenta Yellow Black

# თავსატეხი

იპოვეთ განსხვავებული კვერცხი



# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

## მაკარონი ისპანახით

**მასალა:**

მაკარონი — 450 გ
ისპანახი (მოხარშული, გაწურული და დაჭრილი) — 450 გ
ხახვი — 1 თავი
სტაფილო (გახეხილი) — 1 ცალი
ნიახური — 2 ღერი
ზეთი — 1 ჭიქა
მარილი და პილპილი — გემოვნებით

**მომზადება:** ზეთში მოშუშეთ ხახვი, ნიახური და სტაფილო. დაუმატეთ ისპანახი, მარილი, პილპილი და შუშეთ.

მაკარონი მარილწყალში მოხარშეთ, გადაწურეთ და ჯამში მოათავსეთ. დაუმატეთ მოშუშული ინგრედიენტები, მოურიეთ და სუფრასთან მიიტანეთ.



## კომბოსტოს წვნიანი

**მასალა:**

ხახვი — 1 თავი
ნიორი — 2 კბილი
ზეითუნის ზეთი — 2-3 ს.კ.
ნიახური — 2 ღერი
ბოსტნეულის ბულიონი — 300 მლ
პიტნა (დაჭრილი) — 1 ს.კ.
როზმარინი (დაჭრილი) — 1 ს.კ.
თეთრთავა კომბოსტო — 700-100 გ
მწვანე ხახვი (დაჭრილი) — 1 ს.კ



**მომზადება:** ქვაბში ზეთი ჩაასხით და შიგ მოშუშეთ დაჭრილი ნიორი და ხახვი. ცოტა ხანში დაუმატეთ აკეპილი ნიახური და ბულიონი. ადუღეთ 10 წუთი, შემდეგ დაუმატეთ მწვანილი და დაჭრილი კომბოსტო. ადუღეთ კიდევ 20 წუთი. ბოლოს შეაზავეთ მარილითა და პილპილით.

მომზადებული წვნიანი მათლაფებში გადაანაწილეთ, ზემოდან მოაყარეთ დაჭრილი მწვანე ხახვი და სუფრასთან მიიტანეთ.

## პომიდვრის და სიმინდის სალათი

**მასალა:**

პომიდორი — 2 ცალი
დაკონსერვებული სიმინდი — 1 ჭიქა
რეჰანი — 8 ძირი
ძმარი „ბალზამიკო“ — 2-3 ს.კ.
ზეითუნის ზეთი — გემოვნებით

**მომზადება:** პომიდორი გარეცხეთ და დაჭერით ზომიერ ნაჭრებად, დაუმატეთ აკეპილი რეჰანი და შეურიეთ სიმინდი. მოასხით „ბალზამიკო“ და ზეითუნის ზეთი. მოურიეთ და 1 საათით მაცივარში შედგით. სუფრასთან მიტანის წინ გადაიტანეთ სასალათეში და კარგად მოურიეთ.



## ბრინჯი ქინძითა და ლიმონით



**მასალა:**

ბრინჯი — 1 ჭიქა
ზეთი — 1 ჩ.კ.
ლიმონი — 1-2 ცალი
შაქარი — 1/2 ჩ.კ.
ქინძი (დაჭრილი) — 3 ს.კ.
მარილი — გემოვნებით

**მომზადება:** ბრინჯი 10 წუთით ცივ წყალში დაალბეთ. ტაფაში დაბალ ცეცხლზე ზეთი გააცხელეთ, დაუმატეთ ბრინჯი და შაქარი, მოურიეთ. არომატისთვის მოასხურეთ ლიმონის წვენი. ცოტა ხანს დააყოვნეთ, შემდეგ დაასხით 2 ჭიქა წყალი და მოაყარეთ მარილი. ტაფას სახურავი დაახურეთ და ხარშეთ 10-15 წუთი. ყურადღება მიაქციეთ, რომ ბრინჯმა წყალი სრულად შეიწოვოს. შემდეგ მოაყარეთ დაჭრილი ქინძი. სურვილისამებრ, შეგიძლიათ კიდევ დაუმატოთ ლიმონის წვენი. გადმოდგით ცეცხლიდან და 1-2 წუთი თავდახურული დააყოვნეთ.

## სოკოს ცივი ფონდიუ

**მასალა:**

მაიონეზი (სამარხვო) — 1 ჭიქა
ლიმონის წვენი — 1 ს.კ.
მწვანე ხახვი (დაჭრილი) — 2 ს.კ.
მარილი და პილპილი — გემოვნებით
დაკონსერვებული სოკო — 2 ჭიქა
მარილი პილპილი — გემოვნებით

**მომზადება:** ინგრედიენტები ბლენდერით დააქუცმაცეთ, შეაზავეთ მარილითა და პილპილით. მიირთვით მოხარშულ ბოსტნეულთან და სანელებლიან პურთან ერთად.





Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# სააღდგომო კომპოზიცია

დამეთანხმებით, რომ სააღდგომო კომპოზიცია ძალიან ალამაზებს ჩვენს ინტერიერსა თუ სააღდგომოდ გაწყობილ სუფრას.

რა თქმა უნდა, ამ კომპოზიციაში ძირითადად სხვადასხვანაირად გაფორმებულ და მოხატულ კვერცხებს ვიყენებთ. კვერცხი რომ ლამაზად გავაფორმოთ, ბევრი დრო არ არის საჭირო. მასალად კი დაგვჭირდება: გულგამოცლილი კვერცხი, გაზეთის ნაკუწები, წებო „ზმფ“, ჩვეულებრივი ან სილიკონის წებო, წყალში გახსნილი ხსნადი ან ნალექიანი ყავა, ქაღალდის მაქმანები, ღილები...

წებო ცოტა წყალში გავხსნათ და ფუნჯით გადავუსვათ კვერცხზე დადებულ გაზეთის ნაკუწებს. ამ ნაკუწებით კვერცხი მთლიანად დავფაროთ და სანამ სველია, ხელით გავასწოროთ. როცა გაშრება, კვერცხი წყალში გახსნილი ყავით „დავაძველოთ“ (მე-3 ფოტო). დავაცადოთ გაშრობა და სილიკონის წებოს საშუალებით მასზე მივამაგროთ მაქმანები, ღილები, პატარა ნახატები (მე-4 და მე-5 ფოტოები)... ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითიც შეიძლება კვერცხი გავაფორმოთ. ეს უკვე თქვენს სურვილსა და გემოვნებაზეა დამოკიდებული.

სულ ესაა.

**გისურვებთ წარმატებას და გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

✓ ლელა ცუცქირიძე


1


2


3


4


5

### წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 7 | 6 | 3 | 9 | 2 | 5 | 1 | 8 |
| 1 | 8 | 3 | 7 | 4 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 5 | 2 | 9 | 1 | 8 | 6 | 3 | 4 | 7 |
| 7 | 5 | 2 | 9 | 1 | 3 | 6 | 8 | 4 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 6 | 7 | 1 | 5 | 3 |
| 3 | 6 | 1 | 8 | 5 | 4 | 9 | 7 | 2 |
| 6 | 9 | 7 | 4 | 2 | 1 | 8 | 3 | 5 |
| 8 | 3 | 5 | 6 | 7 | 9 | 4 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 4 | 5 | 3 | 8 | 7 | 6 | 9 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 1 | 2 | 7 | 8 | 9 | 4 | 6 | 3 |
| 8 | 7 | 9 | 6 | 3 | 4 | 5 | 2 | 1 |
| 3 | 6 | 4 | 1 | 5 | 2 | 7 | 9 | 8 |
| 2 | 3 | 7 | 5 | 6 | 1 | 8 | 4 | 9 |
| 1 | 5 | 6 | 9 | 4 | 8 | 2 | 3 | 7 |
| 9 | 4 | 8 | 2 | 7 | 3 | 6 | 1 | 5 |
| 7 | 9 | 5 | 3 | 2 | 6 | 1 | 8 | 4 |
| 6 | 8 | 3 | 4 | 1 | 5 | 9 | 7 | 2 |
| 4 | 2 | 1 | 8 | 9 | 7 | 3 | 5 | 6 |

## ეს იცოდით?

❖ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში სამხედრო სალამი მარცხენა ხელით არ მიიცემა.

❖ კათოლიკურ ჯვარს კრიჟი ჰქვია.

❖ წყლის საათს კლეპსიდრა ჰქვია.

❖ ინფლუენცა გრიპის მოძველებული სახელია.

❖ ფოტოგრაფი სიტყვასიტყვით „სინათლის ალმწერს“ ნიშნავს.

❖ იდიოტი სულაც არ არის შეურაცხმყოფელი სიტყვა. ის ბერძნულად კერძო პირს ნიშნავს.

❖ ბამბა ევროპაში მე-16 საუკუნეში გამოჩნდა, მანამდე მის ნაცვლად ბატის ბუმბულს იყენებდნენ.

❖ 1941 წელს მექსიკაში საპნის ისეთი დეფიციტი იყო, რომ მას ფულის ფუნქციაც კი ჰქონდა.

❖ ყველაზე დიდი, 1850 კილოგრამიანი შოკოლადი 1990 წლის 11-13 მაისს ნიდერლანდებში დაამზადეს.

❖ ყველაზე დიდხანს ძილის მდგომარეობაში საჭმლის გარეშე ზღარბი ძლებს — 235 დღე. დათვი შიმშილობს 180 დღეს.

❖ ყველაზე გრძელი ენა ცხოველთა შორის ჭიანჭველაჭამიას აქვს. მისი ენის სიგრძე 60-65 სმ-ია.

❖ ყველაზე ხმამაღლა მყვირალა ცხოველი ნიანგია. მისი ყვირილი თვით გამოცდილ მონადირეებსაც კი შიშის ზარს სცემს. მაღალი ხმით გამოირჩევა ბეჰემოთიც. მესამე ადგილზეა ცხოველთა მეფე ლომი.

❖ მდინარის ყველაზე დიდი თევზი ლოქო გახლავთ. მისმა წონამ 400 კგ-ს შეიძლება მიაღწიოს.

❖ ყველაზე დიდი ბაყაყი გოლიოფია, რომელიც აფრიკაში ბინადრობს. მისი სხეულის სიგრძე 30 სმ-ია, წონა კი — 3,5 კგ.

❖ ნიანგთა შორის ყველაზე დიდი ნილოსის ნიანგია. მისი სიგრძე 9 მეტრამდე აღწევს და 500 კგ-მდე იწონის.

❖ ყველაზე დიდი ხვლიკი კომოდური ვარანია. მისი სიგრძე 5 მეტრია, ხოლო წონა — 200 კილოგრამი.

❖ ყველაზე ძლიერმოქმედი შხამი პაწაწინა ბაყაყს აქვს, რომელიც კოლუმბიაში ბინადრობს. ამ შხამს ვერც ერთი გველის შხამი შეედრება და არც მისი საწინააღმდეგო შრატი არსებობს. ეს ცხოველი 2 სმ სიგრძისაა და 1 გრამს იწონის. მისი შემჩნევა თითქმის შეუძლებელია.

❖ ყველაზე მეწველი ძუძუმწოვარი ცხოველი ვეშაპია. ის ყოველდღიურად 400 ლიტრ რძეს გამოიმუშავებს.

❖ ყველაზე დიდი მწერები სამხრეთ ამერიკაში ბინადრობენ, კერძოდ, ამაზონის ჯუნგლებში. აქ მობინადრე ჭიანჭველის სიგრძე 7 სმ-ია, ხოლო მწვანე კალიისა — 15 სმ.



Cyan Magenta Yellow Black

# შეაგროვე

8 მაისიდან
ჟურნალ „სარკესთან“
ერთად

# მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა

# 100 ტომად




## ტერაფლექსი

*გაიხანგრძლივეთ სახსრების ახალგაზრდობა!*

BAYER

150 Years
Science For A Better Life

- ✔ ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსრებსა და ხერხემალში
- ✔ ახდენს ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას
- ✔ ზრდის სახსრების მოქნილობას
- ✔ ამცირებს მოთხოვნილებას ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულ პრეპარატებზე
- ✔ აუმჯობესებს პაციენტთა სიცოცხლის ხარისხს






ტერაფლექსი ადვანსი
დაავადებების გამწვავებისას




ტერაფლექსი
დაავადებების ბაზისური თერაპიისათვის

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

სილქნეთი
SILKNET

## მხოლოდ სილქნეთის ინტერნეტ აბონენტებისთვის

# ნოუთბუქები

## უპრეცედენტოდ დაბალ ფასად!



~~699 ლარი~~

**579 ლარი**

დანაზოგი: 120 ლარი

acer



~~640 ლარი~~

**550 ლარი**

დანაზოგი: 90 ლარი

ASUS

- ყველა ნოუთბუქზე ვრცელდება 1 წლიანი გარანტია
- ისარგებლეთ სილქნეთის ანტივირუსით სპეციალურ ფასად

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია “კამარა სისტემს”
ალ. ყაზბეგის გამზ. 19

ტექნიკური უზრუნველყოფა
მაღაზია "ულტრა"
ღვინის აღმართი 23, ალ.ყაზბეგის.9

სისტემს კამარა

ULTRA Smart Solution

Silk Optic

Find us on: facebook

2 100 100

www.silknet.com

ოპტიკური ტექნოლოგიები